საქ. სსრ განათლების სამინისტრო
ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტი

11.107

ა.წ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО
ИНСТИТУТА ИМЕНИ АП. ЦУЛУКИДЗЕ

VI

ქუთაისი 1946

ილო არველაძის

საქ. სსრ განათლების სამინისტრო
ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ АЛ. ЦУЛУКИДЗЕ

Ч 839

VI



ქუთაისი 1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

კონსტანტინე მეძველია

გრძნობისა და გონების ურთიერთობა ალ. ჯავჯავაძის შემოქმედებაში

(ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალიდან 100 წლისთავის გამო)

მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა,
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს.

ალ. ჭავჭავაძე

„ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ფხიზლად მსჯელობა გრძნობათა დაუწმარებლად შეუძლებელია. იგი იყო დიდი გრძნობის მომღერალი, უხვი, ლაღი, ჭარბი, გულდოვლათიანი. მისი ლექსების ჯავარი — ეს არის გრძნობა". ასე იწყებს ჩვენი სახელოვანი მგოსანი და მკვლევარი ი. გრიშაშვილი თავის ნარკვევს ალ. ჭავჭავაძის შესახებ.

მართლაც ქართულ ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება ალ. ჭავჭავაძის მსგავსი პოეტი, რომელსაც მგრძნობელობა ასეთი ვირტუოზულობით გამოეხატოს.

XIX საუკუნის გარიჟრაჟზე ევროპაში წარმოიშვა ახალი ლიტერატურული მიმართულება რომანტიზმი, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა გონების ცივ ბორკილებს და გზა გაუხსნა მგრძნობელობას. რომანტიკოსები გრძნობამოჭარბებული პოეტები იყვნენ, რომლებიც რაციონალისტებზე გულგატეხილნი ხმამაღლა გაიძახოდნენ: არ მივსცეთ გონებას საშუალება, რომ მთლიანად დაიმორჩილოს, გადაყლაპოს ადამიანის მთელი ცხოვრება.

რომანტიკოსების აზრით გონება არ აძლევს ადამიანს ბუნებრივად მოქმედების საშუალებას. გონიერი ადამიანი თავის არსებაში ჰკლავს ბუნებრივ მისწრაფებებს, იგი გონების მიერ წინასწარდადგენილ კანონებს იძულებით ემორჩილება.

„ჩვენ სისტემატურად ვარჩევთ გზას, რომელზედაც უნდა ვიაროთ, ჩვენ ვზომავთ თანხმობასა და წინააღმდეგობას. ჩვენ ვარჩევთ იმას, რაც ჩვენი გონებით გვეჩვენება უკეთესად, ჩვენი ინსტიქტები, ჩვენი ვნებანი ძალიან ხშირად შეზღუდულია ჩვენი გონებით" (Жуссен, „Романтизм и философия Бергсона").

რომანტიზმი გრძნობის პოეზიაა და რომანტიკოსები არ ემორჩილებიან გონებით დაწესებულ საზოგადოებრივ კანონებს. ამდენად, ისინი საზოგადოებრივი ნორმებისა და მორალური კატეგორიების მოწინააღმდეგენიც არიან. მართლაც წარმოიდგინეთ გრძნობაზე მიშეებული ადამიანი, რომელსაც გონების ლაგამი გადაუხსნია და მხოლოდ ინსტიქტებით მოქმედებს გონებით მოწესრიგებულ საზოგადოებაში, როგორ დაგვეხატება იგი?

მაგრამ რომანტიკოსების აზრით გონების უარყოფითი თვისება მარტო ამით არ ამოიწურება, მას კიდევ სხვა ნეგატიურობაც ახასიათებს, იგი ადამიანის ტრაგიკული ცხოვრების წყაროა, სევდისა და კაეშნის მომგვრელია. ადამიანი პესიმისტია იმის გამო, რომ იგი გონიერი არსებაა. ადამიანი მაშინ გახდა უბედური, როდესაც მან გონების კარნახით დაიწყო სიარული.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მოვლენა და, საერთოდ, როგორც თავისებური იდეოლოგია, წარმოიშვა ფეოდალიზმის დეკადანსის პერიოდში. ამ დროს „განხეთქილებაა ხელოვანსა და მის გარშემო არსებულ საზოგადოებას შორის“ (პლეხანოვი). ამდენად, რომანტიკოსი უკმაყოფილოა რეალური ცხოვრებით და მისტიური სამყაროსაკენ მიისწრაფის, სინამდვილეს გვერდს უვლის. გონების თვისებას კი წარმოადგენს სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნება. გონების თვალით განათებული სინამდვილე რომანტიკოსებისათვის მიუღებელია. ამის გამო იგი ირეალისტი და ინდივიდუალისტია.

რომანტიკოსმა საკუთარი პიროვნება გახადა სამყაროს ცენტრად. გარეშე ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, არ აინტერესებს მას. თავის წარმოდგენას სინამდვილეზე უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე თვით სინამდვილეს. მათი აზრით ყველას შეუძლია ზომის ქვეყანა საკუთარი თვალით. ნურავინ შეწუხდება იმისათვის, თუ მისი შეხედულება არ ეთანხმება სხვის შეხედულებებს. რომანტიკოსი ნათელი გონებით გაშუქებულ სინამდვილეს უარყოფს, რადგან ეს სრულებით არ არის მისთვის ხელსაყრელი. ხოლო სამაგიეროდ იგი აიდეალებს გრძნობას, ინსტიქტს, რწმენას და აქედან გზა იხსნება მისტიციზმისა, რელიგიისა და ბუნდოვანებისაკენ.

რომანტიკოსს ადამიანის ცხოვრება ტანჯვა-წამების სახით აქვს წარმოდგენილი. რეალური ცხოვრებისაგან დამარცხებული რომანტიკოსი საშინელი ფერებით ხატავს ადამიანის სიცოცხლეს. სიცოცხლის არც ერთ ასაკში ადამიანი არ არის ბედნიერი და მოსვენებული. ამის მიზეზი, მისი აზრით, შესვე გონებაა. ადამიანი ბედნი-

ერად ჩათვლიდა თავს, რომ გონებას მისთვის მოსალოდნელი უბედურება წინასწარ არ ეჩვენებინა და მოჩვენებითი ბედნიერება მაინც არ წაერთმია. მას შემდეგ, რაც ადამიანი გონიერი არსება გახდა, მას თანდაჰყვა სევდა-კაეშანი. გონიერმა ადამიანმა გონების საშუალებით შეიცნო თავისი არარაობა. მას წინასწარ აქვს წარმოდგენილი მოსალოდნელი უბედურება, ამის გამო ის ყოველთვის სევდიანი და კაეშნიანია. რომანტიკოსების აზრით ცხოველის მდგომარეობა ადამიანთან შედარებით მით არის უკეთესი, რომ მას არ აქვს გონება, და მაშასადამე, არ აქვს უნარი მოსალოდნელი უბედურების წინასწარ განჭვრეტისა ანუ საკუთარი თავის შემეცნებისა. ცხოველი ან ველური ადამიანი არ ფიქრობს იმ სიკვდილზე, რომელიც აჩრდილივით თან დასდევს და მოსვენებას არ აძლევს კულტურულ ადამიანს.

რომანტიკოსთა აზრით ადამიანი ბედნიერი იყო მაშინ, როდესაც მას გონება არ აწუხებდა და ველურად დაეხეტებოდა ტყეში. ამდენად, რომანტიკოსები წინააღმდეგნი არიან ცოდნის, სიბრძნის. ჟან-ჟაკ რუსოს მისწრაფება პრიმიტიულობისაკენ, უკანდაბრუნება ბუნებისაკენ ამ მიზნით იყო ნაკარნახევი. რომანტიზმის მსოფლიო გმირები — კაენი, მანფრედი, ფაუსტი და სხვანი ცოდნის კოცონზე იფერფლებიან. ბაირონის შესანიშნავი ნაწარმოები „კაენი“ ამ მოტივზეა აგებული. ბაირონმა ბიბლიური ლეგენდა შესანიშნავად გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, თუ ცოდნა როგორ აუბედურებს ადამიანს.

ადამი და ევა ნეტარებით ცხოვრობდნენ ედემის ბაღში, მაგრამ მას შემდეგ, რაც გველმა (სიბრძნის, ცოდნის სიმბოლომ) ევას შეაჭამა აკრძალული ხილი — „ხე ცნობადის“ ნაყოფი, მათი ცხოვრება ტრაგიკული გახდა, რადგან ცნობადი ხის ნაყოფმა მათ პიროვნებაში წარმოშვა უნარი არსებული ცხოვრების შემეცნებისა (ისე, როგორც მინდია გველის ხორცის ჭამით გრძნეული გახდა, გამეცნიერდა).

ბაირონის აზრით ედემის ბაღში სხვა არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ იქ გველის სახით ცოდნა შეიპრა. ადამმა და ევამ შეიცნეს რა მათი არარაობა გველის — სიბრძნის საშუალებით, ცხოვრების შავი ღრუბლები ჩამოწვა ედემის ბაღში. ცოდნამ მათი ტკბილი და უდარდელი ცხოვრება ტანჯვა-წამებად გადააქცია. ლიუციფერი კაენს გარკვევით ელაპარაკება, რომ გველი სიბრძნით მაღლა იდგა ადამსა და ევაზე და ეს საბედისწერო ცოდნა მათში გველმა შეიტანა.

ლიუციფერი „ის სიბრძნით უფრო მაღლა იდგა, რადგანაც იცან (ლაპარაკია გველზე კ. მ.) სძლია ისინი და უბადრუკ ედემის ბაღში საბედისწერო ცოდნა მათ წინ გამოამჟღავნა. ეგ მწუხარება ცოდნაა მაინც. მაშ, ტყუილი არ უთქვამს იმას, გველმა თქვენ — მხოლოდ გაგიმჟღავნათ ჭეშმარიტება...“ *)

ადამი და ევა იმიტომ გრძნობდნენ სამოთხეში ბედნიერად თავს, რომ მათ ცხოვრების არაფერი გაეგებოდათ. გველმა ანუ ცოდნამ მათ გაუმჟღავნა ჭეშმარიტება, გააცნო საკუთარი თავი.

ლიუციფერი დაატარებს კაენს და აჩვენებს ცხოვრების ყველა საიდუმლოებას, დაანახებს სინამდვილის საზიზღარ სურათებს და ამ საშინელი სინამდვილის ხილვით აღშფოთებული კაენი ეკითხება ლიუციფერს: „მხოლოდ იმისათვის მომიყვანე შენ აქ, რომ ჩემთვის გეჩვენებინა ეს სურათი?

ლიუციფერი: განა შენ ცოდნას არ ეძებდი?

კაენი: დავეძებდი, რათა შემდეგში მისის შეწევნით მივსწვდომოდი ბედნიერებას.

ლიუციფერი: ჭეშმარიტება რომ ნიშნავდეს ბედნიერებას, შენც ბედნიერი იქნებოდი.

კაენი: მაშასადამე, უფალი ჩემი მშობლებისა მართალი იყო, როდესაც იმათ აუკრძალათ ხე დამღუპველი“.

ამის შემდეგ ლიუციფერი კაენს ანუგეშებს იმით, რომ არცოდნა ბოროტებისა ბოროტებას მაინც ვერ აგარიდებსო. ცოდნასა და არცოდნას შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ცოდნის მქონე ადამიანი ცხოვრების უკუღმართობას წინასწარ ჰვრეპ*ს და არმცოდნე უბედურებას მხოლოდ მაშინ გაიგებს, როდესაც უბედურება კარზე მიადგება. მანამდე მას თავი ბედნიერად აქვს წარმოდგენილი და სულიერადაც მოსვენებულია. ამიტომ ბაირონის აზრით გონიერი, მცოდნე ადამიანი ყველა სხვა ცხოველზე უბედურია. ეს აშკარად ჩანს ლიუციფერის სიტყვებიდან:

ლიუციფერი: „მაგრამ არცოდნა ბოროტებისა, ბოროტებას ვერ აგარიდებს... დანარჩენი კი, რაც თქვენს თვისებას წარმოადგენს, ახასიათებს ყველა ქვემძრომთ, წარმოშობილთ ყოფის ქაფიდან და ნალექიდან, რომელთათვისაც **უმეცრებაში მოქცეულია ბედნიერება, ცოდნაში — შხამი“.** და ბოლოს ირონიულად ეუბნება ლიუციფერი: „შენ ხომ ცოდნას ეძებდი მხოლოდ, ნუთუ, რაც ჩემი დახმარებით იხილე ახლა, არ შეგასწავლის შენი თავის შემეცნე-

*) ვსარგებლობთ კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანით.

ბას“ ლიუციფერის გესლიან კითხვას ქვეყნის და თავისთავის არარაობით აღშფოთებული კაენი უპასუხებს: „ვაგლახ, არარაობა შევიცანი მე ჩემი მხოლოდ“. დიახ, კაენიც უბედურია ლიუციფერის წყალობით, რადგან მან გაიცნო ცხოვრების რაობა.

ასევე ტრაგიკულია ცოდნა მანფრედისათვის. იგი, ცოდნით გულმოკლული, აცხადებს: „ცოდნა სევდაა, ვინც ყველაზე მეტი იცის, ის ყველაზე მეტს გრძნობს სამწუხაროს, საბედისწერო ჭეშმარიტებას, რომ ცოდნის ხე არ არის ცხოვრების ხე“.

— : —

ქართველმა რომანტიკოსებმა, მსგავსად ევროპის რომანტიკოსებისა, ცოდნა—გონება ადამიანის ტრაგიკული ცხოვრების მიზეზად გამოაცხადეს, მაგრამ, თუ ევროპის რომანტიკოსები ცოდნისა და რეალური ქვეყნის—ჭეშმარიტების გვერდის ასაქცევად მისტიურ სამყაროში დაეხეტებოდნენ, ქართველმა რომანტიკოსებმა ამის წამალი ისევ მიწაზე, თვით ცხოვრების წიაღში გამონახეს, ღვინის—სიმთვრალის სახით. მთვრალი ადამიანი გონებადაჩლუნგებულია, სამაგიეროდ გრძნობაგაშვებულია. ამ დროს გონების ლაგამის ძალა შესუსტებულია. მთვრალს არ აქვს უნარი ცხოვრების ჭეშმარიტი შემეცნებისა, მას მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საგნებზე და ამ მომენტში საღი მსჯელობის უნარი დაკარგული აქვს. იგი ცხოვრების მიმდინარეობიდან გამოთიშულია, განცალკევებულია, მას სევდა-კაეშანი ახლოსაც ვერ იკარებს. იგი ილხენს, იმღერის, „დიპლიპიტოს“ ხმაზე. რაც უნდა სევდიანი იყოს ადამიანი, თუ ნაბუხასარია ანუ „ჩაღლეულია“, არხეინად მოილხენს, რადგან სიმთვრალე გონებას აჩლუნგებს და ადამიანს ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და მოვალეობისაგან ათავისუფლებს. მთვრალი ბრძენიც ისევ თავისუფლად აჰყვება ღვინის მხურვალებას, ისეთ ნაბიჯს გადადგამს, ისეთ რამეს მოიმოქმედებს სიმთვრალეში, რომ გამოფიზლების შემდეგ, როდესაც გონება კვლავ დაეუფლება თავის ფუნქციას, ბევრს ინანებს კიდეც. ღვინოს ადამიანი თავდავიწყებამდე მიჰყავს და ამიტომაა გრძნობის პოეტი ალ. ჭავჭავაძე ლოთობას რომ შესძახებს:

ლოთებო, ნეტავი ჩვენა,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,

შემოდგომამან ბახუსი,
საწნახელში ჩააყენა.
(მუხამბაზი ლათაიური, გვ. 4).

მსგავსად ევროპის რომანტიკოსებისა, ალ. ჭავჭავაძის აზრით ბრძენი—გონიერი ადამიანი ყოველთვის მოწყენილია, რადგან იგი გონების თვალით ჭვრეტს ცხოვრების სინამდვილეს და ცხოვრებაში ამა რას დაინახავს ტანჯვა-წამების მეტს. პესიმისტი პოეტი ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ ადამიანის ცხოვრებას დაბადების მომენტიდან სიკვდილამდე დაუსრულებელ ტრაგედიად წარმოადგენს. ასეთი სინამდვილის ფხიზელი გონებით ჭვრეტა კარგს არაფერს დაანახებდა პესიმისტ პოეტს. გონიერი ადამიანი ალ. ჭავჭავაძის აზრით ყოველთვის მოწყენილია, გულგატეხილია, მოდუნებულია, გაუბედავია, იმ დროს, როდესაც ლოთი—ღლეული გულადია, გამბედავია, რადგან იგი მოსალოდნელ უბედურებაზე ერთხელაც არ ჩაფიქრდება.

რა ომის ცეცხლი ასტყდება,
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება!

ჭკვიანო, ნუ შვრები ყბედვით,
შენ წინ ვერ მიხვალ გაბედვით,
გულს ომამდისვე გაიხეთქ
განსაცდელთ წინასწარ ხედვით.
(იქვე, გვ. 5).

განსაცდელის წინასწარ ხედვაა რომანტიკოსების აზრით ადამიანის ტრაგედიის მიზეზი და ეს თვისება მხოლოდ გონებას აქვს. ამით აიხსნება ალ. ჭავჭავაძის სასტიკი გალაშქრება ცოდნისა და სიბრძნის წინააღმდეგ და არა თავადური სიზარმაცით, როგორც ჰს ზოგიერთებს ეგონათ. პოეტის აზრით ბრძენს არ ასვენებს სიკვდილის აჩრდილი, იგი ყოველთვის სიკვდილზე ფიქრობს, ხოლო ლოთი, მთვრალი, გონებადაჩლუნგებული ვერ ხედავს ამ მოსალოდნელ უბედურებას და გამარჯვების რწმენით არის აღფრთოვანებული. ამიტომაა, რომ ლოთური ტემპერამენტით გაიძახის ალ. ჭავჭავაძე:

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.

ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა.*)
(იქვე).

ჩვენ ვფიქრობთ, აქ ცოდნის უარყოფა არ არის ფუქსავატური ცხოვრების კარნახით გამოწვეული და არც შეიძლება სატირასთან გვქონდეს საქმე. მით უმეტეს, ეს არ ითქმის ალ. ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც თავის დროისათვის დიდი ცოდნისა და განათლების პატრონი იყო. მან ზედმიწევნით იცოდა ევროპული და აღმოსავლური ენები და დაუფლებული იყო XVIII საუკუნის ევროპულ აზროვნებას. ალ ჭავჭავაძის ცოდნის წინააღმდეგ გალაშქრება, ეს ცხოვრებისადმი თავისებური პროტესტი, სინამდვილის თავისებური ხედვაა. აქ ბრძოლაა გრძნობის ბატონობისათვის გონებაზე. ყოველისშემძლე გრძნობამ უნდა დაიმორჩილოს გონება. ამდენად, პოეტის აზრით, სიმთვრალე და სიბრძნე შეუთავსებელია ერთად, პირიქით, ისინი რადიკალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. იქ, სადაც სიბრძნეა, არ შეიძლება იყოს სიმთვრალე და სადაც სიმთვრალეა, არ შეიძლება იყოს სიბრძნე, ხოლო გრძნობა იგივე სიმთვრალეა, გრძნობის თავაშვებულებაა, და, ამდენად, სიმთვრალე საუკე-

*) ამ სტროფის პირველი სტრიქონი ალ. ჭავჭავაძის ლექსების გამომცემელს— დინჯსა და გამოცდილ მკვლევარს, ი. გრიშაშვილს ასე შეუცვლია:

დავეხსნათ ცოდვილთ ჭებასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა,
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა.

საბუთად ი. გრიშაშვილს ვიღაც შვაბიჩის ხელნაწერების რვეული მოაქვს.

„ჩვენ ხელში ჩაგვივარდა, — სწერს ი. გრიშაშვილი, — ერთი სასიმღერო რვეული, რომელიც გორის მცხოვრებ ვასილ შვაბიჩს ეკუთვნის (...) ეს რვეული წარმოადგენს ქართული სიმღერების კრებულს და გადაწერილია თვით შვაბიჩის ხელით 1856 წელს, 26 ღვინობისთვეს გორს. აქ არის „ლოთებო ნეტავი ჩვენას“ ვარიანტი ამ ლექსიდან ერთი ადგილი დღემდე ასე იკითხებოდა:

„დავეხსნათ ც ო დ ნ ი ს ძ ე ბ ნ ა ს ა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“.

შვაბიჩის ხელნაწერით კი

„დავეხსნათ ც ო დ ვ ი ლ თ ჭ ე ბ ა ს ა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“.

ჩვენი გამოცემისათვის ეს უკანასკნელი ვარიანტი მივიღეთ“. (გვ. 266).

ი. გრიშაშვილის ეს მოსაზრება არ არის სწორი. ჯერ ერთი ვიღაც შვაბიჩის ხელნაწერის ასე უკრიტიკოდ მიღება და დადგენილი ტექსტის უარყოფა ასეთი დინჯი მკვლევარისაგან როგორც ი. გრიშაშვილია მოულოდნელია, მეორეც, შეცვლილი სიტყვები სრულიად არ უთანხმდება შინაარსეულად სტრო-

თესო საშუალებაა უკუღმართი ცხოვრების დროებით დავიწყებისათვის.

ცხოვრებასთან ასეთი თვალთახედვით მისვლა და სიმთვრალის ღვთიურ კულტად ქცევა ქართული რომანტიზმის თავისებურებაა, რომელიც მან აღმოსავლური ლიტერატურიდან მიიღო ღვინის ფეტიში ირანულ-არაბული ლიტერატურის ნაკადს შემოჰყვა ჩვენს სინამდვილეში. ჯერ კიდევ დაახლოებით 1000 წლის წინად დიდი ირანელი პოეტი **ომარ ხაიამი** გაიძახოდა:

მთას რომ შეასხა ღვინო, იგიც კი აცეკვდება,
ღვინოს ვინც დაამცირებს, იგი თვით დამცირდება;
ღვინისთვის შენდობას შენ მე რატომ მიბრძანებ,
არის სული, კაცის წესს რომ თვით უკავშირდება. *)

ამის გამო ომარ ხაიამი ლოთებს უძმობილდება, მსგავსად ალ. ჭავჭავაძისა, და ღვინით მთვრალი გიჟურ ყოფნას ნატრობს:

თუ შეგიძლია ლოთებს ძმურად მიეცი ხელი,
ლოცვას და მარხვას დაუნგრიე ცრუ საფუძველი,

*) „ირანელი ლირიკოსები", ამბ. ჰელიძის თარგმანი, გვ. 74.

ფის მომდევნო სტრიქონებს და მით უფრო, ლექსის მთელ კომპოზიციას. ალ. ჭავჭავაძეს ამ ლექსში დაპირისპირებული აქვს ღვინო — სიმთვრალე და ცოდნა — სიბრძნე. პოეტის აზრით ღვინო — სიმთვრალე სჯობია ცოდნას — სიბრძნეს, რადგან ბრძენი სიკვდილზე ფიქრობს და ლოთი გამარჯვებაზე.

დავეჭსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა.

ამ სტროფის თითოეული სტრიქონი აზრობრივად ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო შეცვლილ ვარიანტში კი სრულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე.

„დავეჭსნათ ცოდვილთ ქებასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა".

მაგრამ რა კავშირი აქვს „ცოდვილთ ქებასთან", მომდევნო ტაეპებს?

„ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა".

ანდა — „ლოთებო, ნეტავი ჩვენა,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,
შემოდგომამან ბახუსი
საწნახელში ჩააყენა". (გვ. 5).

ამის შემდეგ ჩვენი მოსაზრება სადაო არ უნდა იყოს.

ომარ ხაიამს დაუჯერე მართალი სიტყვა,
დალიე ღვინო, იგრძე და იყავი ქველი. *)

ომარ ხაიამი, მსგავსად ალ. ჭავჭავაძისა, გონებაში ხედავს ადამიანის ცხოვრების უბედურებას. ჭკვიანის ანუ გონიერი კაცის ცხოვრება ყოველთვის კაეშნიანი და მოწყენილია მისი აზრით, ამიტომ ომარ ხაიამი თვითვე ურჩევს ჭკვიანს — გონიერს: ღვინო დალიე, დაითვერ და მთვრალისათვის, როგორც უგუნურისათვის ცხოვრება გამოიდარებსო:

რადგან ჭკვიანი ამ დროებით ვერ გაიხარებს,
უჭკუოს გარდა სიამით დროს ვერვინ ატარებს.
მომეც ის ღვინო, გონიერს რომ შეუცვლის ჭკუას,
მაშინ დროება ჩემთვის უკეთ გამოიდარებს. **)

„უჭკუოს გარდა ამ ცხოვრებას ვერვინ ატარებს". გაიძახის ომარ ხაიამი და ღვინოს მიმართავს იმისათვის, რომ გონიერი უგუნურად აქციოს, ხოლო უგუნურმა ნაკლებად იგრძნოს ცხოვრების სიმძიმილი. თითქმის იგივე აზრი აქვს ომარ ხაიამს ამ სტრიქონებში გამოთქმული, რაც ალ. ჭავჭავაძეს „მუხამბაზ ლათაიურში".

ომარ ხაიამი კიდევ უფრო შორს მიდის, იგი ღვინოს რაღაც მაგიურ ძალას მიაწერს, სასწაულებრივ თვისებებს აძლევს მას.

სიკვდილის შემდეგ წუთისოფელს რომ გავეყრები,
ძირფესვიანად ჩემი ცოდვაც მე აღმოვიფხვრები,
ჩემის მიწისგან გააკეთე სალვინე სურა,
და როცა ღვინით გაივსება, მეც გავცოცხლდები. ***)

როგორც ვხედავთ, ნიშანდობლივი შეხვედრაა ცხოვრებისაგან გულგატეხილი ამ ორი პოეტის შემოქმედებას შორის. ცხოვრების უკუღმართობის დასათურგნავად ორივენი ღვინოს მიმართავენ.

„ოდესმე მთვრალი, გალეშილი თუ გინახავარ, მქონდა მიზეზი ცხოვრებისაგან ტანჯულ-წამებულსო", — გაიძახის ომარ ხაიამი.

შეიძლება ალ. ჭავჭავაძეს უშუალოდ არ განუცდია ომარ ხაიამის პოეტური მემკვიდრეობის გავლენა, მაგრამ ირანული პოეზიის მგზნებარე სული საუკუნეების განმავლობაში დაჰქროდა ქართული პოეზიის ტაძარში და ეს იდეები შეიძლება შორეული სხივების გამოკრთომაც იყოს თვით ქართული ლიტერატურის წარსულიდან.

*) „ირანელი ლირიკოსები", ამბ. ჰელიძის თარგმანი, გვ. 47.
**) იქვე, გვ. 42.
***) იქვე.

—:—

ალ. ჭავჭავაძეს ადამიანის გრძნობა და გონება ყოველთვის წინააღმდეგობაში აქვს წარმოდგენილი, მათ შორის დაუსრულებელი კონფლიქტია და ამ ბრძოლაში ყოველთვის გრძნობა გამარჯვებული:

სიბრძნე და გონიერება რა გინდ მარად ფხიზლად
გფლობდენ,
სიჭაბუკეს და სიყვარულს, რაცა უნდათ, იმას ჰყოფდენ.

ალ. ჭავჭავაძე, როგორც გრძნობის პოეტი, სიყვარულის ვირტუოზული მომღერალია. სიყვარული უმაღლესი გრძნობაა, რომელიც ყოველთვის იმორჩილებს ცივ გონებას, ხოლო სიყვარულის ამ უმაღლესი გრძნობის ადგილი გულია და ამიტომაა ალ. ჭავჭავაძე რომ გაიძახის: „ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას, ხარკად არა გცემდესო". პოეტის აზრით, სიყვარულს მხოლოდ გული გრძნობს, ეს მხოლოდ გულის ავადმყოფობაა, ადამიანის გულს იმორჩილებს ისე, რომ ზოგჯერ თვით გულის პატრონს არც კი ეკითხება. ამის გამო პოეტი ხან მოწყენილია და ხან მხიარული, ეს იმაზეა დამოკიდებული სიყვარულით დამწვარი პოეტის მიჯნური მწყალობელია თუ არა:

აჯას ვამრაელებ მე შენდა,
გულს შენი ტრფობა მეშენდა; *)
მიხსენ სიკვდილით
სიტყვითა ტკბილით:
აჰა ძღვნად გული
შენგან წყლული,
დაკლული!
... **გული შენ დამწვი წამ ალით.** (გვ. 40)
შენ გეტრფის, ვარდო, გლახ გული,
სურვილით ცნობა კარგული,
... რა არის ესე ჰმუნვა შენი,
ჩემის გულის ლახვრის მშენი (გვ. 41)
ვაჰ, შენგან წყლულსა
დაკოდილ გულსა. (გვ. 42)
მიჯნურთ გულთ მბმელთა, ბნელთა დალალთა,
თმა ხშირთა გრძელთა, დაუთვალავთა. (გვ. 43)

*) ხაზი ყველგან ჩემია.

წარბთა მშვილდურად ზიდვა აკრთობს მჭვრეტელთა
გულსა“. (გვ. 45)

სიყვარულსა შეუპყრივარ აწ შენსა, **გეტრფის**
გული. (გვ. 49)

პირო მზეო, განმინათლე ბნელი გული: (გვ. 49)

ზოგჯერ ესრეთ ვიტყვი გულ ამოსკვნილი.
... პყრობილს ერთგულება **გულს შემეხორცა**. (გვ. 56)

კვნესს გული... გულთ მაამი... გული არ
ჰსლბების... გული. პობილი ჰმუნვისა ლახვრით.
(გვ. 60)

ჰმუნვის მახვილი გულსა მსობია
... სურვილი უქმად **გულს შემრჭობია,**
... და **გულსა მიხოკს**, ვითა ლომია. (გვ. 63)

მარა ჰე გული, განლეული სურვილის ალით:
... მტანჯველო გულთა, შეწირულთა ურთიერთისა.
(გვ. 64)

ჰე მთოვარო შემწყნარეო, **ამიყო გულების**. (გვ. 62)

თუ გული შენი სიყვარულს არ მიიკარებს. (გვ. 86)

და სხვ.

ალ. ჯავჯავაძის აზრით გულია სიყვარულის ტაძარი, მისი სამსხვერპლო, ხოლო მეორე მხრივ გული როგორც გრძნობის, სიყვარულის სადგური გონებასთან არის დაპირისპირებული. გონებასა და გულს შორის მუდმივი კონფლიქტია. გონება სიყვარულის მტერია, იგი გულისწადილის წინააღმდეგია, მაგრამ გული სიყვარულის ეშხით ფრთაშესხმული ყოველთვის გამარჯვებული გამოდის გონებასთან ბრძოლაში.

გონება ესრეთ ჰშთასძახის ხმითა მრისხანით მყარითა:
ნუ ღუპავ თავსა, ნუ ღუპავ მაგა სენითა მწარითა!
ხოლო გული კი ესრეთ ჰხმობს ღმობითა სიტყვა წყნარითა:
შენ მას ნუ უსმენ, იხარე სიყვარულითა მტკბარითა!
ცუდად წარადგენს გონება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა
სადაცა გული მმართველობს, თვით იპყრობს მისთა ადგილთა.
იგი არს მაშინ ხელმწიფე, განმგე ყოველთა წადილთა
მაგრამ ყველათი ეშყს ჰმონებს, მას უთევს ღამეთ და
დილთა. (გვ. 35)

გონება უკრძალავს ადამიანს სიყვარულის სამლოცველოში შესვლას, ხოლო გული აფრთხილებს მასვე: გონებას ნუ უსმენ, „იხარე სიყვარულითა მტკბარითაო“. და აქაც ჩვეულებრივად სიყვარულის გრძნობით გაჟღენთილი გული ტრიუმფალურად იმარჯვებს ადამიანის ფხიზელ გონებაზე, იგი თვითმპყრობელ ხელმწიფედ ხდება და თავის ნებაზე ამოძრავებს ადამიანის სულიერ სამყაროს. გულის კარნახით მოქმედებს სიყვარულის ეშხით შეზარხოშებული ადამიანი: „მაგრამ ყველათი ეშყს ჰმონებს, მას უთევს ღამეთ და დილთა“. (იქვე).

გონებამ არამც თუ ვერ შეაჩერა მოზღვავებული გრძნობა, და ვერ მოჰკლა გულის წადილი, პირიქით, გრძნობას დაემონა და მის სურვილს თან გაჰყვა:

„გრძნეულთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირებიან,
ყოვლნი მათგან კოდეილნი მათვე ემსჭვალებიან?
გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,
... თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი რჩომილსა ხელად“. (გვ. 19)

ვნებიანი პოეტის გონება სიყვარულმა წაიღო და თვით პოეტი ხელად — გიჟად დარჩა... გონება დაჰკარგა, მაგრამ მის სანაცვლოდ გრძნობის თავისუფლება შეიძინა. გრძნობამ გონება დაფარა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პოეტი გრძნობით აღქმული, ანუ გრძნობით შეცნაურებული სინამდვილისაკენ მიილტვის. მას გრძნობითი აღქმა საღი გონების მიერ შეცნობილ სინამდვილეზე მაღლა დაუყენებია:

მოვედ, ვეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა,
აღთქმა გრძნობითი, წამ ყოფითი სულუქმენ გულსა,
გრძნობათა ჩემთა საკამათოე, ვაჰ შენგან კლულსა...

პოეტი ცდილობს „გრძნობითი აღქმა“ დაეპატრონოს მას, რადგან გონების თვალით ხედვა სინამდვილისა თავიდანვე უარყოფილია. ალ. ჭავჭავაძეს ეშინია, რომ გონების ფხიზელმა თვალმა სიყვარული არ დააფრთხოს, სიყვარულის მხურვალება არ ჩააქროს ცივი გონებისაგან მონაბერმა სიომ. სიყვარული დამთვრალ პოეტს მტკიცედ სწამს, რომ გონების თვალით არ შეიძლება სიყვარულის ტაძარში შესვლა. სიყვარული და გონება ცეცხლი და ყინვაა, ისინი ერთად ვერ თავსდებიან და სიყვარულის ძლიერი ცეცხლი ყოველთვის ადნობს გონების ცივ ყინულს, სიყვარულის გრძნობა ყოველთვის იმარჯვებს გონებაზე. პოეტის აზრით შეყვარებულ ადამიანს გონება დაკარგული უნდა ჰქონდეს.

„ვარდო კოკობო, ყოველთა მჯობო, მომხედე კრულსა,
მე შენსა მჭვრეტსა, განარეტსა, თვალდაურულსა".

სატრფოს ჭვრეტით გახელებულა, გონება დაჰკარგვია სიყვარულის ეშხით დამწვარ პოეტს და ეს ყველა შეყვარებულის ხვედრია, ყველას ასე დაემართება, ვისაც ეუთხელვე სიყვარულის ცეცხლი მოეკიდება გულშიო,— ამბობს პოეტი: **„შენნი გამცდელნი ჩივიან, ვაჭ დავკარგენით გონიო"**.

და სრულიად არ ნაღელობს პოეტი გონების დაკარგვას, პირიქით, თვით მიისწრაფის სიყვარულით გამოწვეული უგონობისაკენ. **„ნეტავ მეც შენთან მახელა, მომკალ თუ დავინანო"**.

ნეტავი მეც შენთვის გამაგიჟა, მომკალი, თუ დავინანოო,— იძახის სიყვარულისაგან გაშმაგებული პოეტი.

ანდა:

როს საროს რხევა, მნათობო, წარმომიდგების,
ცნობა მელევის, მნათობო, ოხვრა ხშირდების.

სატრფოს ხილვა სიყვარულით დამწვარ მგოსანს ცნობას ულევს, გონებას უკარგავს, ამდენად შესაძლებელია სიყვარულისაგან აგზნებული **„მეფე მონას ეყმოს... ბრძენი ხელად რებდეს"**. შეიძლება, ბრძენი სიყვარულმა გააგიჟოს, გაასულელოს. აქ პოეტის აზრით არაჩვეულებრივი არაფერი იქნება. ალ. ჭავჭავაძე სიყვარულის რაღაც ჯადოსნური მომღერალია, რომელსაც ყოველივე ადამიანური სიყვარულისათვის დაუმორჩილებია, თვით პოეტი გაჰყოლია სიყვარულის მოვარდნილ ნიაღვარს, რომელიც ამსხვრევს და ანგრევს გონებით შექმნილ ზღუდეებს, სოციალურ იერარქიას, კლასობრივ უთანასწორობას და, როგორც რაღაც ზეადამიანური, ტიტანური ძალა თავის მორევში ითრევს უმწეო ადამიანს:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე, არ ჰმონებდეს?
ვინ არს რომე, გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს. (გვ. 10)

სიყვარული მეფეს იმონებს, სიყვარულს ბრძენი გაუგიჟებია და ველად გაუჩრილა. მაგრამ, რაც მთავარია, ალ. ჭავჭავაძის აზრით სიყვარულის გრძნობა ყოველ მოვლენას გააჩნია, სულიერსა და უსულოს, სიყვარული ყველაფერში წარმოშობს სიცოცხლეს: **„ხე-ყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა"**.

სიყვარულს შეუძლია ყოველ საგანში წარმოშვას სიცოცხლე და ალექსანდრე ჭავჭავაძეს შეუძლია ყოველ სიცოცხლეში დაინახოს სიყვარული.

დასკვნა

რეალური ცხოვრებით გულგატეხილი რომანტიკოსები სასტიკად ილაშქრებენ სინამდვილის შემმეცნებელი აპარატის — გონების წინააღმდეგ. რომანტიზმის მსოფლიო გმირები — კაენი, მანფრედი და სხვები ცოდნის კოცონზე იფერფლებიან. ბაირონის „კაენის“ გმირთა ტრაგედია „ცნობადი ხის“ ნაყოფის, ანუ ცოდნის მიღების შედეგია.

ქართველი რომანტიკოსები, მსგავსად ევროპის რომანტიკოსებისა, სასტიკად ილაშქრებენ გონების — ცოდნის წინააღმდეგ, მაგრამ, თუ ევროპის რომანტიკოსები ცოდნისა და რეალური ცხოვრების გვერდის აქცევის მიზნით მისტიურ ქვეყანაში დაეხეტებოდნენ, ქართველმა რომანტიკოსებმა ამის წამალი ისევ ამ ქვეყანაში ჰპოვეს ღვინის, სიმთვრალის სახით.

სიმთვრალეში ადამიანის გონება ჩლუნგდება და გრძნობა თავისუფლდება, ამ დროს ადამიანს არ აქვს ცხოვრების ჭეშმარიტი შემეცნების უნარი, არც შეუძლია მოსალოდნელი უბედურების წინასწარ განსჭვრეტა. ამის გამო მას ავიწყდება ცხოვრების ჭირ-ვარამი და დროებით ილხენს, ქეიფობს. ამიტომ აიდეალებს ალ. ჭავჭავაძე ლოთობას და არა თავადაზნაურული ფუქსავატური ცხოვრების გამო.

პოეტ ი. გრიშაშვილს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში „მუხამბაზი ლათაიურის“ ერთი სტრიქონი: „დავეხსნათ ცოდნის ძებნასა“ არა სწორად შეუცვლია ვინმე ვასილ შავაიძის ხელნაწერზე დაყრდნობით სხვა სიტყვებით: „დავეხსნათ ცოდვილთ ქებასა“.

სიმთვრალის, როგორც ცხოვრების დავიწყების საშუალებას მხოლოდ ქართველი რომანტიკოსები მიმართავდნენ, მსგავსად ირანელ-არაბ პოეტებისა (ომარ ხაიამი, საადი და სხვ.). შეიძლება ეს არ იყოს უშუალო გავლენის შედეგი.

ალ. ჭავჭავაძეს გრძნობა და გონება წინააღმდეგობაში აქვს წარმოდგენილი და ამ კონფლიქტში ყოველთვის გრძნობა იმარჯვებს.

გრძნობის პოეტი ალ. ჭავჭავაძე სიყვარულის ვირტუოზული მომღერალია, სიყვარული გრძნობის უმაღლესი სახეობაა, რომე-

ლიც ყოველთვის სძლევს დაბრკოლებათა ზღუდეებს და იმორჩილებს ადამიანს.

პოეტის აზრით სიყვარულის ადგილი გულია და გული ყოველთვის კონფლიქტშია გონებასთან. გონება უკრძალავს ადამიანს სიყვარულის ტაძარში შესვლას, ხოლო გული კი უკარნახებს: „იხარე სიყვარულითა მტკბარითაო“.

სიყვარულის განცდა ალ. ჭავჭავაძის აზრით ყველაფერს აქვს, სულიერსა და უსულოს, რაც კი ქვეყანაზე არსებობს.

ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში გრძნობის — სიყვარულის განცდის ასახვის უბადლო ოსტატია. *)

*) წაკითხულია მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენციაზე 1944 წლის 28 აპრილს.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

კონსტანტინე მეძველია

გრ. ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი *)

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გრ. ორბელიანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. დიდი ილიას სიტყვით „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა. იგი იყო „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა“, მაგრამ დღემდე გრ. ორბელიანის შესახებ ჩვენს კრიტიკაში მაინც ზოგიერთი მცდარი მოსაზრებაა გაბატონებული.

პირველი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ეს არის, თუ რა როლი ითამაშა გრ. ორბელიანმა „მამათა“ და „შვილთა“ შორის გამართულ ბრძოლაში.

გაბატონებული შეხედულებით გრ. ორბელიანი არამარტო აქტიური მონაწილე იყო „მამათა“ და „შვილთა“ შორის ატეხილი ბრძოლისა, არამედ მას „მამათა“ ბანაკის მეთაურადაც კი აცხადებდნენ. საკითხის ზუსტი შესწავლით კი საწინააღმდეგო მტკიცდება. „გამოცანების“ პასუხი დაწერა მან ამ ბრძოლის დაწყებიდან ათი წლის შემდეგ, 1871 წელს, ისიც მხოლოდ იძულებით, ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ საპასუხოდ. ამას შემდეგ მოჰყვა აკაკი წერეთლის ტენდენციური ხასიათის ნაწარმოებნი და გრ. ორბელიანი „მამათა“ ბანაკის ლიდერად ხელაღებით იქნა გამოცხადებული. ამ საკითხზე ჩვენ გვაგონდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „... დღემდე კი არავის გამოურკვევია-რა, არის ან ახალი, ან ძველი თაობა, და არავინ იცის ვისზე ლაპარაკობენ. მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი ან ძველი თაობა. ამ სახელებსქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ“. **)

*) წაკითხულია მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენციაზე 1946 წლის 16 მაისს.

**) ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 215.

მართლაც ამ გაურკვევლობის შედეგი უნდა იყოს, რომ გრ. ორბელიანს „მამათა“ მეთაურად სახავდნენ და ახალი თაობის რადიკალურ მოწინააღმდეგედ აცხადებდნენ. მაგრამ ასეთ შეხედულებას საფუძველი ჩაუყარა აკ. წერეთელმა და შემდეგ ამ აზრს იმეორებდნენ კიტა აბაშიძე, კონსტანტინე კაპანელი, სიმონ ხუნდაძე და სხვები. ქართულ ლიტერატურაში გრ. ორბელიანის ნამდვილი სახე დღესაც საკმაო სიცხადით არ არის წარმოდგენილი.

ბრძოლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის დაიწყო 1861 წლიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძემ თავისი პირველი საპოლემიკო სტატია — „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კაზლოვის შეშლილის თარგმანზედ“—მოათავსა „ცისკრის“ აპრილის ნომერში.

ამ სტატიამ მაშინდელი ინტელიგენცია ორ ბანაკად გაჰყო. ერთი ნაწილი ინტელიგენციისა — რ. ერისთავი, ბ. ჯორჯაძისა, ალექსი მესხიშვილი, გ. ბარათოვი, ექ. გორისელი და სხვები, ილიას მოწინააღმდეგენი, „მამათა“ ბანაკში გაერთიანდნენ, ხოლო მეორე ნაწილი, ახალი თაობა — გ. წერეთელი, აკ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე და სხვები ილიას გარშემო დაირაზმა „შვილების“ სახელწოდებით.

„მამათა“ და „შვილთა“ შორის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. „ცისკრის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ახალთაობის საწინააღმდეგო ხასიათის სტატიები. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ ახალი თაობა იძულებული გახდა საკუთარი ორგანო დაეარსებინა და 1863 წლის იანვრიდან იწყებს გამოსვლას ილიას ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ამ მწვავე ბრძოლაში გრ. ორბელიანს მონაწილეობა არც კი მიუღია. არც ერთი სტატია ან ლექსი „შვილების“ საწინააღმდეგოდ 1871 წლამდე მას არ დაუწერია. ასე გავიდა ბრძოლის ათი წელი.

„მამათა“ და „შვილთა“ შორის პოლემიკა მინელდა, ისტორიულმა ჭეშმარიტებამ ახალთაობა გაამართლა და ძველი თაობის დრომოჭმული იდეები წარსულს ჩაბარდა. მაგრამ 1871 წელს ილია ჭავჭავაძემ პოლემიკური ლექსი „გამოცანები“ დაწერა. ამლექსში პოეტი ამათრახებდა მთავრობის მსხვილ მოხელეებს და მათ შორის, თუმცაღა ლოიალურად, მაგრამ მაინც, გრ. ორბელიანსაც შეეხო.

აი ეს სტრიქონებიც:

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,

საქმით წმინდა, გულმხურვალე
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი,
ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით საესე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია. *)

როგორც ჩანს," ამ სიტყვებმა გრ. ორბელიანი სასტიკად გააბრაზა და შეურაცყოფილი პოეტი მეტად მწვავე პასუხს აძლევს ილია ჭავჭავაძეს. ამის შედეგი გახლავთ გრ. ორბელიანის ლექსი „გამოცანების პასუხი".

ამ სატირულ ლექსში გრ. ორბელიანი სასტიკად ჰკიცხავს ილია ჭავჭავაძეს და ზოგჯერ მის ფიზიკურ გარეგნობასაც ეხება.

„მსხვილბეჭიანსა, ნახშირიანსა" ..." ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი". ხოლო ლექსის დასასრულს ასე იხსენიებს პოეტი სხვა თერგდალეულებს:

ბევრნი მოვიდნენ თქვენისთანები —
კოლო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ პოეტები, პატრიოტები,
აკაკიები,
ბაკაკიები,
რიონელები, გოგიტელები. **)

უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანს ძვირად დაუჯდა ბრძოლის ველზე ილიასა და აკაკის გამოწვევა. თუმცა ილია ჭავჭავაძე არ გაჰყოლია გრ. ორბელიანთან პოლემიკას და კვლავ მისი პოეზიის თაყვანისმცემელი დარჩა, მაგრამ აკაკი წერეთელი თავისი გესლიანი სატირით საფლავამდე არ მოეხსნა გრ. ორბელიანს და ყოველთვის როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე საპოლემიკო სტატიებში სასტიკად იბრძოდა გრ. ორბელიანის წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე წარმოიშვა აკაკის ნაწარმოებები „ღენერალი ხარაბუზა",

*) ი. ჭავჭავაძე (ლექსები, პოემები, მოთხრობები). 1937 წ. გამოცემა, გვ. 102.
**) გრ. ორბელიანის ლექსთა კრებული, გვ. 111.

„ფარშავანგი", „პატრიოტი", „კოლო-ბუზების პასუხი", „ქართული პატრიოტობა", „პატრიოტის აღსარება" და სხვა.

ყველა ამ ნაწარმოებში აკაკი წერეთელი პირადად გრ. ორბელიანს დასცინის. მაგ. ლექსი „ღენერალი ხარაბუზა" რომ გრ. ორბელიანის საწინააღმდეგოდ არის დაწერილი, ამას ადასტურებს ამ ლექსის შესახებ აკაკის კომენტარიც.

აკაკი სწერს: „ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუღად ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდია". ამ ლექსს უპასუხა გრ. ორბელიანმა „კოლობუზებო, ლიბერალებოო." და სხვანი. იქ მეტად გალანძღული და შერისხული იყო ახალთაობა. სხვათა შორის (თუმცა მე არაფერ შუაში ვყოფილვარ) მეც ვიყავი მოხსენებული: „აკაკიები, ბაკაკიები" და სხვანი. და მეც ახალთაობის სახელით დავსწერე „ღენერალი ხარაბუზა" და გაიმართა უცენზურო მწერლობა. უცენზუროო მიტომ, რომ დიდ კაცებს ეხებოდა. აი ეს ალეგორიებიც: „პატრიოტის აღსარება" (ვითომ ძველების მხრით), „კოლო-ბუზების პასუხი" და „დათვი ორბელიანი" მაშინ დაიწერა". *)

თვით ლექსის სტრიქონებში ასე იხსენიებს აკაკი წერეთელი გრ. ორბელიანს:

რას აკეთებ? გიკვირს განა,
რომ შეამკე ლოპიანა?
ჩვენ არ მოგვწონს შენისთანა
ენაწმინდა გულსატანა.—
... ნოეღოროდის ლიბერალო,
ლოპიანას მიმღერალო,
საათნავას ეშხით მთვრალო,
აწ-კი უნდა შეგიბრალო!.. (გვ. 123-125).

ალეგორიული ფორმით არის დაწერილი ლექსი „ფარშავანგი". ამ ლექსის არაკი ასეთია: წალკოტოვან ადგილს ცხოვრობდა ლამაზი ფარშავანგი. ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ ეს ფარშავანგი წალკოტიდან სადღაც წასულიყო და მისი ადგილი ორბელიან დათვს დაეკავებინა:

ნაცელად მისსა დათვი დაგვხვდა,
მას თან ჰყავდა ორი ბელი...

*) აკაკი წერეთელი, ალ. აბაშელისა და პ. ინკოროყვას რედაქციით, საიუბილეო გამოცემა, ტ. I, გვ 864.

მაშინ მიეხვედით: საქმე წახდა.
შემოვირტყით თავში ხელი...

და ბოლოს ორაზროვნად დასძენს პოეტი:

გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღეთითმადლიანი,
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორბელიანი. (გვ. 122).

ლექსში „ქართული პატრიოტობა" იგრძნობა გრ. ორბელიანის ლექსის „იარალის" პოეტური ჰანგები:

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი, შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია. (გვ. 641).

ასე ამღერებს დაცინვით აკაკი გრ. ორბელიანს. ეს სტრიქონები ძალაუნებლივ მოგვაგონებს გრ. ორბელიანის ლექსის „იარალის" ადგილებს:

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დატრიალებდეს...
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელთ გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას. (გვ. 32).

„იარალის" სუფრის ინვენტარი სხვა ნაწარმოებშიც გაიმეორა აკაკი წერეთელმა გრ. ორბელიანის გასაქირდავად. მაგრამ კიდევ უფრო მწვავე ფორმაში იმეორებს აკაკი ამ სტრიქონებს „პატრიოტის აღსარებაში".

„ვინ სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს... ეტყობა, ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროოდ უვლია... აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი ცარიელია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროის პატრიოტობაა...

არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამა-პაპურად ფეხმორთხმულს, წინ მიფენია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებითა: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზე

ტარხუნით თავწახურული,... აი დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა. მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით"... (1940 წლის გამოცემა, ტ. I, გვ. 137).

აი ასეთი სტრიქონებით უმასპინძლდებოდა აკაკი წერეთელი მთელი ათეული წლების მანძილზე გრ. ორბელიანს.

„აკაკი წერეთელი ბრალს სდებს გრ. ორბელიანს რუსეთის ტახტის ერთგულ სამსახურში, რომ გრ. ორბელიანის პატრიოტობა მოჩვენებითია და მისი ლექსი „იარალის" მხოლოდ კუჭის პატრიოტიზმია. მაშინ ახსოვს გრ. ორბელიანს საქართველო, როდესაც მის წინ კახური ღვინით, მოთალი თევზითა და მწვანილით აჭრელებული ქართული სუფრაა გაშლილი და ღვინისაგან გაცეცხლებულს შუბლს კოჯრის ნიავი უგრილებს. აი მხოლოდ ამ დროს აგონდება აკაკის სიტყვით გრ. ორბელიანს საქართველო". *)

1883 წელს გრ. ორბელიანი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. პოეტის საფლავზე ბევრი საინტერესო სიტყვა წარმოითქვა. ილიამ ღირსეულად დააფასა გრ. ორბელიანის ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. მაგრამ აკაკი წერეთელმა აქაც ტენდენციურობა გამოიჩინა. აი როგორი ორაზროვანი სიტყვები წარმოსთქვა აკაკიმ:

„კაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენის მხრით, გაზვიადება და ნამეტნაობა კი შეცდომა, რადგანაც ამით ნამდვილი ღირსებაც იჩრდილება... დიახ, დიდხანს იცოცხლა განსვენებულმა მამულისშვილმა, მამაცად განვლო ეს ბოროტების საფეხურით სავსე ქვეყანა, არც ერთხელ ფეხი არ წამოუკრავს... ეჰ რაღა დაგვრჩენია მეტი, ვისურვოთ, რომ შემდეგმა საუკუნეებმა გაგვიზარდონ ნამდვილი მამულიშვილები". **)

ამ სიტყვებით აკაკიმ გრ. ორბელიანი დაახასიათა, როგორც არა ნამდვილი მამულისშვილი. ნამდვილ მამულისშვილს კი იგი მომავალს მოსთხოვდა.

მრავალმა წელმა განვლო ამ ამბების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ცხოვრებაში, მაგრამ აკაკი წერეთელი იგივე შეხედულების დარჩა გრ. ორბელიანზე. ხანშიშესულმა აკაკიმ, როდესაც „თავგადასავალი" დასწერა, გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ძლიერ აუგად მოიხსენია.

---

*) კ. მეძველია, „აკაკი და „მამები", ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 165.

**) დროება, № 66, 1883 წ.

„დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითაც დიდი ნიჭიერი იყო გ. ორბელიანი. მაგრამ არც ერთ ამ ღირსებათაგანს ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის: როგორც საისტორიო გვარისშვილს ისტორიული არა დაუტოვებია რა, როგორც მაღალხარისხოვანს ქვეყნისათვის არა გაუკეთებია რა და როგორც დიდბუნოვან მგოსანს მწერლობაში კვალი არ დაუსვამს...

მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა. ლექსის წერას ის უყურებდა, როგორც სახუმარო და სალაღობო საქმეს და ამიტომაც მის ხანგრძლივ ცხოვრებაში, რამოდენიმე გულისაფხანი ლექსის მეტი არ დაუწერია რა...

საქართველოს ჰირ-ვარამზე კი არ ჰფიქრობს, ლხინი აგონდება, ქეიფსა ჰნატრობს, შუბლის გასაგრილებლად კოჯრის ნიავს, ჯეირნის შუშხუნა მწვადს და სადღეგრძელოებს, იქვე ყურს უგდებს იარალის ნაამბობს ძველებურ ამბებს...

ერთი სიტყვით, გრიგოლი იყო ლხინისა და ქეიფის დიდი მღერალი და ნეტავი იმ ხალხს,— ეს საგულისხმოა — რომელიც ამისთანა დიდბუნოვან შვილს წარმოშობს...“ *)

აკაკი წერეთლის ეს ტენდენციური შეხედულებანი ისე განმტკიცდა ქართულ ლიტერატურაში, რომ შემდეგი დროის მკვლევარები უშუალოდ მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ.

კონსტანტინე კაპანელი, აკაკი წერეთლის კონცეპციით შთაგონებული, ასე ახასიათებს გრ. ორბელიანს:

„ჯეირნის მწვადი შიშინით, კახურის ღვინით აღვსილი აზარფეშა, მოთალი, თევზი, მწვანილი (წითელი ბოლოკი ალბად), სუფრა გაშლილი — აი რა აგონებს გრიგოლ ორბელიანს სამშობლოს. მხოლოდ ამის შემდეგ ის ლაპარაკობს „ცა მშვენიერი“-ო, მაგრამ ორი სტრიქონით ქვევით ისევ ღვინისაგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებსო“...

ეს გაძღომისა და კუჭის პატრიოტიზმია; აქ მთელი ბოტანიკაა და ფიზიოლოგია კვებისა; ამაზე უარს ლუარსაბ თათქარიძეც არ იტყოდა: რა აქვს ასეთ პატრიოტიზმს საერთო ფილადელფოს კიკნაძისა და სოლომონ დოდაშვილის პატრიოტიზმთან? განა ეს კეთილშობილი რაინდები ქართული ცივილიზაციისა ოდესმე გაურევდნენ ერთმანეთს გაძღომისა და პატრიოტიზმის გრძნობებს?!“ **)

---

*) აკაკის ნაწერები, 1930 წ. გამოცემა, ტ. I, გვ. 92-94.

**) კონსტანტინე კაპანელი, „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, გვ. 49.

უდავოა, აქ აკაკი წერეთლის სიტყვების განმეორებასთან გვაქვს საქმე და არა გრ. ორბელიანის შემოქმედების შეფასების საკუთარ ხედვასთან.

გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალმხრივ შეფასებას იძლევა აგრეთვე კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდებში“. იგი ასე იწყებს გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვას:

„მისი ბიოგრაფია არავითარ ნათელს არ ჰფენს მის მწერლობას და წინააღმდეგ ეს მისი ცხოვრების მატიანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად... მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრების შორის ხიდია ჩატეხილი და გარდაუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანის შორის, რომელმაც, რაც უნდა ესთქვათ, ძალიან მძლავრად ააჟღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზედ ერთადერთ საყურადღებო ცენტრად, ერთადერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტარესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემას და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა.

აბა მიბრძანეთ ერთი, რა არის საერთო იმ პოეტის შორის, რომლის ქნარიც ნაზისა და მომხიბლავის მელოდიებით აღსავსე ჰანგებს გვასმენს და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომრის შორის რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს დრაკონის კანონები შემოიღო“...*)

კიტა აბაშიძე ვერ ახერხებს შეთავსებას გრ. ორბელიანის პირად ცხოვრებასა და მის პოეტურ შემოქმედებას შორის. მისი გაგებით გრ. ორბელიანის პიროვნება ეწინააღმდეგება გრ. ორბელიანს როგორც პოეტს. ასეთი თვალსაზრისი ჩვენ არ მიგვაჩნია სამართლიანად.

სამწუხაროდ გრ. ორბელიანის ასეთ ტენდენციურ შეფასებას პროფ. ს. ხუნდაძეც ვერ აცდა.

„სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის გარეშე მისთვის არ არსებობდა სხვა სამსახური და სხვა მოვალეობა: სამოც წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე მას არ შეუტანია რა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამ პერიოდში ხდებოდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაცია და კულტურული აღორძინება. გრ. ორბელიანი ამ დიდი პროცესის გარეშე იდგა, მისთვის ეს არ არსებობდა, არ აინტერესებდა. სამაგიეროდ იგი ბრწყინვალე სახელით დაგვირგვინდა

*) კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. I, გვ. 33.

სამხედრო და საადმინისტრაციო სარბიელზე. გრ. ორბელიანი როგორც მეომარი და ადმინისტრატორი მკაცრი და დაუზოგველი იყო".*)

ჩვენ გვსურს დავამტკიცოთ, რომ ყველა ეს მოსაზრება ტენდენციურია გრ. ორბელიანის შესახებ და რომ მრავალი ათეული წლების განმავლობაში უმართებულოდ იყო იგი შერისხული ჩვენი კრიტიკის მიერ.

ყველასათვის ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი გენერალი იყო და ძალზე ნიჭიერი გენერალიც, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა რუსეთის სარდლობაში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1871 წელს, როდესაც საქართველოში იმპერატორი ალექსანდრე მეორე ჩამოვიდა, მეფემ პირადად მიულოცა გრ. ორბელიანს მოღვაწეობის 50 წლისთავი და თავისი ხელით გადასცა მასვე, როგორც რუსეთის არმიის სახელოვან სარდალს, ანდრია პირველწოდებულის ორდენი.

გრ. ორბელიანმა, სამართლიანად, საქართველოს ბედი დიდი რუსეთის ხალხსა და არმიას დაუკავშირა. მას სწამდა, რომ ძლიერ რუსეთთან კავშირით შეიძლებოდა საქართველოს ისტორიული მტრებზე ჯავრის ამოყრა.

იგი მოქმედებით ახორციელებდა იმას, რასაც ნ. ბარათაშვილი თავის სიტყვებით გამოხატავდა:

„მან საფარ-ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის". მაგრამ გრ. ორბელიანმა რუსეთის საფარს ქვეშ არა მარტო სპარსეთისა, არამედ ოსმალებისა და ლეკების ჯავრიც ამოიყარა.

ჯერ ახალგაზრდა ოფიცერმა გრ. ორბელიანმა დიდი სახელი მოიპოვა ისტორიული მტრების, ირანელების და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1827 წელს იგი გრაფ ბეკენდორფთან ერთად ეჩმიაძინთან ირანის ჯარის დამარცხების აქტიური მონაწილე იყო. იქვე გაანადგურა მან გასან-ხანის ჯარი. პოეტი-სარდლის აქტიური მონაწილეობით აიღო რუსეთის ჯარმა ამ წელს ირაკლი-თაფა, აბას-აბადი, სადარ-აბადი და თვით ერევანი. ერევნის აღებით აღფრთოვანებულმა პოეტმა დასწერა ლექსი „სადღეგრძელო". ამავე წელს პოეტმა დაამარცხა აბაზ-მირზა, რისთვისაც უმაღლესი მთავრობის მადლობა დაიმსახურა.

ასეთივე სახელოვანი ბრძოლები გადაიხადა გრ. ორბელიანმა

*) ს. ხუნდაძე, „მნათობი", 1934 წ., გვ. 128.

ოსმალეთის წინააღმდეგ. 1828 წელს ყარსის აღების აქტიური მონაწილე იყო და ამიტომაა, რომ ქედმაღლურად შესძახებს გრ. ორბელიანი ახალთაობას:

... რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი.
როს მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შესძრას ქვეყანა მის აღსადგენად...
(გვ. 69).

ყარსის აღების შემდეგ გრ. ორბელიანი მურავიოვის ჯარშია და სახელოვნად იბრძვის ოსმალებისაგან მიტაცებული თავისი ქვეყნის ნაწილების დასაბრუნებლად. გრ. ორბელიანის მონაწილეობით განთავისუფლდა ახალქალაქი, ახალციხე და ხერთვისი. ასეთი დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს გრ. ორბელიანმა, როგორც სახელოვანმა ოფიცერმა.

სამხრეთში ომების დამთავრების შემდეგ გრ. ორბელიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიის მთიულების დაპყრობის საქმეში; თითქმის ყველა მკვლევარი ამას მწუხარებითა და გულისტკივილით მოიხსენიებს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ მაინც ჰქონდა გამართლება გრ. ორბელიანის ამ ბრძოლებს, რადგან ირან-ოსმალებსა და ლეკებში იგი საქართველოს ისტორიულ მტრებს ხედავდა.

გრ. ორბელიანის დროს ლეკთა თარეში საქართველოში, არც ისე შორეული წარსულის საქმე იყო. ხოლო მე-17, მე-18 საუკუნეში საქართველო ლეკების საჯირითო მოედანს წარმოადგენდა. როგორც ისტორიულ დოკუმენტებიდან მტკიცდება, ლეკების თარეშს საზღვარი არ ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში.

„ამ ხანებში (იგულისხმება მე-17, მე-18 საუკუნეები. კ. მ.) ლეკების შემოტევას ისეთი საზომისათვის მიუღწევია, რომ — იესე ოსეშვილის მოწმობით, ახირებული პროექტი წარმოშობილა: მთელი ქართლის მოსახლეობამ ერთად მოვიყაროთ თავი და სამ ადგილას დავსახლდეთ, თბილისში, მუხრანში და ვაკეშიო: როცა მტერი მოვა ბევრნი გამოვალთ და პასუხს გავსცემთ, თორემ

ისე დაგვაწვრილმანებენ, რომ დამმარხველსაც ვეღარ ვიშოვნითო". *)

გრ. ორბელიანი კი კავკასიის მთიულებთან ბრძოლით ცდილობდა სამაგიერო მიეზღო საქართველოს ისტორიული მტრებისათვის.

„წლევანდელი ზაფხული, — სწერს გრ. ორბელიანი, — და შემოდგომა განვიდა ჩემთვის მეტად დიდ შრომაში, მაგრამ აქ მანუგეშებს, რომ ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდან, სულ რჯული გავაგდებინე, მივამტვრიე-მოვამსხვრიე მრავალჯერ, ბევრი დავატყვევე, მრავალი დავუხოცე". **)

ანდა: „დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე (იგულისხმება ლეკები. კ. მ.) და კახეთის სისხლი ავიღე". ***)

მით უმეტეს, რომ ლეკების შემოსევას თვით გრ. ორბელიანის დროსაც, მე-19 საუკუნეშიაც, ჰქონია ადგილი, როგორც სოფრომ მგალობლიშვილი გადმოგვცემს თავის მოგონებაში:

„თუმცა ქართველს გარეშე მტერი მოესპო მეცხრამეტე საუკუნიდან, მაგრამ მაინც ლეკთა თარეში ქართლ-კახეთში და თითქმის იმერეთშიაც გაახსენებდა ხოლმე გარეშე მტერსა, მინამ დაღესტნის არწივს შამილს დღე დაეთვითებოდა, მინამ ბრწყინავდა და ჰქუხდა მისი ხმა დაღესტნის უღრან მთებში, ლეკნი დას-დასად თარეშობდნენ ანაზდეულად გაჩნდებოდნენ ქართლის სოფლებში, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ, რასაც კი მოახელებდნენ, გაიტაცებდენ.

სოფელი მუდამ ფხიზლად იყო, თითქმის ყველა სოფელს, განსაკუთრებით დიდ სოფლებს პატარა შეიარაღებული რაზმები ჰყავდა, დაეცემოდა თუ არა ლეკი, მაშინვე დაიძახებდენ: „მდევარი". რაზმს მთელი სოფელი მისცემდა ხმასა და ქუდზე კაცი გამოდიოდა. დაედევნებოდნენ, მაგრამ ლეკთა დასი რაკი ცხენოსანი იყო, მალე უშველიდა ხოლმე თავსა. ხანდისხან კი ისე შეკრავდნენ გზასა, რომ ერთს ბღავანს არ გაუშვებდნენ". ****)

როგორც სოფ. მგალობლიშვილი გადმოგვცემს, ლეკთა თარეშის გამო მრავალი ლექსი შეუთხზავს ხალხს.

აი მაგალითად:

---

*) გ. ჭიქოძე. „ერეკლე მეორე", გვ. 109-110.

**) გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, გვ. 126.

***) იქვე, გვ. 206.

****) სოფ. მგალობლიშვილი, „მოგონებანი", ლ. ასათიანის რედაქციით, გვ. 21.

ორშაბათ დილა გათენდა
მთამ დაიხვია ბურია
ლეკები შემოგვესივნენ
ლეკები დაღესტნურია..
ხაბახის ცოლი მიჰყვანდათ
საწყალი, უბედურია;
წინ შემოისვა ბელადმა
ახალი დანიშნულია...
— ვერ გავსძეხ შენის ცქერითა,
თვალ-წარბი ჩახატულია. *)

და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გრ. ორბელიანს ლეკების წინააღმდეგ ომში, რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები კი არა, თავისი ქვეყნის მტრის სამაგიეროს გადახდისა და სისხლისაღების გრძნობა ამოძრავებდა და ეს მაშინდელ საქართველოში საყოველთაო საქმედ არ იქნებოდა მიჩნეული.

კავკასიის მთიულების—ლეკებისა და ჩეჩნების მიმართ მტრული განწყობილება პირველად ნ. ბარათაშვილმა გამოამჟღავნა ლექსში „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა...“ აქაც ლეკებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლის ყიჟინის შექებაა მოცემული. პოეტი აღტაცებულია იმის გამო, რომ საქართველოს ყველა კუთხის ვაჟკაცნი, მტკიცე ძალით შეკავშირებულნი, სისხლის ასაღებად აღსდგნენ კავკასიის წინააღმდეგ. რომ ამ მოზღვავებულ ძალას ვერ გაუძლებს კავკასია, ე. ი. კავკასიის მუსულმანი მთიულები, ლეკები და ჩეჩნები:

ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა;
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა.
... კავკასო, აჰა კახნიცა, შენზედ გულ-ამღვრეულები,
მეფის ირაკლის გაწვრთნილნი, გმირებად დასახულები.
... თქვენი ჭირიმე, თუშებო, ბიჭობა თქვენი ჭეშულა,
კავკასო, ძრწოდე. შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი.
ვის არა აღეტაცების სული ამ ამბის მცნობელი,
ჰე, ძმანო, ნუთუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით.
გიხმობთ: ქართველნო, ჰეი, შაბაშ. კურთხევა თქვენდა ზემაღლით.

*) სოფ. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 21.

... აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,
და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა.*)

ხედავთ, როგორ აღფრთოვანებულია ნ. ბარათაშვილი სისხლის აღების წყურვილით. „ძრწოდე კავკასო“ გაიძახის ლეკთა დამარცხებით აღტაცებული პოეტი.

გრ. ორბელიანი კი პრაქტიკულად ახორციელებდა სისხლის აღების საქმეს.

(ხადია, დღევანდელობის თვალსაზრისით არც. გრ. ორბელიანსა და არც ნ. ბარათაშვილს გავამართლებდით ამ საქმეში, მაგრამ მაშინ სხვანაირად ფიქრობდნენ მოწინავე ქართველი მამულიშვილები.

—:—

„მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლაში ენის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. „მამები“ ძველი ქართული ენის დამცველად გამოდიოდნენ. სალიტერატურო ენას საეკლესიო მეტყველების პრინციპებს უმორჩილებდნენ და ანტონ კათალიკოსის „ღრამატიკის“ თეორიულ საფუძვლებს ემყარებოდნენ. ენის საკითხშიც, უმართებულოდ, გრ. ორბელიანს „მამების“ ბანაკში ათავსებენ. სინამდვილეში გრ. ორბელიანი, როგორც პოეზიაში, ისე კერძო წერილებში ახალი ენით მეტყველებს და ძველი ენის დამცველთა მოწინააღმდეგეა. აი რას გვეუბნება ამის შესახებ გრ. ორბელიანის ერთი კერძო წერილი.

„სარდიონ დიდის სიყვარულით მომიკითხე; აგრეთვე მაგის ცოლი, მგონი არც ერთი არ მიცნობენ. სარდიონს უთხარით, რომ მაგისაგან დაწერილი „ცისკარში“ დიდის სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ მაიმუნის ხასიათის აღწერაში რა საჭიროა სახარების სიტყვები: „რამეთუ, უკეთუ, მიგრით“ და სხვა მკვდარნი სიტყვები, რომელნიც სცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ეხლა აღარ ხმარობს ხალხი“.**)

ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს, რომ გრ. ორბელიანი სასტიკი წინააღმდეგია სახარების სიტყვების ხმარების, ძველი ენის მწერლობაში შემოტანის, იგი ამას სხვას. სარდიონ მესხიევს, უსაყვედურებს და როგორ შეიძლება თვით გრ. ორბელიანს წავუყენოთ ეს ბრალდებად.

*) ნ ბარათაშვილი, 1939 წ. გამოცემა, გვ 37.
**) გრ. ორბელიანი, წერილები ტ. II, გვ. 55, 1937 წ.

მაშ, რისთვის ედავებოდა გრ. ორბელიანი ახალთაობას ენის საკითხში? იმისათვის, რომ ახალთაობა მართლაც ხშირად ენის უცოდინარობის გამო ამახინჯებდა ახალ სალიტერატურო ენას და ამიტომ იყო გრ. ორბელიანი რომ ჰგოდებდა:

ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას...
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში...*)

მართალია ამ ლექსში გრ. ორბელიანი ახალთაობას უსაყვედურებს ქართული ენის წახდენას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ახალთაობამ ახალი სალიტერატურო ენა შემოიტანა და გრ. ორბელიანი ძველი ენის პოზიციებზე იდგა, არამედ იმიტომ, რომ ზოგჯერ ახალი თაობის წარმომადგენლები, ახალი ნორმების საფარქვეშ, სალიტერატურო ენის უცოდანარობას ამჟღავნებდნენ და ქართული სიტყვის „მეუფე“ გრ. ორბელიანი ამას გულგრილად ვერ შეხვდებოდა. ამით აიხსნება გრ. ორბელიანის ბრძოლა ენის საკითხში ახალთაობასთან. იგი ენას უწუნებდა 60-იანი წლების თვალსაჩინო წარმომადგენლებს და მათ შორის სერგეი მესხს. როგორც იონა მეუნარგია აღნიშნავს, გრ. ორბელიანი „რას დასდევდა, რომ ს. მესხი წმინდა მოწამე იყო ქართული მწერლობისა, რომ იმან ამ მწერლობას, მთელი მისი სიყმაწვილე და შეძლება შესწირა, იმან ენა არ იცოდა და, მაშასადამე, რედაქტოროობა მისი საქმე არ იყო“.**)

ერთხელ ს. მესხის გაზეთ „დროებაში“ 1879 წელს ბარველის ფსევდონიმით დაიბეჭდა ფელეტონი, რომელშიც სხვათა შორის ერთი ადგილი ასე იკითხებოდა:

„ამ სოფელი შორიდან ეტყობოდა, რომ ცეცხლს გადაეწვა“. ფელეტონის ქვეშ გრ. ორბელიანს მიუწერია: „ოჰჰ, რა უბედური ენა შეიქნა. საწყალი ქართული ენა. ეს ცოდვა იყოს შენს კისერზე მესხი“.

სხვა შემთხვევაში გრ. ორბელიანი ს. მესხის შესახებ სწერს: „უბადრუკო მესხი, აქამდის ვერ ისწავლე ქართული ენა და ვერც

*) გრ. ორბელიანის ლექსთა კრებული, გვ. 68.
**) ლიტ. მატიანე, ნ. 1-2, გვ. 320.

ისწავლი შენს სიცოცხლეში".*) ან კიდევ, „მესხია ჩვენის ენის აღმადგენელი, ვაი ჩვენს ენას, ვაი ჩვენს ლიტერატურას, ვაი თვით მესხს". ბოლოს მესხზე ლექსიც კი შეუთხზავს გრ. ორბელიანს: „ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა, ვერა".

და არა მარტო მესხი, ყველა ის, ვინც ქართულ ენაში შესცოდებდა, გრ. ორბელიანის რისხვას იმსახურებდა. აგრეთვე მან არ დაინდო გიორგი წერეთელიც. გრ. ორბელიანი „ცისკარში" დაბეჭდილ ერთ სტატიაში ასე უსწორებს სიტყვას გ. წერეთელს: „ყოჯელი კაცის" (ნაცვლად „ყოველის კაცის"), „სტუდენტები დაგვიხვდა" (ნაცვლად, „სტუდენტები დაგვიხვდნენ"), „თავი გავიქნიე" (ნაცვლად „თავი გავაქნიე") და სხვა.

ი. მეუნარგიას სიტყვებით, ასევე კრიტიკულად ეპყრობოდა გრ. ორბელიანი აკაკი წერეთელსაც. თუ ქება-დიდებას ასხამდა აკაკის ლექსებს, ხშირად იწუნებდა მის პროზაულ ნაწარმოებებს. „აკაკის ლექსებს ისე არ წაიკითხავდა პოეტი,— სწერს ი. მეუნარგია,— რომ ქვეშ არ მოეწერა: „ბარაქელა, აკაკიავ! მაშალლაჰ! აკაკიავ", „შენ მაინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა, აკაკიავ" და სხვა. მაგრამ პროზაში კი ის არა ყოველთვის იყო მისი თაყვანისმცემელი. „დროების" ერთ ნომერში, რომელშიაც აკაკის მაჭახელაძის შესახებ დაებეჭდა „მცირე შენიშვნა", ორბელიანი სწერდა სიყვარულით: „უი, შე ღვიტიკელა იმერელო, როდის ისწავლი ქართულს".**)

ალ. ყაზბეგის შემოქმედების დიდად თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანი ენის საკითხში მაინც უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, როდესაც გაზეთის ფურცლებზე გრ. ორბელიანი ა. ყაზბეგის ფელეტონებს წაიკითხავდა, გაზეთის არშიას ასეთი სიტყვებით ავსებდა:

-კარგია", „ძალიან კარგია", „მშვენიერება არის", „დიდად მეამა". ხოლო ერთი ფელეტონის ბოლოს ასეთი წარწერაა მოთავსებული:

„უფალო მოჩხუბარიძევ, გიხაროდეს, შენა ხარ პირველი მწერალი, დრამატიკი საქართველოში; აკლია მხოლოდ ზოგიერთი მართლწერა შენს მშვენიერს ქართულს ენას. ნუ დაიზარებ—შეისწავლე ესეცა, რომელიც სრულიად არ არის ძნელი". ***)

*) ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 321.

**) იქვე, გვ. 321.

***) ალ. ყაზბეგის თხზულებანი, „ცნობის ფურცლისა" და „მოამბის" დამატება, გვ. XXVI.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ გრ. ორბელიანი ახალთაობას ენის საკითხშიაც არ ებრძოდა „მამათა“ პოზიციიდან. იგი, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკასა და კერძო ცხოვრებაში ახალი ქართული ენის სასტიკი დამცველი იყო. ახალგაზრდობას ენის უცოდინარობისათვის ებრძოდა და ამიტომ იყო საპოლემიკო ლექსში გრ. ორბელიანი ასეთი სიტყვებით რომ უმასპინძლდებოდა „შვილებს“:

ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფენ ცრუ პოეტები.
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
მესხი, მეველე,
მელიქ-აღები... *)

ანდა:

აკაკიები, ბაკაკიები,
რიონელები, გოგიტელები.**)

თითქმის აქ დასახელებულ ახალთაობის ყველა მოღვაწეს ს. მესხს, გ. წერეთელს და სხვებს ენას უწუნებდა გრ. ორბელიანი. იგი მთელი ათეული წლების მანძილზე ქართული ენის დაცვისათვის მტკიცედ ებრძოდა, რადგან სახელოვან პოეტს შეგნებული ჰქონდა ენის დიდი მნიშვნელობა ერის აღორძინების საქმეში.

კიდევ მეტი, თერგდალეულები გრ. ორბელიანს ქართული ენისა და მამა-პაპათა ადათ-ჩვეულებისადმი განდგომილებას უჩიოდნენ.

მართალია, გრ. ორბელიანი მეფის მთავრობის დიდი მოხელე იყო და გენერლის მუნდირი ეცვა, მაგრამ თავისი ერის ჭირვარამი სხვაზე ნაკლებ არ აფიქრებდა. გრ. ორბელიანი თავისი ხალხის მდიდარი წარსულისა და მომავლის, ქართული ენისა და კულტურის სხვაზე ნაკლები თაყვანისმცემელი არ ყოფილა. ქართული ენა სახელოვანმა პოეტმა ბავშობიდანვე სიყვარულით შეითვისა და სიკვდილამდე მისი უანგარო მოსიყვარულედ დარჩა.

*) გრ. ორბელიანის ლექსები, 1935 წ, გამოცემა, გვ. 70.
**) იქვე, გვ. 111.

როგორც გრ. ორბელიანის ბიოგრაფი ი. მეუნარგია გადმოგვცემს, „ქართული ენის სწავლა პოეტს არც სამსახურში ყოფნის დროს შეუწყვეტია. საცა უნდა ყოფილიყო, რუსეთში, დაღესტანს, ზაქათალას, თბილისში, ის მუდამ თავს დასტრიალებდა ქართული ენის მშვენიერებას, და თუ ცუდად დაწერდნენ ამ ენაზე, ან უკანონოდ ილაპარაკებდენ, მის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მისი საყვარელი წიგნები ქართულს ენაზე იყო „დავითნი“, „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად მოიგონებდა ეგნატე იოსელიანის სიტყვებს: „თქვენმა მზემ, რუსის მთავრობისა რომ არ მეშინოდეს, „ვეფხისტყაოსანს“ შევიტანდი და ზედ ტრაპეზზე დავასკუპებდიო“.*)

არამცთუ თვით ივიწყებდა გრ. ორბელიანი ქართულ ენას, არამედ სასტიკად ჰკიცხავდა ყველა იმ ქართველს, ახლობელ ნათესავს, თუ შორეულ ნაცნობს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეჯყრობოდნენ ქართულ ენას და არ კადრულობდნენ ამ ენაზე ლაპარაკს. ანდა თუ ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ ცუდი ქართულით.

ერთხელ გაბრაზებული პოეტი ასეთ წერილს სწერდა თავის რძალს, სოფიო ორბელიანისას: „ჩემი იაკინთეს ქალი ერთხელ მეუბნებოდა: „მე ქართული არ ვიცი“ და საბრალოსა დიდ ქებად ეგონა უცოდინარობა თავისი ენისაო“. **)

ასეთი მაგალითები პოეტის დასახასიათებლად ბევრი მოაქვს ი. მეუნარგიას.

მაგალითად: „ერთხელ პრინცესა სალომე მიურატის მიეწერა პოეტისათვის წიგნი ქართულ ენაზე, ამას იმდენად ესიამოვნებია პოეტი, რომ მთელი მისი გულის ვარამი ეხლანდელ საზოგადოებაზე გადაეშალა იმისათვის პასუხად მისის წერილისა. აი ერთი ადგილი ამ წერილიდან:...“ მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა, ჩემო მშვენიერო სალომე, და აბა როგორ არ ვჰსთქვა სიმწარითა: პარიჟელსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, იგი უნდა ცდილობდეს მის შესწავლებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარს ჰყოფენ ქართულს ენასა და შეურაცხებით ტუჩებაშვერით ამბობდენ: რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა...

ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა.

---

*) ლიტ. მატიანე, წიგნი 1-2, გვ. 318.

**) გრ. ორბელიანის წერილი, 15 სექტემბერი, 1875 წ.

ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა. ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმის მამა-პაპები, როგორ ჰსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰწუხდნენ, ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაც აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა. რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა, სარწმუნოებასა და მამულის სიყვარულსა, როგორიცა გამოიჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა ირაკლიმ და გიორგიმ, ... სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოჰკლეს და არ უარყო მან ქრისტიანობა. განა ამისთანა ერის ენა და ისტორია, არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან". და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთისმეტყველ მქადაგებელთა, მერწმუნე, ჩემო, სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორც ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა".*)

ყოველივე ამის შემდეგ უსაფუძვლო იქნება თუ ვიტყვით, რომ გრ. ორბელიანი გმობდა ქართულ ენას „გარე თუ შინა", რომ იგი თავის ენისაგან განდგომილი მხოლოდ პირად კარიერაზე ოცნებობდა. და განა სახელოვანი პოეტის მთელი შემოქმედება ქართული ენის სამსახურზე არ მეტყველებს? ამიტომ უწოდა ილია ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანს ქართული სიტყვიერების „მეუფე", რაც, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი მკვლევარისათვის უყურადღებოდ დარჩა.

თვით ილია ჭავჭავაძე გრ. ორბელიანს არ უყურებდა, როგორც იდეურად მოწინააღმდეგეს, პირიქით, მისი აზრით, გრ. ორბელიანის შემოქმედება ერთგვარ საფუძველს წარმოადგენდა 50-იანი წლების ახალი ლიტერატურისათვის. აი რას წერს ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე:

„გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო", „თამარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში" ცხადი მაგალითებია, **რომ მან თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებას და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნევინა ჩვენს გულში.** სიყვარულმა მამულისამ, სამ-

*) იხ. ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 320.

შობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმან სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, **და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგავად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავისი მშვენიერის ლექსითა. მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისე მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა“.***)

განსაკუთრებით ჩემ მიერ ხაზგასმული ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გარკვევით ლაპარაკობს გრ. ორბელიანისა და ახალთაობის შორის იდეურ სიახლოვეზე. კიდევ მეტი — იდეურ ერთიანობაზე ზოგიერთ საკითხში.

სხვა შემთხვევაში იგივე ილია ჭავჭავაძე, ახალი თაობის ბელადი, უფრო გადაჭრით ლაპარაკობს: **„გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცაო“.****)

მაშასადამე, გრ. ორბელიანი კი არ შეებრძოლა ახალთაობას, პირიქით, ბანი მისცა, მასთან ერთად შემოსძახა ახალი ჰანგის სიმღერა. ვის შეუძლია ამის საწინააღმდეგო ამტკიცოს, როდესაც ამას 60-იანი წლების ბელადი ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს.

გრ. ორბელიანის პიროვნება

ქართულ კრიტიკაში გრ. ორბელიანს „ხან მკაცრ ადმინისტრატორად“ და „ხელჯოხიან“ მოხელედ ხატავენ, ხან კი დარდიმანდ მოქეიფედ, მაგრამ საკითხის ზუსტი შესწავლით პოეტის პიროვნებაში სხვა თვისებებიც შეიძლება ამოიკითხოს ადამიანმა. დაკვირვებული თვალით აშკარად დავინახავთ, რომ ზოგჯერ „ერის წყლული“ პოეტის გულსაც შეხებია და სერიოზულად ჩაუფიქრებია „ხელჯოხიანი“ მოხელე.

ზოგჯერ გრ. ორბელიანიც დაფიქრებულა ხალხის ჭირ-ვარამზე, ადამიანთა უსამართლო ტანჯვას ისიც აუღელვებია და მასაც დაუგმია რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეების უხეშობა.

გრ. ორბელიანის აზრით, ხალხის ტანჯვის მიზეზი თვით რუსეთის ბიუროკრატ მოხელეთა მოქმედებაშია ჩამარხული, რადგან

*) ი. ჭავჭავაძე. ტ. II. გვ. 253. ხაზი ჩვენია.

**) ილია ჭავჭავაძე. ტ. IV. გვ. 256. ხაზი ჩვენია.

სამოქალაქო საქმეს, პოეტის აზრით, უვიცი ჩინოვნიკები განაგებენ.

დივიზიის უფროსობა რომ მიიღოს ადამიანმა, ამისათვის, გრ. ორბელიანის აზრით, ოცდაათი წლის ნამსახურობა და გამოცდილებაა საჭირო, მხოლოდ უბნის უფროსად სრულიად შემთხვევითი ადამიანები ინიშნებიან, რომლებსაც ოცი ათასი კაცის ბედი აქვთ ჩაბარებული.

მოვუსმინოთ თვით პოეტს.

„რომ გახდე დავიზიის უფროსად, სადაც მხოლოო 16 ათასამდე კაცია, ამისათჳს უნდა 30 წლის ნამსახურობა... ანდა შესანიშნავად უნარი გონების. იბადება კითხვა: რით ან ვისთვის არის ცნობილი რომელიმე უბნის მმართველი (. . .), რომელსაც მინდობილი აქვს 20,000 მცხოვრების პატრონობა... და სხვათაშორის ბედი 20000 სულისა იმყოფება მის ხელში... ამის გამო ბუნებრივად იბადება მცხოვრებლებს შორის უკმაყოფილების გრძნობა, უნდობლობა, ფარული მტრობა, რომლის გამო ხშირად იფეთქებს ხალხის მღელვარება...“ *)

ცარიზმის ბობოლა მოხელეებს სძულდათ ადგილობრივი მოსახლეობა და ხალხის შევიწროებას საზღვარი არ ჰქონდა. მოთმინების ფიალაავსებული ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად მთავრობის მოხელეებთან აშკარა შეტაკებებით გამოდიოდა. პოეტის აზრით მთავრობას ხალხი სძულს და ხალხს მთავრობა და ასეთ ურთიერთობას ხომ კარგი შედეგი არ მოყვება. აი რას წერს გრ. ორბელიანი აფხაზეთის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

„აქამდის მოიყვანეს იქაურმა (აფხაზეთის) ნაჩალნიკებმა ხალხის შეწუხება, უგუნურის ქცევითა, ლანძღვა-თრევითა, ყოველგვარ შევიწროებითა, უსამართლობითა, რომ ხალხმა ვეღარ გაუძლო და მოჰკლეს კონიარი, ჩერეჰოვი, იზმაილოვი და მასთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაჰეცია და ნახევარი სუხუმი, სადაც ოთხი დღე იყო ომი. ახლა გაუგზავნეს 24, მგონია ბატალიონი, მილიცია იმერეთიდამ, გურიიდამ, მინგრელიიდამ და ეძებენ მიზეზსა აღშფოთებისა, მიზეზი რა შორს არის. ჩვენ ვართ მიზეზი. ყურს არ ვუგდებთ და არ ვიცით ვინ სად გავგზავნოთ ხალხის მოსაველელად... შეიყვარონ ხალხი და ზრუნვიდნენ მისთვის კეთილისა. ამაზე მეტი არა უნდა რა... აი კიდევ მეორე მაგალითი: ღუბერნატორს აგოლინსა სძულს იმერეთი და იმერეთსა აგოლინი და რაღა კეთილი წარმოსდგება

*) გრ. ორბელიანის წერილი, ნოემბერი, 1879 წ.

ამგვარ მდგომარეობისაგან... ახლა რაღა ჰქნას მთელმა იმერეთმა და გურიამ, რომელთაცა იჩივლეს აგოლინზე და დაუმტკიცეს ფაქტებით იმის უსამართლობა ბატონყმობის საქმეშიდ და უნიჭობა ხალხის მოვლაში". *)

ადგილობრივ მმართველობაზე გულგატეხილი პოეტი ხშირად იტყოდა ირონიულად: „რა გაეწყობა, სჯობა უკეთესი სისტემა ხალხის მოვლისა, რომ ვერ მოგვიგონია, მაშინ რა ვქნა, თუ არ გავლალოთ".**)

ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატი ცენტრალური რუსეთის კანონებით მოქმედებდა კავკასიის მრავალ ნაციონალურსა და მრავალგვარიან ხალხებში. ეს კი იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას ადგილობრივ მოსახლეობაში. ცენტრალური რუსეთის კანონით ხალხის ზნე-ჩვეულება და საუკუნოებრივი ტრადიცია ფეხქვეშ იყო გათელილი. გრ. ორბელიანი კი ხშირად ილაშქრებდა ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ.

„მინისტრების მიერ კავკასიის მხარის თავისებურების მხედველობაში მიუღებლობა არის უდიდესი უბედურება აქაური მცხოვრებლების სიმშვიდისათვის, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რელიგიით, ენით, ზნე-ჩვეულებით, მცნების სხვადასხვაობით და ამავე დროს მათ თავისებურების მხედველობაში მიღების გარეშე არ შეიძლება გაგებულ იქნას მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი...—, და ბოლოს დასძენს პოეტი,—აბა, რა არის საერთო პეტერბურგისა და ზანგეზურს შორის, რომელიც მდებარეობს არეზის ნაპირზე". ***)

განსაკუთრებით სასტიკად ილაშქრებს გრ. ორბელიანი სასამართლო აპარატის ბიუროკრატი მოხელეების წინააღმდეგ, რომელთა მიერ ურიცხვი მექრთამეობა და უპირულობა იყო გამეფებული. აი რას წერს ამის შესახებ გრ. ორბელიანი სასამართლოს რჩევის წევრს სტარიცკის:

„გაიხსენეთ, პატივცემულო იაგორ პავლეს-ძევ, როგორი დიდი გარდატეხა ხდებოდა ამ დროს ევროპაში და როგორი დიდი აღ-

*) გრ. ორბელიანის წერილი, 6 სექტემბერი, 1866 წ., ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 301- 02.

**) გრ. ორბელიანის წერილი, 26 მაისი, 1867 წ., ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 404.

***) გრ. ორბელიანის წერილი, 20 ნოემბერი, 1882 წ., ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 304.

მოჩენები მეცნიერებაში უკვე გამოყენებული იქნა ცხოვრებაში. საფრანგეთში დაეცა ბურბონები, ნაპოლეონები, იტალია გაერთიანდა; პრუსიამ ჩაყლაპა გერმანია, რუსეთი მივიდა ჩინეთის კედლამდე, წყნარ ოკეანამდე, ყველგან დამსხვრეულია მრისხანე გავლენა თურქეთისა ევროპაში, აღდგენილია ახალი სამეფოები სლავიანებისა; ორთქლმავლებმა, ტელეგრაფებმა, რკინიგზებმა დაფარა დედამიწის სფერო, აეროსტატებს, ტელეფონებს, მიკროფონებს უკვე იყენებენ პრაქტიკულ ცხოვრებაში და ჩვენი ცნობილი პროცესი, ნაგლეჯ მიწაზე უცვლელად ცოცხლობს და არ კვდება. განა საკვირველი არ არის ეს?“ *)

ასეთ ბიუროკრატიულ სასამართლო აპარატს პოეტი უპირისპირებს ხალხურ თვითმმართველობას და ამ უკანასკნელს აიდეალებს როგორც ობიექტურსა და დემოკრატიზმის პრინციპზე დაფუძნებულ მმართველობას. მოვისმინოთ თვით პოეტის სიტყვები:

„ამასწინად მე დავბრუნდი კოდიდან, სადაც გავატარე ზაფხული საგინოვებთან სიწყნარეში, სიმშვიდეში, ხშირად ჩემი ყოფილი გლეხების საზოგადოებაში, რომლებიც არიან წინანდებურად მოკრძალებულნი, წინანდებურად დაუზარებელნი, ძალიან კარგად ესმით, ღებულობენ კარგ რჩევებს. უნდა ნახოთ მათი საჯარო სამართალი მოედანზე, ეკლესიასთან, ან წყაროსთან, რომ სავსებით დააფასონ ის სიკეთე, რომელიც გამომდინარეობს ახალი სასოფლო მმართველობის შემოღების გამო თვითმმართველობის საფუძველზე. დღევანდელი საჩივარი დღესვე წყდება. რა შეიძლება ასეთ სასამართლოზე უფრო სასიკეთო?“ **)

ხშირად გრ. ორბელიანი დაბეჩავებული ხალხის ქომაგია. იგი გაბედულად ამხელს ბიუროკრატ მოხელეების უსამართლობასა და ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციას.

„ვიცი, რომ კიდევ მომეტებული ხარჯი დაედება ხაზინასა, რომელშიცა, ეტყობა, ბევრი ფული ჰსძევს, რომ ასე ადვილად აჩენენ ახალთა თანამდებობათა თითქოს განგებ ჯამაგირისათვის. ხალხის მოვლა? სასამართლო, სადაც ვერ ჰპოებ სიმართლესა? ხალხის უფლება? უეზდების გაყვლეფა? გზაზედ ავაზაკობა და მგზავრების დახოცა, შარშან და წლეულს 68 კაცი რომ მოკლეს. იმათი მკვლელნი? ქრთამობა ჩინოვნიკებისა და აშკარად თანამდებობის ფულით შესყიდვა? ხალხის შეწუხება, წივილ-კივილი მათი და წყევა... ვნა-

*) გრ. ორბელიანის წერილი, 23 მაისი, 1879 წ., ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 306.

**) ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 305.

ხოთ ეგების ღ-მა მოხედოს ამ მხარესა და აპოვნინოს წამალი უმაღლესსა მმართველობასა განსაკურნებლად ათასგვარ ჭია წყლულთა უსამართლობით და მოუვლელობით ხალხზე მოვლენითა".*)

ჩვენ განზრახ დიდი ამონაწერები მოვიტანეთ გრ. ორბელიანის კერძო წერილებიდან იმისათვის, რომ პოეტის დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკითხებისადმი უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო.

ამ დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს გრ. ორბელიანის კრიტიკული დამოკიდებულება ცარიზმის პოლიტიკისადმი და გულისხმიერება მშრომელი ხალხისადმი.

ბატონყმობის საკითხი

სხვა საკითხებთან ერთად გრ. ორბელიანს ბატონყმობის საკითხშიც უსაყვედურებდნენ. „ფეოდალური შეხედულება გრ. ორბელიანისა.— სწერს პროფ. ს. ხუნდაძე,— მთელი თავისი სიმძლავრით გამომჟღავნდა გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ჩვენი პოეტი ბატონყმობას საზოგადოებრივი ცხოვრების შეურყეველ საფუძვლად თვლიდა. თვით დიდი ფეოდალი და მემამულე, გლეხობასა და ბატონყმობას ამავე თვალსაზრისით იხილავდა. მისთვის გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა. ბატონყმობის ინსტიტუტი წოდებათა ურთიერთობის ნორმალური ფორმა იყო. ასეთი იყო მისი პრინციპული შეხედულება გლეხობასა და ბატონყმობაზე, როგორც მემამულისა და ფეოდალისა".**)

მართალია, გრ. ორბელიანი დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან იყო გამოსული, მაგრამ მიუხედავად მისი სამეფო ჩამომავლობისა, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში საკმაოდ იგრძნობა ცხოვრების მოვლენათა დემოკრატიული თვალთახედვა. გავიხსენოთ გრ. ორბელიანის სიტყვები: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას; ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარისშვილობა". (გვ. 91).

პეშმარიტად, ამ სიტყვებით, საფუძვლიანად შელახა პოეტმა თავისი წოდების ინტერესები, რადგან მან გვარისშვილობაზე მაღლა ადამიანის პირადი ღირსება და ნიჭი დააყენა. იმავე დემოკრატიზმის პრინციპებმა უკარნახა გრ. ორბელიანს დაეწერა ლექსი

*) გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, გვ. 243-245.

**) პროფ. ს. ხუნდაძე. „მნათობი", 1934 წ., № 3, გვ. 128.

„მუშა ბოქულაძე". მართალია, მუშის საკითხის გადაჭრაში პოეტის აზრს ვერ გავიზიარებთ, მაგრამ უდავოა, რომ დემოკრატიული პრინციპით მოაზროვნე პოეტმა მკაფიო ფერებით გვაჩვენა „კისერჩაჟანგებული" მუშის რეალური სახე. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ გრ. ორბელიანი ახალი ცხოვრების მიმდინარეობის შორეულ მაყურებლად არ დარჩენილა. ცხოვრების ტალღათა ქროლვამ მისი პოეტური ჰანგიც შეარხია და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდმა სოციალურმა ძვრებმა თავისებური გავლენა პოეტის პიროვნებაზედაც მოახდინა. სამართლიანად, ილია ჭავჭავაძე დემოკრატიული იდეების გამომხატველად, მდაბიოთა ცხოვრების აღმწერლად გრ. ორბელიანს ასახელებს.

„ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდაბიოთაც აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრ. ორბელიანმა არც აქ უმტყუნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეაქცია, როგორც ულირს რასმე, თან აჰყვა, მისი „ო-ს დარდები", „ლოპიანა", „მუშა ბოქულაძე", რომელნიც თითო-თითო პოემადა ღირს, ამის მოწმენი არიან. აი, რა მწვავე სიტყვებს ათქმევინებს იგი ერთ ამისთანა მდაბიოს „მუშა ბოქულაძეს".*) და ილიას მოაქვს ადგილი დასახელებულ ლექსიდან. ყოველივე ეს გარკვევით ამტკიცებს გრ. ორბელიანის კავშირს ახალ ცხოვრებასთან.

მიუხედავად გრ. ორბელიანის ამგვარი პოზიციისა, ხშირად საყვედურობენ პოეტს, გლეხთა საკითხში მას ბრალს სდებენ, რომ „გრ. ორბელიანს ხმა არ ამოუღია გლეხობის განთავისუფლებაზეო". მაგრამ თუ ახლოს გავეცნობით პოეტის შინაგან ბუნებას, დავინახავთ, რომ ამ საკითხსაც მისი ყურადღების გარეშე არ ჩაუვლია. ხშირად უთქვამს პოეტს: „უბედური ჩვენი გლეხები როგორ ჰსცხოვრობენ ამ საშინელს სიმშილში და ან რა ღონისძიება უპოვნეს მისთა ბატონებმა". **)

გონების თვალით დაკვირვებული პოეტი საბატონო მდგომარეობაში მყოფ გლეხთა ცხოვრებას ტყვეთა მდგომარეობას ადარებდა

*) ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 255.

**) გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, გვ. 164.

და არამც თუ წინააღმდეგი იყო 1861 წლის რეფორმისა, არამედ სრულ თანაგრძნობას გამოსთქვამდა ამ სასარგებლო, საქვეყნო, საქმის გამო.

აი რას წერს ამის შესახებ პოეტი:

„მოვიდა დრო, როდესაც საქართველოს ძველი ჩვეულება, ძველი წესი დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნეებისაგან უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღით საქართველო მიიღებს ახალსა სახესა; ახალს ცხოვრებასა. როდესაც განვიხილავთ ამ საგანს, მხოლოდ ვხედავთ ერთს აუცილებლად: მებატონეთა უნდა შესწიროთ მსხვერპლი შეძლებისამებრ, მაგრამ ამ დანაკლისში ვითარცა ქრისტიანენი, უნდა ვნუგეშობდეთ იმ აზრით, რომ ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობისაგან. ნუ გწყინს ეგ სიტყვა, კაცი ჩვენებურ დაბადებული, რომელსაც საქვეყნო საქმეში არა აქვს არცა ხმა, არცა რაიმე უფლება, რომლისთვისაც, თითქმის სამართალშიაც არა სწერია სანუგეშოდ და არცა აქვს საკუთრება, რა არის, თუ არა ტყვე. გვმართებს რომ გულდამშვიდებულად, სისხლაუღელვებლად, ყოველის ყურადღებით და მოთმინებით მოვისმინოთ პროექტი, წარმოდგენილი ჩვენდა განსახილველად და ამას აწ ესეც უნდა ვსთქვა, რომ ნუცა დავემდურებით ვისმე, რომელიცა არ იყოს თანახმა ჰაზრისა ჩვენისა, რადგანაც იმედი გვაქვს, რომა ვინცა რას ამბობს, ამბობს სიკეთისათვის, საზოგადოებისათვის". *)

მართალია, აქ გრ. ორბელიანი, ერთის მხრივ შეშფოთებული, თავადაზნაურობის დამშვიდებას ცდილობს, მაგრამ მეორის მხრივ აშკარად ჩანს პოეტის სიმპატიური დამოკიდებულება 1861 წლის რეფორმისადმი.

სამართლიანად გრ. ორბელიანი ამ საქმეშიც დიდი რუსი ხალხის გამოცდილებას ეყრდნობა.

„ჩვენმა დიდმა რუსეთმა დააწესოს, დაამკვიდროს და ჩვენთვის გაავაკოს ეს ძნელი გზა, რომ შემდეგ ჩვენცა ადვილად შეუდგეთ და განვლოთ ეს აუცილებელი გზა და მოვერიდნეთ იმ შეცდომილებათა, რომელნიცა უეჭველია, რომ არ მოუხდეს რუსეთსა ამ ახალს დაწყობილებაში. ღმერთმა ჰქნას, რომ იქაც და აქაც აღსრულდეს ეს მშვიდობიანად". **)

*) გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, გვ. 373.

**) იქვე, გვ. 245.

მართალია, გრ. ორბელიანი ბატონყმობის წინააღმდეგ ისეთი აქტიური მებრძოლი არ ყოფილა, როგორც თერგდალეულები იყვნენ, მაგრამ ამ დოკუმენტებიდან აშკარად სჩანს, რომ იგი მშრომელი გლეხობის თანამგრძნობი და 1861 წლის ისტორიულ რეფორმის გატარების თანამოაზრე იყო. მას რეფორმის გატარება აუცილებელ გზად მიაჩნია. „შევუდგეთ და განვლოთ ეს აუცილებელი გზა“. აი გრ. ორბელიანის სიტყვები.

სწავლა-განათლების საკითხი

გრ. ორბელიანს თავისი ერის მომავალი აინტერესებდა და ამდენად ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევდა. პოეტი ხედავდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდა საფრთხეში იყო. რომ მაშინდელი სამხედრო სასწავლებელი ფაქტიურად ქართველების გარუსების საქმეს ემსახურებოდა და სამოქალაქო სასწავლებლები, უპროფესიო, საზოგადოებისათვის უსარგებლო ჩინოვნიკებს ზრდიდა. პოეტის აზრით მთავარია ახალგაზრდობამ შეისწავლოს სპეციალობა, დაეუფლოს გარკვეულ პროფესიას, შეისწავლოს მეურნეობის მოვლა-პატრონობა, გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, რათა სკოლამ ამ სახით ნაყოფი გამოიღოს ხალხის საკეთილდღეოდ და არა ჩინოვნიკები და უსაქმურები გაუზარდოს საზოგადოებას. და გრ. ორბელიანის აზრით ყოველივე ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენი სკოლა პოლიტექნიკურ განაწილებას მიაწოდებს ახალგაზრდობას.

„აქ ჩამოვიდა გენერალი კორსაკოვი,—სწერს გრ. ორბელიანი—რომ თბილისში გახსნას სამხედრო გიმნაზია და ელადიკავკაზში პროგიმნაზია. რა თქმა უნდა, მთავრობა აკეთებს უდიდეს სასარგებლო საქმეს ამ მხარისათვის, რომ ჩააბას ათასობით ახალგაზრდა ადამიანები განათლებაში. მაგრამ ჩემი აზრით აქაური მხარეს და აგრეთვე მთელ რუსეთს ეხლანდელ დროში უფრო ესაჭიროება პოლიტექნიკური სკოლები, რომელთ ქონება ყოველდღიურად ხდება აუცილებელი.

გიმნაზიები, უნივერსიტეტები, აკადემიები ზრდიან ადამიანებს მხოლოდ სახელმწიფო სამსახურისათვის და ამ ადამიანებს ნახავთ მხოლოდ კანცელარიებში ან პლაცზე. ყველა ისინი ცხოვრობენ მთავრობის ხარჯზე და მაინც ბევრი მათგანი კვდება სიღარიბეში.

და არ მოაქვთ არავითარი სარგებლობა თავისი ცოდნით სოფლის მეურნეობისათვის, რომლის აყვავებული მდგომარეობა წარ-

მოადგენს კეთილდღეობის ერთადერთ საფუძველს როგორც მოსახლეობისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. დიდი მათემატიკოსი — მაგისტრი ვიგზალოვი ზის კანცელარიაში გუბერნატორთან და კოლა ერისთავთან ერთად ნომრავს მიმდინარე ქაღალდებს. და რამდენი ამ სახით იღუპება კანცელარიებში გონიერული და ზნეობრივი ძალა...

ჩვენ გვინდა ახლა ადამიანები სხვა მეცნიერების, რომლებიც დაამუშავებდნენ მიწას, გამოიღებდნენ რა მისი წიაღიდან დამალულ განძებს და ამით გაამდიდრებდნენ თავის თავსაც და მთელს მხარეს. რა არ არის აქ? რკინა, სპილენძი, ტყვია, გოგირდი, მარმარილო, ნავთი, ნახშირი, აბრეშუმი, ბამბეული, ენდრო, ყურძენი, ყოველგვარი ხილი, მეჯოგეობა, მეცხვარეობა, მატყლი, მსოფლიოში საუკეთესო ცხენების ჯოგები; ტყეში კაკალი, წაბლი, ულპობი პალმა, ყველაფერი, ყველაფერი, ამავე დროს მოსახლეობა ღარიბია, ღარიბი. აი სახელდობრ აქ ერთადერთ დამხმარებად შეიძლება მოგვევლინოს პოლიტექნიკური სკოლა და არა ბერძნული ენა, ასეთი სკოლა მოკლე დროში გამოცვლიდა მთელი მხარის სახეს, მოფენდა რა სასარგებლო შრომის ცოდნას, რომლის შედეგია ყველგან და ყოველთვის კმაყოფილება და კეთილდღეობა. როცა ხალხი მდიდარია, სახელმწიფოც მდიდარია... 70 წლის განმავლობაში ცოტა რამ შეიცვალა აქ სოფლის მეურნეობაში; იგივე გუთანი, იგივე ურემი, მკისა და გალეწვის იგივე ხერხი, რომელიც სპობს ძალას, თვით სიცოცხლესაც მუშებისას და სამუშაო საქონლისას და იგივე მამაპაპური მარანი. მახალას". *)

შეიძლება გადამეტებულად მოგვეჩვენოს გრ. ორბელიანის მიერ გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების როლის დამცირება, მაგრამ პოეტის მიერ საკითხის დასმა პოლიტექნიკური სწავლების შესახებ უდაოდ დიდ პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა; გრ. ორბელიანი სამართლიანად სვამს კითხვას საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეების ხალხის სასარგებლოდ გამოყენების შესახებ.

ამ სიმდიდრის გამოყენება და მშრომელი ხალხის კეთილდღეობა შეიძლება მოპოვებულ იქნას პოეტის აზრით პოლიტექნიკური განათლებით. აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანი ყოველთვის სერიოზული და დაკვირვებულის თვალით უყურებდა სწავლის საქმეს. შემთხვევით განდიდებული უსწავლელი ადამიანი მის თვალში

*) ლიტ. მატიანე, წ. 1-2, გვ. 307-308.

ყოველივე სიმპატიას ჰკარგავდა და ახალგაზრდობისაგან სერიოზული ცოდნის შეძენას მოითხოვდა. აი რას წერს სწავლის შესახებ პოეტი ილია ორბელიანს:

„ჩემო საყვარელო ილიკო! რა წამოველ შენგან, ერთის მეტი წერილი არ მომსვლია. მიზეზი შენის სიზარმაცის მეტი არ არის რა. თუმცა ზაქარია მწერდა შენს ამბავსაც, მაგრამ მე შენი წერილი მეამება. — შემატყობინე როგორა გაქვს ფეხი, მოგირჩა თუ არა და ან ხომ არ კოჭლობ. — ილიკოჯან, სწავლაზე ხომ ხელი არ აიღე. — შენმა გაზრდამ, რომ ნემეცურის ენის უცოდინარობა ძალიან ბევრს მაკლებს მე, ეხლა სიბერის დროს მინდა მისი სწავლა, მაგრამ ვგრნებ, რომ სწავლის დრო წასულა. შენი ბედნიერებისათვის არ უნდა დაჰკარგო არც ერთი დღე, არც ერთი ჟამი უსწავლელად. თორემ ველარ მიეწევი მასუკან. ნუ მიხედავ მათ, რომელნიცა უსწავლელნი არიან ბედნიერებაში — შენ ილიკო. რადგანაც ხარ სამსახურში, ამისათვის მიაპყარ გონება მათემატიკას (თუმცა შენ ხარ მტერი მისი) და ისტორიას ღეოღრაფიითურთ, იკითხე გონების მიდევნით жизнь великих людей и полководцев как древних, так и новейших времен.

მაგრამ კითხვასაც თაფაუფი აქვს — უმეტესი ნაწილი ყმაწვილ კაცთა კითხულობს დროს გატარებისათვის, ეს არის ცუდი. — ნურაოდეს ნუ იკითხავ ზემოხსენებულთა წიგნთა დროს გასატარებლად. — მაშინ იქნება კითხვა სასარგებლოდ, როდესაც ჰკითხავ შენს თავსა, წაიკითხავ რა რამდენსამე ფურცელსა, ანუ ერთსა თავსა, თუ რა წაიკითხე. — ერთის სიტყვით როდესაც უჭამ ეგზამენს შენსა თავსა იმაში, რაც წაგიკითხავს, მაშინ კითხვა იქნება სასარგებლოდ და წაკითხულიც დაგრჩება გონებაში. После сих книг позволяется читать романы, но только со времен Вальтера Скота, т. е. историческия, а до него все вздор и редкий из них достоин чтения. Занимайся рисованьем, а более историею, которая необходима для военного человека.

თუ გინდა ბედნიერება თავისა შენისა, უნდა ასე მოიქცე და მაშინ ეჭვი ნუ გაქვს, რომ მართლად ბედნიერი იქნები...“ *)

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, გრ. ორბელიანი სწავლა-აღზრდის საქმეში ახალი იდეების მქადაგებლად გვევლინება საქართველოში. ვფიქრობთ, პოლიტექნიკური სწავლების საკითხის ასე რადიკალურად დაყენება და მისი დაკავშირება ხალხის დოვლათია-

*) გრ. ორბელიანის წერილები, ტ. I, გვ. 12-15.

ნობასა და კეთილდღეობასთან ახალ მოვლენას წარმოადგენდა ჩვენს სინამდვილეში. ამ მხრივ საქართველოში პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიაში ადგილი უნდა დაეთმოს გრ. ორბელიანს. გარდა ამისა იგი თავისებური დიდაქტიკოსიც არის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

ყოველივე ამის შემდეგ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანი არ იყო მოწყვეტილი თავისი ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას, როგორც ამას მკვლევარები ხატავდნენ დღემდე.

დ ა ს კ ვ ნ ა

დღემდე უდაოდ მიჩნეული დებულება, რომ გრ. ორბელიანი არა მარტო აქტიური მონაწილე იყო „მამათა“ და „შვილთა“ შორის გამართული ბრძოლისა, არამედ „მამათა“ ბანაკის მეთაურიც, არ წარმოადგენს ჭეშმარიტებას. საკითხის ზუსტი შესწავლით საწინააღმდეგო მტკიცდება და „გამოცანების პასუხი“ დაწერა პოეტმა ბრძოლის დაწყებიდან ათი წლის შემდეგ, 1871 წელს, ისიც მხოლოდ იძულებით ილიას „გამოცანების“ საპასუხოდ.

ამას მოჰყვა აკაკი წერეთლის ტენდენციური ხასიათის ნაწარმოებები და გრ. ორბელიანი უმართებულოდ იქნა შერისხული ქართულ კრიტიკაში აკაკის გავლენით, კიტა აბაშიძის, სიმონ ხუნდაძის, კონსტანტინე კაპანელის და სხვათა მიერ.

გრ. ორბელიანის პოლიტიკური ორიენტაციაც სწორი იყო. მან ქართველი ხალხის მომავალი თავიდანვე დიდი რუსი ხალხის ბედს დაუკავშირა და როგორც ნიჭიერი სარდალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთისა და საქართველოს საზღვრების განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ენის საკითხშიაც ჭეშმარიტება გრ. ორბელიანის მხარეზე იყო. მართალია, ახალთაობას ქართული ენის წახდენას უჩიოდა პოეტი, მაგრამ არა იმიტომ, რომ „შვილებმა“ ახალი სალიტერატურო ენა შემოიღეს და გრ. ორბელიანი ძველი ენის დამცველი იყო, არამედ იმის გამო, რომ „შვილები“ ზოგჯერ სალიტერატურო ენის ელემენტარულ უცოდინარობას იჩენდნენ. ამიტომ ებრძოდა იგი ს. მესხს, გ. წერეთელს, ალ. ყაზბეგს და ზოგჯერ აკაკი წერეთელსაც კი.

კავკასიის მთიულების წინააღმდეგ ომში გრ. ორბელიანს რუსეთის ცარიზმის ზრახვები კი არა, თავისი ქვეყნის მტრის სამაგიეროს გადახდისა და სისხლის აღების გრძნობა ამოძრავებდა.

გრ. ორბელიანი ხშირად გამოდის მშრომელი ხალხის დამცველის როლში და სასტიკად ილაშქრებს ცარიზმის ბიუროკრატიული, უხეში აპარატის წინააღმდეგ და ბატონყმობის საკითხშიაც პროგრესიულ შეხედულებას ავითარებს და გლეხობას ექომაგება. ყოველივე ამასთან ერთად გრ. ორბელიანი დიდი ყურადღებით ეკიდება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს და პოლიტექნიკური სწავლების დანერგვას მოითხოვს ქართულ სკოლებში.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

მიხეილ ალავიძე

დავით კლდიაშვილის ლექსიკონი

ჩვენ შევკრიბეთ დავით კლდიაშვილის პროზაში წარმოდგენილი იმერული სიტყვები და გამოთქმები. ეს მასალა განკუთვნილია დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის.

ამის გამო მასში არ შევიტანეთ ის სიტყვები, რომლებიც სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრდნენ, როგორც საყოველთაო ტერმინები, აგრეთვე ის სიტყვები, რომელთაც არსებულ ლექსიკონებში იდენტური მნიშვნელობით ვხვდებით (აბზუება ტუჩისა, აპოლიკება, არჩივი, ბარჯგი, ბორჯი, გადამთიელი, გამოყვლიპინება თვალებისა, გაცუცურაკება, დაბუბნვა, მობელვა, ნაქაჩი ღვინო, საბიჯგე ჯოხი, უზუნდარა, ღრჯო, ყაილა, ჩაკუნი, ჩინდრიკი, ჩხინკი). ამრიგად, ეს მასალა ახალია, პირველად შედის ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

სიტყვები დავალაგეთ ფუძეების მიხედვით, მაგრამ ლექსიკონის სარგებლობის გაადვილებისათვის ხშირად ისინი მოთავსებულია იმ ფორმით, როგორც ტექსტშია.

ცალკე თქმები (აბრუს გატეხა, აგორება გულისა, მოხსნა ბოხჩას თავი, წკიპზე იყო შემდგარი...), ადვილად მონახვის მიზნით, პირველი სიტყვების მიხედვითაა ანბანზე გაწყობილი.

სიტყვები შედარებულია ძირითადს ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან. ახსნა-განმარტებებს, როგორც წესი, სიტყვათა შინაარსის ზუსტი და ნათელი ჩვენებისათვის ახლავს ფრაზეოლოგია.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ალავ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, 1938 წ., თბილისი.

ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912 წ., პეტერბურგი.

ბ. ღ. — ბაკულას ღორები.

დ. გ. — დარისპანის გასაჭირი.

დ. მ. — დაუმთავრებელი მოთხრობები, „ლიტ. მემკვიდრეობა", 1935 წ., თბილისი.

ი. ბ. — ირინეს ბეჯნიერება.

მემ. — მემუარები.

მენთ. — სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, აკადემიკოს ვ. თოფურიას რედაქციით, 1943 წ., თბილისი.

მიქ. — მიქელა.

მრ. — მრევლში.

მსხ. — მსხვერპლი.

ნ. — ნახე.

ჟღ. — ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936 წ., თბილისი.

რ. მ. — როსტომ მანველიძე.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და აკად. ა. შანიძის რედაქციით, 1928 წ., თბილისი.

ს. დ. — სამანიშვილის დედინაცვალი.

ს. მ. — სოლომონ მორბელაძე.

ქ. გ. — ქამუშაძის გაჭირვება.

შარშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, 1938 წ., თბილისი.

შდრ. — შეადარე.

შერ. — შერისხვა.

ჩიქ. — მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, 1941 წ., თბილისი.

ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887 წ., პეტერბურგი.

წ. გ. — წრფელი გული.

წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, 1938 წ., თბილისი.

ჭყ. — ი. ჭყონია, სიტყვის კონა, 1910 წ., პეტერბურგი.

ა

აბზუკვა ტუჩისა ტუჩის აწევა. „გადაპრანჭვა და ტუჩის აბზუკვა იცის“ (დ. გ.). აბზუკული მოხრილი. „ბავშვები შემოხეოდენ წელში აბზუკულ გამხდარ ღორს“ (მიქ.).

აბრუს გატეხა ნდობის დაკარგვა. „როცა ხრიკიან ადვოკატს აბრუ გაუტყდებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა“ (ქ. გ.).

აბურძგნილი ამდგარი, უშნოდ აყრილი. „ცხენს აბურძგნილი ბალანი საცოდავ შეხედულებას აძლევდა“ (ს. დ.; ნ. ჩუბ. აბურძგნა).

აგერას აგერ არის, ეს-ესაა. „აგერას წელში გავწყდებით“ (დ. გ.).

აგორება გულისა გულის აცრუება, აშლა. „მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ მალე აგიგორდებოდა გული მაგ უბედურზედ“ (ი. ბ.).

ავჟანდი (მრ.) აბჟანდი, უნაგირის უზანგი (ნ. ჩუბ. ავჟანდა).

ათახთახებული აცახცახებული, აკანკალებული. „ეუთხარი ათახთახებულმა გაჯავრებისაგან“ (მემ.; შდრ. საბა თახთახი).

ამობუსკული ამობურთული, ამოწეული. „ამობუსკული პირისახის ძვლები“ (მემ.).

ამოგლიგნილი ნ. ამოქიქნილი. „ნაცარში ამოგლიგნილი დედაბერი...“ (დ. გ.).

ამოფშუება ამოსვლა, აკვამლება. „სახლების ედროებიდანაც აქა-იქ კვამლმა იწყო ამოფშუება“ (ს. დ.).

ამოქიქნილი, ამოგლიგნილი ამოსვრილი. „გეერდში ამოუყენონ ჩემს რძალს მათი სოფლის ნაცარში ამოქიქნილი ქალბატონი“ (ქ. გ.).

ამოლლიავება იღლიის ქვეშ ამოდება, ტარება. „მათხოვრობას შეჩვეული არ არიან, მაგრამ დღეგანდელმა გამწარებამ ტომრები ამოალლიავებინათ“ (მემ.).

ამოყორებული ადგილი პატარა ყორე, თავმოყრილი ქვები. „მიქელა მივიდა, როგორც იქნა, ბნელოში (ნ.) მიაგნო ამოყორებულ ადგილს და თოხით დაუწყო ქვებს იქით-აქით მიყრა-მოყრა“ (მიქ.).

აპილპილება აღელვებისაგან სახის გაწითლება, გულის მოსვლა. „ბოლოს კირიელემაც შეატყო, რომ თხოვნას არავინ ასრულებდა და აპილპილდა, გაწყრა“ (ს. დ.; შდრ. ჩუბ., ჟღ. გაპირპილება). აპილპილებული აღელვებისაგან გაწითლებული, გულმოსული „აპილპილებული, ჯავრისაგან გონებადაკარგული, უკანასკნელ იმედთან გაიქცა“ (ს. მ.).

აპროწიალა ათრია, ახეტიალა. „კარგა ხანს აპროწიალა ბეგლარმა თავისი ქალიშვილი“ (ქ. გ.; შდრ. პოწიალი).

ასაბზნელი ბზინვის მისაცემი. „წარბებზე კაკლის დამწვარი გული გადაასმევინა წარბების გასაშავებლად და ასაბზნელად“ (ქ. გ.).

ატროვებული ატეხილი, ბედისწერას აყოლილი. „მაგ ისეა, ეტყობა, ატროვებული, რომ კაცი უნდა ერიდოს...“ (ი. ბ.; შდრ. წერ. გატრუებული).

აფრენილი გახარებული, აღტაცებული. „... ბოლოს, როგორც იქნა, გამოემშვიდობა ყმაწვილ კაცს და სიხარულისაგან აფრენილმა, რომ საქმე სასურველად ეწყობოდა, გასწია შინისაკენ“ (ბ. ღ.).

აფუცურებული აფაცურებული, აჩქარებული. „პლატონმა ძლივს გაახილა თვალები, მაგრამ აფუცურებული არისტო აჩქარებდა, ძილის ნებას არ აძლევდა“ (ს. დ.).

აფუცფუცებულობა ფუსფუსი, ხალხის მოძრაობა. „ცოტა ხნის შემდეგ იგიც შეუერთდა საზოგადო აფუცფუცებულობას“ (ს. დ.).

აჯირგალებს ათრევს, მოსვენებას არ აძლევს. ,,ამ ქალს წამოავლებს ხელს და აჯირგალებს‘‘ (ი. ბ.; შდრ. ალავ. ჯირგალი).

ბ

ბარძგი ეკლიანი მცენარე. „... თავის მახლობლად რას ნახავენ, ბარძგების მეტი არაფერია“ (ბ. ღ.).

ბაღდადი სპარსეთში ნაქსოვი აბრეშუმის თავსაფარი. „ამ გაროზში რომ ფულს მოგცემენ, იმით ერთი კაი ბაღდადი მიყიდე და მომიტანე“ (მსხ.).

ბდღვირის ადენა მოურიდებლად რისამე დაწუნება. „მეორე დღეს „თბილისის ლისტოკში“ რეცენზენტმა პირდაპირ ბდღვირი ამადინა“ (მემ.).

ბებრუხანა ძლიერ მოხუცი დედაკაცი. „შე კაცო, მე ერთი ბებრუხანა მოვათრიო, შენ რატომ უნდა დაიღუპო?..“ (ს. დ.; ნ. ჩუბ. ბებრუცანა).

ბერუხუნა მსუქანი. „... ეგებ ახლა კიდეც მოგელოდესთ კაი ბერუხუნა კანჭიათი (ნ.)“ (მრ.).

ბლიქვი ჯლიქვი, მუშტი, მუჯლუგუნი. „... მისკენ გადმოწეულ სამადაძეს ისე ღონივრად წაჰკრა ბლიქვი გულმოსულმა, რომ ეს კაცი საცოდავად დაენარცხა მიწაზე“ (ქ. გ.; ნ. ჩუბ., ბერ. ბლიკვი).

ბნელო ბნელი, წყვდიადი. „... ბნელოში მიაგნო ამოყორეპულ ადგილს (ნ.)...“ (მიქ.).

ბორჯგი გაუთლელი ხის სვეტი „აქა-იქ ეყარა კარვის ბორჯგები არეული ღობის ნამტვრევებთან“ (მიქ.; ნ. ჩუბ., ჟღ. ბარჯგი, ჩიქ. ბაჯგი).

ბოშო ბავშვი „ბოშიც ტირის და იხვეწება სასწავლებლიდან არ გამომიყვანოთო“ (ს. მ.; ნ. ჩიქ.).

ბურდე გაუვალი ჩირგვი. „ხარები მირეკა ეკლიან ბურდემდინ...“ (ქ. გ.; ნ. ბერ. ბურდუ.).

გ

გაბრუნდება გამრუდება. „ქე გოუშვი ხელიდან, შე დალოცვილო, ქალიშვილი, ნუღარ გოუბრუნდებ ბედს“ (ქ. გ.).

გაბუნძურება გაგდება, მოცილება. „ბერიკაშვილი კი ახლავე მომაშორეთ, თუ არ გინდათ, რომ ბიჭებს გავაბუნძურებინო“ (ი. ბ.; შრდ. ბერ. ბუნძული, წერ. გაბუზურება).

გაბუტებული გაბუტული, ნაწყენი. „კირილეს გაუგებრობა ჰკლავდა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდა მისი გაბუტებული ცოლისძმა“ (ს. დ.).

გადარება გადაბიჯება, გადასვლა. „... შარაგზით მომავალმა ზენათიმ გზის შესამოკლებლად ღობეზე გადარება დააპირა“ (ბ. ღ.).

გადახსნიან გადაჭამენ, არაფერს დატოვებენ. „მოვარდებიან და ერთი თვალის დახამხამებაში (ბოსტანს) სულ ერთიანად გადასისნიან...“ (ბ. ღ.).

გადაყინჩული გადაპრანჭული, მეტისმეტად თავმომწონე. „ახირებული არსება იყო გადაყინჩული გენერალი“ (მემ.; ნ. საბა აყინჩული).

გადაშვლებილი გადამძვრალი, გადატყაული. „ზურგი აქვს გაფუჭებული, სულ ერთიანად გადაშვლეპილი“ (ს. დ.).

გადაშვლეჭა იძულებით, ძალდატანებით გადახდა. „მე ვაყურებინებ იმათ თავიანთ სეირს, სამქვრიეოს რომ გადავაშვლეჭიებ“ (ს. დ.).

გადმოდღლაზვა თვალების გადმოჭაჩვა, გადმოკარკვლა. „გადმოუდღლაზავს თვალები, ცხვირი ჩემხელაზე გაზდია...“ (ქ. გ.; ნ. წერ. დღლაზვა თვალებისა).

გადმომიპირებია მიმინდვია. „აბა, მე ბესარიონზე გადმომიპირებია ჩემი სამაშვლო“ (ს. მ.).

გალექილი გალეშილი „... ერთი წამის შემდეგ ორნივე ღვინისაგან გალექილნი მძიმედ ქელავდნენ ძილმორეულნი“ (ს. დ.; ნ. საბა ლექა, ჩუბ., მენთ. გალექება).

გამოთხლიშვა წართმევა, გამოტაცება „... სიხარულისაგან გარეტიანებულმა ეკვირინემ არც კი აცალა ოტიას ხეირიანად გატენა დამბაჩისა, ხელიდან გამოთხლიშა და ბალკონზე გამოსვლისთანავე დასცალა“ (ქ. გ.).

გამოისობით გამო, მიზეზით. „ყორიფელი (ნ.) დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით“ (ს. მ.).

გამონაცინცლავი ართმეული, აწაპნილი. „ამ გამონაცინცლავით ბოლოს მან იყიდა წყალტუბოს მახლობლად მშვენიერი მაღლობი ადგილი“ (მემ.).

გამოჭენება ნ. გამოჭიანება. „ჩემი გამოჭენება გინდა ამ მოხუცებულობის ხანს?..“ (ს. დ.).

გამოჭიანება, გამოჭენება, გამოჭიანურება შერცხვენა, თავის მოჭრა. „ქვეყანაში ნუ გამომაჭიანებთ“ (ს. მ.; ნ. ბერ. ჭიანი).

გამოჭიანურება ნ. გამოჭიანება. „ასეთი თავის მოჭრა, გამოჭიანურება არ გამიგონია მე!..“ (ს. დ.).

გამფრთხალებული დამფრთხალი, შეშინებული. „ძალიან არ გამფრთხალებულა ეგ ჩემი ოტია!..“ (ქ. გ.).

განაკიდეთ მჯდომი კიდეში მყოფი. „თავი დაანებე, შე დალოცვილო, მაგათ, რაზე იწუხებ თავს, — უთხრა განაკიდეთ მჯდომმა დაკერებულჩოხიანმა აზნაურმა ქეელიძეს“ (ქ. გ.).

გაქიაქებული ნაკვერცხალი შუაგულგამოწმენდილი ადგილი ცეცხლში... „... ღვეზილს (ნ.) ჩადგამდენ გაქიაქებულ ნაკვერცხალში...“ (მემ.; ნ. ბერ. ქიაქია).

გაქუცული დაღარიბებისაგან გაეშმაკებული. „აბა, ეს გლახაკი, გაქუცული აზნოუშვილი დავითი რას დაწანწალობს ჩემს სახლში?“ (მსხ.; ნ. მენთ. გაქუცვა; შდრ. შარშ.).

გაძრიელება გაძღიერება. „შენ უფრო მომიმატე და გამიძრიელე მეუხარება“ (წ. გ.).

განწმატებული გაანჩხლებული, გაჯავრებული. „ზომაზედ მეტად გაწიწმატებულმა სოლომონმა ქუდსა და ყაბალახს წამოაგლო ხელი“ (ს. მ.)

გახიახებული ხმაგაყარდნილი, გამომჭლავნებული. „მართლაც ყველაფერი დაიცინწყა სონიამ ამ გახიახებული საქმის გამო (ქ. გ.).

გახრეკილი გატყაული, ძალზე გამხდარი. „პლატონი გაუძღვა თავის გახრეკილ ცხენს“ (ს. დ.).

გახრიგნილი გაცარიელებული. „ეს დაბალი გახრიგნილი ოთახი, სანახეროდ ჩამობნელებული, სულს უხუთავდა მას“ (ქ. გ.).

დ

დააცუნცურებ დააცუნცულებ. „მაგ ჩაის რომ დააცუნცურებ, მაგის მაგიერ ერთი ბოთლი ღვინო რომ შემოიტანო, ის სჯობია, ჩემო ვერიჩკა!“ (ს. დ.).

დაკოსება დაკვრა, დაწვება „ისე დეეკოსება ერთ ადგილას, რომ ვერას გზით ვერ ააგდებ ზევით“ (დ. გ.).

დალაყუნობდა უთავბოლოდ დადიოდა. „სამი ბატი დალაყუნობდა“ (დ. მ.; შდრ. ჰყ. ლაყუნი, წერ. ბლაყუნი).

დამსილი დავსებული, მეტად დაღარიბებული „შენი მტერი იქნა დამსილი და დაგლახავებული, ისინი დამსილი არიან“ (ს. დ.).

დასცეცხლა შიში მოერია. „ოჯახის ამოვარდნის შიშმა გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დასცეცხლა“ (მიქ).

დაყანყალობს უმიზნოდ დახეტიალობს. „წევიდა და დაყანყალობს“ (ნ. ბერ. ყანყალი).

დაყოლია დაყოლებით. „დაინახა, რომ ღობის დაყოლია მიდის უშობელი“ (დ. მ.).

ე

ეჭუცქუცება ეფარისეველება, ელაქუცება. „დამნაშაეე ცდილობს ამ თავითვე მოულბოს გული თავის გამკითხველს. მიიმხროს, მოინადიროს, რისთვისაც სხვანაირად ეელება თავს: ეჭუცქუცება, უცინის, ეალერსება“ (ქ. გ.).

ვ

ვილაყლაყი უსაქმოდ ვიჩეტიალო. „საქმე კი არ გამომლევია თქვენსავით ვილაყლაყო“ (მსხ.; შდრ. დალაყუნობდა).

თ

თავგაბურძგვნილი თმაგაწეწილი. „სახლში შემოეიდა თავგაბურძგვნილი პატარა გოგო“ (მრ.; შდრ. აბურძგვნილი).

თავდაპირველში თავდაპირველად. „ნიკა სრულიად დაიბნა თავდაპირველში“ (მსხ.).

თანმომყოლი დედინაცვლის შვილი. „თანმომყოლის დანახვის შიში თავხარსა სცემდა აქამდისინ გულდამშვიდებულ მცხოვრებელს აზნაურს“ (ს. დ.).

თბუნება გათბობა. „თბუნებას დაუწყებდა დაძრულ ხელებს ცეცხლზე“ (ქ. გ..; შდრ. ჭყ.).

თეძოებამობუსკული თეძოებამოყრილი, თეძოებამოვარდნილი, ძლიერ გამხდარი. „დაამაგრა მოსართავი ჩხინკით პლატონმა, დაიხურა ქუდი, გადიგდო ბეჭებზედ ყაბალახი, მოხსნა თავისი თეძოებამობუსკული რაში და თითქმის წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი ჰიშკრისკენ“ (ს. დ.; შდრ. ამობუსკული).

თვარა თორემ. „არ გაგიგონ, თვარა წამწარებას მაშინ იტყვი!..“ (ბ ღ.).

თუნგული პატარა დოქი. „წყურვილისაგან მეტად შეწუხებულმა აიღო თუნგული ხელში“ (მიქ.).

თხლეშა თქეში. „გარშემო ისმოდა მხოლოდ წვიმის თხლეშა“ (მიქ.).

ი

იბრუალა უთავბოლოდ იტრიალა. „ბევრი იბრუალა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ სოფლის სასამართლოში ეექილობა დაეწო“ (ქ. გ.; ნ. ბერ. ბრუალი).

იპუწებოდა იფუშებოდა. „საქმე იპუწებოდა, არ ეწყობოდა“ (ქ. გ.).

იღმიჭება სახეზე უსიამოვნება, მწუხარება ეხატება. „იღმიჭება და გულისრევისაგან მარჯვნივ და მარცხნივ აპურჭყებს წამდაუწუმ“ (დ. მ).

იყინჩებიან იპრანჭებიან, თავი მოსწონთ. „ვერ ხედავენ, რა მდგომარეობაში არიან, რავა იყინჩებიან კიდევ, შენ გენაცვალე!“ (ქ. გ.; შდრ. გადაყინჩული).

იჩარჩება იქაჩება, იჭიმება. „ოსიკო აქვს რამე? ონისიმე გევიგებ, ძალიან კი იჩარჩება“ (დ. გ.)

კ

კანჭი ფეხი. „ტრუბია ღორს გამხდარ კანჭებში სწვდა“ (ბ. ღ.).

კანჭიათი ბარკალი. „სუქანი კანჭიათი სადღა იქნება, შე დალოცვილო, ღორის გამოსაშობი ადგილი აღარ არის, რით გასუქდება, ყველას ბაწარზე უბია თავიანთი ღორები. სუქან კანჭიათზე ჩვენც გვწყდება გული, მამაო, მაგრამ რას იზამს კაცი“ (მრ.)

კახმალიანი (დ. გ.) კრახმალიანი.

კეკუოკი (რ. მ.) ევროპული ცეკვა.

კვარაჭინა ქუდი ბუხრის დაბალი ქუდი. „ოტია თავმომწონედ მოჰყვებოდა უკან ცოლსა და დედას თეთრ ჩოხაში სატინის ახალუხით, ახალი წუღა-მესტებით და დაბალი კვარაჭინა ქუდით“ (ქ. გ.; შდრ. ბერ.).

კვინტი წიხლი, ტლინკი. „კვინტებს ისროდა...“ (ქ. გ.).

კოდი ფქვილის მოსათავსებელი ხის ჭურჭელი: „კოდის თავიდან გადმოიღო გობი, გადმოყარა საცერზე ფქვილი“ (ქ. გ.; შდრ. საბა, ჩუბ., მენთ.).

კოლბოხი გამხმარი ბელტი. „შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს და ხან ქვას“ ს. მ.; შდრ. საბა, ჩუბ.).

კოჩიალა უსწორმასწორო, ფეხებუთანაბრო, კოჭლი. „მოუნდომა გასწორება შუა ზალაში მდგარ კოჩიალა სტოლს“ (ქ. გ.).

კრიმანჭული 1. დახმარება, ხელისშეწყობა. ,,პატარ-პატარა საქმეები მაქვს ერთ-ორ ადგილას, ცოტა კრიმანჭულები ეჭიერებათ (გლეხებს), თვარა სადილად აღარ მოგშორდებოდით დღეს...“ (ქ. გ.); 2. გადაკრული, არაპირდაპირი. „ეს ჩვენი მასპინძელი რაღაც კრიმანჭულებით გველაპარაკება“ (დ. გ.).

ლ

ლიკლიკი ლაქლაქი, ყბედობა. „სოფელიც თქვენია, შვილო, და ჭალაქიც! — ლიკლიკებდა ეკვირინე“ (ქ. გ.).

მ

მანიდორა პამიდორი. „რუსული პატრიჯანი, მანიდორას რომ უძახიან, იგიც მქონდა წროულს“ (ქ. გ.).

მედუდლუნები გაურკვევლად მელაპარაკები. „მე რაღას მედუდლუნები?!.“ (შერ.).

მეკენჭე ხმის მიმცემი, საარჩევნო უფლების მქონე. „არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა, მეკენჭე იყო“ (რ. მ.).

მიილუშა დამშვიდდა. „სოფელი მიწყნარდა, მიილუშა“ (ქ. გ.).

მოაფოთიარა მისწვდა, აიღო. „ავადმყოფმა წამოიწია, მოაფოთიარა გვერდით გდებული ჯოხი, წამოდგა მასზე დანდობილი...“ (მიქ.).

მობაჯაჯგუნე მობაჯბაჯე. „ეფროსინემ თვალი მოკრა თოვლში მობაჯაჯგუნე, თავშიშველა, თმაგაბურძგნილ მაზლს“ (ქ. გ.).

მოვყარე მოვაგვარე. „საქმე ისე მოვყარე, როგორც თქვენ გსურდათ“ (ს. მ.).

მოიბლაჯება მობაჯბაჯებს. „მოხუცებული დედაკაცი მოიბლაჯება“ (დ. მ.).

მოიფთხნებოდა მოირთხამდა, ფეხებგადალაგებით ჩაჯდებოდა. „მიქელა მოიფთხნებოდა რომელიმე ხის ძირში“ (მიქ.).

მოიჩანთრებიან უშნოდ მოდიან. „მოიჩანთრებიან, თითქო ტომრებში იყვენ გახვეულები“ (ქ. გ.).

მოკაკული მოხრილი. „სიცივისაგან მოკაკული სახლისაკენ გაეშართა“ (მიქ).

მოკმაზვა მოკაზმვა. „რავა შეჰფერის ქმრიან ქალს, მან რომ მოკმაზვა-გამოპრანჭვა იცის“ (მსხ.).

მოხსნა ბოხჩას თავი გრძელი, დაუსრულებელი ამბავი წამოიწყო. „მოხსნა ბოხჩას თავი, ხვალამდინ ილაქლაქებს ასე“ (წ. გ.).

მუხაჯირი „მუხაჯირებს ეძახდენ იმათ, რომლებიც სტოვებდენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიილტვოდენ ოსმალეთისაკენ დასასახლებლად“ (მემ).

ნ

ნატკეჩი ნაგლეჯი, ნაფლეთი. „ომარმა ისე დაუშინა კეტი კარებს, რომ ფიცრების ნატკეჩები აქეთ-იქით იფინებოდა“ (ქ. გ.).

ნაუცებები ნაჩქარევი, უცებ გაკეთებული. „რადგან ნაუცებებია (საუზმე), ამისათვის გვეპატიება“ (ქ. გ.).

ნაქუჩი ნაქურჩალა, გაფშვნილი ტყარო. „მოწყენით უყდა ბუხარს და ნაქუჩის ცეცხლს ჭეექცეოდა“ (რ. მ.; ნ. ალავ. ქუნჩალა, ჩიქ. ნაქურჩალე).

ნაყრი ლუკმა. „იმ დღეს ნაყრი არ გვენახა“ (დ. მ.; შდრ. საბა).

ნაწირვობები იყო (მრ.) წირვა დამთავრებული იყო.

ნებულობთ ინებებთ, კადრულობთ. „მაგას რაზედ ნებულობთ!“ (ს. დ.).

პ

პაჭკა მრეცხავი. „ისე აპრიალებენ კახმალიანი (ნ.) თუ რამე შეხვდათ, რომელი ქალაქის პაჭკა მოახერხებს“ (დ. გ.).

პირველი გასრულები პირველად წასულნი. „... პირველი გასრულები დაბრუნდენ თავიანთ ოჯახებში“ (დ. მ.).

პოტინი დაპატრონება, მისაკუთრება. „მეზობლებმა ეკალას დაუწყეს პოტინი, მიდგა საქმე მისწრებაზე“ (ქ. გ.).

პოწიალი წოწიალი, თრევა. „აწი დედაშენმაც გამოსცადოს, რაც მე შენს პოწიალში გამოვსცადე“ (დ. გ.; შდრ. ბერ. პორწიალი); მოაპორწიალებს მოათრევს. „შეხედე, რავა მოაპორწიალებს“ (აბესალომი ირინეს; ი. ბ.).

რ

რავარცხა როგორც, როგორლაც. „ერთი ქათამი, რავარცხა იქნეს, მონახე და დამიჭირე“ (ს. დ.).

რაცახა რაღაცა. „რაცახა უბედურებაა!“ (ი. ბ.).

რთმელი მცენარეა. „გზა შეღმართში რთმელის ბუჩქებით იყო შემოსილი“ (დ. მ.).

ს

სავინიცობოთ გასაჭირი შემთხვევისათვის. „ბესარიონს მოატანიეს ალბად წინდაწინ სავინიცობოთ მომარაგებული ფული“ (ს. მ).

სამიდღემჩიოთ სამუდამოდ. „სამიდღემჩიოთ თქვენი მადლობელი იქნება“ (ს. მ.).

საქარი ქარსაცავი, საფარი. „მეზობლებმა საქარი გაჩეხეს ადგილის გასაფართოებლად, საქარი ეკლიანი იყო“ (ქ. გ.).

სვრელი ნახნავის ერთი ნაკვეთი. „მან სვრელი მიიტანა, მძიმედ ამოჰგლიჯა სახვნელი მიწიდან“ (ქ. გ.; ნ. ალავ. სურიელი).

სიმავრი (ს. დ.) სიმამრი.

სუქი-სუქი შეძახილია. „ეკვირინემ დაავლო ხელი წიწილს, თავით ჩარგო გაცხელებულ წყალში, მიატრიალ-მოატრიალა შიგ და თან დასძახოდა: სუქი-სუქი! — ვითომდა ამით გამხდარი წიწილი მსუქნად გადაიქცეოდა“ (ქ. გ.).

სხომის სხვა დროს. „სხომის იყოს!“ (ქ. გ.).

ტ

ტყვილ ფასში მუქთად, ძალზე იაფად. „მიწა-წყალს ტყვილ ფასში ნუ გააყიდვინებ!..“ (ს. მ.).

უ

უტლაკუნებს უპლაკუნებს, აბოლებს. „ის კი დამჯდარა, სახლიდან არ გადის და მხოლოდ ყალიონს უტლაკუნებს“ (დ. მ.).

ფ

ფაფხურობდა შფოთავდა, არ ისვენებდა. „გენერალი დიდი გულადობის გამოჩენას ეპირებოდა და უცნაურად ფაფხურობდა (მემ.); შემოფაფხურდა ქაქანით შემოვიდა, შემობაჯბაჯდა. „აგერ (სცენაზე) შემოფაფხურდა ფილიპე — ვასო ბალანჩივაძე, ჩემი ფილიპე, ნამდვილი ფილიპე“ (მემ.; შდრ. ჰყ. ფაფხური).

ფაყაფუყი ცარიელი მუცლიდან გამოცემული ხმა. „მუცელს ფაყაფუყი გაჰქონდა“ (ქ. გ.).

ფენთხებგამობზეკილი ნეკნებგამოყრილი, ძლიერ გამხდარი. „აქვე მორბის ფენთხებგამობზეკილი სანაშენო მაშკა ღორი“ (ს. დ.).

ფენჯერი აივნის რიკული, მოაჯირი, რომელზედაც ნახვრეტებით გამოხატულია სხვადასხვა სახე. „არჩილი მივიდა ფენჯერთან“ (დ. მ.; შდრ. წერ. დაფენჯრილი).

ღ

ღვეზილი „ღვეზილი დიდი ხაჭაპურია, ყველით და მოხარშული კვერცხებით გატენილი. არშინი, არშინზედ მეტი დიამეტრში, სამი, ოთხი გოჯა სისქით.

ამის გამოსაცხობად კეთდებოდა თხელი ყავრისაგან ერთგვარი კალაპოტი, რომელსაც ჩადგამდენ გაჭიაქებულ ნაკვერცხალში (ნ.) და ჩადებდენ შიგ ვეება ხაჭაპურს. ცომს ზემოდან დააფენდენ ნეშოს და წააყრიდენ ნაკვერცხალს“ (მემ.; შდრ. საბა, ჩუბ., ჟღ. ღვეძილი, ბერ. ღვეზელი).

ყ

ყანყრატო ყელი. ,,ამ წამსვე ყანყრატოში ვეცემი'' (მსხ.).

ყოველისფერი ნ. ყორიფელი „ყოველისფერი მზადაა!..“ (მსხ.).

ყორიფელი, ყოველისფერი ყველაფერი. „ყორიფელი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით (ნ.)“ (ს. მ.).

ყრუალა ნ. ყრუელა „უწინდელ ყრუალა მღვდელთან ვერ მიადარებ ამას“ (მრ.).

ყრუელა, ყრუალა ყრუ, უსწავლელი კაცი. „ასი მანეთის გულისათვის ცელი განათლებულ ყმაწვილს ვიღაც სოფლის ყრუელაში?“ (მსხ.).

ყურყუტი ცდა, ლოდინი. „როდემდის უნდა ვიყურყუტო ამ ღამეში?“ (მსხ.).

შ

შეიკვანტრიშოს იუაროს, იუცხოროს. „გულით რომ არ უნდოდეს, ახლა მაინც არ შეიძლება, ერთი-ორი არ შეიკვანტრიშოს“ (ქ. გ.).

შემფარავი დამხმარე. „ასე აწვალებთ მოხუცებულ დედებს ახლანდელი ყმაწვილები დროზე შემფარავის მოუყვანლობით“ (დ. გ.).

შესთანთქლეს შეყლაპეს, შეჭამეს. „ვინც მეწვია, შესვეს, შესთანთქლეს“ (ქ. გ.).

შეფამფალდა ერთიანად შეირყა. „მოისმა ერთი წკრიალი, სამზარეულო შეინძრა, შეფამფალდა და დარღვევას ეპირებოდა“ (ს. დ.; ნ. შარშ. ფამფალი, ჩუბ. ფანფალი).

შეცაცხუნება შეშინება, დამუქრება. „ერთი ახლა შეუცაცხუნოს საკადრისათ!“ (პ. ღ.).

ჩ

ჩააფრინდა ხელი წააელო. „ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია“ (შერ).

ჩაიჭუჭკა მოიკრუნჩხა. „ჩაჯდა კი არა, უფრო ჩაიჭუჭკა“ (წ. გ.).

ჩაფოხვილი ჩაქოხვილი, დაძველებული. „ჩაფოხვილი, დაბალი სახლის კარებთან იდგა გაფითრებული ავადმყოფი ქალი“ (ქ. გ.).

ც

ცმუტვა-ცერცეტობა მოუსვენრობა. „მიივიწყა უწინდელი ცმუტვა-ცერცეტობა“ (მსხ.).

ცუნდრუკი აჩქარებული, დაუფიქრებელი მოქმედება. „ნუ იცი ყველა კაცთან შენებურად ლაქლაქი, დოურიდებელი ყბედობა, არ

შეგფერის ეგ შენი ცუნდრუკი და კასკასი!..“ (მსხ.; შდრ. შარშ., წერ. ბუნდრუკი).

წ

წათხლაშუნება ახმაურებული ნაბიჯით წასვლა. „გადიძახა და თოხით მხარზედ წათხლაშუნდა სახლისაკენ“ (მიქ.).

წამომჭეხებული ძლიერ გაწითლებული. „... წამომჭეხებულ პირისახეზე ეტყობოდა, რომ ღვინო ზომაზე მეტი დაელია“ (ქ. გ.).

წაფცქვნა წართმევა. „ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუ კი რამე წაგღლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა“ (ს. მ.).

წვარწნა მანჭვა, გრეხვა. „კაი საჩუქარი მერგება, კაი!—ხითხითებდა და წვარწნით ეუბნებოდა პორფირი ხანში შესულ ქალს“ (ქ. გ.).

წკაპანი ხმა. „გაისმა წკაპანი და ლაქა თითებში გაუტყდა“ (დ. მ.; შდრ. საბა წკაპნი, მენთ. წკაპი).

წკეპელი წკეპლა, წვრილი წკნელი. ცხენს ორიოდე წკეპელი გადაჰკრა“ (ს. დ.; ნ. საბა წკეპლი, ჩუბ., მენთ. წკეპლა; შდრ. შარშ. წკეპვლა).

წკიპზე იყო შემდგარი განწყობილი იყო საჩხუბრად, რისთვისაც პატარა მიზეზს ეძებდა. „ოტიას ბიძაშვილი ბესარიონი უკვე ვიღაცას წალაპარაკებოდა და წკიპზე იყო შემდგარი, ჩხუბის დაწყებას ეპირებოდა“ (ქ. გ.; შდრ. ჟყ., ჟღ. წკიპი).

წრიპა ნ. წრიფი. „ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა ერთი წრიპა ქათმის გულისათვის“ (ს. დ.).

წრიფი, წრიპა ფიზიკურად სუსტი, გამხდარი. „ვიცი, რაზე დაწანწალობს მაგ წრიფი, მაგ მათხოვარა!..“ (ი. ბ.).

წუნწკლიანი მწვირიანი. „ასე რავა უნდა გადაათელიო თავი იმ წუნწკლიანს“ (ბ. ღ.; ნ. ალავ. წირწკლი).

წყალმაჭარა (ი. ბ.) დაუწურავი ყურძნისაგან მიღებული წყალნარევი ღვინო.

წყალხავალი ღელე, თხრილი. „კარავთან, ღობის დაყოლებით, თავშეყრილ ნიალერებს წყალსავალი გაეკეთებია“ (მიქ.).

წყვეტება ყოყმანი. „პლატონი ერთ წყვეტებაში იყო“ (ს. დ.).

ჭ

ჭადისჭადი ჭადის (მცენარეა) ნამცხვარი. „განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს სამზარეულოში, როცა ღვეზილებს (ნ.) აცხობდენ ან დიდ ჭადისჭადს“ (მემ.).

ჭმევა-სმევა (ბ. ღ.) სმა-ჭამა.

ჭნეხვა წნეხვა. „მოჰყვა გულმოდგინედ ყურძნის ჭნეხვას“ (ქ. გ.).

ჭოჭრი კაკვი, ლარძაყინი. „მოწნა კარავი მიქელამ, ზევიდან ჭოგრები გაუდვა“ (მიქ.).

ჭყრიალი ქვიშილ-ხვიშილი. „ბუჩქებში ჩიტებს გაჭქონდათ ჭყრიალი“ (დ. მ.).

ხ

ხათქახუთქი ბათქაბუთქი, ხშირი და ძლიერი სროლა. „ამ ხმაურობას შეუერთდა მოსულთა ჟრიამული, თოფების ხათქახუთქი“ (ს. დ.; ნ. ბერ.).

ხალვა ჩამოყრა, მორეკვა. „ნიგოზს ვხალავდი“ (მსხ.).

ხაპი ჯოხზე დამაგრებული ფართოპირიანი ხრიკის მსგავსი ხელსაწყო. „— ორშიმო რომ გამიტყდა, (ღვინო) რით ამოვიღო? — აწრიალდა ოტია. — ხაპით ამეიღე, შვილო, საპით, არაფელი უჭირს (ქ. გ.; ნ. საბა, ჩუბ., ჭყ., ჟღ., მენთ.; შდრ. ალავ. ხოპე).

ხმელაჭადი მარტო მჭადი. „ხმელაჭადი და ლობიო მიუტანეთ“ (ს. დ.).

ხულა სასიმინდე, ნალია. „მოშორებით იდგა ხულა სიმინდისათვის“ (მემ.; შდრ. საბა, ჩუბ.).

ჯ

ჯაგი ეკლით გაუვალი ჩირგვი. „დასწყეელა ღმერთმა ის დღე, როცა მაგ ოხერი იმ ჯაგებში დასახლდა“ (ბ. ღ.; შდრ. საბა, ჩუბ., ჟღ. ჯაგნარი, წერ. ჯაგო).

ჯახრაკი ძლიერ გამხდარი. „გრძელი წკეპლის ცემით მიერეკებოდა ჯახრაკ ცხენს“ (ს. დ.; ნ. ბერ. ჯახრიკი).

ჯერეთ ჯერ. „ჯერეთ არ დამმართია ამისთანა საქმე“ (ს. მ.).

ჯიგლიგი ხმაური, შეხლა-შემოხლა. „შეიქნა ერთი ყვირილი, ჯიგლიგი“ (ქ. გ.).

ჯლიგინით აჩქარებითა და ხმაურით. „ჯლიგინით მიერეკებოდენ საქონელს“ (ს. დ.).

ჯოჯო დაბალი და მახინჯი ადამიანი. „ჯოჯო არ მომითრიო, ცოტა მოლამაზო იქნეს!“ (დ. მ.).

ჯუჯრუტანა ჟუჟრუტანა. „მარიკო ადგა, მივიდა კედელთან, მონახა ჯუჯრუტანა და კედელს მიეკრა“ (მრ.).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

ქეთევან სანიკიძე

თელავის სემინარია და დავით რექტორი *)

XVIII საუკუნიდან განსაკუთრებული ჩქარი ტემპით ვითარდება საქართველოს კულტურული აღორძინება. ევროპეიზმით გატაცებული ფეოდალური საქართველოს კულტურული ძალები უკავშირდებიან რუსეთს, რომ ევროპულ-რუსულ კულტურას ეზიარონ. იწყება მისვლა-მოსვლა, რუსეთში იგზავნება ქართველი ახალგაზრდობა სწავლის შესაძენად, სწავლობენ რუსულ ენას, ეცნობიან რუსულ კულტურას, სთარგმნიან წიგნებს რუსულიდან ქართულად. [1] ცოდნაშეძენილი ქართველი ახალგაზრდობა ბრუნდება საქართველოში. არსებული ძველი სკოლები ვეღარ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებას. ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულმა ირაკლი მეორემ რუსეთიდან გამოიწვია ნიჭიერი და მომზადებული ექსკათოლიკოსი ანტონ პირველი, რომელიც თავის უფლებებში აღჯგენით განათლების საქმეთა მეთაურად დანიშნა. 1762 წელს საქართველოში დაბრუნებული ანტონ პირველი, გატაცებული კულტურული საქმიანობით, გულმოდგინედ შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. რუსეთში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ,ანტონი შეუდგა ყრმათათვის სკოლების დაარსებას და სახელმძღვანელო წიგნების შედგენას..." [2] ამრიგად, ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით ორი სემინარია გაიხსნა თბილისსა და თელავში რუსული სემინარიების ყაიდაზე, სადაც ისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, ფილოსოფია, მათემატიკა და ღვთისმეტყველება. აღნიშნულ სასწავლებლებს ხარჯი მეფისაგან ეძლეოდათ. [3] ახლად დაარსებულ სემინარიებისათვის რუსუ-

*) წაკითხულია მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა V სამეცნიერო კონფერენციის სხდომაზე 1943 წ. 23 მარტს.

[1] აკად. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია. ტ. I. 1941, გვ. 71.

[2] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა. გვ. 152-3; აკად კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1923. გვ. 87.

[3] ქართლის ცხოვრება. ნაწ. II. გვ. 505: *Hist. mod de la Geor.* II, 2, გვ. 88: ჟურ. „ივერია" 1879, VII-IX, გვ. 69; აკად. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტორია, I. 1923, გვ. 398; თბ. უნივერსიტეტის შრომები, 1937, ტ. I, გვ. 316.

ლიდან სთარგმნიდნენ და ადგენდნენ საჭირო სახელმძღვანელოებს, რადგან ამ დროისათვის, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვუკ. ბერიძე, უკმარ იყო წინადაარსებული წიგნები, განსაკუთრებით ზუსტი მეცნიერებიდან, რის გამოც მიმართავდ[ენ] რუსულსა ან რუსულიდან თარგმნილ ევროპელ მეცნიერთა გამოძიებას და გადმოჰქონდათ ტფილისისა და თელავის სემინარიებში. [1])

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს დავით რექტორის მოღვაწეობა თელავის სემინარიაში.

დავით რექტორის სახელით ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფი და პედაგოგი დავით ალექსის-ძე ალექსიშვილი (1745-1824) შეგირდი ანტონ კათოლიკოსისა, დიდი გავლენით სარგებლობდა ირაკლი მეორის კარზე. იგი გაიოზ რექტორის რუსეთში გადასვლის შემდეგ დანიშნული იქნა თელავის სემინარიის რექტორად და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

თელავის სემინარია ბასილ დიდის სახელობისა [2]) დაარსებულია, როგორც ამას პროფ. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, 1782 წლის 28 მაისს. სემინარია დაარსებული ყოფილა რუსულ-სლოვენურ სასულიერო სასწავლებლის მიხედვით. სემინარიაში სწავლა-აღზრდა კლერიკალურ-სქოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა. საერთოდ მთავარი ყურადღება მიქცეული იყო საგრამატიკო დისციპლინის შესწავლაზე. თელავის სემინარიის პირველ რექტორად დანიშნული იყო გაიოზ არქიმანდრიტი. [3])

სასწავლებლისა და სწავლის ორგანიზაციის მოწესრიგებას აწარმოებდნენ ანტონ პირველი, გაიოზ რექტორი და დავით ალექსიშვილი, რომლებიც დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ სახელმძღვანელოების თარგმნასა (რუსულიდან) და შედგენაში. [4])

დიდია დავით ალექსიშვილის ღვაწლი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში. ამ დარგში მას დიდი შრომა გაუწევია და უამრავი სახელმძღვანელოები შეუდგენია სხვადასხვა საგნებისათვის. მაგალითად, გეოგრაფიაში, არითმეტიკაში, [5]) მისივე მონაწილეობით უნდა იყოს დამუშავებული ალგებრისა, გეომეტრიისა [6]) და

---

[1]) თბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 328.

[2]) *Q* 401.

[3]) პროფ. ალ. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, გ. 51. (სწავლა აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალები, ტ. I, 1937).

[4]) აკად. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 79.

[5]) А. Цагарели, Сведения... в. 3, გვ. 229.

[6]) А. Хаханов, Очерки... გვ. 284.

ფიზიკის[1]) სახელმძღვანელოებიც, აღსანიშნავია აგრეთვე მორალურ-ფილოსოფიური შრომებიდან სასკოლოდ შედგენილი „აღსარების წიგნი მოწაფეთათვის“[2]) და „ოთხნაწილედი სწავლანი“.[3]) დავითს ქართული გრამატიკაც კი გაულექსავს.[4]) სახელმძღვანელოთა გამრავლებას (გადაწერას) ხომ ანგარიში არა აქვს.

რუსულ-სლოვენური სასწავლებლის წესის თანახმად[5]) სასწავლო წლის ბოლოს 1783 წლის მაისის 28-ს თელავის სემინარიაშიც გამართულა საჯარო პაექრობა (დისპუტი), ე. ი. მომხდარა ჩატარებული მუშაობის შეჯამება (შეფასება), სადაც უნდა გამომჟღავნებულიყო მასწავლებელთა და მოწაფეთა მუშაობის თეორიული მომზადების დონე. ეს პაექრობა საზეიმო ხასიათისა ყოფილა. იგი შესდგებოდა პარაკლისებისა, ლოცვებისა, მეფისწულთა ხოტბებისა და ანტონ პირველისადმი მიძღვნილი სამადლობელისაგან, გაწეული ამაგის გამო. გაიოზ რექტორის საბოლოო სიტყვაში ყურადღების ცენტრად საგრამატიკო დისციპლინის შესწავლის საქმე ყოფილა. აღნიშნული პაექრობის ოქმი ჩვენამდე მოღწეულია დავით რექტორის ხელით გადაწერილი 1792 წლისა.[6])

1783 წელს გაიოზ რექტორი განსაკუთრებული დავალებით რუსეთს მიემგზავრება (ცნობილი გეორგევსკის ტრაქტატი 1783 წ. 24 ივლისი). თელავის სემინარიის რექტორად — კი ინიშნება დავით ალექსიშვილი.

დავითის რექტორად დანიშვნის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: პ. უმიკაშვილის ცნობით „დავითი თელავის სემინარიაში რექტორად დადგა 1784 წელსა, ე. ი. დაფუძნების პირველსავე წელს, როდესაც გაიოზი რუსეთს წავიდა“-ო[7]) ამასვე იმეორებს პროფ. ალ. ხახანაშვილიც „В управление семинарией он (დავითი) вступил в 1784 г.“[8])

ყოველი მოღწეული ცნობებით გაიოზის შემდეგ სემინარიის რექტორად იყო დავითი, რომლის ხელმძღვანელობის შეწყვეტასთან ერთად დასრულდა თელავის სემინარიის ისტორია.

---

[1]) უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 319.

[2]) *S* 65.

[3]) *H* 2144.

[4]) ჟურ. „დროება“, 1925, № 24, გვ. 22.

[5]) Е. Медынский, История рус. педагогики, М. 1938, გვ. 43.

[6]) ჟურ. „მოამბე“, 1902. V; პროფ. ალ. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში. გვ. გვ. 51-53.

[7]) გაზ. „ივერია“, 1877 № 39, გვ. 10.

[8]) Ал. Хаханов, Очерки..., გვ. 284.

ჩვენამდე მოღწეულია ირაკლი მეორის ბრძანება, სადაც ნათქვამია: „ჩვენ მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ ალექსიშვილი დავით. ასე რომ მოწაფეთ შემოგიკრეფთ და ფილოსოფია უნდა მოასმენიო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერა, და ჯამაგირად და ულუფად გაგიჩინეთ ნიადაგ წელს, რაც ამ ნუსხაში სწერია, უკლებლად მოგეცეს მღვთით...“ [1]) აქედან უკვე ნათელი ხდება, რომ თელავის სემინარიას გაიოზ რექტორის წასვლის შემდეგ მუშაობა შეუწყვეტია და მხოლოდ დავითის რექტორად დანიშვნის შემდეგ განუახლებია, ამიტომაც მოწაფეთა ხელახალი „შეკრება“ მომხდარა.

ბრძანებაში აღნიშნულია სწავლებისათვის (ხელმძღვანელობისათვის) სათანადო გასამრჯელო (ხელფასი) და ჩამოთვლილია ობიექტები, საიდანაც ეს გასამრჯელო გაიცემოდა.

„ე. ქ. ჩვენიდამ მოგეცემა ხუთი თუმანი,

გ. პ. ქ. დედოფლიდამ მოგეცემა სამ თუმან ნახევარი.

დ. ქ. აღავერდიდამ მოგეცემა ოთხი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო.

ე. ქ. მოძღვართ მოძღვარმა ხუთი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო.

დ. ქ. კარის წინამძღვარმა ოთხი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო.

ბ. ჰ. ქ. ბოდბელმა ოთხ თუმან ნახევარი.

ა. ქ. ნეკრესელმა ერთი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო.

დ. ქ. პური მოგეცემა სურსათიდამ ოთხი ხალვარი.

ქ. ესეები უკლებლად მოგეცემა მღვთით. სეკდემბრისა კა (21), ჩკს უოც (1790)“ [2]) (საბუთი ირაკლი მეორის ბეჭედ დასმულია).

ზემოდმოტანილი საბუთის მიხედვით ცხადი ხდება, რომ დავითის რექტორად დანიშვნა მომხდარა არა გაიოზ რექტორის წასვლისათანავე, როგორც პ. უმიკაშვილი და პროფ. ხახანაშვილი ფიქრობენ, არამედ გაცილებით გვიან, სახელდობრ, 1790 წლის 21 სექტემბრიდან, როგორც ამას პროფ. ვუკ. ბერიძე აღნიშნავს. [3])

დავითის წლიური ხელფასი განისაზღვრებოდა 26 თუმნით (260 მანეთით) ფულად, ნატურით კი 4 საპალნე ღვინო და 4 ხალვარი პურით.

---

[1]) *Qd* 1068; უნივერსიტეტის შრომები, I, გვ. 316, შენიშვნა.

[2]) *Qd* 1068; უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ.

[3]) უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. გვ. 316.

ირაკლი მეორეს იმ დღესვე დაუგზავნია სათანადო განკარგულებები ზემოხსენებულ ობიექტებისადმი, რომ სემინარიაში რექტორად გამწესებულ დავით ალექსიშვილისათვის ხელფასის სახით გადადებული ყოფილიყო ბრძანებაში აღნიშნული გასამრჯელო. მაგალითად, მოძღვართ-მოძღვრის ბრძანებაში ნათქვამია: ,,... შეგირდები მივაბარეთ და იმისათვის განუჩინეთ ეს ულუფა. თქვენის ეკლესიის ყმიდამაც უნდა მიებაროს''.[1])

აღნიშნული ამონაწერით ცხადი ხდება, რომ 1790 წლის სექტემბერში მოწაფეთა ხელახალი შეკრება მომხდარა და სწავლა განუახლებიათ. ამრიგად, ირკვევა, რომ 1783-1790 წლებს შორის თელავის სემინარიაში მუშაობა შეწყვეტილი ყოფილა.[2])

დავითი დიდი ენერგიითა და სიყვარულით შედგომია დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მას მეფის ყურადღება დაუმსახურნია და სათანადო მადლობაც მიუღია: ,,შენი დიაღ დიდი გარჯა და შრომა გვესმის. დიაღ მადლიერნი ვართ. შენ იცი რასაც უმეტესსა ეცდები და ღვთით მაგ ქვეყანაშიდ კეთილს ნაყოფს გამოიღებ და ღვთისა მიერ შენდა რწმუნებულს ტალანტს [ა]ღნადგინებითურთ მიართმევ. [ამ]აზე სარწმუნო იყავ, რომ შენი შრომის მაგიერ ჯილდოს მიიღებ [ს]ულიერადაც და ხორც[იელად. ს]ექტემბრის გ (3) ქკს უპ'' — (1792).[3])

დავით რექტორის ღვაწლით კმაყოფილი მეფე ირაკლი მადლობასთან ერთად მოუწოდებს მას მეტი მუშაობისაკენ. დავითმა გაამართლა ირაკლი მეორის ნდობა და თვისი მუყაითი შრომით წინ წასწია სემინარიის საქმე. სემინარია ,,უპირველესი'' შეიქნა საქართველოს სასწავლებელთა შორის.

დავითს რუსული სკოლების ყაიდაზე მოუწყვია სემესტრული შემოწმება დისპუტებისა და პაექრობათა სახით.[4]) ერთ-ერთი ასეთი პაექრობათაგანი მოწყობილი ყოფილა თელავში თვით სემინარიის შენობაში 1791 წლის 16 თებერვალს. ამ დროს თელავის სემინარიას სწვევია ვახტანგ ბატონიშვილი. დავითს მისი სტუმრობა ზეიმით აღუნიშნავს და იამბიკოთი შესხმა უთქმევინებია მოწაფეთათვის: ,,ეს იამბიკო მე ალექსოვმა ალექსის-ძემ მაღალკეთილშო-

---

[1]) *Qd* 1065.

[2]) ამ დროისათვის მარტო თბილისის სემინარია დარჩენილა იოანე ოსეშვილის რექტორობით (იხ. *S* 3667; აკად. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, 1923, გვ. 426).

[3]) *Qd* 1069; უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ.

[4]) Е. Мединский, Исторня рус. педагогики. გვ. 43.

ბილმან დავითმან ჩემს მოწაფეთ მოვახსენებინე ვახტანგ ბატონიშვილისათვის თელავს სკოლაში. მარჯვნივ და მარცხნივ თქმითა თითო თითოს მიმოგდებით. ახლად იყო ჰსწავლის დაწყება და ესენი გაუკეთე".[1])

ასეთივე შესხმა, პაექრობა გამართულა 1791 წლის 2 აპრილს, რომელსაც დასწრებია დავით ბატონიშვილი.[2]) მოწაფეთაგან შესხმას დიალოგის სახე ჰქონია, სადაც შექებული ყოფილა დავით ბატონიშვილის სიმხნე და მამაცობა.

ამგვარი პაექრობანი (თავისებური შეჯიბრი და უბნობა) ხშირი ყოფილა თელავის სემინარიაში. პაექრობას ადგილი ჰქონია არა მარტო მოწაფეთა შორის, არამედ მოწაფეებსა და უკვე კურსდამთავრებულებს, ე. ი. ყოფილ მოწაფეთა შორისაც. მაგალითად, თუ „კალმასობის" ავტორს იოანე ბატონიშვილს დაუჯერებთ, მოწაფედ ყოფილ იოანე ბერს, იბარებს დავითი „ეგზამენებზე" (გამოცდებზე) დასასწრებლად, „ხვალე მოჯი მეცხრე საათსა, აქ ჩვენის მოწაფეების ეგზამინია და უნდა შენ გებაასნენ და იმათ სიტყვა მიუგო"-ო.[3]) გამოცდებს საჭირო პაექრობისა და ზეიმის ხასიათი ჰქონია, როგორც იოანე ბატონიშვილი აღწერს, ამ დროისათვის გამოცდებს, გარდა ვალდებული პირებისა გარეშენიც ესწრებიან. გამოცდები წინასწარ შემუშავებული წესით (პროგრამით) მიმდინარეობს. სრულ ცხრა საათზე „იოანე მივიჯა სკოლად და ნახა მუნ შეკრებილნი თავადნი და სამღვდელონი, და ცალკერძო მოწაფენი რექტორისანი, და რექტორი შუა ადგილს თავსმჯდომელი. რა ეს განკარგულება იოანემ იხილა, მოიწონა და პირველ დაიწერა პირჯუარი და თაყუანი სცა ხატსა, უკანასკნელ მიართო სალამი რექტორსა, მერმე სამღვდელოთა და მერეთ თავადთა, აგრეთვე მოწაფეთა.[4]) მისალმების შემდეგ იოანე იკავებს მისთვის წინასწარ განმზადებულ ადგილს შესაფერი სამეცნიერო წიგნებით მომზადებულს. როდესაც რექტორის მიერ გაიხსნა საგამოცდო პაექრობა მოწაფეები მორიგეობით ეკამათებოდნენ იოანეს. აღნიშნული საგამოცდო სესიები ჩატარებული უნდა ყოფილიყო 1797 წლის ახლო ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ ძაძებით მოსილი დავითი ცოლზე მგლოვიარედ იყო.[5])

---

[1]) S 105, გვ. 73.

[2]) S 105, გვ. 86.

[3]) კალმასობა, ტ. I, თბ., 1936, გვ. 74.

[4]) კალმასობა, გვ. 74.

[5]) კალმასობა, გვ. 70-71; გოგია ხმალაძის წერილი (საბინინის კოლექცია 18).

თელავის სემინარიაში ცნობილია აღზრდის მკაცრი დისციპლინა. საერთოდ ფიზიკური აღზრდის მკაცრ დისციპლინას ჩვენში ძველიდანვე ჰქონია ადგილი. მოწაფეთა ფიზიკური დასჯა საყოველთაოდ მიღებული იყო. მას იცავდა სულხან-საბა ორბელიანი,[1] ხოლო დავით გურამიშვილი მოითხოვდა კიდეც, როგორც კარგი წვრთნის საუკეთესო საშუალებას:

ნუ გენაღვლების სწავლაზე
ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ
მისი წყლულების ტკივილი,[2]

რადგანაც მოსწავლის

... წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს
საუკუნოდ ცეცხლში ბმათა![3]

სასჯელს, ,,გაწკეპლას'' თავისებური დასაბუთება ჰქონდა ,,დანაშაული ყოველი უნდა დაისაჯოს, თვინიერ სასჯელისა კაცი კაცად არ ეღირებაო''.[4]

ზემოხსენებული აღზრდის მეთოდი რუსულ სკოლებშიაც ყოფილა გაბატონებული და მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას, ,,ცემა-ტყეპას'' იქაც არანაკლები აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონია მიკუთნებული.[5]

ასევე თელავის სემინარიაშიც დიდი გასაქანი ჰქონია მოწაფეთა ფიზიკურ დასჯას. მაგალითად, იოანე ბერის სიტყვებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთ ფეხშკრულს სცემდნენ[6] და ზოგჯერ ლობიოს კაკლებზედაც აჩოქებდნენ ხოლმე.[7]

ზოგნი თანამედროვენი აღარ იზიარებდნენ დავით რექტორის რუტინულ-აღმზრდელობით მეთოდს და კერძოდ იოანე ბატონიშვილი გატაცებული იყო ევროპული კულტურის ახალი იდეებით. იგი დაჟინებით მოითხოვდა სასკოლო საქმის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას.[8] მან მოხდენილი ჰიუმორით სცადა მოეცა თავის

---

[1]) სიბრძნე-სიცრუისა, თბ. 1938; პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები... ტ. II, გვ. 257-259.

[2]) დავითიანი, თბ. 1931, გვ. 13, § 23.

[3]) იქვე, გვ. 22, § 61.

[4]) სწავლა-აღზრ. ისტ. საქართ., ტ. I, გვ. 145.

[5]) Е. Мединский, История рус. педагогики.

[6]) კალმასობა, გვ. 68.

[7]) გაზ. „ივერია", 1877, № 39, გვ. 11.

[8]) აკად. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., ტ. I, 1941, გვ. 79.

,,კალმასობაში'' ფიზიკური დასჯის უარყოფითი მხარეები.[1]) ,,კალმასობაში'' მოტანილია შემდეგი სცენა: ,,... იოანემ (ბერმა) მსწრაფლ კარი გააღო და შევიდა სახლსა მას შინა, სადაც რექტორი მყოფობდა, იხილა ზურგით კერძო მჯდომარე, ძაძით და მასთან კატა ერთი, თაბალა შეყრილი ფეხებში და უწყალოცემული, რომელიც საწყლად ჩხაოდა; და ესმოდა ხმა ამასთან: ,,კვალად იქმ ქურდობასა?'' გარნა რექტორმან ვერა სცნო იოანეს მუნ მისვლა; რა იოანემ კატა ესგვარსა მდგომარეობასა შინა იხილა, თქვა: გმადლობ შენ უფალო, ჩვენი ფეხები, მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყვნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გამოვსცნა, თუ რაისა სწავლისათვის ასე უწყალოდ სტანჯავს? და მაშინ შემბრალე იოანე წინ წარდგა და ჰრქვა: მოძღვარო! რა შეცოდება აქვს მაგ საბრალოს,... ანუ რას ასწავლიდით? — თევზი მომპარა და შეჭამა, და ამისათვის ვცემდი, ქურდობა მოვაშლევინოო''.[2]) — პასუხობს რექტორი.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში იოანე ბატონიშვილმა მოსწავლისა და კატის დასჯას შორის გავლებული პარალელით ნათელჰყო არსებული აღზრდის მეთოდის უვარგისობა და უშედეგობა.

თუმცა იოანე ბატონიშვილმა გაილაშქრა ფიზიკური დასჯის პირუტყული ,,ცემა-ტყეპის'' მეთოდის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საერთოდ თელავის სემინარიისა და მისი ხელმძღვანელობის უარყოფას, ან ცუდ შეფასებას. ზოგიერთ ნაკლოვანებათა მიუხედავად თელავის სემინარიაში სწავლა-აღზრდის საქმე წარმატებით მიდიოდა. არა ერთი და ორი წარჩინებული შეგირდი გამოუშვა ამ სემინარიამ. თვით იოანე ბატონიშვილი მუდამ პატივისცემითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა დავით რექტორის ცოდნასა და პედაგოგიურ საქმიანობას. დავით ალექსიშვილის მოწაფეებმა, ამბობს იოანე ბატონიშვილი, ,,მიიღეს სწავლა აზნაურებითი კეთილად, და ისტორია და ხელწერილთა წერა მხედრულ ხუცურისა, დია მშვენიერ, და სხვეებრ სიბრძნითაცა ქებულნი გამოვიდნენო''.[3])

დავითმა შემოიღო სწავლების ისეთი მეთოდიკა (კაზმულსიტყვაობისა და მხატვრული კითხვისა), რომლითაც შეგირდებს ავალებდა ნასწავლის მიხედვით ახალი შემოქმედებითი შრომის შექმნას და შემდეგ მის საჯაროდ გამოტანას. აქაც იგი შეგირდებთან ერ-

[1]) დოც. ტრ. რუხაძე, ქართ. ეპოსი „გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში. გვ. 89.

[2]) კალმასობა, გვ. 68-69.

[3]) მცირე უწყება... გვ. 43.

თად თვითონაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. შეგირდებს შრომას აჩვევდა და მუშაობის ხერხებს აცნობდა. მაგალითად, მის ნაწერთა კრებულში (S 105) ვკითხულობთ: „ეს იამბიკონი, მე ალექსოვმა ალექსის ძემ მაღალკეთილშობილმან დავითმან ჩემს მოწაფეთ მოვახსენებიე ვახტანგ ბატონიშვილისათვის თელავს სკოლაში. მარჯვნივ და მარცხნივ თქმითა თითო თითოს მიმოგდებით. ახლად იყო ჰსწავლის დაწყება და ესენი გაუკეთე". (S 105, გვ. 73). ამრიგად, დავით რექტორს თვითონ შეუდგენია თავისი შეგირდებისათვის შესაფერი იამბიკო და საჯაროდ ეთქმევინებია.

მეორე შემთხვევაში ჩვენ ვკითხულობთ: „... ირაკლი მეორის მეფის ძის გიორგის ძეს დავითს შესხმით უგალობთ ირიკოთა ამათ თელავს ქალაქსა შინა სამეფოსა პალატსა სემინარიასა ზოგად მოწაფენი ალექსის ძე დავით რექტორისანი..." (S 105, გვ. 86). აქ უკვე შესხმას თვით ადგენენ შეგირდები, რასაკვირველია, დავითისავე ხელმძღვანელობით და დახმარებით და სხვა. დავითი შემდეგშიაც დახმარებას უწევდა ყოფილ შეგირდებს, ასწორებდა და „ჩარხავდა" მათს შრომებს, რასაც ადასტურებს დავითისათვის გასასწორებლად გამოგზავნილი შრომების მინაწერები და კერძო წერილები დავით და თეიმურაზ ბატონიშვილებისა.[1])

თვით დავით რექტორის შეგირდები შემდეგში იკვეხდნენ: „ვიყავით თელავში შეგირდათ დავით რექტორთანაო".

მეფე ირაკლის სიცოცხლეში დავითის შრომას სათანადო ფასი და ღირსება ახლდა, რის გამოც არა ერთი ჯილდო და მადლობა რგებია მეფისაგან. იგი შეიქნა „უპირველესი მოძღვარი საქართველოს სასწავლებელთა",[2]) ცენტრი კი გახდა თელავის სემინარია, რომელმაც გაუსწრო რუსული ყაიდის სკოლებს და საკვლევო სამეცნიერო დაწესებულებად იქცა.

ირაკლი მეორის გარდაცვალების (1798 წ.) შემდეგ შინაური საქმეები აიწეწა. ტახტის მემკვიდრეთა შორის ატეხილ უთანხმოებას აჰყვნენ დიდგვარიანი ფეოდალები. შინაურ უთანხმოებასა და უწესრიგობას თან მოჰყვა 1801 წელს მეფის რუსეთის შემოსვლა. მეფის რუსეთის მოხელეების საქართველოში დამკვიდრებამ უფრო მეტი აურზაური და შინაური უთანხმოებანი გამოიწვია. ისინი თავიანთი ძალაუფლების გამტკიცების მიზნით ცდილობდნენ ადგილობრივი ძალების დაშლა-დაქსაქსვას. ამასთანავე დაკეტილ იქნა

[1]) *H* 2169; S 4794, რვ. I, ფრ. 28; ქუთ. მუზეუმის ხელ. 216, გვ. 1-2.
[2]) S 4794, რვ. I, ფრ. 28.

თელავის სემინარიაც. აღნიშნულის გამო დავით რექტორი მოგვითხრობს, მის მიერ რედაქცირებულ საბასეულ ლექსიკონში სიტყვის ,,საყოფაქცევო'' განმარტების ბოლო მინაწერით ,,მას ჟამსა რუსნი მოვიდეს, იმპერატორებსა ალექსანდრე პირველისასა, ძისა პავლე პარველისა იმპერატორისა, და სხოლა შეურაცხჰყვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირადპირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალნი ბოროტნი მოაწივნეს ჩემსზედა. რედაქტორი დავით, თვესა ივნისსა 8. ქრონიკონს უპთ'' ე. ი. 1801 წ.[1])

აქედან ირკვევა, რომ მეფის რუს მოხელეებს ჩამოსვლისთანავე სემინარია დაუკეტიათ და თვით რექტორისთვისაც საკმაო დიდი შეურაცყოფა მიუყენებიათ. იგი თავისი ბარგით ყოფილა გამოდევნილი სემინარიიდან.

საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების გამო იწყება კახეთის დიდგვარიანთა განდგომა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო მათი პრივილეგიებისა და უფლებრივი თუ მატერიალური მდგომარეობის შელახვით.[2]) ამის გამო 1802 წელს მომხდარა კახეთის თავადების აჯანყება. აჯანყებულთა დაპატიმრებისას პატიმრობაში მოჰყოლია დავით რექტორიც.[3]) როდესაც არ დადასტურებულა შეთქმულებაში მისი მონაწილეობა, იგი გაუთავისუფლებიათ.

1803 წელს დავითი კიდევ თავის სკოლის საქმით გაბოროტებული და სახადისაგან შეშინებული კისისხევშია შეხიზნული, რასაც ადასტურებს ლექსიკონშივე შემონახული შემდეგი ცნობა: ,,კისისხევსა ვარ, თელავიდამ ლტოლვილი მომსვრელის სენისაგან და შეწუხებული ამასა ვწერ საქონელ დაკლებული და რუსთაგან აკლებული, დეკემბრის ივ (16) ქრონიკონს უჟა (1803), რეკტორი დავით''.[4]) ამასთანავე იგი სწერს ერთ თავის მოწაფეთაგანს, მღვდელ იოანე ციცქიშვილს: ,,რა შენ თელავიდამ წამოხველ და გამეყარე, შენს შემდგომად რამდენი განსაცდელი და მწუხარებები შემემთხვა. ყოველივე რომ მოგწერო დია გრძლად მოვა... სიმართლის მომქმედთ რუსთ სკოლა წამართვეს და რომელიც შენობისას ხელაშვილის სახლები გავაკეთე... ისიც წამართვეს. იმავ ძაღლმა სუდიამ სამგზის წყეულმა. იქიდამ გამომაგდეს. მორდლის შვილი

[1]) Q 401, „საყოფაქცევო"; უნივერსიტეტის შრომები, I, გვ. 317.

[2]) О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году, стр. 89 („Историк Марксист", 1940, III).

[3]) Акты... ტ. I, გვ. 366, 373, 385.

[4]) Q 401. „იუსტოს"; უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 318.

ნინია გაქცეული იყო, სახლები ცარიელი იყო, იმათივე დასტურით, შილდას ნინიას წიგნი მივსწერე და იმათს სახლებში დავსდეგ. ერთ წლამდე ვიდეგ, ერთი ქრისტესაგან სამგზის წყეული ან შეჩვენებული ლეკარი ასტყდა, თუ რამე მებადა; ან პური, ან სტოლები, ან ორმოცი ფიცარი, ტომრები, რაღა გითხრა, ყოველივე სახლის მოსახმარი: სკამები, კრაოტები, ყოველივე იმან წამართვა. სამართალი ვერ ვიშოვე. ჰირი გაჩნდა... მე კისისხევს სემონ მდივანისას ბარგით, მარიამა კაციათი ჩაველ...“ [1])

აღნიშნულით დასტურდება, რომ დავითისათვის მთელი სასკოლო და ნაწილობრივ პირადი ინვენტარი წაურთმევიათ და იგი, მსახურების თანხლებით კისისხევს შეფარებული, კიდევ სკოლის აღდგენაზე ოცნებობს, რაც ოცნებადვე დარჩა.

როდის უნდა გაუქმებულიყო თელავის სემინარია?

აღნიშნული ფაქტის თარიღად პროფ. ვუკ. ბერიძე 1803 წელს სდებს, როდესაც დავით რექტორი კირისხევშია თავშეფარებული.[2]) მაგრამ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, 1801 წლიდან რუსებმა „სხოლა შეურაცხჰყვეს“, თვით დავითს კი „პირად პირადნი განსაცდელნი შეამთხვიეს“ და სკოლიდან განდევნეს. თეიმურაზ ბატონიშვილის ბროსესადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: დავით ალექსიშვილს... „დიდი სასწავლებელი ჰქონდა გამართული კახეთის ქალაქსა შინა თელავს, სამეფოს პალატის ნაწილშია და იქ ასწავლიდა მამიჩემის მეფის (გიორგი XIII) გარდაცვალებამდეო“ [3]) ე. ი. 1801 წლამდე. ამრიგად, თელავის სემინარიამ დავითის ხელმძღვანელობით მხოლოდ 1790-1801 წლამდე იარსება.

სემინარია 1801 წლიდან უკვე აღარ არსებობს.[4]) დავითი ყოველ ღონეს ხმარობს სკოლის აღდგენისათვის. თუმცა საქმე სასამართლომდეც მიიტანა, მაგრამ მისიცე საზიანოდ დამთავრდა და დარჩენილი ინვენტარიც კი წაართვეს. ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ასეთ ზრუნვას ის 1806 წლამდე განაგრძობდა,[5]) რის გამოც ეკონომიურად და მორალურად განადგურებული თელავსა და მის მახლობელ სოფლებში დაეხეტებოდა, რომ თავისი საყვარელი საქმისათვის ეშველა. მაგრამ საბოლოოდ იმედდაკარგული 1806 წელს სტოვებს თელავს და გადადის თბილისში საცხოვრებლად.

---

[1]) გაზ. „ივერია“, 1877, № 39, გვ. 12.
[2]) უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 318.
[3]) S 4794, რვ. I, გვ. 28.
[4]) აკად. კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 79.
[5]) გაზ. „ივერია“, 1877, № 39, გვ. 10.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

დავით გრეგაძე

შოთა რუსთველი და პეტრე ლარაძე

სახელგანთქმულმა ქართველმა მგოსანმა შოთა რუსთველმა მომდევნო საუკუნეების ქართული მხატვრული ლიტერატურა თითქმის მე-19 საუკუნემდე თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. შოთას მიბაძვა საერთო სავალდებულო ნორმად გადაიქცა. ის პოეტი შემოქმედად არ ჩაითვლებოდა, ვინც რუსთველს ვერ მიბაძავდა.

,,აღორძინების ხანის'' მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი არჩილი აცხადებდა:

ვინც ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გამობრძანდეს ასე აჭეთ!
და მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!!.
(„არჩილიანი", ტ. II, გვ. 5).

რუსთველისადმი მიბაძვის აუცილებლობას უფრო გარკვეულად მოითხოვდა არჩილი:

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალიძესა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?!.
(„არჩილიანი", ტ. II. გვ. 4).

ამ მოთხოვნილებათა განხორციელებას ცდილობდნენ ,,აღორძინების ხანის'' პოეტები. სამართლიანად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე:

,,შემდგომ საუკუნეთა პოეტები მეთექვსმეტედან დაწყებული, თავის თხზულებათა დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავენ არა მუზებს, არამედ ,,დიდი რუსთველის'' სახელს. რადგანაც, მათი აზრით, რუსთველს, ,,ქართველთა ენით მელექსე ვერ ედარების''— ვერავინ, არც არავინ უნდა იწუხებდეს თავს მელექსეობით, ვინაიდან ,,მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწენების?''. მელექსეობის დარგში ჩვენი პოეტი განუმეორებელი ოსტატია''.[1])

რუსთველმა ერთდაგვარად კიდევაც შებოჭა მომდევნო საუკუნეების ქართული ლიტერატურა, მოაქცია რა იგი ჩარჩოებში.

---

[1]) კ. კეკელიძე, საქართველოს პოლიტიკური სოც. ეკონომ. და კულტურული ვითარება რუსთველის ეპოქაში. კრ. რუსთველი სკოლაში, გვ. 1.

რუსთველიდან გადახვევა მხოლოდ მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებისათვის გახდა შესაძლებელი.

რუსთველის გავლენას ვერ აცდნენ ე. წ. ,,გარდამავალი ხანის'' პოეტები და მათ შორის პეტრე ლარაძეც. [1])

პეტრე ლარაძე — ყარიბი მე-18 საუკუნის უკანასკნელი წლების და მე-19 საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. მას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ,,გარდამავალი ხანის'' ლიტერატურაში.

პ. ლარაძე საკმაოდ დიდი მხატვრული ქმნილებების ავტორია. მას ეკუთვნის: ,,დილარიანი'', [2]) ,,მრავალფერყვავილოვანი'' ანუ ,,ბაგრატოვანთა მატიანე'' [3]) და ,,სახე — მგოსანი''. [4]) ამათ გარდა მას აქვს მრავალი ლექსი.

პეტრე ლარაძე ქართული კლასიკური და ,,აღორძინების ხანის'' ლიტერატურის ბრწყინვალე ტრადიციების გამგრძელებელია. იგი თანამედროვეების მიერ ლექსის ოსტატად იყო მიჩნეული. ქართული რომანტიზმის წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტრეს შესახებ სწერდა:

ძველთ მოლექსედ საქებელად
ნიჭად ესე დაიდვიან,
რომ სიცრუვის უშვერებას
მჭევრ-მეთქვობით დაბურვიან.
თქვენცა იცნობთ პეტრე ყარიბს,
ძველნი კვალნი არ უგმიან,
ლექსნი მისნი ტყუილნიცა
სხვათა მართალთ ემჯობიან. [5])

---

[1]) პ. ლარაძის შემოქმედებაზე რუსთველის გავლენის საკითხს გაკვრით ეხება დოც. ტრ. რუხაძე წერილში: „ვეფხისტყაოსნის" გავლენა აღორძინების ხანის ლიტერატურაზე". (რუსთ. სკოლაში გვ. 104, 115, 116, 119).

[2]) „დილარიანი" გამოცემულია 1903 წ. ზ. გულისაშვილის რედაქტორობით.

[3]) „მრავალფერყვავილოვანი" დაბეჭდა დ. ლამბაშიძემ 1897 წ. სახელწოდებით: „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი". ზოგიერთი ლექსი შეტანილია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში 1863 წ., ტ. II. ხელნაწერები დაცულია საქართველოს მუზეუმში S № 155, 387.

[4]) „სახე — მგოსანი", რომელიც თურმე 1900 შაირისაგან შესდგებოდა, 1945 წლამდე დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ 1945 წელს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის დროს „სახე — მგოსანს" მიაკვლია პროფ. ილ. აბულაძემ (H № 495). სამწუხაროდ ხელნაწერს აკლია თავფურცლები და დასასრული.

[5]) ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 129.

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იონა ხელაშვილი ,,კალმასობაში'' ეუბნება პეტრე ლარაძეს:

> ,,(შენი ლექსები) ასეთ გვარზე შეგიწყვიათ, რომე უდრის რუსთველისაგან ქმნულსა წიგნსა, ,,ვეფხისტყაოსნად'' წოდებულსა'' („კალმასობა", 1936 წ., გვ. 272).

როგორც ჩანს, თანამედროვენი პეტრე ლარაძის ლექსებს ამსგავსებდნენ რუსთველის ლექსს და ამით ისინი ამავე დროს ძალაუნებურად ხაზს უსვამდნენ რუსთველის გავლენას.

პეტრე ლარაძე რუსთველს მიიჩნევს მელექსეთა დასაბამად. მისი აზრით რუსთველი და თეიმურაზი არიან პირველნი ,,ქართლოსელთ მესტიხეთანი''.

> ორნი ყოფილან პირველნი ქართლოსელთ მესტიხეთანი,
> ენა ტკბილი და რიტორი, სიტყვისა მარჯვედ მკვეთანი.
> თვით მეფე თეიმურაზ და ვის აქვნდა გული მხნეთანი,
> და შოთა, რომელსა აქებენ მჭევრ მეთქვნი ქართველთ ერთანი.
> (S № 155, გვ. 10).

პეტრე ლარაძის ,,დილარიანი'' და ,,სახე — მგოსანი'' სიუჟეტურად თითქმის იმეორებენ ,,ვეფხისტყაოსანს''.

აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს რა ,,ამირან-დარეჯანიანის'' გავლენას ,,დილარიანზე'', იქვე დაურთავს:

,,ამასთან ერთად მათ ატყვია ძლიერი გავლენა ,,ვეფხისტყაოსნისა''; ამის მომასწავებელია შემდეგი ეპიზოდები: მტირალი ნუშრევანის ნახვა დილარისაგან ნადირობის დროს, შეყვარებულ ჭაბუკთა სატრფოსთან შეყრისას გულის წასვლა (ნუშრევანი, დილარი), სატრფოს გამოსახსნელად და მოსაპოებლად დაუძლეველი სიძნელის გადალახვა, მტრებთან, ავსულებთან ბრძოლა, ციხე-ქალაქის იერიშით აღება, სატრფოსთან საქმის დაჭერა აღმზრდელი ქალის საშუალებით (როადამი, ზეფირი), მიზნის მიღწევის შემდეგ აღმზრდელი ქალის გათხოვება და მისთვის ქალაქ-სოფლების ბოძება, დახმარება ძმადნაფიც ჭაბუკებისა სატრფოთა ძებნა-მოპოებაში, დამხმარეს მიერ ქორწილის გადახდა, მისთვის სამაგიერო შემწეობის აღმოჩენა მადლიერის მოძმისაგან, ვაჭართა ჭარავნის დახსნა მეკობრებთაგან და სხვ.''.[1])

[1]) კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 213, პირველი გამოცემა.

,,სახე — მგოსანიც'' შოთას უკვდავი ქმნილების გადამღერებას წარმოადგენს. საერთოა მოქმედების გადატანა უცხო სახელმწიფოებში (არაბეთი, ბრეტანი), მიჯნურთა დაკარგვის ამბავი, გრძნეულების — ქაჯების მიერ მათი დატყვევება, მიჯნურ ქალთა გადაკარგვა დეიდებისა და გამდელების მიერ.

მიჯნურთა საძებნელად რაინდები ველად არიან გაჭრილი, ერთმანეთს ხვდებიან და ძმობას უცხადებენ, დიდი დაბრკოლება და გასაჭირი ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით გადააქვთ, ბოლოს საწადელს ეწევიან ისე, როგორც ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირები. ერთი სიტყვით, ხორციელდება რუსთველური დევიზი: ,,ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!''.

პეტრე ლარაძის ნაწარმოებთა განხილვა ამტკიცებს, რომ მას რუსთველისაგან აუღია ცალკეული ეპიზოდები, ომის წარმოების ამსახველი სურათები, მხატვრული თქმები, სენტენცია-აფორიზმები და, მეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, სიტყვიერი მასალაც.

მართალია, ზოგიერთი მოტივი, როგორიცაა სოფლის სამდურავი, მეკობრეთა ხელიდან ვაჭართა დახსნა საერთოა ქართული კლასიკური და ,,აღორძინების ხანის'' მწერლებისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს რუსთველური მხატვრული ხერხები და სიტყვიერი მასალა, რომელსაც პეტრე ლარაძე იყენებს.

რუსთველი პოემის დასაწყისში მიმართავს ღმერთს და სთხოვს დახმარებას ამ დიდი ნაწარმოების შექმნაში:

ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს მივსცე გონება.
(ჩ₂)

ასეთივე თხოვნით მიმართავს პეტრე ლარაძე ღმერთს — უზენაეს ძალას:

სულო, ღმერთსრულო, ათორთად განბრძნობად
გარდმოსულოდა,
სახედ ცეცხლისა ენათა ნათლად განბრწყინებულოდა.
მომეც ძალი და განაბრძნე ხელმწიფედ უფლებულოდა,
და ანგელოსთა და კაცთაგან სამწმინდაობით მკულოდა...

შენ მომეც სიტყვა სიტყვაო გამოთქმად პირველ თქმულებსა,
მარჯვედ ვსცე ჩოგანს, არ ვბაძო ყრმობითა უსწავლულებსა,
ყვანჩი არ შემცდეს ბურთს ცემად, ვით მერეს
შემასრულებსა,
და შაბაშობის წილ არ ვმსგავსო მოედანს სირცხვილჰმულებსა.
(S № 155, გვ. 11)

რუსთველს ღმერთი — განგება ყოვლისშემძლედ მიაჩნია. ღმერთის სურვილისა და ნების გარეშე ადამიანს არაფრის გაკეთება არ შეუძლია:

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების.
(793,)

ანალოგიური შეხედულებისაა პეტრე ლარაძეც:

„მართლად თქმულა თუ განგება გწყალობს, ეტლი კეთილად დაგიბრუნდებისო“ („დილარიანი“, გვ. 112).

გ. თუმანოვისადმი მიძღვნილ ლექსში პ. ლარაძე განგების ძლიერებას ასე განსაზღვრავს:

განგებასა რაცა უნდეს, მისად ვერვინ ვერ შებმულან.
(S № № 155, გვ. 146).

ღმერთს წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება, რადგანაც:

რაცა ინებოს, იქნების, ვის ძალუძს მისი ცილება.
(S № 115, გვ. 12).

რუსთველი არაბთა მეფე როსტევანს საუკეთესო თვისებებით შემკულ მმართველად წარმოადგენს:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიარი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
და თვით მეომარი უებრო კვლა მოუბარი წყლიანი. (32)

პეტრე ლარაძე დილარის დახასიათებისას თითქმის იმეორებს რუსთველის ზევით მოტანილ სტროფს, მაგრამ უფრო ვრცლად:

ჰგებდა აბაშეთს დილარ მძლე, ხელმწიფე გვირგვინოსანი,
ღვთისა მიერის დიდებით სკიპტროსან გვირგვინოსანი,
მზეებრ ოთხ კიდეთ სახელით განფენილ, მრავალყმოსანი,
ვის მორჩილებდენ მეფენი, მის საუკუნის დროსანი.

ახალ მოყმე, ბრძენი, უხვი და მფლობელი ზღვა და ხმელთა,
გულოვანი, მხნე უებრო, მჯობი ყოველთა თვით მპყრობელთა,
მოსამართლე, მშვიდ, მდაბალი, მოწყალე ქვეშევრდომელთა,
თვით მოძულე ბოროტისა, შემაძრწენი გვრარძნილ მსვლელთა.
(„დილარიანი“ გვ. 14).

ზოსტერ ხელმწიფეც იყო, მოსამართლე და მოწყალე ზოსტერის ქვეშევრდომები ასე ახასიათებენ თავიანთ მეფეს: ,,ასე ვითარად განკეთილებულსა ქვეყანასა და ერთა გვივის ხელმწიფე ბრძენი, უხვი, მოწყალე და მოსამართლე'' (,,დილარიანი'', გვ. 221).

პატრონისადმი ან საერთოდ სამეფო გვარეულობის წევრისადმი, მორჩილება და მოკრძალება ხაზგასმულია ,,ვეფხისტყაოსანში''. მონა პატრონს უნდა ერიდებოდეს:

ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხმალია.
(1485₄)

ამგვარ თვალსაზრისზე დგას პეტრე ლარაძეც:

არა კეთილ არს მონათაგან მეფეთა ბრძოლა.
(„დილარიანი", გვ. 556).

მარსი სპასალარი შებრძოლებისას ასე ეუბნება სკვითთა მეფე ხაყანს:

მონათა არა წესია ბრძოლა მეფისა დიდისა.
(„დილარიანი", გვ. 571).

ცხადია, ეს კრძალულება პატრონისადმი კანონი იყო იმ ეპოქებისათვის, რომლებშიაც იქმნებოდა რუსთველის ,,ვეფხისტყაოსანი'' და პეტრე ლარაძის ნაწარმოებები.

რუსთველის აზრით ყმა პატრონისათვის სიკვდილსაც კი არ უნდა შეუშინდეს, რადგანაც:

ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.
(440₃)

ამასვე იმეორებს პეტრე ლარაძე. ,,მრავალფერყვავილოვანში'' დავით მეფე ეუბნება თავის მებრძოლებს:

თუ მოვსწყდეთ, ჩვენთვის დია ჰსჯობს, ედემს ვალხინოთ სულები.
(S № 155. გვ. 73).

ვასილ (ბასილ) კეისრის წინააღმდეგ საომრად მიმავალი მებრძოლები ერთმანეთს ეუბნებიან:

ნუ გაგვა, მოვსწყდეთ მეფისთვის, რა არს თუ წყლული გვტკიოდეს.
(S № 155, გვ. 69).

ასეთივე აზრებია ამ საკითხზე გამეორებული ,,სახე—მგოსანში'':

ჰმართებს, თუ პატრონისათვის ყმა ხშირად ცრემლსა ღვრიდესა,
მისთვის ეწამოს და მისთვის ლახვარი გულსა ჰგმირდესა.
(H № 495, გვ. 3).

პატრონის სამსახურს ყმა არ უნდა შეუშინდეს. პირიქით:

პატრონისა სამსახური ყმასა ჰმართებს სულ წასრულად.
(*H* № 495, გვ. 54).

საბოძვარის — საჩუქარის უხვად გაცემაა ნაქადაგევი ,,ვეფხის-ტყაოსანში''.

როსტევან მეფე თავის მხოლოდშობილ ასულს გამეფების წინ ასე არიგებს:

,,უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების''.
(49₃₋₄).

თინათინმა ყურადიღო მამის რჩევა და

მოიხმო მისი გამზრდელი ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: ,,ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი, ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი''.
და მოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.
(52).

უხვად გაცემის თეორიას ანვითარებს პეტრე ლარაძეც:

,,უხვად გაჰსცემდე, ნუ ათქმევ ლაშქართა სიძუნწობასა''.
(„დილარიანი", გვ. 434).

ბრიტან მეფემ უამრავი საჩუქარი გასცა, როდესაც სიკვდილს გადარჩა. შემდეგ კი: ,,მიბრუნდა წინაშე ნუშრევანისა, დააწყო ოთხი-ათასთა საუნჯეთა კლიტენი და მოახსენა: ,,შვილო, დღეს შენ ხარ მეფე ქვეყნისა ამის ჩემისა, ესე საუნჯენი ხელითა ჩემითა შემიკრებიან და ვითა ჰშვენის მეფობასა შენსა, ეგრეთ გაჰსცემდეო'' (,,დილარიანი'' გვ. 194).

იგივე მეორდება ,,მრავალფერყვავილოვანში''. ბაგრატის ძე — მეფე გიორგი უხვად ასაჩუქრებს თითქმის ყველას:

გასცემდა უხვად ყოვლთაზე ხელყოფდა იეფობასა.
(*S* № 155, გვ. 66).

თვით ბაგრატიც უხვად გამცემი იყო:

უხვად გასცემდა, არ დარჩის ერთგული აღუვსებელი.
(*S* № 155, გვ. 73).

თამარ მეფეც მისი ხელის საძებნელად მოსულ მეფეთა შვილებს აჯილდოებდა უხვად:

ანიჭის ოქრო დიადი, სიუხვე არ მოსწყენია.
(*S* № 155, გვ. 102).

,,ვეფხისტყაოსნის'' დასასრულში რუსთველი აცხადებს, რომ ძმადნაფიცებმა მისაბაძი სახელმწიფო მართვა-გამგეობა შემოიღეს თავიანთ სახელმწიფოებში:

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.
(1664).

ამგვარივე მმართველობა შემოიღო დავით აღმაშენებელმა:

თუ ჰსთქვა, ურთერთის მოყვარედ მგელნი კრავთანა
ჰსძოვდიან.
(S 155, გვ. 85).

ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი თავიანთ სამეფოებში

ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს.
(1020).

პ. ლარაძე თამარ მეფის საქმიანობის სიდიადეს ზევით მოტანილი რუსთველური შედარებით გადმოგვცემს:

ერთგულთათვის წყალობასა, ცისა წვიმებრ ახშირებდა.
(S № 155, გვ. 96).

ერთ ერთ ჩახრუხაულ სტროფში პეტრე ლარაძე ახსენებს ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირს ტარიელს:

,,შეგბრალდე შენი ნათელ დღიერო, მკუდარი ყარიბი
მთენ ზეციერო,
ეელად გავჭრილვარ, ვით ტარიერო, რად არ მექნები
გულ ლმობიერო''.
(S № 155, გვ. 140).

რუსთველი წუთისოფელს მუხთლად და გაუტანელად სთვლის. სოფელი ცვალებადია, ბოლომდე არავის შერჩება. ერთხელ მონიჭებულ სიამოვნებას ათასჯერ წაამწარებს, ცხარე ცრემლებით ატირებს ადამიანს.

უკეთესი წარმოდგენის წუთისოფელზე არც პეტრე ლარაძეა. იგიც რუსთველურად გადმოსცემს სოფლის ტრელობას:

სოფელი თვისსა მიმყოლსა მისცემს შვებასა აროდეს,
მალედ ამწარებს მყის თანად, თუ ოდეს რა უხაროდეს,
მით სიყვარული სოფლისა, სჯობს, ვინცა დაეზაროდეს,
დასთმოს ყოველითურთ, ვიდრემდის კხოერება დაემწაროდეს.
(„დილარიანი", გვ. 8).

წუთისოფელი მიწყივ ბრუნავს და იგი უფრო მეტ სიმწარეს აგემებინებს ადამიანს, ვინემ სიტკბოს:

აწ ესე ვითარს ჟამებსა და დღეთა დამტკბობარებსა,
საწუთროს ეტლის ბრუნვანი მარად კაცს არ ახარებსა.
მასცა შეუდებს ზრუნვასა, ვინ ჰგებს უდაბნოთ გარებსა,
და თუ ერთგზის მისცემს ლხინებსა, ათასჯერ გაამწარებსა.
(*H* № 115, გვ. 117).

სოფელი ანაზდად სიკვდილს მოუვლენს ადამიანს; ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირებმა იციან, რომ სიკვდილი ყოველწუთსაა მოსალოდნელი:

ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად.
(801_2).

რომ სიკვდილს წინ ვერავინ აღუდგება:

,,ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალ-გულოვანი''.
($800_{1,\ 2}$).

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირები, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გმირულად შეხვდებიან სიკვდილს. ამქვეყნიერი ცხოვრების დასასრული მათში ძრწოლას არ იწვევს.

დაახლოებით ასეთი შეხედულებისაა ამ საკითხზე პეტრე ლარაძე ,,საახე — მგოსანში''.

არ ვიცი, კაცი სიკვდილსა რას სჭმუნავს რად არს გვიანი,
ვერ გადურჩების გლახა და ვერცა ხელმწიფე სვიანი,
სჯობს ხსოვნა ჰქონდენ მისივე თუმცა კაცი არს ჭკვიანი,
ვერ იხსნის ციხე-ქალაქი, ვერცა სიმაგრე კლდიანი.
გულსა მისი მოლოდნება მიწყით ჰქონან კაცსა ბრძენსა...
(*H* № 495, გვ. 52).

რუსთველის გავლენის ქვეშ იმყოფება პეტრე ლარაძე მიჯნურობის საკითხის გაგებაშიაც, მიჯნურის მოქმედების და სიმტკიცის შესახებ რუსთველი სწერს:

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობ მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა.

ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა ყმაწვილობასა,
და კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
(26).

ან და:

დათმოს წყრომა მოყვრისაგან მისი ჰქონდეს შიში,
კრძალვა.
(27_4).

ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს.
(18₂).

გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მოხვდეს, თუნდა ქუში.
(15₂).

ამას იმეორებს პეტრე ლარაძე ,,დილარიანში'':

ჯეონისა შმსგავსად ცრემლნი თვალთა გადმოჰსდინდეს.
ასე უნდა, საყვარელსა მოყვრის გული შეუშინდეს,
ჰხამს, შესტრფოდეს სამარადოდ, მისთვის სურვა არ
შეჰსწყინდეს,
და არ სხვა და სხვას ემიჯნუროს, არ ფრთოვანებ ხე ხე
ჰფრინდეს.
ერთსა შესტრფოდეს მიჯნური, იყოს მისს ალერსობასა,
შემზერდეს მისთა წარბ წამწამთ, გიშრულად ტურფად
წყობასა,
ღაწვ ბალახშს ყელსა მინასა, მუშკ სუნნელ და ლალობასა,
გულსადაფ ტანსა კენარსა, ნაზად ჩრხევს
წელ-წვლილობასა.
(„დილარიანი", გვ. 622).

მიჯნურის შებრალება აუცილებელ პირობადაა მიჩნეული ,,ვეფხისტყაოსანში''. ავთანდილი ასმათთან საუბრის დროს აცხადებს:

,,მიჯნურისა შებრალება ხამს, ესეცა გაიგონე''.
(247₂).

და შემდეგ ავთანდილმა
კვლა უთხრა: ,,დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალების''.
(249₃).

ანალოგიური მოსაზრებანია გამოთქმული ,,დილარიანში'':

,,მიჯნურობა მწარე არის და ამად მიჯნურისა შებრალება
ხამს''.
(„დილარიანი", გვ. 458).

,,დიდნო მეფენო, რომე მიჯნური მტერთაცა მესისხლეთა
შეეწყალების''.
(„დილარიანი", გვ. 719).

,,მიჯნური შესაბრალებელი არს'' და ამიტომ ,,ვისცა გონება აქვს, მიჯნურსა შეიწყალებს და შეწევნასა მათსა ეცდების''.
(„დილარიანი", გვ. 384).

რუსთველმა იცის, რომ სიყვარული ტკბილი, სასიამოვნო გრძნობაა, მაგრამ მას თან ახლავს ფათერაკი:

ზდევს მიჯნურსა ფათერაკი საწუთროსა დაანაღველებს.
(915₁).

იგივეს იმეორებს პეტრე ლარაძე:

,,ხელმწიფეო, იცის სურვილმან ძლიერთა მოუძლურება და მიჯნურობამან მრავლისა ფათერაკისა შესწრება''.

(„დილარიანი", გვ. 244).

შოთას აზრით, მიჯნურს უნდა ახასიათებდეს ფიცის არ გატეხა, სიტყვის სიმტკიცე, მან მიჯნურისადმი მიცემული ფიცის დაცვისათვის მრავალი განსაცდელი უნდა გადაიტანოს. ამ დებულებებს მტკიცედ იცავენ ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირები.

თინათინი უცხო მოყმის საძებნელად მიმავალ მიჯნურს ერთგულების და სიმტკიცის ფიცს აძლევს:

,,ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
და შენი მკვლიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი''.

(133).

მსგავსი შემთხვევები მრავალჯერაა დამოწმებული ,,დილარიანში''. პეტრე ლარაძე ზოგგან პირდაპირ იმეორებს რუსთველს. ანავსია ხელმწიფე ეფიცება დილარ მძლეველს

,,შენცა იცი, გულსა ჩემსა სხვა უშენო არ უნდოდეს,
მზეცა იქცეს ხორციელად, ჩემის ტრფობით ველად ჰრბოდეს,
რასა ჰქვიან ხელმწიფედა, რაზომ გინა მაღლოდეს,
ჩემსა არეს ვერ ეახლოს, ქარისაებრ ჰაერს ჰქროდეს!''

(„დილარიანი", გვ. 433).

ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი წერილს უგზავნის ტარიელს და თან ჰპირდება:

,,შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან ვერვის მიჰხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი;
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდი კლდენი,
და სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი''.

(1303).

ანალოგიური ხასიათის პირობას აძლევს გულნაზი ნუშრევანს:

,,არვის მივჰსცე გული სხვასა, სიყვარული შენი მწვიდეს,
თვით ამურიცა რომე ჩემთვის მოუწყვედლად ცრემლთა ღვრიდეს,

ზენით ღმერთთა სიმრავლენი სრულად ჩემთვის
გარდმოვიდეს,
ვერ მიიღონ ჩემგან ნება, მათთვის ცაცა შემირისხდეს''.
(„დილარიანი", გვ. 118).

ვაჟკაცის — რაინდის პირუმტკიცობა, სიცრუე, ფიცის გატეხა, დაგმობილია რუსთველის მიერ:

მამაცისა სიცრუესა ნეტარ სჩვანი რამცა ჰგვანდეს.
(525₃).

ამას ამბობს პეტრე ღარაძეც:

,,მამაცთა პირუმტკიცობა აღრითვე გმობილ არს''.
(„დილარიანი", გვ. 98).

პეტრე ლარაძე იყენებს რუსთველის აფორისტულ გამოთქმებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველის სიღრმე და სხარტულობა მიუღწეველია. პეტრე ლარაძის აფორისტიკა უფრო დაბალი ხარისხისაა.

რუსთველის აფორიზმი:

,,სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა''.
(799₁).

შემდეგნაირად აქვს გამეორებული პეტრე ლარაძეს:

სჯობს სახელისა შეკრება, რა არს ცუდი წოლანია.
(S № 155₆, გვ. 54).

,,ჰირსა შიგან გამაგრების'' თეორიას ქადაგებს რუსთველი:

,,ჰირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა''.
(875₃).

ასევე სწერს პეტრე ლარაძეც:

სჯობს ჰირსა შინა მაგრობა, გული რაზომცა კვდებოდა.
(*H* 495, გვ. 16).

ჰირს ვაჟკაცურად უნდა შეეგებოს ადამიანი, მის წინ ქედი არ უნდა მოიხაროს, გონიერად უნდა გახსაჯოს მდგომარეობა. სამართლიანად იმოძღვრება რუსთველი:

,,სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჰირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!''
(1191₃, ₄).

ამ აფორიზმს მცირედი ცვლილებით იმეორებს პეტრე ლარაძე:

ბეჟარ მითხრა: ,,რაცა საქმე ბრძენსა მიხვდეს გასაჭირი,
მაშინ უნდა რჩევა, ბჭობა და გონება იგი გმირი''.
(*H* № 405, გვ. 17).

რუსთველის აზრით რაიმე სურვილის აღსრულებას წინ უძღვის მძიმე გასაჭირი. სწორედ ამას უსვამს ხაზს იგი, როდესაც აცხადებს:

,,არ იცი ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან''.
(877$_3$).

იგივეს აცხადებს პეტრე ლარაძე:

,,რად არ ეძებ მარგალიტსა უფასურსა ზღვა-ზღვა დაელით.
არ უეკლოდ ვინ მოიმკო იგი ტურფა ხელის კრძალვით".
(*H* № 495, გვ. 27).

ან და:

მან არ იცის, ვარდი ხელსა არ უეკლოდ არ მახედების.
(*H* 495, გვ. 31).

თუ ადამიანმა საწადელს მიაღწია, თუ სურვილი აისრულა, გარდასული გასაჭირი არ უნდა გაიხსენოს, რადგანაც მოპოვებულით გამოწვეული სიამოვნება ბევრად დააჭარბებს გარდახდილ განსაცდელს:

კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.
(211$_{3,4}$).

ამ აზრს იზიარებს პეტრე ლარაძეც:

კაცსა მიხვდეს ზეგარდამო ჭირნახულთა არ წახდომა,
ერთსა ჰჭონდეს ასის ზომით ჭირთა ლხინით გარდახდომა,
არღა ჰმართებს ჭირთა თქმანი, რადგან ლხინთა აქვს მიხდომა.
(*H* № 495, გვ. 45).

არღა უნდა ჭირთა ხსოვნა, ლხინს თუ კვლავე მოესწრება.
(*H* № 495, გვ. 61).

პეტრე ლარაძე ,,ვეფხისტყაოსნიდან'' იღებს ცალკეულ ეპიზოდების აღწერას, ცდილობს თხრობის დინამიკა ისე განავითაროს, როგორც ეს წარმოდგენილია ,,ვეფხისტყაოსანში''. მასთან ზოგიერთი სურათი ზუსტად, წვრილმანებამდე თანხვდება რუსთველის ანალოგიურ ადგილებს. აი ფაქტებიც:

როსტევანმა და ავთანდილმა ნადირობის შემდეგ წყლის პირას იხილეს მტირალი უცხო ყმა:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა.
(84$_1$).

ასეთ პირობებში ნახა დილარ მძლეველმა ნუშრევანი: ,,მუნ მოესმა დილარს ხმა რაიმე ტირილისა და გოდებისა მწარისა, რომლისა ხმასა მიჰყვა შორით და იხილა მოყმე ვინმე შვენიერი ჭაბუკი, გულ-მდუღარედ მტირალი, დილარ მძლეველი, მხილველი მისი, გარდახდა ცხენით ვითა ვეფხი კისკასად და უკანით კერძო მიპარვით მივიდა". და

ჰნახა ყმა ვინმე მტირალი, ჰსჯდა სულთქმა ზედი-ზედითა,
საბრალოდ ცრემლთა ადენდა, იყო შავისა ბედითა".
(„დილარიანი", გვ. 32).

ავთანდილი თავგადასავლის თხრობისათვის ეეედრა ტარიელს. ტარიელს ძლიერ უჭირდა ამ თხოვნის შესრულება, რადგანაც საყვარელის მოგონება გონებას ურევდა და ძალას ართმევდა, მაგრამ ბოლოს დიდის ვაებით

ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა,
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა,
ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი გაამყარნა;
და მერმე სულთქნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა.
(308).

ნუშრევან მეფეშაც დილარ მძლეველს დიდის ვაებით შეუსრულა თხოვნა: დაიწყო მბობა თავის თავგადასავლისა:

რა დილარისა ბრძანება მიიღო უცხომ ყმამან და,
თხრობად ამბისა თვისისა ჰირად თავისა კმამან და,
თვალთაგან იწყო დინება სისხლისა ცრემლთა ზღვამან და,
ჰსთქვა: ,,ბრძანებისა მორჩილმან ვიწყო, გლახ მომკლას თქმამან და!

თავი სიკვდილს არ დაჰრიდა, უშიშარად, მალ, ერთ წამად,
იცოდავე, თხრობა მისი გულს ექმნოდა მომკვლელ შხამად,
სულსა ჰსძღვნიდა დილარ მძლეველს მწეობისა თვისის ქრთამად,

ამად ხელ-ჰყო ძნელსა საქმეს, კვლა იმატა ვამი-ვამად.
(„დილარიანი", გვ. 43).

ერთი თავი ,,ვეფხისტყაოსნისა" სახელდობრ — ,,ნესტანისგან ტარიელის ხმობა" მთლიანად გამეორებულია ,,დილარიანში", უმეტეს შემთხვევაში წინადადებები, მხატვრული გამოთქმები და შედარებებიც ერთი და იგივეა. განსხვავება ერთშია მხოლოდ, პეტრე ლარაძე პროზას მიმართავს.

ნესტანმა გადასწყვიტა მოიხმოს ტარიელი და წარგზავნა კიდეც ასმათის მონა. ტარიელი ამის შესახებ მოუთხრობს ავთანდილს:

,,დღესა ერთსა საწოლს მოვე მეფისა სრით წამოსრული,
ვჯე და მასვე ვიგონებდი, არ მიეცა თვალთა რული;
წიგნი მჭონდა საიმედო, ამად ვიყავ მხიარული;
და კარსა მცველმან მონა უხმო, უთხრა რამე დაფარული.

,,მონააო ასმათისი'', საწოლს ვუთხარ შემოყვანა.
მოეწერა: ,,გიბრძანებსო'', ვისი მესვა გულსა დანა.
ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა,
და წავე, მონა წავიტანე რამცა ვუთხარ ამისთანა.

ბაღჩა შევევლე, არა დამხვდა კაცი ჩემი მოუბარი;
ქალი წინა მომეგება მხიარული, მოცინარი;
მითხრა: ,,ვაშად ამოგიღე, არ გასვია გულსა ნარი,
და მოდი, ნახე ვარდი შენი უფრჭვნელი და დაუმჭნარი.

ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბადახშითა და ლალითა,
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,
და მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა''.

დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედის ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა;
და ,,აწ წადიო, ვერას გითხრობს'', მე კვლავ მიმცა ალმან მურსა.

ასმათ გამომყვა, წამოვე, ფარდაგი გამოვიარე,
ვთქვი: ,,საწუთროო, ვის წელან გული დარმანთა მიარე,
მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე?''
და გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო დამიტია-რე!

ასმათ ლხინსა მიჭადებდა, ჩავიარე შიგან ბაღი;
მითხრა: ,,ეგრე წასლვისათვის ნუ გაჩნია გულსა დაღი,
სიმძიმილთა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი;
და სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰკრძალავს ლაღი.

მე ვუთხარ: ,,დაო, შენგან ვეჯვ ამა გულისა წამალსა;
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ ალსა;
ჩემთანა წიგნსა ნუ გასწყვედ შენ ზედა-ზედა მავალსა;
და თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეჯვ მე შენგან არ-დანამალსა.

შევჯე, წამოვე, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მილისა;
საწოლს შემოვე, ხელქმნილსა ღონე არ მჭონდა ძილისა,
ბროლი და ლალი შეიქმენ მე ულურჯესი ლილისა;
და ღამე მერჩია, მეწადა არ გათენება დილისაჲ.

(სტრ. 391-399).

შესატყვისი თავი ,,დილარიანში'' ასეა დასათაურებული: ,,აქა შიკრიკისა მოსვლა და ზღვათა მნათობისა გულნაზისაგან ნუშრევანისა დაბარება და ნუშრევანის წარსვლა გულნაზის სახილველად''.

„ჟამსა შუა-ღამისასა მოვიდა ჩემდა სიხარულად შიკრიკი და მრქვა: ,,ძეო მეფისაო, ნურღა ჰყოვნი, მიგელის მთოვარე შენი, გვალე ვიარებოდეთო'' მე თანამდები მაშინ მორჩილებისა მისისა, მყისად აღვჰსდეგ, შევიმოსე უკეთესითა სამოსელითა, წელსა პირბასრი ხმალი შევიბი, და გავჰყევ მახარობელსა მას ჩემსა. მივედით უკანით კერძო მის მტკიცისა გოდლისა, თუმცა იყვნეს კარსა მცველნი, გარნა არა გვესაუბრნეს. შევველე ბაღი უმჯობესი და აღველ სრასა შვენიერსა სახლითა თანის-თანითა ნაგებსა. ოდეს წარვჰსდეგ კარსა წინა, მომეგება ქალი ვინმე ჰრხეითა დია ნელითა, მისალამა, მომიკითხა ტკბილად რადმე უბნობითა და მაწვია შინარე. ოდეს შეველ სახლსა მას, სადა ლომისა ეტლსა ჰსჯდა მზე, შარავანდედ ფენითა, დავჰკრთი სხივითა მისითა და დამებუნდნეს თვალნი; თაყვანის-ვეც გონება მიხდილმან, დავჰსდეგ სურვილთა დიადობითა მთრთოლვარე, და ესე არა მჯეროდა, თუ მზე ქვეყანასა ზედა არა ჩამოსულიყო. ათ-სამმეტისა წლისა იჯდა სამეფოსა პორფირითა, ძოწეულითა და გვირგვინითა ოქროსა დალიჩსა ზედა და მჟვრეტდა იდუმალითა ჟვრეტითა, და აძვირებდა ბალახშისა ბაგეთა უბნობად ჩემდა; წამის ყოფითა ნაზითა ანიშნა ქალსა მას წინა მომგებებელსა ჩემსა, რომელიცა მოვიდა ჩემდა და მთხოვა დაჯდომა, მცა განაღა თაყვანის-ვეც და დავჰსჯედ. გარნა რაოდენ ვიმეცადინე, ვერ გაუმართე თვალნი მისთა ელვათა კრთომასა, წელი მისი იამანურსა ლელწამსა უწვლილესობდა, და ღაწვთა მისთა პალესტინისა ვარდნი გაეცუდნეს, წარბთა ზედა აბაშთა მშვილდნი მოეზიდნეს, და წამწამთა ჯეუნისა ზღვის კიდისა სათნი დაეჯოგნეს. ვჰსჭვრეტდი განცვიფრებული, და არა იქმნა ნუგეშინის-ცემა ჩემი; ტკბილად რასმე შემომხედის მის მელნის ტბისა თვალითა, და მლეწდა უუბრობითა. ესრეთ დავჰყავ წინაშე მისსა ვითარ ერთი ოდენ ჟამი და კვალად ქალსა მას წამ უყო; მოვიდა ქალი იგი და მე მრქვა:

,,ძეო მეფისაო, აწ ჟამი არა აქვს პირ-მზესა მას შენთანა უბნობისა, და შემდგომსა დროსა მიიღებ მხიარულებასა მისისა ტკბილისა ხმის გაცემითაო''. ესე რა მესმა ქალისა მისგან, თუ ჰსთქვა, ცანი სრულნი სამყაროთურთ თავსა დამეცნეს, გარნა რა ძალმედვა! ავჰსდეგ, თაყვანის-ვეც და გამოვლე კარნი ცრემლითა ხშირითა, და ეევედრებოდი ქალსა მას შეწევნასა ჩემსა, რომელიცა მეიმედებოდა ფიცითა მტკიცითა, რომე: ,,არა დავაკლო ზრდილსა ჩემსა სიტყვანი შენისა შებრალებისათვის და მოვაკლო თვალთა შენთა დენა ეგე ცრემლთა ცხელთაო''. მაშინ მეცა შევჰსძღვენ ფარღული ერთი, მნახავთაგან საქებელი, და ეჰსთხოვე ჩემ კერძო ყოფა. ჩამოველე ბაღი იგი, მიველ ჩემსა სადგურსა და მას ღამესა ტირილსა გარე რასა ვიქმოდი!'' (,,დილარიანი'', გვ. 60-61).

კომენტარიები საჭირო არაა — ნათელია მსგავსება ამ თავებს შორის.

ერთნაირად აქვთ აღწერილი რუსთველსა და პ. ლარაძეს გამდელი ქალების მისვლა თავიანთ გაზრდილების მიჯნურებთან. ტარიელი ასმათის მასთან მისვლის ფაქტს ასე გადასცემს ავთანდილს:

,,მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრა ნაუბარი:
ქალი ვინმე გიკითხავსო: ,,ინახვისა ამირბარი?''.
ზეწარითა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი;
და ეარქვი: ,,საწოლს შეიყვანე, ჩემგან არის ნახმობარი''.
(370).

შესატყვისი ადგილი გვხვდება ,,დილარიანში''. როადამი მიდის ნუშრევანთან:

,,მას გამწარებულებასა შინა ჩემსა შემოჰსდგა კარის მცველი ჩემი, თაყვანის-მცა და მომახსენა: ,,ძეო მეფისაო, მოვიდა ვინმე ქალი შვენიერითა პირითა და სახითა და მონა იგი, რომელიცა მრავალ-გზის ყოფილ-არს წინაშე თქვენსა, თანა ახლავს მას, იკითხვენ შინაურობასა თქვენსა, ისწრაფიან ხილვასა და ელიან ბრძანებასა, და აწ რა იქნების ნება თქვენი მათზედაო'' (,,დილარიანი'', გვ. 97).

განრისხებულმა მამიდა დავარმა ნესტან-დარეჯანი მონებს გადასცა დასაკარგავად. ნესტანის დაკარგვის ამბავი ტარიელს ასმათმა აცნობა თან ცხარე ცრემლებსა ღვრიდა. ტარიელი ამ ამბის შესახებ უყვება ავთანდილს:

,,გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინარე.
ქალი ჰყვა ერთსა მრწასა, ვცანცა, თუ მოლმა ვინ არე:

თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირს სისხლი ჩამომდინარე,
და აღარ მიყივლა ღიმილით, არცაღა გამიცინარე".
(558).

ასმათი ტირილს განაგრძობს:

,,ახლოს მივე, კვლაცა ვკითხე: ,,რაშიგან ვართ? თქვი მართალი!
კვლა საბრალოდ ამიტირდა, კვლა მოედვა ამით ალი,
დიდხან სიტყვა ვერა მითხრა, მისთა პირთა ნაათალი,
და მკერდსა წითლად უღებავდა სისხლი ღაწვთა ნაწვეთალი".
(570).

ასმათმა სული დაიღო და ნესტანის გადაკარგვა აცნობა ტარიელს — თან სთხოვდა: მომკალ ამ ამბის მახარობელიო:

,,რად არ მიკვირვებ ცოცხალსა, მე ლახვარ-დაუსობელსა!
აწ იგი მიყავ რა მმართებს ამისსა მახარობელსა!
ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე სულთადგმა-დაუთმობელსა!"
და საბრალოდ ცრემლსა ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა".
(583).

მტირალმა მონამაც გულნაზის დაკარგვა აცნობა ნუშრევანს და ამ ამბით გულმოკლული სთხოვდა მომკალო:

,,შემოდგა მონა შიკრიკი, ტირილით თავსა მცემელი,
საბრალოს მოთქმით უწყალოდ ღაწვსა და პირსა მგვემელი,
არა პირველებრ მოკრძალვით ურიდად შეუკდემელი,
ვნახე, სულთქმით და ვაებით, არ სიხარულის მჩემელი.

შემომტირა თმისა გლეჯით, მითხრა: ,,გმირო, სიტყვა მცდარად
ვით გახარო, ეგრე შენცა სისხლთა ჩემთა იქმენ მღვარად,
გიაჯები, სიცოცხლესა დამხსენ, ვდგავარ მე მუდარად,
არღა მინდა მზისა ჭვრეტა, ხმლითა შემჭრენ ადრით მკვდარად.

რადგან კრონოს შვილთ შთანთქმელმან, ბრიტან მრავალთ სისხლთა მღვრელმან,
ულმობელმან გულ-ქვაობით, უსამართლოდ ყრმათ დამსჯელმან,
თვისთა სპათა აღმსპობელმან, სამეფოსა დამმხობელმან,
მოგვაშორა საყვარელნი, ყოელთა არსთა საძულველმან.

ხმალი შენი პირ-ბასრული, ჩემზედა ჰყავ მომახულად,
ამით ოდენ შემიწყალე, მომაშორე სოფელს სრულად,
თავსა მომკვეთ, უმართლე ხარ, ანუ დამჭრი ასოულად,
რადგან შენი სატრფიალო იქმნა სადმე დაკარგულად.

თქვენთან ამისი მთხრობელი, ვარ საწუთროსა მგმობელი!
გულნაზ ტყვე იქმნა, სრულ ხმელთა და ზღვათა მანათობელი,
სხვას რას ველოდე ბედ-კრული მე ესრეთ მახარობელი!
იხადე, მეცეს მახვილი გლახ შუა გასაპობელი!"

(„დილარიანი", გვ. 128-129).

არიელმა მაღალი შეფასება მისცა ასმათის ერთგულებას და მისი ღირსეულად დაჯილდოება გადასწყვიტა:

ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს მისსა შეკდომილსა:
„რაცა შენ ჰქმენ არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,
და ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.

ვინცა გწადდეს ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე;
მუნიდამცა გვმსახურებდი, თავი შენი დაგვამონე!"
ასმათ ფერხნი გარდუკოცნა: „შენგან არის ჩემი ღონე,
და მონობისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?"

მოახსენა: „ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გაწყრები:
თუ ხმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გაგეყრები,
მე მეყოფა შუქი თქვენი, ვარ მზის ეტლთა შენასწრები,
და ვერ გაესწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან ვიარები".

(სტრ. 1649-1651).

ასეთივე გულუხვობით აჯილდოებს ნუშრევანი როადამს, მაგრამ მასაც ასმათივით ძლიერ უჭირს ნუშრევან მეფისა და გულნაზ დედოფლის მოშორება:

„მერმე მოუწოდა ნუშრევან მეფემან გულნაზ დედოფლისა თანა ზრდილსა და ნამსახურსა როადამს და უბოძა მას ზღუათა სამეფოსა შინა ერთი ჩინებული და ჰრჩეული ქალაქი თვისითა გარემოთა სანახებითა და დაბნებითა, და ჰრქვა: „დაო ჩემო, შენ ნამსახური და ღვაწლდადებული ხარ მზესა ჩემსა ზედა და ჩემთვისცა მრავალნი ჰირნი გარდაგიხდიან, აწ მაგა ქვეყანათა უპატრონეო,

ვინცა გწადდეს დიდებულთა ჩემთაგანი ქმრად შეირთე და ესრეთ გვჰმსახურეო. [1])

როადამმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: ,,მეფეო, მე თქვენისა ჰვრეტისა უკეთესი არა რაი მინდა, გარნა ეგე წყალობა თქვენი არავე საუარო არს ჩემგან, უკეთუ სამსახურსა თქვენსა არავე მომაშორებთო''. (,,დილარიანი'', გე. 225).

ძმადნაფიცები, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხის აღების შემდეგაც არ ტოვებენ ტარიელს, მათ სურთ ინდოეთის ტახტზე მჯდომი ტარიელი იხილონ.

ნუშრევანიც არ სცილდება მზის ქალაქში მიმავალ დილარ მძლეველს:

,,ჰე, ძლიერო ხელმწიფეო, თავმან და სიყვარულმან თქვენმან არა სადა მოგშორდე სამსახურსა თქვენსა; ვიდრემდის უბედნიერესსა ტახტსა ზედა არ დაგვირგვინოსანდეთ თქვენ ჰსჯულიერითა მეუღლობითა, ნუ იფიქრებ მოშორებასა ჩემსა, უკეთუ გზას მას შეუდგებითო'' (,,დილარიანი'', გე. 234).

ინდოეთში წასვლას აპირებს ტარიელი უავთანდილოდ, მაგრამ ავთანდილი არ თანხმდება:

,,არ დია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩემად მზრახაედ!
,,ცოლი უყვარსო, გამწირა'' იყო ამისა მსახაედ;
მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევაგლახაედ?
და კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად!''
(1565).

ანალოგიურ ამბავთან გვაქვს საქმე ,,დილარიანში''. დილარი მზის ქალაქში მიდის, ნუშრევანს უნდა თან გაჰყვეს მას, მაგრამ დილარი ამის წინააღმდეგია. რჩევას ჰკითხავენ გულნაზს — გულნაზი პასუხობს:

,,შენმან მზემან, რაზომცა ეცადოს მოშორებასა თქვენსა, მე მაგას ზედა ნება არა ვჰსცე და არცა ქვეყანასა ზედა საგიობელად დავიდვა და ესე არავის ვათქმიო, რომე — ეგოდენ ღვაწლ-დებული ხელმწიფე, ვითარსა ჟამსა დაჰსთმო და საყვარელსა თვისსა ვერა მოსცილდაო'' (,,დილარიანი'', გე. 244).

მეკობრეთაგან ვაჭართა დახსნა-განთავისუფლება საერთო სამადლო საქმედაა მიჩნეული. არ არის თითქმის კლასიკური პერი-

[1]) პატრონის სამსახური და მორჩილება ორივე ძეგლში ხაზგასმულია. ტარიელიც ხომ ამას ეუბნება ასმათს:
„გემსახურებდი ტკბილი ტკბილსა".

ოდის და ,,აღორძინების ხანის'' მწერლობის არცერთი ძეგლი, რომ ამ მოტივს არ ჰქონდეს ხაზი გასმული. იგი შეტანილია ,,ვეფხისტყაოსანში''. გაუმეორებია ის პ. ლარაძესაც. ამბის აღწერა რუსთველურია.

ავთანდილმა მეკარავნე-ვაჭრები იხსნა შეკრებილთაგან. განძით სუფლებულებმა განუცხადეს ავთანდილს:

„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა:
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
და რასაცა მოგვცემ, გვიბოძე; გვიქნია აქა ყრილობა''.
(1054, ა).

დილარ მძლეველმაც რამდენიმეჯერ დაიხსნა ვაჭრები მეკობრეთა კლანჭებიდან. ერთხელ ვაჭრებმა სტუმრად მიიწვიეს დილარი და მოახსენეს:

,,ამას ღამესა ჩვენი სტუმარი ბრძანდებოდეთ და ხვალე, რასაცა გვიბოძებთ ჩვენთა ტვირთთაგან, ეგრეთ გზასა ჩვენსა შეუდგებით'' (,,დილარიანი'', გვ. 259).

,,დილარიანში'' სამ-ოთხ ადგილზეა დამოწმებული მათრახით ბრძოლა, რომელიც გამოძახილია ტარიელის მათრახით ბრძოლისა როსტევანის მონების წინააღმდეგ. აი როგორაა აღწერილი დილარის შებრძოლება მზის ქალაქის ოთხ სპასალართან:

,,მძიმედ შეჯურვილნი იყვნენ კაცნი და ცხენნი ყოვლითა საჭურველითა, და რა დილარ მძლეველი ეგრე უსაჭურველოდ იხილეს, გულთა შინა ითაკილეს, გასწყრნენ, განრისხებულთა შემოუტიეს და ენებათ ცხენით გარდაგდება და შეპყრობა მისი. დილარმა ხაფისა ხმითა შეჰსძახა და ადიდა სახელი მზისა ქალაქისა ხელწიფა ანავსიასი, მიჰყო მათრახსა ხელი, თითოსა გადაკვრითა იგი ოთხივე სახელოვანნი სპასალარნი, თავ-მხრივ დალეწილნი, ცხენით გარდაჰყარნა'' (,,დილარიანი'', გვ. 371).

რუსთველმა იცის, რომ დიდი გრძნობის მიჯნური მიჯნურის ჟეცარი ხილვით ხშირად გონებას ჰკარგავს — ბნდება. ასე დაემართა, მაგალითად, ტარიელს, როდესაც ნესტან-დარეჯანი იხილა:

,,ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა.
მოვიდა, მიესცნე დურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა
და ვამე მას აქეთ სახმილსა დაუწვავ ნიადაგულსა!..

დურაჯნი მიესცენ, გავიღე სხვა ვერა გზაღა თავისა,—
დავეცნი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა,

რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა;
და გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომი ნავისა''.
(სტრ. 344, 348).

ცნობამიხდილი შეიქნა დილარ მძლეველიც, ოდეს იხილა მზის ქალაქის ხელმწიფე ანავსია:

,,სხივთა მისთა შარავანდედმან თვალნი დაუბნელნა და გულისა სიმყარე წაართვა, სული მას გოდოლსა შეუფრინდა და იგი უსულო ცხენით მიწასა ზედა დაეცა. რა მისგან შეყვარებულთა მეფეთა დილარ ეგრეთ გაბედითებული იხილეს მყისად სამეფოსა ტახტით გარდმოიჭრნენ, გვირგვინნი შორად გაჰსტყორცნეს და ფეხ-შიშველნი რგებად მისდა მოისწრაფოდეს, თავსა იცემდეს და მხილველნი მისნი ზედა დაჰსტიროდეს, ჰსცდილობდენ სულითა სამსახურსა და მობრუნებასა მისსა''. (,,დილარიანი'', გვ. 372).

ნესტანმა გადასწყვიტა მას და ტარიელს მოსაგონებლად ტანსაცმელი შეეცვალათ ერთმანეთისათვის და მისწერა მიჯნურს:

,,იგი მე მომცენ როდენი, რომელნი წელან გშვენოდეს;
რა მნახო, შენცა გიამოს, შენეულითა მშვენოდეს;
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გაღაგვლენოდეს,
და ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გავთენოდეს''.
(496).

,,დილარიანის'' გმირებსაც ასეთი სურვილი აქვთ. ანავსია ეუბნება თავის ერთგულ მოახლეს ზეფირს:

,,და აწ, ზეფირ, მსურს, რათა კაბა იგი მარგარიტისა, რომელიცა ეცვა მას (დილარს დ. ბ.) ზედა, მისეულად მე შევიკერო იგი, ხოლო სამაგიეროდ მისსა შეკედ სალაროსა, ერთი კაბა სრულისა ბრილიანტისა გარემო და ფესვედ იაგუნდიანი, და ერთი კაბა იაგუდისა, გარემო ბრილიანტ მოვლებული, აღიღე, ხვალ წარუვლინე და იგი კაბა ჰსთხოვე, მსწრაფლად შემიკერეთ, რათა მისეულითა კაბითა ვიხილო იგიო'' (,,დილარიანი'', გვ. 547).

,,მრავალფერყვავილოვანში'' თამარის მეფედ კურთხევის ეპიზოდი თინათინის გამეფებას გვაგონებს. არაბთა მეფე როსტევანმა ვაზირები მოიხმო და რჩევა ჰკითხა:

უბრძანა: ,,გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ, ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე ნქნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!
და ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.
(სტრ. 33, 36).

ვაზირები არ დაეთანხმნენ მეფეს:
„რად ბრძანე თქვენი ბერობა“. — ნაგრამ ბოლოს დასტური დასცეს; მოიწონეს კიდევაც მეფის მოსაზრება:

„სჯობს—და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“.
(38).

ქართველთა მეფემ გიორგი მესამემაც თამარის გამეფების წინ შეკრიბა თურმე დარბაზის ერი და რჩევა ჰკითხა:

მოიხმო კათოლიკოზი და სხვა სამღვდელო დასები,
დიდ-დიდნი სპასალარები, სამეფოს პალატს ხასები,
თავადნი მთათა და ველთა, მფლობნი მებრძოლთა მნასები,
და ლომგულნი მეომარნიდა და ერთგულებთა დასები.

უბრძანა: „მნებავს მოთხრობად თქვენდა სიტყვანი ორები,
კეთილად გაბრჭეთ, მომიგეთ, მე ჰეშმარიტად სწორები;
სიკვდილი ყოვლთა ეწევის, ვერ იხსნის მთა და გორები,
და თქვენცა გიხილავსთ, დავიცევ, სამზღვრითი სამზღვრად შორები.

ჰხედავთ სიყმისა ყვავილნი, მე სიბერითა მჭკნობიან,
მზე დაწურვილ არს ნათელი, აწ ბნელნი მომესწრობიან.
სააჯო რამ მაქვს თქვენთანა, თუ გულნი ჩემთვის გლმობიან,
და ჰყავთ იგი რაცა საჩემოდ და ანუ თქვენთვის სჯობიან.

თქვენ იცით, ერთი ასული მივის ნათელთა მფენელი,
შვიდთა ცთომილთა მაბუდი და სხივთ მომაწყენებელი.
ჩემი შვება და დიდება, სიცოცხლის შემაძენელი,
და მისთა მჭვრეტელთა მართოდენ შეხედვით მომალხენელი.

აწ იგი დავსვათ ხელმწიფედ, ვის აქვს მზისაცა მეტობა,
ეგვიპტის ლელწამს უწვლილეს შვენის მას წელწერწეტობა,
პირსა გავსილსა მთოვარებრ ადგას ზე ნათლის სვეტობა,
და სიბრძნისა ზღვასა მჭევრ-მეთქვსა, ატყვია ბრძენთა მეტობა.

გაბრჭეთ კეთილად განაგეთ, ვითა ჰსჯობს იგი ჰქმენითა,
თუ გინდეს იგი სამეფოდ მით გონებითა ბრძენითა.
სთქვით, ითათბირეთ, არჩიეთ, კეთილ ჰაზრითა თქვენითა.
და სათნოდ ჩემდა არამედ, მართალი სიტყვა ჰსთქვენითა".

დარბაზის ერმა პასუხი მიუგო გიორგი III.

ესე მეფისა ბრძანება ისმინა ყოვლმან კრებულმან,
ჰკადრეს — „მეფეო, ჩვენ თქვენგან სიტყვამან წარმოებულმან
მოგვიწყალა გული, ვით ბასრმან მახვილმან გამეხებულმან,
და რად ბრძანეთ თქვენი სიბერე მკლავ მაგარ მტკიცედ გებულმან...

...ნუ ჰბრძანებთ არცა მოსრულ არს, სადაა თქვენი ბერობა,
სუმბული თუმცა სპეტაკობს, იამან ვერ ჰყოს მტერობა.
ასულსა თქვენსა ახლად აქვს კოკობის ვარდის ფერობა,
და ჰბრძანებ და მეფედ დაგვისვი, არს ჩვენი ბედნიერობა".
(S № 155, გვ. 94).

„ვეფხისტყაოსანში" — თინათინმა რაკი გაიგო, რომ მამა მას სამეფო ტახტზე დასმას უპირებდა, ატირდა, რადგანაც

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა.
(47$_1$, $_2$).

ამგვარ მდგომარეობაშია გიორგი III ასული თამარიც. იგიც ცრემლებსა ღვრის და მოკრძალებით სამეფო ტახტზე უარს ამბობს:

ქალსა ესმა მამის სიტყვა, მას მნათობთა მოწუნარსა,
ინდელთ რაზმი შეიღრუბლნა, ნარგიზთაგან იწყებს ცვარსა.
ლალის ღაწვთა შეიქმნიდა, მარგალიტით ნალტობარსა,
და ვინც ისმენდა, დადნებოდა, მის უმანკოს ნაუბარსა.

ვარდი შესძრნა ბალახშთაგან, მარგარიტი გამოსჭვირდეს,
ბარანაის სადაფნიდა, მასთან ცუდდეს არა ღირდეს.
ამას ჰგვანდა ვარდის მტილსა, მაისი ნამს მრავლად ჰსცვრიდეს,
და იასამანს შეარხევდა, იანი ნაზს თავთა ხრიდეს.

ჰკადრა: „მამაო, ვითა ვჰყოფ მე ამად თქვენსა თნებასა,
რად გნებავსთ, საქმით შევიდე მე ღმრთისა განრისხებასა.
თქვენი არს ტახტი, გვირგვინი, სუფევდეთ თქვენსა ნებასა,
და მე ჯერეთ ვარდი უფრჩნელი, სრას ვაფრქვევ სურნელებასა.
(S № 155, გვ. 95).

ტარიელმა მწვავედ განიცადა მამის გარდაცვალება. იგი ერთი წელი ბნელში იჯდა და ალბათ დიდხანს დარჩებოდა იქ, რომ მეფის ბრძანებას და თხოვნას არ გამოეყვანა. ამ ამბავს ასე გადასცემს ტარიელი ავთანდილს:

„მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო — გაცუდებული,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ-დაღებული;
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
და ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შაითა ღებული“.
(335).

თამარმაც მძიმე სულიერი ტკივილებით გადაიტანა მამის დაკარგვა. იგიც ბნელ საკანში ჩაიკეტა სრული ერთი წელი და ბოლოს დიდებულებმა დიდის ცდით მოახერხეს თამარის ბნელი საკანიდან გამოყვანა. დიდებულები სთხოვდნენ თამარს:

„გამოვედ ბნელის საკანით, ახარე სპათა გულები,
აჩვენე პირი მზეებრი, და ტანი ალვად ჰრგულები.
ნუ გეშინიეც ყმათადა, არიან დაჩაგრულები,
და კათედრს დაბრძანდი, იმოსე, სამეფო სამკაულები“.
(S № 155, გვ. 97).

ავთანდილის გაპარვამ დიდზე დიდი მწუხარება გამოიწვია სასახლეში. შეფე როსტევანმა

პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭვრეტნი.
(821$_3$).

ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა;
და თქვეს: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე
მიგვიდრკა ცისა“.
(825).

რუსთველის მსგავსად პ. ლარაძე „სახე-მგოსანში“ აღწერს არტაქსერის გაპარვით გამოწვეულ მისი ქვეშევრდომების მწუხარებას:

თავსა იცემდეს, უმძიმდათ მათ მოშორება მთვარისა,
პირსა იხოჭდეს, შეიქნა სულთქმით ზრიალი ზარისა.
განხდა ამბავი, დას დასად იყო მოდენა ჯარისა,
წვერსა იგლეჯდეს, გამრავლდა მუნ სისხლი ნახოკარისა.

მოვლეს მიდამო ტირილით, იზახდეს: „მძლეო მეფეო, —
რა გცოდეთ, რასთვის გაგვწირე, სიუხვით მოიეფეო?
ჩვენთა მებრძოლთა მძლეო და მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
რად დასთმნე სპანი სამუდმოდ, სახელის უხვად მკრეფეო“.
(*H* № 495, გვ. 2).

ავთანდილის ქვაბში მისვლისა და ასმათთან საუბრის სცენა გამოყენებული აქვს პ. ლარაძეს „სახე-მგოსანში“. ავთანდილისებურად მოეპყრო ყამარდილი არტაქსერ მეფის მსახურ ქალს, რომელმაც იგი ბოლოს არტაქსერს შეახვედრა. (ამ პარალელის მოტანა ძალიან შორს წავიყვანდა).

ტარიელის მიერ ხატაელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას გვაგონებს ზოსტერ აბაშთა მეფის ომი გულარის წინააღმდეგ:

„შიგან მათსა გაეერია, სად პირველი იდგა დასი,
მანცა წინა მომაგება, რაცა ახლდა ყმათა ხასი.
იგი ხმლითა ჩამოვყარე, რაზომ ჯერცა იყო ასი“.
(*H* № 495, გვ. 35).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ზოსტერ აბაშთა მეფეს ხმალი გაუტყდა ბრძოლაში, ისე ვით ტარიელს. ცხადია, მიბაძვა ყოველგვარ წვრილმანშიც კი მჟღავნდება.

ძმადნაფიცებმა—ზოსტერმა და არტაქსერმა ბნელით მოცულ ქალაქში ვაჭრულად შესვლა იუკადრისეს. არტაქსერი აცხადებს:

„დავშალე შესვლა ვაჭრულად, ვსთქვი: „ესე რა სახელია“.
(*H* № 495, გვ. 44).

შემტევი რაზმი ძმადნაფიცებმა სამად გაყვეს, ისე ვით „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა:

„სამად გავყავ მე ცხრაასი კაცი ჩვენთან მუნ ნახლები“.
(*H* № 495, გვ. 44).

პ. ლარაძეს თავის ნაწარმოებში გადაუტანია ავთანდილის საუბარი მნათობებთან.

ფრიდონთან მიმავალი ავთანდილი მიმართავს შვიდ მნათობს:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზეხა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
და მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჰირი ჰირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა,
და მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

„ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრჭესა ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,
და მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა!“

... „მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“...
... „მოდი, ასპიროზ, მარგერა, მან დაშენა ცეცხლთა დაგთა“...
... „ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგაჭს. საქმე სხვასა“...
... „მო, მთვარეო, შემიბრალე, ელვაო და შენებრ ვმჭლდები“...
(სტრ. 957-963).

დასასრულს ავთანდილი აცხადებს:

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოელენ და მოწმად მყვებიან,
და მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“.
(964).

ჟამარდილი ავთანდილისებურად შეჰსტირის მნათობებს:

მოარულსა გზათა ზედა ცრემლნი ხშირად დაემთხვევა,
ცასა ეტყვის მოტირალი, რომელსა აქვს მთვარის თნევა:
„აჰა, ცაო, ზე დამყურებ, ვითა მქონან პირთა ლევა“...

... „მთვარეო ხელთა რად მომეც ყოველი საქმე შენია“...
... „ოტარიდ, ენა, რიტორო, ერმო მნათობო მშვენაო“...
... „ჰე, ასპიროზო, მეწივე, ცეცხლი მწვავს გულსა დაგებაო“...

,,მზევ, ეტლთა შენთა, კეთილ ნაშენთა, აწ ვერღა ვხედავ სწორად მავალსა,
ასხვაენ რება, მაქვს მიდ-მოდება, არ ვიცი მარიხს რად უგებ თვალსა.
ისწრაფი ჩემად, გულს დასაცემად, ლახვარსა მჭრესა პირბასრსა მალსა''...

,,მოი, მესისხლეო მარიხო, უწყალოდ სისხლის მღვრელოდა,
მოდი და დამჭერ ისრითა ჩემებრ მრავალთა მკელელოდა-
გული დამიპე ლახვრითა, ლომო, სისხლისა მსმელოდა,
აწ აგრეც მომკალ ადრითგან, გული სიკვდილსა ელოდა.

მუშთარო, ჩემთვის რად დახშე სამართლისა ეგე კარი,
მაქვს ჩივილად მოუსწრაფი ღაწვნი მქონან ნახოკარნი.
გეაჯები, გამიკითხე მოჩივარი ნასულთქმარი,
ბჭე ხარ სრული, სამართალი, გევედრები, მომცე წყნარი.

აჰა, კრონოს ზუალოდა გული მზად მაქვს ჭირთა ვანად,
მოდი, სევდა მომიმატე ცრემლთა ხშირად მოსაყვანად,
თავი მიეც შავსა დღესა, სიცოცხლე მჭირს შეუგვანად,
წყლული წყლულსა დამიმძიმე, მიწყით დამსვი ჟამთა მნანად''.

მიმართვის დასასრულს ყამარდიღი

იტყვის: „ჩემთანა ტირიან იგი მნათობნი ზენანი.
შვიდთავე ერთად ეტყობის, გულსა შეერთვათ წყენანი.
კრონოს, მუშთარი, მარიხი, მზე მრავლად შუქთა მფენანი,
აფროდიტს, ერმის, მთოვარეს აქვსთ ს სხლის ცრემლთა დენანი''.

(II № 495. გვ. 59-60).

გულანშაროში მისულ ავთანდილს უსენის მებაღე აცნობს ქალაქს:

,,ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა საკლითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მაკლითა''.

(II 65).

მოქალაქეთა საქმიანობის შესახებ მებაღე ავთანდილს ასეთ ცნობას აწვდის:

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა აჴის მეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრების, სავაჭროთა ყოვლგნით ჰკრებენ,
და უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“.
(1067).

ქალაქის მკვიდრნი ნიადაგ თურმე ბხიარულებაში ატარებენ დროს და ამით ისინი მომსვლელის გულსაც ახალისებენ:

„აქა მოსვლითა გაჴმდები', კაციმცა იყო ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიაზაგ არნ სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები.
და ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა ვინა მტერები“.
(1066).

„სახე — მგოსანში“ ზღვათა ქვეყნის ერთ-ერთი ქალაქი გულან-შაროს მსგავსადაა აღწერილი. ნემან ვაჭართა უხუცესი ეუბნება ყამარდილს:

„ქალაქი გარე მოცული გვაქვს ზღვითა ერთობ დიდითა,
მუნ მოვა ყოვლი სავაჭრო ნავი ოთხისა კიდითა.
ვისცა რა გვნებავს, ვივაჭრებთ, გავყიდით, კვლა ვიყიდითა,
გლახა ათ დღეთა ივსების საჭურჭლე ანაკიდითა“.

ქალაქში ყოველთვის დაუსრულებელი მხიარულებაა, რომელიც მოსულ სტუმარს, რაგინდ მოხუცი არ უნდა იყოს იგი, გააახალ-გაზრდავებს:

„მუნ მყოფთა ჰმუნავა არა აქვსთ კიდე სხვა თამაშობისა,
არის ლხინობა — პურობა, სტუმრობა მასპინძლობისა.
ზამთარ და ზაფხულ წალკოტთა მწვანობა ყვავილობისა,
ბერმაცა ნახოს, მოხვდების მუნ დრონი ჭაბუკობისა“.
(*H* № 495, გვ. 62).

ზევით მოტანილი ადგილები — პარალელები ადასტურებენ იმას, რომ „სახე — მგოსანი“ მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვითაა გალექსილი. სამწუხაროდ ხელნაწერი „სახე — მგოსანისა“ *H* № 495 64 ფურცელზე წყდება, მაგრამ, თუ დავაკვირდებით ავტორის მიერ აღებულ ხაზს, დავრწმუნდებით, რომ იგი უნდა დასრულებულიყო ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანი“: ბოროტსა სძლევდა კეთილი.

პეტრე ლარაძის ნაწარმოებებში გამეორებულია რუსთველის მხატვრული გამოთქმები, რითმები, შედარებანი, მეტაფორები, ჰიპერბოლები და სხვა

რუსთველი წამწამებს „ინდოთ რაზმს“ უწოდებს:

ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა.
(1346₄).

ამ მეტაფორას უცვლელად იღებს პეტრე ლარაძე:

წამწამთაგან ინდელთ რაზმნი ფიცხელს ისარს მ.ისროდეს.
(„დილარიანი“, გვ. 36).

ზოგჯერ მთელი სტროფი რუსთველური მხატვრული თქმების, მეტაფორების გამეორებაა:

„მაგრამ გლახ რა ვჰყო ბედკრულმან, ეის მიმიღებენ ვინანი,
ტურფასა ვარდის წალკოტსა ვინ ჩანერგულ ჰყოს მინანი,
ნუ თუ შელეწონ ძოწისა ნაზნი კარები ვინანი,
და ვინღა დამწყვიტოს თვალთაგან ცრემლი ხშირხშირად მდინანი“.
(S № 115, გვ. 26).

რუსთველიდან მომდინარეობს პ. ლარაძის მიერ გამოყენებული მეტაფორები:

ქედს მოეხვია ბენიამს, კვლავ ცრემლი დაადინამან,
ზე-შეიკონნენ, დაჰკოცნეს ბროლმან, ვარდმან და მინამან.
(S № 155. გვ. 50).

მელნისა ტბათა ნაკადი სისხლი ნილოსსა გარია.
(H № 495, გვ. 8).

ანდა:

„ვაი მის დღისა მხსენებსა, დავჰკარგენ ბროლი მინები“.
(H № 495, გვ. 19).

მრავალი შემთხვევაა რუსთველის რითმების გამოყენებისა, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს მოვიტანთ მაგალითისათვის:

რუსთველი:

,,წიგნი დავწერე: ,,მეფეო სვემცა არს თქვენი სვიანად!
მე ხატაელთა მიმუხთლეს, თუცა მათ ეცა ზიანად;
ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად,
და მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად“.
(463).

პ. ლარაძე:

იმეფა ბაგრატ მეფემან მრავალნი ჟამნი სვიანად,
ვინცა ურჩ ექმნის, განაძის, ესე აკმარის ზიანად.
თუ განსდგებოდნენ მთავარნი დიდ დიდნი თვისის ყმიანად,
და მალ შეანანის შერისხვით, შეუნდის არა გვიანად.
(S № 155, გვ. 73).

პეტრე ლარაძე უმეტეს შემთხვევაში რუსთველური თექვსმეტმარცვლოვანი შაირით სწერს, მაგრამ მას გამოყენებული აქვს სხვა საზომებიც: ჩახრუხაული, ფისტიკაური და მის მიერვე შექმნილი საზომი ლექსთწყობისა — ყარიბული.

პეტრე ლარაძის ნაწარმოებებში უამრავ რუსთველურ სალექსო სტრიქონებს შევხვდებით. ჩვენ აქ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითზე მივუთითებთ:

რუსთველი:

„მეცა თქვენად დასახოცად ხელი ხრმალსა დამიგია“.
(443_1).

პ. ლარაძე:

„სპათა მათთა გასატეხლად ხელი ხმალსა დამეგების“.
(*II* № 495, გვ. 34).

რუსთველი:

„აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა“.
(403_2).

პ. ლარაძე:

„ჩემთა ლაშქართა მეკეთა გულოვნად დაკაზმულობა“.
(*II* № 495, გვ. 38).

რუსთველი:

„შენი მკვლიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.
(133_4).

პ. ლარაძე:

„შენი მკვლიდეს სიყვარული, ვიდრე მედგას ხორცსა სული“.
(„დილარიანი“, გვ. 132).

რუსთველი:

მოახსენა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოველად სოფლად ღირდეს“.
(904_1).

პ. ლარაძე:

„ერთი ოდენ ხილვა მისი ჩემთვის ყოველად სოფლად ღირდეს“.
(„დილარიანი“, გვ. 114).

რუსთველი:

გული მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთავე თანა რბოლითა''.
(1252₁).

პ. ლარაძე:

,,გონება მიწვევს მინდორად მათ მხეცთა თანასრბოლითა''.
(„დილარიანი", გვ. 426).

რუსთველი:

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
(1₉₃).

პ. ლარაძე:

რომლისა სხივთა სიმრავლე მართლ მზეებრ განაცხადია.
(S № 155, გვ. 38).

და სხვა მრავალი.

დასასრულს, ცხადად ჩანს, რომ რუსთველის მომაჯადოებელმა ნიჭმა ერთგვარ ჩარჩოში მოაქცია ,,აღორძინების ხანის'' და ე. წ. ,,გარდამავალი პერიოდის'' პოეტები. რუსთველის ნაწარმოები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მისაბაძი გახდა, მაგრამ მიბაძვაცაა და მიბაძვაც: ერთნი რუსთველს ბაძავდნენ ბრმად და მეორენი კი რუსთველის თქმულს ახალ რაიმეს უმატებდნენ, გამოირჩეოდნენ, როგორც უშუალო, დამოუკიდებელი შემოქმედნი; სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის პეტრე ლარაძე.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

ძველოფონტე კვანტრე

ა. ვ. კოლცოვის ლექსების ქართული თარგმანები*)

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებიდან რუსულ ლიტერატურაში პუშკინისა და ლერმონტოვის გვერდით თამამად შეიძლება დავაყენოთ თავისი ნაზი ლირიკული მოტივებით და ხალხური მარტივი ენით ალექსი ვასილის-ძე კოლცოვი.

კოლცოვს დიდად აფასებდნენ ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ა. დობროლუბოვი, გლ. უსპენსკი, ი. ტურგენევი. ბელინსკი ამბობს: „Даже русские песни, созданные народом, не могут равняться с песнями Кольцова в богатстве языка и образов чисто русских".**)

ა. მალინკინი, ადარებს რა კოლცოვს პუშკინსა და ლერმონტოვს, ამბობს: „რუსული პოეზიის აკვანთან დგანან: ყოვლისშემცველი, ჰარმონიული პუშკინი; მღელვარე და ძლიერი თავის მღელვარებით ლერმონტოვი და ნაზი ლირიკოსი კოლცოვი. მათგან იღებს საწყისს მთელი შემდგომი რუსული პოეზია".***)

ქართველი ერი ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა თავისი დიდი მოძმის — რუსი ხალხის პოეზიას. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს გენიალურმა პოეტებმა პუშკინმა და ლერმონტოვმა, რომელთა ლექსები უხვად ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ამ მგოსანთა თანამედროვე სახელოვანი პოეტი ა. კოლცოვიც არ დარჩენილა ქართული პოეზიის მხედველობის გარეშე. კოლცოვს ჩვენში გატაცებით კითხულობდნენ. ამას მოწმობენ ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. ა. წერეთელი კოლცოვის შემოქმედების შეხახებ ამბობს: „პოეტური ნაწარმოები, ლექსები ორგვარია: ერთი აღვიძებს გონებას, ამაღლებს; მერე გადადის გრძნობაზე და ორი-

*) წაკითხულია მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენციაზე 1946 წლის 16 მაისს.

**) Бел., Избр. соч., изд. Поповой, Спб., 1898, т. I, გვ. 160.

***) А. Малинкин, Лит. учеба № 4, апр. 1938, გვ. 45.

ვეს ერთად ჰმსჭვალავს. მეორე კი — თითქოს საქმეც კი არა აქვს რა გონებასთანაო, თავისთავად უძვრება სულსა და გულში და თითქმის უნებურად ჰხიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგოსნები; მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმა-მაღლა საკითხავი, და მართლაც, მათი კითხვის დროს გულში იმღერის მკითხველი უეჭველად. ამ უკანასკნელი დარგის მგოსნები ისეთნაირად იბადებიან, როგორც ინგლისელების ბორნსი, გერმანელების ჰეინე, და თუ გნებავთ კოლცოვიც, რომელიც რუსის გრძნობა-გონების პირობაზე ქებით მოსახსენებელია". *)

ამრიგად, ა. წერეთელი სამართლიანად უწოდებს კოლცოვს სახალხო მგოსანს და იმავე დროს სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ კოლცოვის ლექსები „უფრო სასიმღერო არიან, ვიდრე სადეკლამაციო".

კოლცოვს, როგორც ზევით ვსთქვით, საქართველოში ბევრი მკითხველი ჰყავდა, მაგრამ ამას ვეღარ ვიტყვით მთარგმნელების შესახებ. რა იყო ამის მიზეზი?

კოლცოვის ლექსების თარგმანების სიმცირე ქართულ პოეზიაში, ვფიქრობთ, აიხსნება კოლცოვის ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებათა და აგრეთვე მის მიერ შექმნილ ხალხურ გამოთქმათა და სახეთა გადმოცემის სიძნელით რომელიმე სხვა ენაზე.

ა. ვ. კოლცოვის 158 ლექსიდან ქართულად ნათარგმნია 9 ლექსი. ეს ლექსები ითარგმნებოდა სხვადასხვა დროს და იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. ეს მასალა თანამედროვე მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია. მისი თავმოყრა და გამოქვეყნება დღემდე არავის განუზრახავს.

ჩვენ შევკრიბეთ თარგმნილი ეს პოეტური ქმნილებანი. საამისოდ ქრონოლოგიური წესით დავალაგეთ და განვიხილეთ ისინი რუსულ-ქართული ტექსტების ანალიზის საფუძველზე. ამასთან მთარგმნელთა ორთოგრაფია ყველგან უცვლელად დავსტოვეთ.

—:—

კოლცოვის ლექსი „უკანასკნელი ბრძოლა" („Последняя борьба") ნათარგმნია რევაზ შალვას-ძე ერისთავის მიერ. აღნიშნული თარგმანი მოთავსებულია 1858 წ. ჟურნალ „ცისკარში", № 10. აი თარგმანიც.

---

*) აკაკის თვიური „კრებული", 1899, № 2, გვ. 98-99.

უკანასკნელი ბრძოლა

(კოლცოვიდამ)

მე ზედ სასტიკი ქარი დამჭროდა,
ქუხილი ცაში სჭექდა გრგვინავდა:
მძაფრი სიცივე გულს მითრთოლებდა,
და სუსტი ჰკუა შიშით მიკრთოდა.

მე არ შეუდრკი ამა ტანჯვასა,
ამაყად ვდეგი ბრძოლისა ველსა,
მე შთავიმარხე სულში სურვილი,
გულშია სიმხნე, სხეულში — ძალი.

რაა სიცოცხლე, რა არს სიკვდილი!
მოდი რაც მოხვალ — ჰქმენ საწადელი!
დიდი ხანია ზესთა ბუნებას
მივნდობივარცა იმისა ნებას.

მე არ მაქვს იჯვი ამ სასოების,
ეს არს საესება ჩემის სიცოცხლის;
საუკუნოდ მას მუნ განსვენება,
მუნ მყუდროება და ნეტარება!

შენ ნუ მაშინებ უბედურებით,
ნუ მიწოდ, ბედო, ამაყოვნებით!
მე მზათა ვდგევარ ბრძოლის მინდორსა,
მაგრამ ვერ დასცემ გულ უშიშარსა!

ჩემ სულში არის ძლიერი ძალი,
გულში კვალად მაქუს მხურვალე ალი;
ჯვარცმის ქვეშ არის ჩემი საფლავი,
და ჯვარისა მაქუს მე სიყვარული. *)

გარეგანი ფორმის მხრივ თარგმანში დაცულია სტროფისა და სტრიქონის რაოდენობა, შინაარსობრივადაც აზრი შედარებით სწორადაა გადმოცემული. მაგრამ შიგადაშიგ ესა თუ ის წინადადება და სიტყვა არ შეესატყვისება რუსულ ტექსტს. მაგ. „Буря была“ ნათარგმნია: „სასტიკი ქარი დამჭროდა“. „Холод в душу проникал“ — გადმოცემულია: „მძაფრი სიცივე გულს მითრთოლებ-

*) რ. ერისთავი, ჟურნალი „ცისკარი“, 1858 წ. № 10, გვ. 67-68.

და". „Слабый ум судьба страшила" ნათარგმნია: „სუსტი ჭკუა შიშით მიკრთოდა". „Будь, что будет — все равно" ნათარგმნია: „მოდი რაც მოხვალ — ჰქმენ საწადელი". „Бесконечно в ней стремленье" თარგმნილია: „საუკუნოდ მას მუნ განსვენება". ეს წინადადება ძალზე დაშორებულია ორიგინალს. „Готов биться я с тобой" გადმოცემულია: „მე მზათა ვდგევარ ბრძოლის მინდორსა". აქ ზედმეტადაა დამატებული „ვდგევარ მინდორსა". „В душе есть сила" ნათარგმნია: „არის ძლიერი ძალი", აქ სიტყვა „ძლიერი" ზედმეტია. ფრაზა: „У меня есть в сердце кровь" ნათარგმნია: „გულში კვალად მაქუს მხურვალე ალი". ეს უფრო თავისუფალი თარგმანია. დანარჩენი ადგილები საკმაო სიძლიერითაა გადმოცემული. აქა იქ გეხვდება ძველი ქართული ფორმებიც: მუნ, მაქუს, ზესთა და სხვ.

ამ ლექსის ორი სტროფი თარგმნილია აგრეთვე მამია გურიელის მიერ. თარგმანს სათაური არა აქვს და აწერია „რუსულიდგან". თუ რომელი ავტორიდანაა თარგმნილი არც ეს არის ნაჩვენები, მაგრამ დღეს აშკარად მეღავდება, რომ ლექსი ნათარგმნია კოლცოვის ლექსიდან „Последняя борьба". თარგმანი შესრულებულია 1886 წ. და მოთავსებულია მამია გურიელის თხზულებათა კრებულში, რომელიც გამოვიდა 1897 წ. ქ. ქუთაისში. აქვე მოვიტანოთ თარგმანის ტექსტი.

რუსულიდგან

ჩემს ზემოთ გრგვინვა მეხსა ისროდა,
ქუხილი ცაზე დაგრიალებდა,
ჩემსა სუსტ ჭკვასა სვე აშინებდა,
სიცივე სულსა გამისალებდა.

მაგრამ არ დავეც წამებისაგან,
ცხოვრების ომსა დავუხვდი მწყრალი,
შემოვინახე სულში ნდომები,
ტანშია — ძალა და გულში — ალი. *)

როგორც ვხედავთ, თარგმანი ძლიერ ახლოს დგას რუსულ ტექსტთან, გარდა მეორე სტროფის მეორე სტრიქონისა, რომელიც შედარებით თავისუფალი თარგმანია. „Гордо выдержал удар" თარ-

*) მ. გურიელის თხზულება, ქუთაისი, 1897 წ., გვ. 213.

გმნილია: ,,ცხოვრების ომსა დავუხვდი მწყრალი''. შინაარსობრივადაც თარგმანი სავსებით სწორადაა გადმოცემული. შეიძლება ითქვას, რომ მამია გურიელი აქ არაა უბრალო მთარგმნელი, არამედ იგი ამავე დროს შემოქმედიცაა.

კოლცოვის ამ ლექსის სრულ თარგმანს იძლევა აგრეთვე პოეტი იასამანი (მიხ. კინწურაშვილი). თარგმანი გამართული და ხერხემლიანია. აი თვით თარგმანიც.

უკანასკნელი ბრძოლა

(კოლცოვისა)

ქარი თავზე დამღმუოდა,
მეხი ცაზე ბობოქრობდა,
სიცივე სულს მითოშავდა,
სუსტ გონებას ის აფრთხობდა.

მაგრამ ტანჯვით არ შევუდრკი,
ზედმოსევა განვიწონე.
შევირჩინე სულში ნდომა,
გულში — ჟინი, ტანში — ღონე!

მოსახდენი უნდა მოხდეს,
რაა ხსნა? ან ტანჯვა მწარე?
წმინდა რწმენას, განგებასა
ამიერით დავემყარე.

იქვი არ სცვლის ამა რწმენას,
მით სიცოცხლე გამემჭვალა.
უსაზღვროა მასში ლტოლვა!
განსვენების ტკბილი ძალა...

ბედო, ბრძოლად ნუღარ მიწვევ,
ტანჯვით ნუღარ მემუქრები:
მზად ვარ შენთან საბრძოლველად,
და ვერაფერს ვერ გახდები!

მე სულს ძალა მიცხოველებს,
სისხლი მიდგას, მიძგერს გული,
ჯვარს ქვეშ — ჩემი საფლავია,
ჯვარზე — ჩემი სიყვარული! *)

*) იასამანი, „ჩანგი", ტ. II, თბილისი, 1916 წ., გვ. 374-375.

უდავოდ, თარგმანი შესრულებულია ჩინებულად. განსაკუთრებით ლამაზად ჟღერს ორი უკანასკნელი სტრიქონი და იმავე დროს საკვებით შეესაბამება თვით კოლცოვის სტრიქონებს.

Под крестом — моя могила;
На кресте — моя любовь!

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ იასამანი პირველი სტროფის მესამე სტრიქონის სიტყვას ,,судьба''-ს ცვლის ნაცვალსახელით ,,ის'', ხოლო მეორე სტროფის მეორე სტრიქონს ,,Гордо выдержал удар'' თარგმნის: ,,ზედმოსევა განვიწონე''. აქ ეს ადგილი სათანადო სიზუსტით ვერ არის გადმოცემული თარგმანში. მეხუთე სტროფის პირველი სტრიქონის სიტყვა ,,бедою'' თარგმნილია ,,ტანჯვით''. მეექვსე სტროფის მეორე სტრიქონი ,,У меня есть в сердце кровь'' შედარებით თავისუფალი თარგმანია: ,,სისხლი მიდგას, მიძგერს გული''.

მიუხედავად ამ მცირე შენიშვნებისა, იასამანის თარგმანი, როგორც ზევით ვსთქვით, მშვენივრადაა შესრულებული, იგი ხიბლავს მკითხველს ლექსის მოქნილობითა და მუსიკალობით. ამასთან თარგმანი მჭიდრო კავშირშია ორიგინალის აზრსა, სიტყვებსა და გამოთქმებთან.

ამრიგად, კოლცოვის ლექსის (,,უკანასკნელი ბრძოლა'') სამი თარგმანი მოგვეპოვება ქართულ ენაზე. პირველი თარგმანი ეკუთვნის რევაზ ერისთავს, მეორე — მ. გურიელს (ნაწყვეტი) და მესამე — იასამანს.

მეორე ლექსი კოლცოვისა ,,Что ты спишь, мужичок?'' თარგმნილია ივ. ჯერესელიძის მიერ, სათაურით ,,გლეხ კაცო, ძმაო, რას გძინავს?''

გლეხ კაცო, ძმაო, რას გძინავს?

(რუსულითგან)

გლეხ-კაცო ძმაო, რას გძინავს ადექ,
კარს გადგა ტურფა შენ გაზაფხული,

შენ მეზობელთა რა გაიღვიძეს,
მუშაობენ გარს გახურებული;

აიღე თავი, გამოიღვიძე,
აბა ჯერ ძმაო ზედ დაიხედე;

რა იყავ, რა ხარ და რა იქნები,
აბა შენ ეზოს კარგად გახედე.

კალოზედ არ გაქვს არცა ერთი ძნა,
ანბარს, — არც ერთი პურის მარცვალი,
შენ ველზედ დაჰყოს რომე პირუტყვმა,
დაიხოცება მშიერ-მწყურვალი.

ეგ შენი ქოხი ოთხმოცის წლისა,
ბარბაცებს ისე, ვითა ბებერი,

აგვსებია შენ ეზო ნაგვითა,
შორით დაგცინის მოყვარე მტერი.

მოიგონე ძმავ ყმაწვილკაცობა,
შეძინების დროს ყველგან რომ ხტოდი,

„მოხუცების დროს მინდა ცხოვრება“,
ამაზედ ერთხელ არას ანბობდი.

ახლა იჯექი ფანჯარის წინა,
მრთელი დღე აგრე ჩაფიქრებული,

შეშის დამჭრელიც არა გყავს შინა
მაგ შენ ქცევაზედ იტანჯვის გული,
დროა მოიმკა შენ პურის ყანა

აგერ, შეხედე, მკიან ყველანი,
დალპა მინდორზედ, თივა ნათიბი,
არავინა სჩანს შინ შემომტანი.

რას გძინავს გლეხო? მიდის ზაფხული,
მალე დადგება მკაცრი ზამთარი,

ვინც რა შეკრიბა, აქვს შენახული,
იმას აქვს მაშინ ზურგი მაგარი.*)

ამ ლექსში ბევრი ადგილია დარჩენილი უთარგმნელად. ოთხსტრიქონიანი 13 სტროფი გადმოცემულია ივ. კერესელიძის მიერ ორსტრიქონიანი 16 სტროფით. ბევრი ადგილი წარმოადგენს მეტად თავისუფალ თარგმანს. მთარგმნელი ხშირად უმატებს ამა თუ იმ სიტყვას, გამოთქმას, რის გამოც იგი ხანდახან სავსებით სცილდება დედანს. შემდეგი ადგილი:

*) ივ. კერესელიძე, ჟურნალი „ცისკარი“, 1870 წ., № 10, გვ. 557-558.

Из клетей домовой
Сор метлою посмел;
И лошадок, за долг,
Но соседям развел.

სრულიად არაა ნათარგმნი, სამაგიეროდ დართულია:

შეშის დამჭრელიც არა გყავს შინა,
მაგ შენ ქცევაზედ იტანჯვის გული.

ასევე ითქმის შემდეგ სტრიქონებზე:

ვინც რა შეკრიბა, აქვს შენახული,
იმას აქეს მაშინ ზურგი მაგარი.

ამ სტრიქონების შესაბამისი ადგილები რუსულ ტექსტში არ მოიპოვება.

არაა ნათარგმნი აგრეთვე შემდეგი ტექსტი:

Путь снежком порошит,
Под санями хрустит.
Все соседи на них
Хлеб везут, продают,
Собирают казну
Бражку ковшиком пьют.

თარგმანში მოიპოვება ძველი ქართული ფორმები, როგორიცაა: რუსულითგან, აქუს, ანბობდი და სხვ. რუსული სიტყვა „амбар" მთარგმნელს გადმოცემული აქვს ქართულად „ანბარი" და სხვ.

კოლცოვის ლექსი „ლოცვა" („Молитва") თარგმნილია მღ. ფილას მიერ. ეს ფსევდონიმი, როგორც პოეტმა ი. გრიშაშვილმა გვაცნობა, ეკუთვნის ფილიმონ ლაფერაშვილს.

ლ ო ც ვ ა

უფალო, ჩვენო მეუფევ!
წმინდა არს ჩემი რწმუნება,
ვითა „ლოცვისა ალია",
მაგრამ წყვდიადად სამარე
რწმუნებასთანაც მწყრალია.
ვერ იმოქმედებს იქ სენა,
ვერც დახუჭული თვალია,
გულს ფეთქა და სიცოცხლე
საუკუნოდ გამქრალია.

წმინდა ჯვარი და სამარე,
ცის კიდე და მთლად დუნია
შემოქმედის შემძლე ხელით
კრეტსაბმელით გაბმულია
კაცი, მხეცი, მათ ცხოვრება,
მათი არსი და სულია
ზეგარდმის განგებითა
საიდუმლოდ მოცულია.
ვერ ვინ შესძლებს მის დარღვევას,
ვის ღმერთმა მისცა სული,
ვერც კაცი და ვერცა მხეცი,
ვერც ცეცხლი აღგზნებულია.

შეიწირე, შემოქმედო,
ჩემი ლოცვა და გული,
სიყვარული მხოლოდ შენი
წმიდათ მაქვს დამარხულია. *)

კოლცოვის ეს 28 სტრიქონიანი ლექსი ნათარგმნია 25 სტრიქონით. ლექსის ბევრი სიტყვა და გამოთქმა ვერაა ორიგინალის შესატყვისად გადმოცემული. მაგ., სიტყვა „пера“ თარგმნილია სიტყვით „რწმუნება“. კოლცოვის კითხვითი წინადადებები ქართულად ყველგან გადმოცემულია თხრობითი წინადადებების ფორმით. ამასთან ბევრი გამოთქმა ნაკლებად ეფარდება რუსულს. მაგ., თარგმანი:

ვის ღმერთმა მისცა სული,
ვერც კაცი და ვერცა მხეცი,
ვერც ცეცხლი აღგზნებულია.

ძალზე დაშორებულია ორიგინალს. ორი-სამი წინადადება სრულიად არაა ნათარგმნი, მაგ., „Не смоет вода“. ლექსის ბოლო, რომელიც იწყება „Прости-ж мне спаситель“, თარგმნილია ასე: „შეიწირე, შემოქმედო“. სიტყვა „спаситель“ ყველგან ნათარგმნია სიტყვებით „უფალო“, „შემოქმედო“, როცა კოლცოვს ეს სიტყვა ნახმარი აქვს „მაცხოვრის“, „მხსნელის“ მნიშვნელობით.

კოლცოვის ლექსი „მოხუცის ღიღინი“ („Песня старика“) ნათარგმნია პოეტ ი. მჭედლიშვილის მიერ.

*) მღ. ფილა, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ. № 39, გვ. 18.

მოხუცის ღილინი

(კალცოვიდან)

აჰა, შევკაზმავ ჩემსა მერანსა,
შევარდენსავით გამოფრენილსა;
მსწრაფლ გარდავივლი მინდორ-ველებსა,
გარდავცილდები უცხო ქვეყნებსა...
იქ დავეწევი ახალგაზრდობას
და ლამაზ ქალებს დაუწყებ ტრფობას!
მაგრამ ვაგლახმე! სულ ამაოა:
მზე დასავლეთით არა ამოვა... *)

ი. მჭედლიშვილის თარგმანი სწორად გადმოგვცემს კოლცოვის ლექსის აზრს. მაგრამ სიტყვებისა და გამოთქმების მხრივ თარგმანი მთლად ზუსტად არაა შესრულებული. მაგ., „Конь быстрый" ნათარგმნია „შევარდენსავით გამოფრენილსა". ტაეპები:

Я помчусь, полечу
Легче сокола,
Через поля, за моря,
В дальнюю сторону.

ნათარგმნია ასე:

მსწრაფლ გარდავივლი მინდორ-ველებსა,
გარდავცილდები უცხო ქვეყნებსა...

აქ გამოთქმა, „შევარდენზე უფრო სწრაფად" და სიტყვა „взлечу" გამოტოვებულია. ასევე არაა ნათარგმნი სიტყვა „ворочу", გამოტოვებულია აგრეთვე თარგმანში:

Приберусь и явлюсь
Прежним молодцем.

ლექსის უკანასკნელი სტროფის პირველი ორი სტრიქონი უფრო თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

Но, увы, нет дорог
К невозвратному!

ნათარგმნია: „მაგრამ ვაგლახმე! სულ ამაოა".

ი. მჭედლიშვილს ეკუთვნის აგრეთვე კოლცოვის მეორე ლექსის თარგმანი. სახელდობრ, მის მიერ ნათარგმნია კოლცოვის „Моя жизнь" (Дума).

*) ი. მჭედლიშვილი, ალმანახი „ერთობა", 1909 წ. № 1, გვ. 6.

ᲙᲐᲚᲪᲝᲕᲘᲓᲐᲜ

ორი სიცოცხლე არსებობს ქვეყნად:
ერთი მზესავით არის ნათელი;
მის სინათლეში მიმოფრინავენ
აზრი უმანკო და გრძნობა წრფელი,
მის სიდიადეს ტკბილად მღერს სიტყვა
სიბრძნით აღსავსე, თავისუფალი, —
და ეს სიცოცხლე მაღალ სულისა
საუკუნოა, როგორც უვალი.

—:—

მეორე კი ჰგავს კუმეტ ღამესა:
მის წიაღიდან მოისმის კვნესა
და მღელვარება გაურკვეველი,
სად იფარება აზრი ცხოველი,
მას არა გალობს ჰკვიანი სიტყვა,
უაზროდ ღელავს, როგორც ქარ-ბუქი,
და ეს სიცოცხლე უნაყოფოა.
ვითა მოსხლტილ ვარსკვლავის შუქი... *)

შინაარსობრივად თარგმანი ძალზე დაშორებულია ორიგინალს. ზოგიერთი სიტყვა და ხანდახან კი მთელი წინადადება სრულიად უთარგმნელია. ზოგიერთი კი მეტად თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს. არაა დაცული აგრეთვე ორიგინალში გამოყენებული სასვენი ნიშნები, რაც იწვევს აზრის ბუნდოვანად გადმოცემას.

ლექსის მეორე სტრიქონში არაა ნათარგმნი „Горит она“. მესამე სტრიქონი „В ее очах небесный тихий день“ სრულიად არაა ნათარგმნი, ხოლო მეოთხე სტრიქონი: „В сиянии—святая мысль и чувство“ —

ნათარგმნია:

მის სინათლეში მიმოფრინავენ
აზრი უმანკო და გრძნობა წრფელი.

მეხუთე და მეექვსე სტრიქონები:

Ее живая сила так роскошно
Звучит свободной и разумной речью —

*) ი. შვედლიშვილი. ჟურნალი „საქართველო“, 1908 წ. № 6. გვ. 7.

ნათარგმნია ასე:

მის სიდიადეს ტკბილად მღერს სიტყვა
სიბრძნით აღსავსე, თავისუფალი.

მეშვიდე და მერვე სტრიქონებიც არა სწორადაა გადმოცემული:

И это — жизнь земнова духа:
Долга она — как божья вечность...

ნათარგმნია:

და ეს სიცოცხლე მაღალ სულისა
საუკუნეა, როგორც უვალი.

ლექსის მეორე ნაწილის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სტრიქონები ძლიერ დაშორებულია ორიგინალს. აი ეს ადგილებიც:

В ее очах — земная грусть и ночь:
И стоит она сном кратким и мятежным,
Тается мысль в ее цветистых формах,
Но не звучит свободной речью:
Наклоннее во тьме она к молчанью.

მის წიაღიდან მოისმის კვნესა
და მღელვარება გაურკვეველი
სად იფარება აზრი ცხოველი;
მას არა გალობს ჰკვიანი სიტყვა,
უაზროდ ღელავს, როგორც ქარ-ბუქი.

თარგმანი კოლცოვის ლექსისა „В недогоду ветер...“ შესრულებულია ილია ჭყონიას მიერ.

ს ი მ ღ ე რ ა

(კოლცოვისა)

ავ-ტაროსში ქარიშხალი ღმუა, ქრის და ბერავს,
კაცსა ზაფრით გამწარებულს გულსა კბენს და სერავს!

უბადრუკს და მწარე ხვედრსა არსით ეფონება:
სიბერემდის სიყვარული მას არ ევლინება.

მოეტყდი, კაცად აღარა ვარ, ვეღარ ვებრძვი ამ ჭირს,
ქვეყანას რომ ვაკვირდები — მოშორებაცა ჭირს!

ჩემო ხვედრო, უცხო ხვედრო, სად ხარ დაკარგული?
როდემდისინ უნდა იყო ჩემგან დამალული?

წამოიწი რაც ძალი გაქვს მოიქნიე ფრთები:
ეგებ ჩვენსა საბედოსა ველად გან მალავს მთები.

თვარა — დაესხდეთ ზღვის პირს, ღრუბლის ვმონოთ
მოთმინებით,
ტრფობის გარდა ჰირშიც შეეძლებათ სიცოცხლეს ცხოვრებით!*)

ი. ჭყონიას ეს თარგმანი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიშადურში“, 1907 წ. № 7-ში, ხოლო შემდეგ იგი შევიდა ი. ჭყონიას წიგნში, რომელიც გამოვიდა 1913 წ., სათაურით „ი. ჭყონიას ნაწერები თავისთავადი და ნათარგმნი“.

თარგმანი შინაარსობრივად მჭიდრო კავშირშია ორიგინალთან. მთარგმნელი ლექსის ფორმის დაცვის მიზნით ხშირად ცვლის ორიგინალის ამა თუ იმ სიტყვას მეორე მოხდენილი შესატყვისი გამოთქმით და ამით ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის აზრს.

კოლცოვის სამი ლექსის თარგმანი ეკუთვნის ბ. ვ. ხერხეულიძეს. ეს ლექსებია: „Что значу я?“, „Человек“ და „Эпиграф“.

რას წარმოვადგენ?

(კოლცოვიდამ)

რას წარმოვადგენ მე პაწაწკინა?
ვსცხოვრობ, ვირჯები მზრუნველობითა,
ბედნიერების სურვილში მიდის
დრო, — ცრემლიც იღვრის გამუდმებითა;

რისკენ ვისწრაფი, რისთვის ვვარგივარ?
რომელ მხარეზე რისთვის დავდივარ?
არიან ხალხი გამწარებით სსურთ,
რომ გამოიცნონ კითხვები ესე.

მაგრამ რას ვეძებ, დე როგორც უნდათ
ბრძნულად გასაჯონ მათ ყველაფერზე.
ხორკლიან გზაზე ბრმასებრ დავდივარ
ხან გავიელი და ხან კი ვაგდივარ;

*) ი. ჭყონიას ნაწერები თავისთავადი და ნათარგმნი. თბილისი, 1913 წ., გვ. 43.

თუ სულელს შევხვდი მასთან ვიცინებ,
თუ მშვენიერსა — მისგან ვსტყუვდები,
თუ უბედურსა — გულით ვიტირებ,
რას წარმოვადგენ მას კი არ ვეძებ. *)

აღნიშნულ თარგმანში გვხვდება ზოგიერთი შედარებით თავისუფალი თარგმანი, როგორიცაა:

И вечно недовольный плачу.

თარგმნილია: „ცრემლიც იღვრის გამუდმებითა".

Чего ж ищу? К чему стремлюсь?
В какой стране, на что гожусь?

ნათარგმნია:

რისკენ ვისწრაფი, რისთვის ვვარგივარ?
რომელ მხარეზე რისთვის დავდივარ?

სტრიქონები:

Я недоросль, — я мудрец.
И мне нужнее знать немного,

სავსებით არაა ნათარგმნი. დანარჩენი ადგილები საკმაო სიხუსტით და ლამაზადაა გადმოცემული. მეორე თარგმანი კოლცოვის ლექსისა „Человек" დაიბეჭდა „იერიაში" 1909 წ. ფსევდონიმით დ ა უ ც ხ რ ო მ ე ლ ი.

როგორც თარგმანის თარიღიდან ჩანს, იგი ბ. ხერხეულიძის მიერ გადმოგზავნილია მოსკოვიდან. შემდეგ კი ეს თარგმანი შევიდა ხერხეულიძის ლექსთა კრებულში, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1914 წელს.

ა დ ა მ ი ა ნ ი

(კოლცოვიდამ)

ყველა ქმნილება უფლისა ჩვენის
მეტად კარგია და მშვენიერი!
მაგრამ უმშვენეს ადამიანის
არა რა არის ამ ქვეყნიური.

მას ხან სძულს თავი, ხან ძვირად ულირს;
ხან შეიძულებს, ხან შეიყვარებს;
და ერთი წამის სიცოცხლისათვის
იტანჯება ის მთელ საუკუნეს.

*) ლექსები ბ. ვ. ას. ხერხეულიძისა, თბილისი, 1914 წ., გვ. 11.

რა მისცემს სურვილს თავისუფლებას
სისხლის ნიაღვრით მორწყავს მიწასა;
თუ ნებას მისცემს ხელსა გრძნობასა
მის ქვეშ ადუღებს თვით ოკეანსა.

მაგრამ იცვლება მისწრაფებანი,
და გაბრწყინდება ნათლად გონება
და ყოველივეს დაჩრდილავს ქვეყნად,
ადამიანის მშვენიერება. *)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი შესრულებულია ენაკლოდ. დაცულია ორიგინალის მოტივი, სტრიქონთა რაოდენობა, ორიგინალის აზრი. მხოლოდ ორ ადგილას მომავალი დროის ზმნები გადმოცემულია აწმყო დროით.

Под ним море закипит.

ნათარგმნია ,,მის ქვეშ ადუღებს თვით ოკეანსა''.
ან

По изменится стремленья.

ნათარგმნია ,,მაგრამ იცვლება მისწრაფებანი''.

მესამე ლექსის თარგმანი (ოთხსტრიქონიანი ,,ეპიგრაფი'') მოთავსებულია ბ. ხერხეულიძის ლექსთა კრებულის პირველ გვერდზე ისე, როგორც ამას ადგილი აქვს კოლცოვის ლექსთა კრებულში. ჩანს, ბ. ხერხეულიძე იზიარებს კოლცოვის აზრს მწერლობაზე, გამოთქმულს „ეპიგრაფში". აი ეს ეპიგრაფიც.

Пишу не для мгновенной славы:
Для развлеченья, для забавы,
Для милых искренних друзей,
Для памяти минувших дней. **)

არ ვწერ წუთიერ სახელისათვის,
არც სათამაშოდ, არც გასართობად;
ვწერ საყვარელი მეგობრებისათვის,
და წარსულის დღის მოსაგონებლად. ***)

*) ლექსები ბ. ვ. ას. ხერხეულიძისა. თბილისი, 1914 წ. გვ. 5.

**) Полн. собр. соч. А. В. Кольцова, под ред. Лященко. 2-ое изд. Ак. наук, Спб., 1909 г., стр 1.

***) ლექსები ბ. ვ. ხერხეულიძისა, თბილისი, 1914 წ., გვ. 1.

დასასრულ, აქვე მოვიტანოთ მამია გურიელის ის თარგმანი, რომლის ორიგინალად სთვლიდნენ კოლცოვის ლექსს.

კოლცოვიდგან

გარბიან ღრენი, მირბის ღამები
წარხდა ზაფხულიც და შრიალებენ
გაყვითლებული სუსხით ფოთლები,
ბნელდება ხედვა, ვერ მღვიძარებენ
თითონ ფიქრებიც, და სძინავს გულსა.

ყველაფერი სთვლემს, არ გამეგება,
თუ სულს აჩნია სიფხიზლის ჩრდილი,
ცივად ვსცქერ სოფელს, არ იძვრის ენება,
აღარ მაქვს ცრემლი და არც სიცილი.

და ჩემი ხვედრი აბა რა არის?
ეტყობა, ზეცით მონიჭებული
არ გამაჩნია არაფრისთანა,
ესრედ ბედისგან მე ვარ ვებული.

მაგრამ კეთილსა თუ არა ვღირსვარ,
ბოროტი მაინც რათ არ მომეცა?
ნუ იქმ, ო, ღმერთო, როგორც მძინარე
ვბორგვიდე ცუდათ, გავყინდე მეცა...

დამპალ წყალივით ვეგდო შარაზე,
ნუ გამიმეტებ ამა ზომამდის,
მომეც სიცოცხლე, ცის შემოქმედო,
მძინარეების გაღვიძებამდის.

ო, მომეც გულით, გულით ვიცხოვრო,
რომ მე შემეძლოს ძმათ სიყვარული,
სავაებოა მძიმე ტყვეობა
თვით უფლებაში, უმეტეს სული.

სავაებოა ცხოვრების გავლა
ქვალ-დაუჩნევლად, ჯოჯოხეთია,
უმნიშვნელოდ თუ კაცი ისპობა,
სიკვდილ-სიცოცხლე მაშინ ერთია. *)

*) მ. გურიელი, თხზულებანი მ. გურიელისა, ქუთაისი, 1897 წ. გვ. 214-215.

სინამდვილეში ასეთი ლექსი კოლცოვს არა აქვს და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. ის პესიმისტური ჰანგი, რომელიც ამ ლექსში გაისმის, კოლცოვისათვის არაა დამახასიათებელი.

მაგრამ ეს გაუგებრობა სავსებით ცხადად გაარკვია ცნობილმა პოეტმა და მკვლევარმა ი. გრიშაშვილმა. მან ჯერ კიდევ 1939 წ. გაზეთ ,,ლიტერატურულ საქართველოში'' მოათავსა წერილი სათაურით: ,,შევჩენკო ქართულ ლიტერატურაში'', სადაც ამბობს, რომ ლექსი ,,გარბიან დღენი, მირბის ღამები'' უთარგმნია მ. გურიელს ტ. შევჩენკოდან და არა კოლცოვიდან; შეცდომით კი მ. გურიელის ლექსთა კრებულში ლექსს სათაურად აქვს ,,კოლცოვიდგან''. აი რას ამბობს თვით პოეტი ი. გრიშაშვილი: ,,შევჩენკოს მეორე მთარგმნელად უნდა ჩაითვალოს მამია გურიელი. მამიასაც შევჩენკოს ერთი ნაწარმოები აქვს ნათარგმნი:

Минають дні, минають ночі

გარბიან დღენი, მირბის ღამები,
წარხდა ზაფხულიც და შრიალებენ
გაყვითლებული სუსხით ფოთლები.

,,უნდა ითქვას, — განაგრძობს ი. გრიშაშვილი, — რომ ძველად ლექსი ითარგმნებოდა მთარგმნელის სულიერი განწყობილების მიხედვით. შევჩენკოს ეს ლექსიც ძლიერ ენათესავებოდა მამია გურიელის სევდიან ლირიკას. მაგრამ პატარა კურიოზი: ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ ,,თეატრში'', 1886 წ. იქ ასეთი სათაური აქვს: ,,შევჩენკას ფიქრი'', მაგრამ, არ ვიცი, რატომ, მამიას ლექსების კრებულში, რომელიც 1897 წელს გამოვიდა, ამ ლექსს სხვა სათაური აქვს: კ ო ლ ც ო ვ ი დ ა ნ. შევჩენკოს ლექსი ვინ მიაკუთვნა კოლცოვს, გაუგებარია''. *)

—:—

ამგვარად, კოლცოვის ლექსების მთარგმნელებად გვევლინებიან: რევაზ ერისთავი (,,Последняя борьба''), მამია გურიელი (,,Последняя борьба''), იასამანი (,,Последняя борьба''), მღ. ფილა (,,Молитва''), ივ. კერესელიძე (,,Что ты спишь, мужичок?''), ი. მჭედლიშვილი (,,Песня старика'' და ,,Две жизни''), ი. ჭყონია (,,В непогоду ветер'') და ბ. ხერხეულიძე (,,Что значу я?'', ,,Человек'' და ,,Эпиграф'').

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნილი ლექსები, გარდა ერთისა (,,Что ты спишь, мужичок?''), კოლცოვის უფრო მეორეხარისხოვან

*) ი. გრიშაშვილი, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1939 წ., № 14.

ნაწარმოებებს წარმოადგენს. ის ლექსები კი, რომლებმაც პოეტს სახელი გაუთქვეს ხალხური მოტივებითა და ფორმით, სოციალური საკითხების წამოყენებით, სამწუხაროდ, არაა ნათარგმნი ქართულ ენაზე. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსები: „Косарь", „Урожай", „Пахарь", „Деревенская беда", „Доля бедняка", „Раздумье селянина", „Не шуми ты, рожь", „Молодая жница", „Песня пахаря", „Крестьянская пирушка", „Лес" და მრავალი სხვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ა. ვ. კოლცოვის ლექსები თავისი მუსიკალობით, მოქნილობით, ხალხური გამოთქმებითა და სახეებით და აგრეთვე ღრმა შინაარსით მეტად ხიბლავენ მკითხველს. სხვათა შორის, კოლცოვის ბევრი ლექსი გადატანილია მუსიკაზე ისეთი დიდი კომპოზიტორების მიერ, როგორიც არიან: გლინკა, რუბინშტეინი, რიმსკი-კორსაკოვი, დარგომიჟსკი, მუსორგსკი და სხვ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ა. ვ. კოლცოვის ლექსები, რომლებშიც პოეტი ხოტბას ასხამს ადამიანის სილამაზესა და შრომას, რომლებშიც გაისმის დემოკრატიზმით გამსჭვალული ძლიერი ხმა, შესანიშნავად და სასიყვარულოდ ჟღერენ ჩვენი საბჭოთა ეპოქისათვისაც. ამიტომ სასურველია, რომ ჩვენმა საბჭოთა პოეტებმა უახლოეს ხანში გადათარგმნონ ა. ვ. კოლცოვის შემოქმედება და ცალკე კრებულად მიაწოდონ იგი ქართველ საზოგადოებრიობას.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

სიმონ ჟაუხიშვილი

ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში *)

3. აფხაზეთის ბერძნები

დღეს აფხაზეთის 96 სოფელში მოიპოვება ბერძნული მოსახლეობა, რომლის რაოდენობა სხვადასხვა დროს წარმოებული აღწერის მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში. **)

აფხაზეთის ბერძნული მოსახლეობა

	სოფელი	მაზრა (1923 წ.)	1907 წ.	1933 წ.	1917 წ.	1923 წ.	1926 წ.
1	აბახადაფ	გუმისთისა		208		141	166
2	აბლახვარი	„			596		
3	ახანთი	„			219	302	
4	ათონი ახალი	გუდაუთისა			188	9	
5	ალექსანდროვსკოე . . .	გუმისთისა	619	816	560	532	522
6	ალექსეევკა	„			18	8	
7	ალპაიისკოე	გაგრისა				368	11
8	ამხარა	გუმისთისა			507		10
9	ამთყელი	„				49	27
10	ამჩარა	„		408	100	251	268

*) ამ გამოკვლევის პირველი ნაწილი, რომელშიაც მიმოხილულია ბერძნების დასახლების ისტორია I. წალკაში და 2. ციხისჯვარსა და მიქელწმინდაში, დაიბეჭდა „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში“, ტ. IV, 1942 წ., გვ. 219-239.

**) ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შედგენილია 1934 წელს, როდესაც ეს ჩვენი ნარკვევია დასრულებული.

	სოფელი	მაზრა (1923 წ.)	1907 წ.	1933 წ.	1917 წ.	1923 წ.	1926 წ.
11	ანასტასიევსკოე	გუმისთისა			151		93
	ნიკოლაევსკოე				122	353	99
12	ანუხვა-ზედა	გუდაუთისა				94	
13	ანუხვა ქვედა	„				89 *)	15
14	ანუხვა შუა	„				160	
15	ანდრეევსკოე	გუმისთისა	306	621	583	667	491
16	აპიანჩა ზემო	„			768	461	
17	აპიანჩა ქვემო	„				365	
18	აფუშტა	„			674	296	32
19	არტინუსტი	გუდაუთისა				47 **)	
20	აფშტანი	„				39	
21	აჩანდარა	გუმისთისა				31	
22	ბაზარი—ბერძნული . . .	„				133	
23	ბაზარი—სომხური . . .	„				79	
24	ბარჯა	„		168	49	123	111
25	ბაღმარანი	„				153	14
26	ბესლეტკა—მეორე . . .	„				38	
27	ბესლეტკა—წითელი . .	„			157	96	
28	ბეშ-ყარდაშ	„		441	401	351	351
29	ბირცხი ზედა (ბირწი) .	„			1089	682	29
30	გაგრა ახალი	გაგრისა				464	211
	გვარდია თავისუფალი (იხ. სგაბოდნ. გვარდია) .						
31	გეორგიევსკოე	გუმისთისა	469		644	683	101
32	გერგემიში	„			268	531	42
33	გერზეული	„	1424 ბერძ. ბ ქარ.		187	193	4
34	გრუბეშოკი	გაგრისა				160	13

*) ამათში 60 თურქულად მოლაპარაკე.
**) 17 თურქულად მოლაპარაკე.

	სოფელი	მაზრა (1923 წ.)	1907 წ.	1933 წ.	1917 წ.	1923 წ.	1926 წ.
	გუდაუთი						383
35	გულრიფში ზედა	გუმისთისა			118	45	3
36	გულრიფში ქვედა	„				184	69
37	გუმა—საბაშვილი	„		99	66	69	76
38	დიმიტრიევკა	„		154	274	151	98
39	დრანდა	„				93	98
40	ეკატერინინსკოე	„	574	501	379	341	314
41	ეშირხვა	გუდაუთისა			53	57	
42	ვესელოე	„				24	
43	ვლადიმიროვკა	გუმისთისა			67	29	5
44	ვოდოპადი	„				23	
45	იაშტუხა ზედა	„			34	106	31
46	იაშტუხა ქვედა	„			239	141	58
47	ივანოვო-ალექსეევკა (პარნაუტი)	„				343	238
48	იურიევსკოე	„			205	259	
49	კამანი	„		60	129	48	44
50	კელასური (აზანთისა)	„			268	280	
51	კელასური (ვოლოდარსკისა)	„				51	37
52	კესიანოვკა	„				96	7
53	კონსტანტინოვკა	„	717	871	815	839	812
54	კოჩკანცეც-კიუგ	გუდაუთისა				25	
55	კუკურიფში	„				148	14
56	ლეჩკოპი (ლუჩკოპი) ზედა	გუმისთისა			183	13	4
	ლეჩკოპი ქვედა				67		
57	ლიწდაუ ზედა	„		33	250		24
58	ლიწდაუ ქვემო	„		104	55	74	83

	სოფელი	მაზრა (1923 წ.)	1907 წ.	1933 წ.	1917 წ.	1923 წ.	1926 წ.
59	მანეა	გუმისთისა				572	
60	მარამბა	»				109	69
61	მარიინსკოე	»	130	414	340	396	286
62	მატროსკაია სლაბოდა	»			50	21	
63	მაჭარა (მაჯარა?) . . .	»			61		
64	მერბეული ზემო	»			205	226	22
65	მინგრელსკოე (წებელდა)	»			29	10	2
66	მიტილეევკა	»				13	
67	მიხაილოვო (მიხაილოვკა)	»	820	1734	1218	1782	763
68	მუგუძირხვა	გუდაუთისა				15	
69	მცარა ზედა	»				10	15
70	ნიკოლაევო - ანასტასიევ. (იხ. ანასტასიეევო) . .	»					
71	ნოვო-არმიანსკოე . . .	»			226		
72	ნოვო-ჩერნიგოვკა . . .	»			9	22	2
73	ოლგინსკოე	»	319		403	508	399
	ოჩემჩირე						149
74	პავლოვსკოე	»	478	559	678	525	568
75	პაპაზიანი	»				17	
	პარნაუტი (იხ. ივაწოვო-ალექსეევკა)	»					
76	პეტროვკა (ძველად ალან)	»			223	104 *)	
77	პეტროვსკოე	გუმისთისა	304 რუსი	261	250	236	194
78	პიპერანტონ	»		256		364	200
	პოლტავო-ალექსანდრ. .	»					89
79	პოლტავო-კელასური . .	»	300 რუსი			328	67
	პოლტავო-ქართული . .	»			449		
80	ხვამოდნაია გვარდია . .	»		317		284	214

*) 11 თურქულად მოლაპარაკე.

	სოფელი	მაზრა (1923 წ.)	1907 წ.	1933 წ.	1917 წ.	1923 წ.	1926 წ.
81	სვობოდა	გუმისთისა				574	92
82	სპასოვკა	„		111	85	100	64
83	სტარო ჩერნიგოვო . . .	„			245		137
84	სტარუშკინო	„				14	11
85	ფონდუკლუკი	„					
	კოდა I				245	339	21
	კოდა II				164		
86	ფსირცხა	გუდაუთისა			73	128	46
87	ფშანი ზემო	გუმისთისა				30	26
88	ცხარა-შუბარა	„		172	78	120	112
89	წებელდა სომხური . . .	„			94		215
90	ხაჩატურ	„				7	13
61	ხაჩატურ-საგოიანც . . .	გუდაუთისა				23	
92	ხინტარხუა	„				31	
93	ხოლოდნაია რეჩკა . . .	გაგრისა				63	3
94	ხუმუშკური (გლადიმ. ს. საბჭო)						78
	ხუმუშკური (ნიკოლაევო-ანასტ.)						130
95	ჯალი						70
96	ჯიში						178
	შ ე ნ ი შ ვ ნ ა						
	გაგრის მაზრაში					1055	
	გუდაუთის „		88		1160	1080	
	გუმისთის „		4871		15717	16472	
	კოდორის უბანში . . .		294				
	სულ საქართველოში .		5.253		16.877	18.604	14.045

31 სოფელში ძირითადი მოსახლეობა ბერძნულია.

1926 წლის აღწერით აფხაზეთის მოსახლეობა

რაიონი (ყ. მაზრა)	ჯამი	ქართველი	სომეხი	აფხაზი	ბერძენი	სხვა ეროვნება	სხვები
გაგრისა	20.644	1.934	2 559	1.158	346	2.173	
გალისა	50.086	36.802	26	12.963	12	150	
გუდაუთისა	30.798	1.377	5.784	17.846	649	2.447	
კოდორისა	33.086	6.762	2.920	21.762	209	334	
სოხუმისა	55.529	15.593	12.365	1.531	12.829	2.345	
ქალ. სოხუმში	21.568	5.036	2.023	658		5.104	
	211.711	67.494	25.677	55.918	14.045	5.104	

ერთ-ერთი მიზეზი ბერძნების დაძვრისა ანატოლიიდან 1869 წლის წინ იყო თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობათა გამწვავება. როგორც ცნობილია, 1866-7 წელს საბერძნეთი შეუდგა სამხადისს მაკედონიაში შეტევისათვის (თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ამის ნება არ მისცეს საბერძნეთს), ხოლო 1868 წელს კრეტელთა აჯანყებას მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, ამ ურთიერთობის გამწვავებას უნდა მიეწეროს ის, რომ თურქებმა დაიწყეს რეპრესიები მცირეაზიელ ბერძენთა წინააღმდეგ.

ერთ კორესპონდენციაში ტრაპიზონიდან ვკითხულობთ („Кавказ", 1869, № 9, 19 იანვარი). „ერთი თვეა მას აქეთ, რაც აქ ცნობა მოვიდა ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ თურქეთსა და საბერძნეთს შორის... როგორც კი ცნობა მოვიდა ურთიერთობის შეწყვეტისა და თურქეთიდან ბერძნების გაძევების შესახებ, ადგილობრივი ხელისუფალნი ის იყო შეუდგნენ სასტიკი ზომების მიღებას საბერძნეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ... და დაიწყეს ქვეშევრდომების საკითხის შემოწმება..." 71 კომლიდან მხოლოდ 35 კომლს დაუმტკიცდა საბერძნეთის ქვეშევრდომობა, ხოლო „დანარჩენებს წინადადება მიეცა ან უარი ეთქვათ ბერძნობაზე, ან გასახლებულიყვნენ თურქეთიდან. ზოგიერთი მათგანი კიდევაც წავიდა ფოთში, კერასუნდში... მოხელეები შეიპრნენ ბერძენთა სახლებში,

გააღვიძეს ოჯახის უფროსი კაცები და წაიყვანეს ბაზარზე, სადაც ფესები იყიდებოდა. აქ უბრძანეს თავიანთი ქუდები გაეყიდათ და ფესები ეყიდათ. ამ საბით მოიყვანეს ყადისჯან, რომელმაც გამოუცხადა მათ, 15 დღის განმავლობაში ან უარი თქვით ბერძნობაზე, ან წადით კონსტანტინოპოლშიო".

ამას მოჰყვა რეპრესიები თურქეთის ქვეშევრდომ ბერძენთა წინააღმდეგაც. ცნობილია, რომ ქრისტიანი ბერძნები ბევრგან თავიანთ თავს მაჰმადიანებად ასაღებდნენ, მეჩეთებში დადიოდნენ, მიცმალებულებსაც მაჰმადიანთა სასაფლაოზე მარხავდნენ; იდუმალ კი ქრისტიანობას იცავდნენ. 1857 წლის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით რუსეთის დახმარებით ამ ბერძნებმა შესძლეს ქრისტიანობას დაბრუნებოდნენ აშკარად: ხოლო რადგან ქრისტიანებს მაჰმადიანების ჯარში სამსახური არ შეეძლოთ, ამიტომ თურქეთის მთავრობა დათანხმდა სამხედრო ბეგარა ფულადი კომპენსაციით შეეცვალა, და ამიერიდან ბერძნები ჯარში აღარ გადიოდნენ და გარკვეულ სამხედრო გადასახადს იხდიდნენ.

მაგრამ 1868 წლის ამბების შემდეგ თურქეთის მთავრობამ ამ ბერძნებსაც შეუტია. ჩვენ წინ არის ტრაპიზონის ვილაიეტის (გიუმიშხანეს სანჯაყის, თორულის ყაზის) **კრომის** საბჭოს მცხოვრებ ბერძენთა პეტიცია, რომელიც მათ მიართვეს ტრაპიზონში მყოფ ევროპის სახელმწიფოთა კონსულებს 1869 წლის 15 მარტს. ამ პეტიციაში ვკითხულობთ: „თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ის მდგომარეობა, რომელშიაც იყვნენ კრომის მცხოვრებლები ამ რამდენიმე წლის წინათ. თქვენი დახმარების წყალობით ისინი დაუბრუნდნენ თავის მართლმადიდებლობას და მას აქეთ სხვა ქრისტიანებთან ერთად უხდიან სახელმწიფოს გადასახადებს. ახლა კი თურქებს უნდათ ჯარში გაანაწილონ კრომის მცხოვრებლები (ვისაც იარაღის ტარება შეუძლია). საჭირო არ არის ვიმსჯელოთ იმ საბედისწერო შედეგებზე, რომლებიც მოჰყვება ამ ზომას 700 კომლისათვის. თქვენ უკეთ გაიგებთ ამას და გთხოვთ დაგვეხმაროთ და აგვაშოროთ ეს უბედურება. - თურქეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები საგანგებო გამოსაღებს იხდიან — ეს სამაგიერო საზღაურია სამხედრო სამსახურის ნაცვლად. ქვემორე ხელისმომწერთ ვერ გაუგიათ, თუ რატომ უნდა იყვნენ ისინი მოკლებული ამ წყალობას" („Кавказ", 1869, № 48).

ასეთ ამბებთან იყო დაკავშირებული, რომ 1868 წლის განმავლობაში 200 კომლი ანატოლიელი ბერძენი დასახლდა შავი ზღვის

ოლქში, როგორც წერს А. Руновский კავკასიის კეთილმოწყობის შესახებ დაწერილ ვრცელ ნარკვევში („Кавказ", 1869, № 30). *)

ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით დიდძალი კოლონიზატორი მიადგა, თურქეთში ჩერქეზების გადასახლების შემდეგ, დაცარიელებულ შავი ზღვის ოლქს.

ანალოგიური იყო მდგომარეობა აფხაზეთში, მაშინდელ სოხუმის განყოფილებაში (Сухумский отдел), სადაც 1866 წლის აფხაზთა აჯანყების შემდეგ საკმაო ტერიტორია აღმოჩნდა თავისუფალი.

„Военный сборник"-ის სამხედრო მიმომხილველის მიხედვით 1866 წელს აფხაზეთში შემდეგი ამბები დატრიალდა.

„აფხაზეთში მუშაობდა დაქვემდებარებული წოდებების მდგომარეობის გამომრკვევი კომისია. ბზიფის ოლქში ამ საქმეებზე მომუშავე მოხელის გაუფრთხილებლობამ შედეგად მოიტანა ის, რომ ზოგიერთმა მიწისმფლობელმა უარი განაცხადა მის მოთხოვნათა შესრულებაზე. ამ მიწისმფლობელთა მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და მთელს ოლქში დაიწყო მოძრაობა შეიარაღებულ უკმაყოფილო მიწისმფლობელთა (стало заметно вооруженное движение). სოხუმის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა **კონიარმა**, მოიწვადინა დასაწყისშივე დაეწყნარებინა ეს აღელვება და ამ აზრით ის, გიორგი და ალექსანდრე შერვაშიძეების (აფხაზეთის ყოფილი მთავრის შვილისა და ძმის) თანხლებით, 25 ივლისს გაემგზავრა სოუქსუში (ლუხუნში, ოლქის უფროსის სამყოფელოში), სადაც 26 ივლისს, დილით, შეიკრიბა ბზიფის ოლქის თითქმის მთელი მოსახლეობა. პოლკოვნიკი კონიარი შერვაშიძეებისა და საოლქო მმართველობის მოხელეთა თანხლებით გამოვიდა შეკრებილებთან.

„როდესაც დაქვემდებარებულ წოდებათა არჩეულმა კაცებმა განუმარტეს კონიარს, რომ მათთვის სრულიად არ არის ხელსაყრელი საკუთარი საშუალებებით გამოისყიდონ თავი მემამულეთაგან, და სთხოვეს პოლკოვნიკს, ნება მოგვეცი დეპუტაცია გავგზავნოთ უმაღლეს მმართველობაშიო,— კონიარმა უპასუხა, დეპუტაციის გაგზავნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, მე თვითონაც ბადა ვარ ვიშუამდგომლო ამ საქმეზე, ხოლო ამჟამად უნდა შეასრულოთ მმართველობის მოთხოვნა — იარაღი ჩააბარეთ და საჭი-

*) „В течении 1868 года на прибережьи Черноморского Округа поселено: анатолийских греков — 200 сем., молдован — 40 сем, чехов — 35 сем., греков (из Кутаисской губ.) — 70 сем.". შეად. აგრეთვე „Кавказ", 1869, № 1 — ცნობა ნოვოროსიისკიდან 600 ბერძნის მოსვლის შესახებ და იქვე № 49 ტუაფსეში ანატოლიელ ბერძენთა 250 კომლის დასახლების შესახებ.

რო ცნობები მიაწოდო მოხელეებსო. ამ დროს სროლით იქნა მიცემული სიგნალი და შეკრებილები ეცნენ მმართველობის წარმომადგენლებს. კონიარი იძულებული იყო თავისი მხლებლებით ურთ დამალულიყო ყოფილი მთავრის სახლში. შეიარაღებული ბრბო ჯერ ეცა ჰაუსტეახტას, გ ნათავისუფლა იქ მყოფი ტუსაღები და შემდეგ შეიჭრა იმ სახლში. სადაც კონიარი იმალებოდა, მოკლა ის, მასთან მყოფი საოლქო მმართველობის მოხელეები და რამდენიმე კაზაკი. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს სოუქსუში მყოფ კაზაკთა ასეულზე, რომელიც ეკლესიაში დაიმალა და რამდენიმე დღის განმავლობაში იცავდა თავს (ეს ასეული გადაარჩინა და სოხუმში გაგზავნა ალექსანდრე შერვაშიძის მეუღლემ).

„იმავე დღეს აჯანყებულები თავს დაესხნენ გუდაუთის საბაჟო პოსტს და აქედან სოხუმისაკენ გაემართნენ გზაზე მათ შეეყარნენ სოხუმის ოლქისა და წებელდის შეიარაღებულ მოხელეთა დიდი ნაწილი. 27 ივლისს აჯანყებულები (2.000 ქვეითა მებრძოლი და ცხენოსანი) მიადგნენ სოხუმს. სოხუმის განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ფონ-კულმანს წინადღით შეეტყო სოუქსუში მომხდარი ამბები და უკვე მიეღო ზომები სოხუმის დასაცავად. აჯანყებულები რომ სოხუმთან გამოჩნდნენ, ქალაქში მაშინ სულ 8½ როტა იდგა, ისიც საკმაოდ სუსტი შემადგენლობისა, ამიტომაც ოთხმა როტამ ქალაქის მთავარი შემოსავალი კარები დაიკავა. მოსახლეობა ქონებითურთ ციხეში და გემებზე გახიზნეს. აჯანყებულები ჯერ მდისუბანს იცნენ, გადასწვეს სახლები და დაარბიეს იქ დარჩენილი ქონება; შემდეგ მათ ათჯერ მაინც მიიტანეს იერიშები ქალაქის შემოსავალში მოდარაჯე ჯარზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. 27-28 ივლისის ღამეს გამუდმებული სროლა იყო. 28-ს დილით აჯანყებულებმა კიდევ ერთხელ სცადეს შეკრილიყვნენ ქალაქში, რომ დაერბიათ დუქნები და მაღაზიები. მაგრამ ამაოდ. ნაშუადღევს სოხუმში მოვიდა მთელი მე-37 ბატალიონი და კავკასიის №№ 31 და 32 ბატალიონების (кавказских линейных батальонов) ორი როტა. ამ ჯარებმა მაშინ მიიტანეს იერიშები მთიელებზე და გარეკეს ყველა პოზიციებიდან. 29 და 30 ივლისს აჯანყებულებს მეშველი ძალები მოუვიდათ და კვლავ გამოემართნენ ქალაქის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ საბოლოოდ იქნენ უკუქცეულნი და იძულებულ იყვნენ დაეხიათ.

„შემდეგ, როდესაც სოხუმში ჩავიდა ფოთისკენ გემებით მიმავალი და ამიერ-კავკასიის სარკინიგზო სამუშაოებზე გამოგზავნილი მე-39 ქვეითა დივიზიის პოლკები და ყუბანის ოლქიდანაც ჩავიდა

მე-19 ქვეითა დივიზიის ორი ბატალიონი, — ამან შესაძლებელი გახადა აჯანყებულთა დამორჩილება. იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა აჯანყდა, გაიგზავნა ჯარი, საკმაო რაოდენობით, და გადაწყდა მიემართათ ისეთი ზომისათვის, რომელიც აქამდე მმართველობას არ უხმარია კავკასიაში, — სახელდობრ, განეიარაღებინათ აფხაზეთისა და წებელდის მოსახლეობა. ეს ზომა კიდევაც იქმნა გატარებული, დიდის წარმატებითა და სისხლის დაუღვრელად. ბზიფის ოლქის მცხოვრებლებმა 31 აგვისტოს ჩააბარეს იარაღი მთავრობას, სოხუმის ოლქში — 5 სექტემბერს, წებელდაში — 7 სექტემბერს, შემდეგ, გაიგზავნა საგამომძიებლო კომისია აჯანყების წამქეზებელთა და მეთაურთა გამოსარკვევად" („Кавказ", 1869, № 77).

აჯანყების მონაწილე აფხაზებმა უმჯობესად დაინახეს თურქეთში გადასახლებულიყვნენ და მთავრობაც შეუდგა იმაზე ზრუნვას, რომ სანდო ელემენტები ჩაესახლებინა.

ასეთ სანდო ელემენტს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი — კავკასიის მოსახლეობა არ წარმოადგენდა, რუსეთის მმართველი წრეების აზრით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ცნობილი შავრაზმელის Сергей Шарапов-ის სიტყვები ამ ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ.

С. Шарапов-ი 1894 წელს ახლდა იმ ექსპედიციას, რომელმაც მიწათმოქმედების მინისტრის А. С. Ермолов-ის მეთაურობით მოიარა შავი ზღვის სოხუმისა და ბათომის ოლქები.

შარაპოვის აზრით, აფხაზებში ვერ გაარჩევ ბრალიანსა და უდანაშაულოს. ყველა საეჭვოდ გამოიყურება. როდესაც ის ჩასულა სოხუმში, шла сессия высшего Кутаисского окружного суда и вследствие того весь Сухум наполнился самой разнообразной азиатчиной... По одному только делу фигурировало до 70, не знаю уже свидетелей, или подсудимых, да их чрезвычайно трудно разобрать, до того лица и костюмы у всех на один образец и до того подозрительно блестят все глаза (С. Шарапов, По Черноморскому Побережью. Письма из поездки в составе экспедиции министра Земледелия и Государственных Имуществ осенью 1894 года С. Петербург, 1896, стр. 48). სოხუმში ექსპედიციას პოლკოვნიკმა ბრაკერმა გაუმართა სადილი, на котором, ამბობს შარაპოვი, мы могли познакомиться со всем здешним обществом, состоящим из множества местных снятельств, весьма кишащихся своими титулами и вольностями, в большей части уже знакомых с употреблением носового платка, вилок и ножей, не-

вообще говоря, еще достаточно диких. Живется им недурно, несмотря на все сельско-хозяйственные и иные кризисы: во-первых, они почти ничего никому не платят, во-вторых, имея все свое, довольствуются очень немногим и ведут жизнь самую примитивную и, в-третьих, почти все имеют значительные доходы от конокрадства (С. Шарапов, к. с. стр. 83).

ამ ბანკეტზე მრავალი სიტყვა ითქვა. აგრეთვე... говорило несколько азиатов, вкладывая в сладкие речи некоторые неприятные русскому уху колючки. Изгадил звучала здешняя тема: „Кавказ для кавказцев". Я — ამბობს შარაპოვი, решил ответить и, попросив слова, сказал следующее:

„Во всю свою долгую историческую страду русский народ приносит жертвы, стремясь на юг, к теплому небу, к теплому морю. И вот наконец есть у него и это небо, и это море. Здесь на Кавказском берегу утвердилась Россия прочно и навсегда. Здесь развевается русское знамя, парит русский орел...

„Но отчего же не по себе чувствуется здесь русскому человеку, отчего ему тесно, душно, неприютно здесь? Отчего чужой он здесь, на этом теплом берегу, под этим ярким солнцем?

„Оттого, думается мне, что, благодаря русскому добродушию, здесь на эту землю завоеванную русской кровью, забралася всякая инородчина, расселась по лучшим местам и не только теснит русского человека, но и глумится, издевается над ним.

„Но это не надолго. Наши государственные задачи требуют, чтобы этот край не по имени только, но и в действительности стал скорее русским краем, чтобы был здесь поддержан, усилен и обнадежен русский человек.

„Пожелаем же господа, чтобы это случилось скорее, чтобы скорее переварилась в могучем русском желудке вся здешняя разноплеменная и разноязычная смесь и чтобы это небо и это море стали во истину русскими" (С. Шарапов, ц. с. 88 89).

ასეთი აზრისა იყვნენ რუსი იმპერიალისტები ადგილობრივი, აფხაზური მოსახლეობის შესახებ.

ასეთივე აზრისა იყვნენ მეგრელების შესახებ, რომლებიც თანდათან მოიწვევდნენ აფხაზეთის დაცარიელებულ ადგილებში.

ერთადერთ სანდო ელემენტად მიჩნეული იყო რუსობა. მაგრამ რუსობა პირველ ხანებში არც ისე ადვილად მოდიოდა აქ. ერთი მიზეზი იყო სიძნელე ჩვეული ადგილებიდან დაძვრისა, ხოლო აქ,

აფხაზეთში, ჰავის საკითხიც აშინებდა. ამასობაში კი, როგორც ეტყობა, მეგრული მოსახლეობა მოიწევდა.

ასეთ პირობებში სანდო ელემენტს წარმოადგენდა თურქეთის მოსისხლე მტერი, ბერძნობა. მასზე დაყრდნობა რუსეთის მთავრობას უფრო უშიშრად შეეძლო, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელმაც თურქების პირველ მოახლოვებისთანავე 1877 წელს აფხაზეთში არსებულ სოციალური უსწორობით გამოწვეული გრძნობები აჯანყებად აქცია.

და გენერალმა **გეიმანმა** 1869 წელს ბერძნები დაასახლა სამ სოფელში (ალექსანდროვკა, ოლგინსკოე, გეორგიევსკოე).

ბერძენთა დასახლებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ როგორც ქვემოთ მოყვანილი ცნობებით გამოირკვევა, ბერძნები აფხაზებს წინათაც იცნობდნენ.

რადგან ხელოსნები თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდნენ სოხუმში, ქალაქისა და მისი მიდამოების სააღმშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ გარედან მოსული ხელოსნები, განსაკუთრებით თურქები და რაჭველები. ამის გამო სააღმშენებლო სამუშაოები ძალიან ძვირი ჯდებოდა. იმ მიზნით, რომ თურქების მოზღვავება შეენელებინა და სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარებაც გაეადვილებინა, სოხუმის განყოფილების (მხარის) უფროსმა **გენერალმა გეიმანმა** (Гейман) **1869 წელს სოხუმის მახლობლად, სოფ. ალექსანდროვკაში** (в сел. Александровском) **დაასახლა ბერძენი კალატოზები** (А., Письма об Абхазии, Письмо 1-ое: „Кавказ", 1877, № 220).

ალექსანდროვკა

ალექსანდროვკა — ეს პირველი ახალშენია ბერძნებისა აფხაზეთში. 1869 წლის თებერვალში ბერძენ მუშების ერთმა ჩაწილმა, ქრისტეფორე **ფულოპულოს** მეთაურობით, თავიანთი ცოლშვილი მოიყვანა თავისი მცირეაზიული სამშობლოდან და მდ. კელასურის მარცხენა ნაპირას, სოხუმიდან 10 კილომეტრის მოშორებით, გამართა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ბინა.

„სოფ. ალექსანდროვსკი — მაძლევს ცნობას მასზე. **პაპანდოპულო** — 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს განადგურებულ იქნა თურქების მიერ; მცხოვრებლები გაიქცნენ ხმელეთით ქუთაისში და რუსეთის სხვა ნაწილებში. ზავის დადების შემდეგ უკან დაბრუნდნენ. რუსეთის მთავრობის დახმარებითა და შემწეობით აღადგინეს თავიანთი სადგომები და მიწებიც შეიღეს საკმაოდ (ათის ნაცვლად 30 დესეტინა). მოსული არიან **სანდეს** დაბის შვიდი

სოფლიდან (*εκ των επτα χωριων Κωμοπολεως Σαντας*). მათ ხელმძღვანელობდა ქრისტეფორე **ფულენი**. სახელი ჰქვია ალექსანდრე ნევსკისა".

აქამდე ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, რომ ალექსანდროვკის მცხოვრებლები **გიუმიშხანედან** არიან მოსული (იხილე Дьячков-Тарасов). ეს აზრი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ, საზოგადოდ, აფხაზეთის პირველი კოლონიზატორი ბერძნები ბერძენთა იმ წყებებს ეკუთვნიან, რომლებიც 1869 წლის წინა ხანებში ქვისმთლელებად და კალატოზებად მუშაობდენ სოხუმსა და მის მიდამოებში. ეს ხელოსნები კი მეტწილად, მართლაც, გიუმიშხანელები იყვნენ, ისევე როგორც XVIII საუკუნის ბოლოში ერეკლე მეფის დროს ახტალასა და სხვა ადგილებში მოწვეული ბერძნები. მაგრამ რომ, კერძოდ, ალექსანდროვკის ბერძნები **სანდელები** არიან, ამას პაპანდოპულოს გარდა ადგილობრივი მცხოვრებლები ადასტურებენ.

ალექსანდროვკის მცხოვრები, 60 წლის მოხუცი ლუკა პანაიოტის ძე ჩატოვი (პიროველიდი) და ქრისტეფორე ფულერპულოს შვილიშვილი გვაწვდიან ცნობებს ამ სოფლის დასახლების შესახებ. მათი წინაპრები მეტწილად ქვისმთლელები (*λιθοξόϊ*) იყვნენ. მოვიდნენ სანდედან, სოფ. იშხანიდან („იშხან ანუნ"). იყო არტელი ქვისმთლელთა (8 კაცი), მუშაობდნენ ტფილისში, ქუთაისში, სარიყამიშში, მერე სოხუმში. რამდენიმე თვე აქ მუშაობდნენ (ოქტომბერ-მაისში), დანარჩენ თვეებს თავიანთ ცოლშვილში ატარებდნენ თურქეთში. თუ სახეირო სამუშაოები არ შეხვდებოდათ და ფულს ვერ მოაგროვებდნენ, ისინი არც ბრუნდებოდნენ, რჩებოდნენ აქ 1-2 წელს (სამშობლოში სახნავი მიწები მაინც ცოტა ჰქონდათ, ან თითქმის არ ჰქონდათ).

სამშობლოში, სანდეში, ბევრი იყო კარტოფილი, კომბოსტო, ჭოკი, ძირს კი, დაბლობში, ტრაპიზონთან იყო თხილი („ფუნდუკა"), იყო აგრეთვე სიმინდიც ზემოთ; ისე კი სახნავი მიწები ცოტა იყო. ამიტომ კაცები გარეთ გადიოდნენ სამუშაოს საძებრად. მიდიოდენ ბაიბურთ-არზრუმის მხარისკენაც. იქ მკიდნენ და ქირად პურს ღებულობდნენ. ამ სამუშაოზე უფრო ხშირად ქალები მოდიოდნენ; კაცები უფრო ხელოსნები იყვნენ, ქვისმთლელები, და ასეთ სამუშაოზე მოდიოდნენ და ფულს უგზავნიდნენ ცოლებს, რომლებიც აშ ფულით ქურთებისაგან ჰყიდულობდნენ პურს. ქურთები ხშირად მოდიოდნენ ბერძენთ სოფლებში, და ვირებით მოჰქონდათ გასაყიდი ხორბალი. რომ შეწყდებოდა ხოლმე ქურთების მოსვლა,

ქალები ჩადიოდნენ ტრაპიზონში და ორ-ორ ფუთობით მოჰქონდათ პური (ორ დღეს უნდებოდენ ტრაპიზონიდან სანდეში ასვლას ⟨ორ კილომეტრით იყო დაშორებული: არც ურემი დადიოდა, არც ცხენი, საცალფეხო გზა იყო მხოლოდ). ქალები ერთმანეთს ძალიან ეხმარებოდნენ ხოლმე. ქმრებისაგან მოსულ ფულს სხვა ქალებს უნაწილებდნენ; ან და შეიკრიბებოდა ხოლმე 20-30 ქალი და შეშას შოუტანდნენ ჯერ ერთს, მერე მეორეს და ა. შ.

ქალები ძალიან მხნე და ყოჩაღი იყვნენ. როდესაც ისინი მთაში გადიოდნენ საცოვრებზე, თურქები ხშირად ესხმოდნენ თავს ქარავანსა და ყველის წასართმევად. თუ იქ კაცები ეგულებოდათ, უფრო თავისუფლად ესხმოდნენ თავს; თუ კი კაცები ცოტა ეგულებოდათ და, ზაზასადამე, მეტი წილი ქალები იქნებოდნენ, ვეღარ ჰბედავდნენ თავდასხმას, რადგან ეშინოდათ ქალებისა. თავდასხმის დროს თურქები არ ჰკლავდნენ ბერძნებს. „ფიქრობდნენ, ალბათ, იმაზე — ამბობს ფულოპულოს შვილიშვილი, ხარლამპი ივანეს ძე **სტილიდი** — რომ შემდეგაც გამოადგებოდათ. შეკრავდნენ, წაართმევდნენ ქონებას, აიძულებდნენ ეთქვათ „ალალად შეგარგოს ალაჰმაო“ და წავიდოდნენ“. ისე კი სოფლის მკვიდრ მოსახლე თურქებთან ბერძნებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

კაცები, როგორც ითქვა, საოსტატო, სახელოსნო სამუშაოებზე დადიოდნენ. მუშაობდნენ მაგალითად, არზრუმის ციხესთან, თხრილებში გაჰყავდათ, დღეში 24 კაპიკს ღებულობდნენ. დადიოდნენ აგრეთვე კავკასიაში, სხვათა შორის სოხუმშიაც, სადაც საალმშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ (ქვისმთლელობა, კალატოზობა და სხვ.).

ალექსანდრე II-ის ყოფნის დროს სოხუმში (22 სექტ. 1861 წ.) წინადადება მისცეს (თითქოს თვითონ მეფემ მისცა წინადადება) ბერძენ ოსტატებს დასახლებულიყვნენ ამ მხარეში: დაჰპირდნენ ოლზე 30 დესეტინა მიწას, ფულს და ხარს. ბერძნებმა ამოარჩიეს მიწები ალექსანდროვკის რაიონში, სადაც 1869 წელს 33 ოჯახი გადმოსახლდა თურქეთიდან. ბერძენთა წინამძღოლი იყო **ქრისტაფორე ფულოპულო** (რომლის ქალიშვილი 55 წლისა დღესაც აქ ცხოვრობს). მაშინ სოხუმის მხარის მმართველად იყო გენერალი **გეიმანი**, ხოლო მთავარსარდლად **ლორის-მელიქოვი**. ამავე ხანებში უნდა იყვნენ მოსული (და არა უფრო ადრე) ოლგინსკოეს და მარიინსკოეს მცხოვრებლები. „ჩვენ მოსვლამდე — ამბობს ჩატოვი — აქ არც ერთი ბერძენი არ ყოფილა, იყვნენ მხოლოდ ახუხაზები“. თურქები, რასაკვირველია, თავისუფლად არ უშვებდნენ

ბერძნებს: თითოეულ ბიჭზე ახდევინებდნენ საგანგებო გადასახადს (ალბათ, სამხედრო ბეგრის მაგიერ, რამდენიმე წლისათვის). მოსულან ზღვით, მთავრობას მიუცია კომლზე 30 დესეტინა მიწა, თითო ხარი, მეწველი ძროხა და ცოტა ფულიც. სახელმწიფო გადასახადის („ვასილიაკა დორიმატა") არ ახდევინებდნენ (მხოლოდ 10 წლის შემდეგ გადაახდევინეს მიცემული დახმარება), არც სამხედრო ბეგარაზე იწვევდნენ 15 წლის განმავლობაში. „მე—ამბობს ჩატოვი—1893 წელს გამიწვიეს, ჩემ წინ 1 გაწვევა იყო მხოლოდ".

1877 წლის ომის დროს ბერძნები გაიქცნენ, ფეხით გაჰყვნენ უკან ჯარს. 72 კაცი გზაში მოკვდა. ბერძნები ხაშურში დაბინავდნენ (ისინი სურამის ყაზარმებში მოათავსეს).

1869 წლის მაისში ჩამოვიდნენ მეორე არტელის წევრები, **გეორგი საფიანოს** მეთაურობით, და 19 ოჯახი დასახლდა ჯემბალის ხეობაში, აღმოს. ამტყიალის ნაპირას სოფ. **გეორგიევსკში** (ეს სოფელი 30 კომლისათვის იყო განკუთვნილი); მათ თან მოიტანეს ანატოლიის საუკეთესო ხარისხების თამბაქოს თესლი და პირველხარისხოვანი თამბაქოს პლანტაციები გააშენეს (Дьячков-Тарасов).

ოლგინსკოე

იმავე 1869 წლის მაისში აღმ. მაჯარის სათავეებთან სოფ. **ოლგინსკოეში** დაბინავდა 20 ბერძნული ოჯახი ანატოლიიდან; წინათ ისინი კირის გამოწვაზე მუშაობდნენ გუმში.

1877 წელს ეს სოფლები — **ოლგინსკოე, ალექსანდროვსკოე** (წებელდა), **გეორგიევსკოე** — საომარი ოპერაციების ცენტრში მოექცნენ. 1877 წლის აპრილის 15-ს თურქების სამხედრო გემები უკვე ფოთს მოადგნენ („Кавказ", № 68); 29-30 აპრილს თურქებმა დესანტი გადმოსხეს გუდაუთში („Кавказ", № 82; დესანტი 1866 წელს გადასახლებულ აფხაზთაგან შედგებოდა უმთავრესად). 2 მაისს, საღამოს 5-7½ საათზე ხუთი ჯავშნიანი გემი მოადგა სოხუმს და ქალაქს ზარბაზნები დაუშინა. 3 მაისს სოხუმი უკვე აღებული იყო თურქებისა და გადამდგარი აფხაზების ძალებით.

რომ აფხაზეთის სანაპიროს დაცვა ძნელი იქნებოდა რუსული ჯარებისათვის, ვინაიდან სანაპირო გამაგრებული არ იყო და თურქთა ფლოტი კი ძლიერი, ეს რუსის სარდლობას წინდაწინვე ჰქონდა ნავარაუდევი: ამიტომაც მან სამხედრო საყრდენი პუნქტი აირჩია არა ნაპირას, არამედ შიგნით, ტერიტორიის სიღრმეში — სოხუმი-

დან 25 კმ. მოშორებით, სოფ. **ოლგინსკოე**, სადაც მოთავსდა სამხედრო საწყობები.

თურქებთან მებრძოლ რუსულ ჯარს სარდლობდა გენერალი კრავჩენკო. ის სოხუმთან იდგა, ბაზა კი ოლგინსკოეში ჰქონდა. როდესაც თურქების დესანტს სოხუმის რაიონის აფხაზური მოსახლეობის უმრავლესობა შეუერთდა, რუსული ჯარისათვის მეტად საშიში მდგომარეობა შეიქმნა. საჭირო იყო ბერძნებით და ბულგარელებით დასახლებული სოფლების — ოლგინსკოეს, ალექსანდროვსკოეს, გეორგიევსკოეს, წებელდისა და ანასტასიევსკოეს დაცვა, განსაკუთრებით პირველის, სადაც სამხედრო იარაღი და სურსათი იყო მომარაგებული. ამ ადგილებში ბრძოლას გენ. კრავჩენკო წარმატებით აწარმოებდა, (მაგ. ალექსანდროვკასთან 10 მაისის "მახლობლად), ხოლო როდესაც ცნობა მოვიდა, კონსტანტინოპოლიდან სოხუმში 10.000 კაცისაგან შემდგარი რეგულარული ჯარი გამოგზავნა 5 ბატარეითო, მაშინ კრავჩენკოს ბრძანება მიუვიდა, სამუზაყანოსაკენ დაეხია. დახევა ადვილი საქმე არ იყო, რადგან ჯარს, როგორც მაშინდელს ოფიციალურ ცნობებში წერია, თან უნდა წამოეყვანა ადგილობრივი მცხოვრებლები — ჩვენი სოფლების ბერძნები და ბულგარელები, — რომელთა დატოვება იქ, რასაკვირველია, მათ ამოჟლეტას უდრიდა (ნაწილი მოსახლეობისა წინასწარ გახიზნულიყო; ახლა ჯარს 2.000 მცხოვრები ახლდა თან). ჯარიც იხევს უკან მწყობრად, არიერგარდული ბრძოლით, ბალადის ხიდის გზით, რომელიც უფრო ძნელი იყო, და არა სამწრეთით, სწორი გზით, რომელიც საშიში იყო, თუ ახალი დესანტი მოუსწრებდა (ამ უკანასკნელი გზით, ნააზე, მხოლოდ დაჭრილები გაგზავნეს). *)

ბრძოლის ველიდან გამოგზავნილ ოფიციალურ ცნობებში ვკითხულობთ:

„Зугдиды 15 мая. Отряд ген. Кравченко 12-го перешел без выстрела из Ольгинского в Цебельдинское. 13-го перешел Алеткинский; равенные перешли Кодор в Наа. Отряд бодр, здоров. В Сухуме высадились части турецкой пехоты и артиллерии („Кавказ", 1877 г., № 92, 18 мая).

„Зугдиды 16 мая. Отряд генерала Кравченко 14-го подходил к Багадскому мосту; кавалерия имела незначительную перестрелку; три

*) „С Кавказского берега Черного Моря": გაზ. „Кавказ". 1877, № 135 (გადმობეჭდილია „Новое Время". № 451-დან).

роты, стоявшие у Наа, переправились на левый берег Кодора; соединение отряда со следующего из Окуми колонного генерала Алхазова должен последовать вскоре.

Зугдиды 18 мая. Отряд генерала Кравченко переправился 16-го через Багатский мост; в жарком арриергардном деле раненных 20. Отряд ген. Алхазова прибыл 16-го к Адзпаскертскому под'ему, где соединился с тремя ротами, переправленными у Наа.

იმავე წლის (1877) აგვისტოში რუსის ჯარი უკან იბრუნებს აფხაზეთის დაკავებულ ტერიტორიას. უკვე 18 აგვისტოს შემდეგი დეპეშაა: Наш отряд перешел р. Келасури в сел. Александровском. Авангард наш от турок, стоящих в Абжакве, всего на пушечный выстрел („Кавказ", 1877, № 167). ოფიციალური ცნობით (იქვე, № 108) 16 აგვისტოს გენერალ **ალხაზოვს** მდ. კელასური გადაულახავს, ხოლო 12 აგვისტოს მარუხის წყლიდან მომაველი გენერალი ბაბიჩი წებელდაში დაბანაკებულა და გუმისაკენ მიემაროება. 20 აგვისტოს კი გენ. ალხაზოვმა სოხუმი აიღო.

ბერძნების დასახლება სოხუმში

„სოფ. გეორგიევსკოეში — წერს ინჟენერი **დალი**, რომელიც 1880 წელს აფხაზეთის გზებს იკვლევდა — ცხოვრობენ ბერძნები, რომლებიც აქ... 18 კომლის რაოდენობით გადმოსახლებულან ტრაპიზონიდან (იგულისხმება ტრაპიზონის ვილაიეტიდან—ს. ყ.). ყველა ეს გადმოსახლებული მიწათმოქმედებას (სიმინდის მოყვანასა) და მეფუტკრეობას მისდევს. კალატოზები მათ შორის არ არიან, რაც ჩვენ ერთი შეხედვით უცნაურად გვეჩვენება, და ეს აიხსნება იმით, რომ ისინი სოხუმს მდ. ამტყიალით არიან მოწყვეტილი... უკანასკნელ (ე. ი. 1877 წლის) ომამდე ისინი მდიდრად ცხოვრობდნენ,— ყველაზე ღარიბებსაც კი ჰყავდა ხუთი ხარ-კამეჩი მაინც, ცხენები, ასი ძირი სკა... ომი რომ დაიწყო... ისინი ჯარს დაედევნენ უკან, ყველაფერი იქ დასტოვეს. დროებით ისინი სურამში დაასახლეს. საიდანაც — ბევრი ჭირვარამის გამოელის შემდეგ, — ომი რომ დამთავრდა, დაბრუნდნენ სოხუმში და, რადგან მათი ძველი საბინადრო ადგილები შორს იყო, ითხოვეს ახალი მიწები, სადმე სოხუმის მახლობლად. მათი თხოვნა დააკმაყოფილეს და სოფ. აკაფაში, სოხუმიდან 15 ვერსის მოშორებით დაასახლეს. მაგრამ ცუდმა კლიმატურმა პირობებმა აიძულეს ისინი ისევ გეორგიევსკოეში გაბრუნებულიყვნენ" („Кавказ", 1881, № 148, На перевалах Кавказского хребта в Кубанскую область: Домбай-Ульген, Нахар и Клухор).

ალექსანდროვკაში და **ოლგინსკოეში** დასახლებული ბერძნები მიწის ნაკვეთების მხრით კარგ პირობებში იყვნენ: მათ განკარგულებაში იმდენი მიწა იყო, რომ თვითონ ერთ მეოთხედსაც ვერ ამუშავებდნენ: დანარჩენს ისინი ან ჰყიდდნენ (რის წყალობითაც მსხვილი მიწისმფლობელები გაჩნდნენ) ან იმარაგებდნენ (ალბათ, მომავალში გადმოსასახლებელ მცირეაზიელ თვისტომთათვის).

გაზეთი „Кавказ" წერს (1877 წ., № 232: Письма об Абхазии, Письмо 5-е): თითოეულ კომლზე 30 დესეტინა იყო ნადელი. ასეთი ნადელები რომ მიიღეს სოფ. **ალექსანდროვკის** ბერძნებმა, სამი მეოთხედი სრულიად დაუმუშავებელი დასტოვეს; გადარჩენილი მიწა დაურიგეს, ვისაც სურდათ, და სოფელს მიაწერეს ის მოსახლენი, რომლებიც წინათ ადმინისტრაციის მიერ იყვნენ უკუგდებულნი. **სოფ. ოლგინსკოეში** კიდევ უფრო შორს წავიდა ნომინაურლ მოსახლეთა სპეკულაციური ზრახვები: ოთხ მეხუთედს იმ მოსახლეთა, რომლებიც ჩაეწერნენ ნადელებზე და 30-30 დესეტინა მიწა მიიზომეს, არც კი უნახავს მიწა, ისე მიჰყიდა ის სხვებს, რის წყალობითაც მსხვილი მიწისმფლობელები გაჩნდნენ. ერთს სოხუმელ მოსამსახურეს, მაგ., 7 თუ 8 ნაჭერი (ე. ი. 210-240 დესეტინა) აღმოაჩნდა, ამ გზით შეძენილი. ასე რომ ოლგინსკოეში, სადაც 28 კომლი ბერძენი ცხოვრობდა, აღარ აღმოჩნდა თავისუფალი მიწა იმ 30 კომლი რუსისათვის, რომელთა დასახლება იყო იქ განზრახული".

ამრიგად, პირველი წყება ბერძენი კოლონისტებისა დამკვიდრდა აფხაზეთში 1869 წელს. მაგრამ ბერძენი მოსახლენი, როგორც მასალიდან ჩანს, ამაზე ადრეც ყოფილან, ხოლო მათ შიდა ხმელეთში კი არ აურჩევიათ საბინადრო ადგილები, არამედ სანაპიროზე დაბინავებულან და, უმთავრესად, მეთევზეობასა და მეზღვაურობას მისდევდნენ. ამას ადასტურებს А. Машин-ის ცნობა მის ნარკვევში „Очерки социального быта Абхазии" (Кавказ", 1869, 18 აპრილი, № 47), სადაც ავტორი ლაპარაკობს, რომ აფხაზეთში ზღვის ნაპირას მოსახლეებში ვერ იპოვით ვერც ერთ აფხაზსო. „У береговъ моря — განაგრძობს ავტორი — селятся обыкновенно турки и греки, которые и занимаются вместе с тем извлеченiем из моря возможных выгод; они же содержат исключительно прибрежное, каботажное плаванiе и имеют собственные феллюги, баркасы и т. п.".

მასალებიდან ჩანს აგრეთვე, რომ თვით სოხუმში მსხვილი ბერძენი ვაჭრებიც იყვნენ 1869 წლის მასობრივ დასახლებამდე. **ასე,**

ჰაგ. „Кавказ"-ის 1869 წ., № 19-ში ვკითხულობთ სოხუმის მთავარი სასამართლოს განცხადებას ბერძენი ვაჭრის **მეტაქსას** მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ (имения, принадлежащего потомственному почетному гражданину, сухумскому 1-ой гильдии купцу Николаю Ивановичу **Метаксе**, состоящего в городе Сухуме, на Набережной улице, заключающегося в половине каменного двух-этажного дома, оцененной в 3968 р., на уплату долга, по закладной, тифлисскому гражданину Аге Бутулову.

მ ა რ ი ი ნ ს კ ო ე

ამ სოფლის ბერძნები მოსული არიან აფხაზეთში 70-იანი წლების დასაწყისში, ესენი არიან პირველნი ალექსანდროვკის, ოლგინსკოეს და გიორგიევსკოეს ბერძნების შემდეგ.

„სოფ. მარიინსკი (ანუ *Χαλαϊτσιχιόϊ*) — წერს მასწავლებელი **პაპანდოპულო** — დაარსებულია 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის წინ **აფსუს** მხარეში, სოხუმიდან 12 საათის სავალ მანძილზე. თურქებმა რომ სოხუმი აიღეს, საბრალო მცხოვრებლები ტყვეებად წაასხეს ტრაპიზონში. ზავის ჩამოგდების შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ სოხუმში და დაბინავდნენ ამ ადგილას. მიწები ჯარიდან მიიღეს, სამმაგად; თითოეულმა კომლმა 40 დესეტინამდე. მოსახლეთა რიცხვი იყო — კომლი 20-მდე, მცხოვრები 95-მდე. მოვიდნენ თეოდოსიუპოლის (ერზერუმის) ეპარხიიდან (სანაკებიდან *Κοας, Κιαλ-Κετ*). სოფელს სახელი დაერქვა მარია თეოდოროვნას პატივსაცემად".

ამასვე ადასტურებს ადგილობრივ შეკრებილი მასალა:

ადგილობრივ მცხოვრებთა, 70 წლის **პანტელიდის** და 73 წლის **პოლიხრონი ჭესოვის**, გადმოცემით მარიინსკოეს ბერძნები მოსული არიან **გიუმიშხანედან** (სოფ. კასტრიკეტა, კარმუტ). ამ სოფელში მოსულან 1879 წელს, მაგრამ საქართველოში 1864 წელს ჩამოსულან.*) მოსულან ყარსით, წალკაზე, აქ ცოტა ხანს დარჩენილან (ზოგი ტფილისში დაბინავებულა), მერე ბორჯომის ხეობაში დასახლებულან, სოფ. ბუხტაში (თუ პუქტაში), ასპინძისა და ოშორის

*) მანამდე ამათი წინაპრები—ჭესოვის თქმით—ყოფილან საქართველოში, მაგალითად თბილისში, მკალავებად („ხალაიჩიდეს"). შეიძლება ამ გარემოებასთან იყოს დაკავშირებული სოფ. მარიინსკოეს მეორე, თურქულ-ბერძნული სახელი „ხალაიჩიკოი" („მკალავთა სოფელი"), რომელსაც ზემოთმოყვანილ ამონაწერში ასახელებს მასწავლებელი **პაპანდოპულო**.

3 ვერსის მოშორებით. სულ 21 კომლი ყოფილა. რამდენსამე ხანს (თითქოს 7-8 წელი) აქ დარჩენილან, მაგრამ რადგან საცხოვრებელი პირობები ცუდი ჰქონიათ, სიღარიბეს გაქცევიან და აფხაზეთისაკენ წასულან. მისულან სოფ. ოლგინსკოეში, სადაც 1869 წელს დასახლებული ბერძნები იყვნენ. აქ არ დარჩენილან, ალბათ, იმიტომ, რომ აქ უკვე დასახლებული იყვნენ ბერძნები, და **აფსუში** წასულან. მათი მეთაურები ყოფილან თეოდორე **პანტელიდი** და ლაზარე **ქალესოლლი**. პირველ წლებში მუშაობდნენ ახალი ათონის მონასტრის აშენებაზე, შავ მუშებად. სიწმილობის ნიადაგზე ცოება დაემართათ. მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან, 21 კომლზე ერთი თხა ჰყავდათ — ამბობს პოლ. ქალესოვი — მთავრობამ მთელ სოფელს მისცა 1 უღელი ხარი, და პურიც (იმის ფული 3 წლის შემდეგ წაიღეს). 5 წლის განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ. ომის დროს, 1877 წ., აფხაზებმა ისინი დაატყვევეს და თურქეთში წაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ ისინი, უკვე ზღვით, მოსულან და გენერალ ზოლოტინსკის დროს **მარიინსკოეში** დასახლებულან (მარიინსკოე ჰრქმევია აფსუს და ეს სახელიც იქიდან მოუტანიათ).

სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით შეგვიძლია ზემონათქვამის სისწორე ცოტად თუ ბევრად დავადასტუროთ.

1) 1864 წლის ზამთარში მთავრობის ნებართვით, მართლაც, 500 კომლი ბერძენი გადმოსახლდა კიდევ თურქეთიდან. ამათგან 200 კომლი წალკაზე გავლით სტავროპოლის გუბერნიაში წასულა, ხოლო 300 — ბორჯომში, ახალქალაქში, ჯელალოღლუსა და გომარეთში. ამ ცნობებს გვაწვდის ჩვენ მაშინდელი პრესა („Кавказ", № 9; **Н. Зейдлиц, Греки на Цалке**). ჩვენ ვიცით, რომ ამ 300 კომლიდან მეტი წილი ციხისჯვარში დასახლდა, მცირე ნაწილი სოფ. მიქელწმინდაში (ახალციხის მახლობლად), ხოლო 21 კომლი, როგორც ჩანს, ჯერ ასპინძის მახლობლად დაბინავებულა, ხოლო 7-8 წლის შემდეგ (1872-74 წლებში) აფხაზეთში წასულა, სადაც მათ, ალბათ, იქაური ბერძნები ეპატიჟებოდნენ, და აფსუში დამკვიდრებულა.

2) 1877 წელზე ადრე ბერძნული მოსახლეობა, მართლაც, ყოფილა, გარდა ცნობილი სოფლებისა (ალექსანდროვკა, ოლგინსკოე, გეორგიევსკოე), კიდევ მდ. ბზიფის ზემო ყელთან. როდესაც 1877 წლის ოქტომბერში ვინმე X. — გაზეთ „Кавказ"-ში ეხება საკითხს აფხაზეთის კოლონიზაციისას, — მოითხოვს უთუოდ რუსების **დასახლებას**, წინააღმდეგია მეგრელების ჩასახლებისა აფხაზეთში და ეკა-

მათება გაზეთ „Голос"-ის კორესპონდენტს, რომელიც მეგრელებს ყველაზე უფრო მისაღებ ელემენტად თვლის აფხაზეთის კოლონიზაციისათვის და რომელსაც ერთ-ერთ საბუთად ის მოჰყავს, რომ კლიმატურად მეგრელებისათვის არის აფხაზეთი გამოსადეგი, სხვებს კი ვნებსო, — ამის საპასუხოდ X აღნიშნავს: ეს დამოკიდებულია არჩეულ ადგილზეო, და სანიმუშოდ ასახელებს იმ გარემოებას, რომ ცუდი გავლენა მოახდინა „на греков из Трапезонда перемещение в верховья р. Бзыбь, в урочище Псху, где они наполовину вымерли... другая колония трапезондских греков, поселенных недалеко от Сухума, отнюдь не страдала от болезней („Кавказ", 1877, № 207).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, 1877 წლის წინა წლებში (1875-76 წლებში, როდესაც ახალ-ათონის მონასტერს აშენებდნენ, სადაც ბერძნები შავ მუშებად იყვნენ), ალექსანდროვკა-ოლგინსკოე-გეორგიევსკოეს ბერძნული კოლონიის გარდა, იყო კიდევ მეორე კოლონია აფსუ||ფსხუ-ში, სადაც ცუდ მატერიალურ პირობებში მყოფ ბერძნებს ციება მოერია და აიძულა აფსუ (იგივე მარიინსკოე) დაეტოვებინა და ახალი მარიინსკოე გაეშენებინა.

3) რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ დასახელებული **აფსუ** სწორედ იმ ადგილებს ჰგულისხმობს, რომლებსაც **ფსხუს** მიდამოებში იხსენიებს „Кавказ"-ის კორესპონდენტი, ეს შემდეგიდანაც ჩანს.

მდ. ბზიფის ზემო ყელი სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონად იყო მიჩნეული შავი ზღვის სანაპიროების (გუდაუთიდან სოხუმამდე) დაცვის საქმეში და აქ 1868 წლიდან (მის შემდეგ რაც 1866 წლის აჯანყების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა აიყარა) სამხედრო უწყება შეუდგა ე. წ. „შტაბ-კვარტირის" მოწყობას და ამასთან დაკავშირებით გზის კეთებას სოხუმიდან მზიფისაკენ **დოუს** და **აჩანჩარეს** გადასავლებით ფსხუსაკენ. ამ გზაზე გავლა ბატალიონისა და იქ ჩატარებული მუშაობა აღწერილია ვინმე Н. Ходжаев-ის მიერ („Несколько слов об открытии Псхувского ущелья": „Кавказ", 1896 г. №№ 104, 105). აქ, სხვათა შორის ვკითხულობთ: (№ 105): „... южная сторона Псхувского ущелья по направлению от предполагаемой дороги к Псебаю (в расстоянии от штаб-квартиры до 25 верст) имеет довольно большие поляны: на одной из этих полян, удобных и для хлебопашества, предположено основать поселение, которое будет названо „Мариинским поселком", но пока местность эта не совсем еще заселена. Нижние чины батальона, в числе 20 семейств, с ранней весной должны будут заняться постройкою себе жилищ на поляне. Семействам, переселяющимся в Псху, даны преимущества, зак-

лючающиеся в денежном пособии и продовольствии провиантом в течении одного года".

1881 წელს „Кавказ"-ის ერთ-ერთი ავტორიც, როდესაც ეხება სოხუმის განყოფილების იმ დაუსახლებელ ადგილებს, სადაც 1868 წელს ჯარისკაცებს გზები გაჰყავდათ, დასძენს: „Маленький поселок (Мариинский) из греков, образованный вслед затем в соседстве Цеху, во время минувшей войны 1877 г. был предоставлен собственной участи, жители были увлечены временно в Турцию, вследствие чего испытали горьчайшую участь".

ეჭვს გარეშეა, რომ აქ სწორედ იმ პუნქტზეა ლაპარაკი, სადაც შემდეგ, 1872 წლის მახლობლად, ბერძნები დასახლდნენ. რაც შეეხება იმას, რომ ადგილობრივი ბერძნები თავის ძველ პუნქტს ეძახიან *Ацоу* (რომელსაც აგრეთვე „Мариинское" ერქვაო), ეს სოფლის სახელი კი არ უნდა ყოფილიყო, — სოფელს Мариинский поселок ერქვა — არამედ ხეობისა, სადაც ეს სოფელი მდებარეობდა. მართლაც, ფსხუს სამხრეთით, გუდაუთისაკენ, მიმდინარეობს მდ. ააფსჲ, რომლის მეორე სახელია ახლა ბაკლანოვკა.

მიხაილოვკა

მასწავლებელი პანტელეიმონ **პაპანდოპულო** ჩემი დავალებით დაწერილ მიმოხილვაში მიხაილოვკის დასახლებულობის შესახებ შემდეგს სწერს: „მიხაილოვსკი, აფხაზთა ადგილობრივი ენით „კუმა" დასახლებულია 1880 წელს. ეს სოფელი უკაცური და დაუსახლებელი იყო, გარდა სამი ადგილობრივი, მღვიმეებში მცხოვრებ, ერთმანეთს დაშორებული, აფხაზისა. სახელი დაერქვა კაეკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხაილისაგან, რომლისაგანაც ეს ადგილი მიეცა სოფლის წარმომადგენელსა და მეთაურს ევსტათი **პეკონს**. თუ რამდენი მცხოვრებისაგან შეჯგებოდა მაშინ სოფელი, ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, რადგან სხვადასხვა დროს არიან მოსული მცხოვრებლები. მცხოვრებნი მოსული არიან **ტრაპიზონის, არგირუპოლის, სურმენის** სანახებებიდან, განსაკუთრებით კი **სანდეს** სხვადასხვა სოფლებიდან.

მიხაილოვკის დასახლებას ბერძნებით 1880 წლის მახლობლად ადასტურებენ სხვა ადგილობრივი მცხოვრებლებიც. რომელთა გადმოცემით ისინი 1879 წელს მოსულან მიხაილოვკაში: მანამდე კი ქუთაისში ვმუშაობდით ქვისმთლელებადო.

ამ თარიღის სისწორის დადასტურება შესაძლებელი ხდება დოკუმენტალურადაც. სოფ. მიხაილოვკაში შენახულია ერთი შენობა,

ვინმე **ჩახურისა**, რომელსაც ბერძნული წარწერა აქვს, მთავრული ასოებით ამოჭრილი. წარწერაში სწერია: „1880 წლის 15 მარტს წამოვედით ჩვენი სამშობლოდან, **სანდადან**, სოფელ **პიშტოფანტონიდან** *) და დავსახლდი სოხუმში, მიხაილოვსკის სანახებში, სოფელ კუმაში, მე ქრისტეფორე ჩახური და ჩემი მეუღლე ელენე ჩახური და დიდის ხალისით ავაგეთ ჩვენი სახლი 1896 წელს".

მიხაილოვსკის სანახებთა დასახლების თარიღები შემოწმებული იქმნა ჩემ მიერ საფლავის ქვების წარწერებითაც. სამწუხაროდ, ეს საფლავის ქვები შინაარსით არ არის ისეთი მდიდარი, როგორც ახალციხის რაიონის მიქელწმინდის საფლავის ქვები, სადაც აღნიშნულია, თუ რომელი სოფლიდან და რომელი პროვინციიდან იყო მოსული ესა თუ ის მიცვალებული, მაგრამ ამ წარწერებიდან მაინც ჩანს, რომ მიხაილოვსკის ბერძნები 80-იან წლებში არიან მოსული.

შენახულია წარწერები თვით პირველი მოსახლეების, ბეკონების, საფლავის ქვებზე. აი, ეს ეპიტაფიები:

1) *Εντανθα κειτ*
ο μακαριτης
Δημητριος Ε. Πε[κω]
τελευτησας τ 25
Νοεμβρίου 1891
ζησας ολα
ετη 20 Μηχαη
λοβσκη τη 20 Μαιου
1892**)

2) *Εντανθα κειτ*
ο μακαρι της
Ευσταθιος Γ. Πε
κω τελευτησας
τη 26 Απριλιου
1889 *ζησας ετη*
52 *μηχαηλοβα*
τη 30 μαιου 1892**)

3) *Ε* 1906 *δ* 4
Βαρβαρα συζ. Πολυχ
ρονιου Σεϊτογλη
εγεν. 1844
απεθ. 1 *Σεπτ.*
1888

4) *ενθαδε κειται ο*
Βασιλειος
Πυλι Μαυροπουλος
οστις εγεννηθη τη
1 *ιανουαρίου* 1888 *και*
απεθανε τη 18
Απριλιου
1892

*) პიშტოფანტონ.

**) ეს ძეგლის აგების თარიღია.

ამ წარწერებიდან და ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემებიდან ირკვევა, რომ

1) მიხაილოვსკის მცხოვრებლები მოსული არიან აფხაზეთში 1830-იან წლებში;

2) 80-იან წლებში მოსული ბერძნები გამოსული არიან **სანდეს** (*Σαντα*) პროვინციიდან;

3) მათთან ერთად სანდეს პროვინციიდან წამოსულან სხვებიც, რომლებიც, როგორც ქვევით დავინახავთ, სხვა სოფლებში დაბინაედნენ. ზემოთ მოყვანილ სახლის წარწერაში ხომ ნათქვამია „წამოვედით (*αναχορισαμεν*) სანდადან", ხოლო შემდეგ „დავსახლდი სოხუმში მე" ჩემი მეუღლითურთო.

როგორც მოსალოდნელი იყო, მცირეაზიიდან მოსული ბერძნები იქაურ საყოფაცხოვრებო წესებსაც შეინარჩუნებდნენ და ადგილობრივაც, აფხაზეთში, ახალ წესებს შეეჩეოდნენ.

საგულისხმოა, მაგ. სასოფლო-სამეურნეო დარგში

1) სახნავი იარაღი „**ბელ**", ორთითა რკინისა ხის ტარით.

2) „**კოთან**" (გუთანი), რომელსაც გაცილებით უფრო იშვიათად ხმარობენ, ვიდრე „**ბელს**". ეს აიხსნება იმით, რომ ა) ჩვენი რაიონის ბერძნებს შედარებით მცირე მიწები აქვთ, ბ) საძოვარი ადგილები ცოტა აქვთ და ძალიან შორს. ამიტომ საქონლის შენახვას ისინი ვერ ბედავენ და, რადგან მცირე რაოდენობით აქვთ მიწები, ისინი ამჯობინებენ „ბელ"-ით ხვნას, რასაც ერთი მუშა-ხელი ჰყოფნის და რითაც ქალებსაც ადვილად შეუძლიათ ხვნა.

ეს ორივე იარაღი, მცხოვრებთა გადმოცემით, მათ მცირე აზიაში, თავიანთ ძველ საბინადრო ადგილებში ჰქონიათ. ამათგან „კოთან", როგორც ცნობილია, თურქულში ჩვეულებრივი სიტყვაა „გუთან"-ისთვის, რაც შეეხება პირველს, **ბელ-ს**, ის თურქული არ არის. სამაგიეროდ გვაგონდება ქართული **ბელტი**, რომელთანაც ის შინაარსით ძალიან ახლოს დგას („ბელით მონაკვეთი").

კონსტანტინოვკა

მასწავლებელი **პ. პაპანდოპულო** წერს: „კონსტანტინოვსკი (აკაფა) დაეთმო იქაურ მცხოვრებლებს რუსეთის მთავრობის ნებართვით; მათ მეთაურობდა პანაიოტი **პახხალიდი**. ეს სოფელი დასახლებულ იქნა ორი წლით უფრო გვიან მიხაილოვსკის დაარსებისა, ე. ი. 1882 წელს. სახელი ეწოდა თვითმპყრობელ ალექსანდრე II-ის ძის, დიდი მთავრის კონსტანტინეს პატივსაცემად.

მცხოვრებლები წარმოშობით არიან **კოტიორის** (ორდუს), **კერასუნდისა** და **პულანჩაკის** მიდამოებიდან".

ამავე ადგილებიდან მოსულან, — პაპანდოპულოს სიტყვით, — ის ბერძნები, რომლებიც კონსტანტინოვკის ს. საბჭოში შემავალ სოფელ **პავლოვსკოეში** (*Хоурмали*) *) დაბინავებულან იმავე ხანებში, 1882-1883 წწ. ამათი მეთაური ყოფილა კონსტანტინე **მურტიდი**.

ამავე სასოფლო საბჭოს ეკუთვნის სოფელი პეტროვსკოე. **) მისი ძველი სახელია — პაპანდოპულოს გადმოცემით — ალანი (*Алани*). იქ მოსულან ბერძნები 1881 წელს დიმიტრი სარგელიდის, პანაიოტი ჩაპნოგლის, იოანე ნიზამის, ნიკოლოზ მიხაილიდისა და საბა ტელონხის მეთაურობით. პირველად მოსულა 15 კომლი (78 მცხოვრები. აქაური ბერძნებიც მცირე აზიის იმავე ადგილებიდან არიან).

კონსტანტინოვკის მიდამოებში ბერნების დასახლების ამ მოკლე სურათს ადასტურებს ადგილობრივ შეკრებილი მასალა.

კონსტანტინოვკის ბერძნები ჯერ **ქვემო ლინდაუში** დასახლებულან. მაგრამ აქ უწყლობასა და ციებას შეუწუხებია ისინი და კონსტანტინოვკაში გადასულან. სოფლის სასაფლაოზე დარჩენილი საფლავის ქვები იძლევიან წარწერებს 1885 წლიდან (ამაზე ადრინდელი იქ არაა). ამიტომ საფიქრებელია, რომ კონსტანტინოვკის ბერძნები ქვ. ლინდაუში რამდენიმე წელს დარჩნენ (და არა ერთ წელს, როგორც ზოგიერთი ჩვენი ნაცნობი გადმოგვცემდა), ან, უკეთ რომ ვთქვათ, იქაურობას მთლად თავი არ დაანებეს, რადგან იქ შედარებით კარგი დასამუშავებელი ადგილები ჰქონდათ. ბაღები ჰქონდათ, საკმაოდ მოსავლიანი (ვაშლი, მსხალი, ქლიავი).

65 წლის მოხუცის იოანე კონსტანტინეს ძე **კირიაკიდის** გადმოცემით, **სოფ. კონსტანტინოვკაში** 1879 წლის ივნისში მოვიდა 60 ოჯახი **ორდუს** მიდამოების სხვადასხვა სოფლიდან (ბაზარსოინი, პულანჯაკი, ტაპაკოჯ); ზოგიერთი კერასუნდისა და გიუმიშხანის მიდამოებიდან იყო (თვითონ კირიაკიდი მაშინ 10 წლისა ყოფილა და საკმაოდ კარგად ახსოვს ყველაფერი). შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში ჩამოსულან სხვა ოჯახებიც. აქ აფხაზთა, ფიჩხებისაგან დაწნული, ოდები დაგვხვდა, ჩალით დახურულიო. მახსოვს, სასა-

*) Павловское — დიდი მთავრის პავლეს პატივსაცემად დაერქვა. მის მეორე სახელად პაპანდოპულო თვლის „ხურმალი"-ს.

**) პეტრე დიდის სახელი ჰქვიაო.

ფლაოს ღობე ავიღეთ და ჩვენი სახლები დავხურეთო. აფხაზებს ჰქონიათ იქ გაშენებული კაკალი, ხილი, ყურძენი (უფრო მეტი იყო კაჯიჯი,*) ადესა ცოტა იყოო), ქლიავი (*кокимела*, ასე ვეძახდით ამ ხილს თურქეთშიაც).

1879 წელსვე იმავე დღეს (24 ივნისს) მეორე გემით მოსულა 49 **ოჯახი**, რომლებიც კონსტანტინოვკის მეზობელ სოფელში, პავლოვსკოეში დასახლებულან.

ადგილობრივი მცხოვრები ნიკოლოზ ანასტასის ძე **ჩულჭა**, 63 წლის მოხუცი, გადმოგვცემს, რომ ის და მასთან ერთად სხვებიც მოვიდნენ **სოხუმში** 24 ივნისს (ძვ. სტ.) 1879 წ.**) ალექსანდროვკაში და მარიინსკოეში იყვნენ მაშინ ბერძნები, კონსტანტინოვკის მიდამოებში კი არც ერთი ბერძენი არ იყო. ირგვლივ სულ ტყე იყო, აქა-იქ აფხაზური სახლები, ქოხები, ჩალით დახურული. ისინი ერთ მოსვლაზე 49 კომლი ყოფილან და პავლოვსკოეში დასახლებულან. მოსული არიან მეტ წილად **ორდუს** მიდამოებიდან; თვით ჩულჭა არის სოფ. ტაპაკოდან („ზემო სოფელი"), სხვები კი კარალაჲადან („შავი კლდე") და ჭერახლინიდან („სავალალო", „სამწუხარო") და ალანჯუკიდან. პავლოვსკოეში მათთან ერთად მოვიდნენ არაორდუელებიც: ასე, მაგალითად შვიდი-რვა კომლი იყო **გიუმიშხანედან**, 3-4 კომლი **ტრაპიზონიდან**. 1879 წლის შემდეგ ორი კომლობით ემატებოდნენ პავლოვსკოეს მათი მცირეაზიელი **მეზობლები**. ასე შემოემატა 30-35 კომლი — ამბობს ჩემი მოსაუბრე, — რომლებიც 15 წელიწადს იყვნენ ჩვენს სოფელში, პავლოვსკოეში, მაგრამ არ ეწერებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომებად, ცხოვრობდნენ კი ჩვენს 49 კომლის მიწაზე, და გავაგდეთ: ისინი წავიდნენ აზანთაში (გერგემიშში).

პავლოვკის ამ კოლმეურნის ნაამბობს კარგად ადასტურებს **Письма об Абхазии**-ს ავტორის ცნობა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, სახელდობრ, რომ მიწები აფხაზეთში ურიგდებოდა ახლად ჩასახლებულ ბერძნებს გარეშე ზუსტი კონტროლისა და რომ მოსახლენი ფაქტიური რიცხვის მიხედვით კი არ იზომავდნენ მიწებს გადაწყვეტილი ნორმით, არამედ ზედმეტს იმარაგებდნენ, მომავალში გადმოსასახლებელ მცირეაზიელ თვისტომთათვისაო.

*) „კაჯიჯ" — ასე ვეძახდით მეგრულად, ჩვენებურად „დენდროსტაფილა" ჰქვიაო.

**) ჩვენ შემთხვევა გვქონდა შემდეგ გვესაუბრა სოფ. პავლოვსკოეს გლეხებთან, და ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ 54 წლის წინათ ვართ აქ მოსულიო.

ამრიგად, კონსტანტინოვკის სასოფლო საბჭოს ბერძნები მოსული არიან 1879 წელს **ორდუს** მიდამოებიდან. რომ ისინი მართლაც ორდუდან არიან მოსული, ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებს **მათი დიალექტი.**

ეკატერინოვკა

ამ სოფლის დასახლება ბერძნებით ეკუთვნის 1880 წელს, ე. ი. დაახლოებით იმავე ხანებს, როდესაც მიხაილოვკა და კონსტანტინოვკა იქმნა დასახლებული.

„სოფ. ეკატერინოვკაში (ანუ „ტემირჩიკოი) — **პაპანდოპულოს** ცნობით — ბერძნები მოვიდნენ 1880 წელს მღვდელ საბა **ტექტონიდისა** და ხარლამპი **ქრისტოფორიდის** მეთაურობით. მოვიდნენ **ნიკოპოლისის, კოტიორის, კერასუნდისა** და **ჰულანჩაკის** მიდამოებიდან. თანამედროვე სახელი სოფელს დედოფალ ეკატერინეს პატივსაცემად აქვს დარქმეული".

ზოგ საკითხში — მაგ. ეკატერინოვკის ბერძნების თურქული სამშობლოს შესახებ — განსხვავებულ ცნობებს იძლევიან ადგილობრივი მცხოვრებლები.

66 წლის მოხუცის ვასილ დიმიტრის ძე **ნიკოპოლიდის** გადმოცემით ეკატერინოვკაში ბერძნები 1880 წელს მოვიდნენ **კერასუნდიდან,** სოფ. დემერჩიკოიდან („მჭედელთ სოფელი") ამიტომ დღესაც ეძახიან ეკატერინოვკას დემერჩიკოის". მხოლოდ 7 სოფელი, 2-3 წლის შემდეგ, მოვიდა ტრაპიზონიდან. ორდულიტები კი მხოლოდ ორი კომლი მოსულა. თურქეთიდან წამოსვლის მიზეზად ასახელებს დევნას, რომელსაც განიცდიდნენ ბერძნები, განსაკუთრებით 1877 წლის ომის დროს: „თურქები გვაწიოკებდნენ — ამბობს ვას. ნიკოპოლიდი, — აჭარლებიც თურქების მხარეზე იყვნენ და თავს გვესხმოდნენ". სამშობლოდან ჩუმად გამოიპარნენ, რადგან თურქების რისხვისა ეშინოდათ. აფხაზეთის სანაპიროებს რომ მოუახლოვდნენ, ჩუმად გადმოვიდნენ კელასურთან და სოხუმში მთავრობასთან გააგზავნეს 3 კაცი. იქიდან ნავებით მოუტანეს პური, მერე ამ ნავებში ჩაალაგეს თავიანთი ბარგი (მხოლოდ წვრილი ნივთები ჰქონდათ თან წამოღებული) და სოხუმში მოვიდნენ, სულ 35 ოჯახი იყო, მათ წინამძღოლობდნენ დიმიტრი **ნიკოპოლიდი** და გიორგი **ხრისტოფორიდი.** მთავრობამ ნება დართო აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. ჩამოსულთა წარმომადგენლები წავიდნენ ადგილების საძებრად. ჯერ კონსტანტინოვკაში მივიდნენ (აქ ჯერ, როგორც ჩანს, ბერძნული მოსახლეობა არ იყო, მხოლოდ 1-2 წლის

შემდეგ დასახლდა ეს სოფელი), მაგრამ წყალი არ მოეწონათ; მოეწონათ პავლოვსკოე და კიდევაც აირჩიეს ის საცხოვრებლად. ექვსი თვე იცხოვრეს აქ და ამ ხნის განმავლობაში ეცნობოდნენ მხარეს. და ვინაიდან პავლოვსკოეში წყალი მაინც შორს ჰქონდათ, ხოლო ამასობაში ამ ახალმოსულმა ბერძნებმა გაიგეს ალექსანდროვკის ბერძნებისაგან, რომლებიც უკვე 1869 წლიდან აქ ცხოვრობდნენ, რომ ეკატერინოვკა უკეთესი პირობების მქონე ადგილია ვიდრე პავლოვსკოეო, გადავიდენ იქ. ალექსანდროვკის ბერძნებს წინათ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ეკატერინოვკის მცხოვრებ აფხაზებთან (სულ 5-6 ოჯახი ყოფილა: ისინი 1877 წელს თურქებს გაყენენ) და აქედან სცოდნიათ ამ სოფლის ად-კარგი. სოფელი გაუვალ ტყეს წარმოადგენდა. ბერძნებმა გაკაფეს ეს ტყე და დასთესეს ხორბალი. კარგი მოვიდა; მაგრამ სიმინდს უკეთესი მოსავალი მოუვიდა და ამიტომ ამის კულტურაზე შეჩერებულან. თავში სათესლე სიმინდი მთავრობისაგან მიიღეს. მთავრობისგანვე მიიღეს საჭმელი ხორბალი (5-10 ფუთი კომლზე), 2-3 ვირი მთელ სოფელზე. „ხარები — ამბობს პანტელიდი — მისცეს მხოლოდ მარიინსკოეს, ოლგინსკოეს და ალექსანდროვკის მცხოვრებლებს, რადგან ისინი ომის გამო დაზარალდნენ". ხორბალი მთავრობამ 1-2 წლის შემდეგ უკან წაიღო, თესლში კი არაფერი წაუღია.

ამ სოფლის ბერძნებს მასწავლებელი თან მოუყვანიათ თურქეთიდან და მას თავისი ხარჯით ინახავდნენ.

ერთ-ერთი ოფიციალური მოხსენება, რომელიც 1891-93 წლებს ეკუთვნის, სრულიად ადასტურებს ზემოხსენებულს.

„ამ 25 წლის წინათ რომ დაიწყო თურქეთში გადასახლება ადგილობრივი მცხოვრებლებისა, რომელთაც საკმაო დიდი რაოდენობისა და კარგად მოვლილი (в довольно культивированном виде) მამულები დასტოვეს, განზრახული იყო ამ მამულებზე დაესახლებინათ რუსი გლეხები და ამ მიზნით გამოყოფილ იქმნა ოლქის სხვადასხვა ნაწილში ნადელები 201 კომლისათვის. რადგან რუსები არ გამოცხადდნენ, საჭირო გახდა ამ ნადელებში დაესახლებინათ (заняться русских на этих наделах пришлось, однако водворить) **ბერძნები მცირე აზიიდან** და ბულგარელები ხერსონის გუბერნიიდან; თითოეულ კომლს მიეცა 30 დესეტინა მიწა და ფულადი დახმარება. გარდა ამისა ისინი განთავისუფლებულ იქმნენ ყოველგვარი ბეგარისა და გადასახადისაგან 15 წლის განმავლობაში. ამ პირობებით 1868-1870 წლებში დასახლდა მხოლოდ 111 კომლი. (1872 წელს ოლქის უფროსის წინადადებით თავისუფალი 90 ნადელიდან

57 დაურიგეს მოსამსახურეებს, რომლებიც ვალდებული იყვნენ ეგოთ აქ შენობები და დაემუშავებინათ მიწები...).

„თურქეთის ომის დასრულების შემდეგ კვლავ აღიძრა საკითხი რუსული მოსახლეობის დამკვიდრებისა, და ამისათვის განკუთვნილ იქმნა 21.033 დესეტინა და 1879 წელს შემუშავებულ იქმნა შემდეგი წესები: ნადელი განისაზღვრა 15 დესეტინით კომლზე, სამემკვიდრეო მფლობელობის წესით (в подворное наследственное владение). ამის გარდა თითოეულ კომლს მიეცა 3 დესეტინა ტყე. ტყე უნდა მისცემოდა მათ უფასოდ სახაზინო აგარაკებში, და 10 წლის განმავლობაში მოსახლენი განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ ვადასახადისაგან.

„მაგრამ ეს წესები არ იქმნა დამტკიცებული, თუმცა მათი დამუშავების დროს ჩასახლებულ იქმნა სხვადასხვა ადგილას: 70 კომლი რუსი და მოლდაველი, 80 კომლი მეგრელი, **350 კომლი ბერძენი** და 100 კომლამდე სომეხი. დასახლებულთა რიცხვში იყვნენ აგრეთვე ვიურტემბერგელი გერმანელებიც.

„1883 წლიდან დაიწყეს აქ გადმოსახლება მეგრელებმაც... კომლზე 3-5 დესეტინა ნადელი (юртового надела) მიუზომეს.

„ამრიგად, — ამთავრებს ჩვენი მოხსენებელი, — ოლქის დასახლება წარმოებდა სხვადასხვა დროს გამოცემულ დადგენილებათა საფუძველზე, იმ დადგენილებათა, რომლებიც საკანონმდებლო წესით დამტკიცებული არ ყოფილა. დასახლების პირობები სხვადასხვა მოსახლეთათვის სხვადასხვა იყო; ნადელები ეძლეოდათ სხვადასხვა რაოდენობით, ისიც არა ნატურით მოსახლეთა სამეურნეო საჭიროებათა მიხედვით, არამედ ნარდი-ბაზრულად, კომლთა გარკვეულ რაოდენობაზე (а просто огульно, на известное количество дворов)“.*)

ამგვარად, აფხაზეთის იმ 31 სოფლიდან, რომელთა ძირითადი მოსახლეობა (1934 წლის ცნობებით) ბერძნული იყო (იხ. ზემოთ გვ. 129), ბერძნების დასახლების ისტორია, დოკუმენტალური მასალებისა და მოსახლეებში დარჩენილი ცნობების მიხედვით, შედარებით სრულად ირკვევა 7 მთავარი სოფლისათვის: ალექსანდროვკა, ოლგინსკოე და გეორგიევსკოე დასახლებულია ბერძნებით 1869 წელს, მარიინსკოე — 1879 წელს, მიხაილოვკა — 1880 წელს, კონსტანტინოვკა — 1882 წელს და ეკატერინოვკა — 1880 წელს.

*) С. Шарапов, По Черноморскому Побережью, СПБ, 1896, стр. 85-86.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

მიხეილ მახათაძე

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით *)

რუსთველოლოგიაში პოემის ტექსტის დადგენა დღესაც ძირითად პრობლემად ითვლება. საიუბილეო გამოცემის ტექსტს, რომელშიაც მოექცა ვახტანგის მიერ პოემაში შეტანილი, მაგრამ მკვლევართაგან ჩანართად მიჩნეული 16 სტროფი და ინდო-ხატაელთა ამბავი (ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და გამეფება), რუსთველოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს არ უჭერს. [1] პირიქით, დღეს „რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს არა მარტო გარკვევა პოეტის ვინაობისა, მისი სოფლმხედველობისა და იმ პირობებისა, რომელთაც ის წარმოშვეს, არამედ ამასთან ერთად პოემის ტექსტის გაცხრილვა და მისი კრიტიკული აღდგენა“, — წერს აკად. კ. კეკელიძე. [2]

მკვლევარის აზრით „ეს მიზანი ჯერ, რასაკვირველია, ოდნავადაც მიღწეული არაა“. [3] თვით 1937 წ. საიუბილეო გამოცემა კი დიდად არის დაშორებული პოემის თავდაპირველ სახეს განსაკუთრებით სტროფული შედგენილობის მხრივ. „ეს საკითხი ამ გამოცემის შემდეგაც კიდევ სადავო და საკამათო იქნება, სანამ არ აღმოჩნდება უძველესი ხელნაწერი პოემისა, რის იმედი დაკარგული არ უნდა იყოს“, — აცხადებს მკვლევარი. [4]

ასეთ სიბრტყეზე დგას საერთოდ პოემის ტექსტის საკითხი დღეს. კერძოდ, ინდო-ხატაელთა ამბის (ტარიელის ინდოეთში დაბრუნების და გამეფების) შესახებ კი აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ მართალია, პოემა ტარიელის ინდოეთში დაბრუნებით მთავ-

*) წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციაზე 1945 წ. 18 მაისს. იბეჭდება ოდნავ შესწორებით.

[1] ს. ორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის, ლიტერატ. საქ., 1937 წ., №№ 21, 22.

[2] ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, 1941 წ., გვ. 101.

[3] იქვე, გვ. 102.

[4] იქვე, გვ. 108.

რდება, მაგრამ არა ისე, როგორც წარმოდგენილია ხელნაწერებში: მათში შევსებულია თინათინ ავთანდილის ქორწილიც კი. კერძოდ, „ვიღაც მელექსეს აღძვრია სურვილი შეეთხზა ამბავი იმის შესახებ, რა პირობებში გამეფდა ტარიელი, ცოცხალი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი“. ამ მიზნით მას შეუთხზავს თავები: „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება“ და ზოგიერთი დეტალი „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში“, სხვაგვარად — ინდო-ხატაელთა გაგრძელება.[1])

—:—

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა რუსთველოლოგიაში მრავალი განზომილებით იქნა წარმოებული. საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კომისია კი, მისი მდივნის, სოლ. ირდანიშვილის დამოწმებით, ტექსტის კრიტიკულ დადგენისას „ხელმძღვანელობდა შემდეგი პრინციპებით:

ა) განსახილველ ადგილების კონტექსტით — მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებასთან დაკავშირებით,

ბ) კლასიკური პერიოდის სტილით,

გ) ენობრივი მოვლენებით,

დ) პოეტიკით და

ე) ხელნაწერთა ტრადიციით.[2])

მაგრამ პოემის ტექსტის დადგენისას არ უნდა იქნას უგულებელყოფილი, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური მხარე. შემდეგ, არც პოემის (და დამატება-ჩანართთა) ისტორიული და სხვა ხასიათის რეალიები, არც ხელნაწერთა მინაწერები (და არა მარტო ტრადიცია), არც ლიტერატურული მოწმობანი და გადმოცემანი, და არც რაიმე ცოტად თუ ბევრად საყურადღებო პრინციპი — თვალსაზრისი, რომელიც დაგვეხმარება საკითხის გადაჭრაში.

ასე, ავიღოთ, მაგალითად, სადავო თავების ტარიელის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი და შევადაროთ უდავო ტექსტისას.

იყო დრო, როცა სრულიად უარყოფდნენ საზოგადოებრივი იდეალების არსებობას პოემაში.[3]) მთელი რიგი წლების მანძილზეც

---

[1]) იქვე, გვ. 321, აგრეთვე — რუსთველოლოგიის საკითხები, თბ. სახელმ. უნივ. შრ. X, 1939 წ., გვ. 110-115.

[2]) ლიტ. საქართვ., 1937 წ., № 22.

[3]) Н. Д. (ივანე ჯაბადარი), Письма о Грузии, журн. Северный Вестник, 1899 წ., №№. ამას მოჰყვა ცნობილი კამათი ქართულ და რუსულ პრესაში. იხ. ალ. ბარამიძე, ტარიელი, რუსთაველის კრებული, 1938 წ., გვ. 97, გ. ინჯიაშვილი, რუსთველოლოგია, 1941 წ., გვ. 66 და შემ.

მკვლევარები პოემის ლეიტმოტივად მხოლოდ სიყვარულსა და მეგობრობას მიიჩნევდნენ. დღეს ეს შეხედულება უსათუოდ მოითხოვს გადასინჯვას. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილების შემდეგ, რომელმაც ძირფესვიანი გარდატეხა გამოიწვია პოემის შესწავლაში, ამ მხრივაც ბევრი რამ გაკეთდა.[1])

პოემის გმირთა საზოგადოებრივი იდეალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათი ეროვნული მისწრაფებანი. სარიდანმა ხელი აიღო მეფობაზე, კეისრობაზე (316), და ინდოეთი გააერთიანა; მას კარგად ესმის მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: „სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“ (314) შთამომავლობის წინაშეო, განაცხადა მან. სარიდანის ეროვნული პროგრამის და მისწრაფებათა გამგრძელებლად კი პოემაში ტარიელი გვევლინება.[2])

მაგრამ ეს დიდი ეროვნული მისწრაფებანი დანარჩენში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტენდენციით შეიცვალა:

> აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,
> ზედა დაგსვამ, შენი იყოს (1649)...

ეუბნება მადლიერი ტარიელი ნამსახურ ასმათს. მართლაც,

> მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია,
> ასმათ მისცეს...
> იგი კაცი გაადიდეს, აქეს მეფობის სახელია (1653).

თან, ტარიელი ეუბნება ასმათს: გირჩევნია „გყვენ სპანი ხრმალდამახულები-ო“ (1652). ამგვარად, ინდოეთი ისევ ორად იქნა გაყოფილი. მეფე ტარიელი კი პირადი მადლობის გრძნობას ინდოეთის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ვერ დააყენებდა. რისთვისღა გაერთიანდა ინდოეთი? იმისათვის, რომ იგი, ბოლოს, ისევ დაქუცმაცდეს და დაიყოს?

დანართის ავტორი ვერ გარკვეულა ლეგიტიმიზმის და დინასტიზმის პრინციპებში, რომელთაც გარკვეული პოლიტიკური და ეროვნული მოსაზრებებით იცავს რუსთაველი.[3]) როგორ შეიძლება

---

[1]) მაგ., პროფ. ალ. ბარამიძე, ტარიელი, რუსთაველის კრებული, სახელგამი, 1938 წ.; მისივე — ნესტანი, ნარკვევები, I, 1945 წ.

[2]) იხ. ვრცლად — მ. მახათაძე, პატრიოტული მოტივები ვეფხისტყაოსანში» ქუთაისის პედაგოგ. ინსტიტუტ. შრომები, ტ. II, 1941 წ., გვ. 314-316.

[3]) პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ნაწ. I, 1932 წ., გვ. 138, 144, 1945 წ., გვ. 161-164.

რუსთაველმა არასამეფო წარმოშობის ასმათის ქმარი, ვიღაც „კარგი მოყმე", რომლის შესახებაც საჭიროა საგანგებო მტკიცება, რომ ის ხელი", გიჟი არ არის, გაამეფოს თუნდაც ინდოეთის ერთ მეშვიდედზე! ვინ მიიღებდა მას მეფედ?

ამრიგად, პოემის გმირთა ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალები სხვაა, ინდო-ხატაელთა ამბისა—სხვა. აღნიშნულის უგულებელყოფა კი ინდო-ხატაელთა ამბის ავტენტურობის საკითხის განსაზღვრისას, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება.

—:—

1942 წ. ჩვენ ვწერდით, რომ პოემის სამხედრო ხელოვნების შესწავლა „შესაძლებლობას ხსნის რუსთველოლოგიის ძირითადი პრობლემები გადაჭრილ იქნას ახალი თვალსაზრისით".[1] მაგრამ ჩვენზე ადრე, 1929 წ. წერილში „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის" პროფ. ალ. ბარამიძე ინდო-ხვარაზმელთა ამბის (გაგრძელების) და „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ტექსტუალური შედარების შედეგად მივიდა სავსებით სწორ დასკვნამდე, რომ „ინდო-ხვარაზმელთა ბრძოლის აღწერილობა (კაკ. 1685-1688) „შაჰ-ნამეს" დაუსრულებელ ანალოგიურ სურათებს გიშლით თვალწინ".[2] ამიტომ პროფ. ალ. ბარამიძე მართებულად დასძენს, რომ „აქა ტარიელის დასწეულება და ხუარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს" არ შეიძლებოდა შექმნილიყო „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ჩამოყალიბებამდე. ამრიგად, აქ წარმოდგენილია ცდა ინდო-ხვარაზმელთა ამბის დათარიღებისას სხვა მონაცემთა შორის გათვალისწინებულ იქნას დამატებისა და „შაჰ-ნამეს" ბატალური სურათებიც. მიღებულმა დასკვნამ ინდო-ხვარაზმელთა ამბის ავტენტურობის საკითხიც განსაზღვრა.

ამჯერად რიგში დგას ინდო-ხატაელთა ამბის (ტარიელის ინდოეთში დაბრუნების და გამეფების) ავტენტურობის საკითხი სამხედრო ხელოვნების მონაცემთა თვალსაზრისით.

წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, რომ სამივე ეს თავი ერთი ავტორის ნაწარმოებია, სულ ერთია, არის იგი რუსთაველი, თუ ყალბისმქნელი. ამას ადასტურებს მჭიდრო შინაგანი კავშირი და სიუჟეტური რკალი, რომლითაც გაერთიანებულია ეს თავები. ამ საკითხის შესახებ რუსთველოლოგიაში სხვაგვარი აზრი არ არსებობს. მაგრამ, რადგან ასეა, თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ამ

[1] სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ., გვ. 171.

[2] ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, IX, 1929 წ., გვ. 128.

თავთაგან არ ეკუთვნის პოემის ძირითადი ტექსტის ავტორს, უნდა ვალიაროთ, რომ მას არ ეკუთვნის ამ „ამბის" არც დანარჩენი თავები.

პირველად გადაწყვეტილ უნდა იქნას ერთი თავის — „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლის და ხატაელთა დამორჩილების" შედგენილობის საკითხი, ე. ი. უნდა დადგენილ იქნას ინდო-ხატაელთა ამბის შინაგანი მოცულობა.[1])

როგორც კ. ჰიჰინაძის, ისევე საიუბილეო გამოცემაში „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება" შეტანილია არა იმ მოცულობით, როგორც გამოვიდა მისი ავტორის ხელიდან, არაერად შემოკლებული, რედაქციული სახით. სამწუხაროდ, კ. ჰიჰინაძეს არასწორად აქვს გააზრებული ეს ბატალური ეპიზოდი. ამას ცხადყოფს ერთი ადგილი მისი უკანასკნელი შრომისა. კ. ჰიჰინაძე წერს: როცა ეგვიპტელი ვაჭრებისაგან ფარსადანის გარდაცვალების და ინდოეთის ხატაელთა მიერ ოკუპაციის შესახებ გაიგეს, გმირები სწრაფად აიყარნენ და სამშობლოსაკენ გაეშურნენ; აქ „ტარიელი ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხებს ხატაელებს-ო".[2])

ამის მსგავსი არა წერია რა არც თვით კ. ჰიჰინაძის რედაქტორობით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში", არც საიუბილეო გამოცემაში, რომელშიაც შეტანილია ინდო-ხატაელთა გაგრძელება, და არც ხელნაწერებში. სადავო ტექსტით, როცა გმირები ინდოეთში შევიდნენ, მათ შემოხვდათ რამაზის ყარაულები, რომლებიც არაბეთის ლაშქრის გამოჩენისთანავე გაიქცნენ (კ. ჰიჰინაძით — 1677, საიუბილეო გამოცემით — 1601). ეს ყარაულები დაიჭირეს ტარიელის მეომრებმა და მოჰგვარეს სარდალს, როდესაც მან მათი ვინაობა გაიგო,

უბრძანა: „წადით რეგვენნო, თქვენ ჩვენგან გაფიცხებულნი,
აცნობეთ თქვენსა პატრონსა: „მოელენ გულითა ჭებულნი".
(1678-1602).

შემდეგ, ემუქრება რა რამაზს, დასძენს:

აწ დაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან,
შემები, რაზმი დააწყევ, პირველვე გამიცხადიან
(1681-1605).

მართლაც,

დარაჯანი წავიდეს და ერთმანეთსა მიუსწრებდეს,
რამაზს ჰკადრეს ყველაკაი, დამალვასა ვერა სთმობდეს
(1682-1606).

---

[1]) მთელი ინდო-ხატაელთა ამბის, ანუ პირველი დამატების სრული მოცულობის შესახებ — ცალკე წერილში.

[2]) ვეფხისტყაოსანი, კ. ჰიჰინაძის რედაქტორობით, გვ. XVI.

ამგვარად, რამაზი სავსებით მომზადებული შეხვდა ტარიელის გამოჩენას და არავითარ მოულოდნელ, მით უმეტეს, ზურგიდან თავდასხმას აქ ადგილი არა აქვს.

უფრო მეტიც. კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებით აქ ადგილი არა აქვს არავითარ ბრძოლას: რამაზმა უბრძოლველად გამოაცხადა კაპიტულაცია, ტარიელმაც აპატია დანაშაული (ხელნაწერებით კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოულოდნელი თავდასხმის განზრახვა აქვს ტარიელის მიმართ სწორედ რამაზს). მართლაც, როცა ტარიელისა და ავთანდილის ლაშქარი ინდოეთში შეევლა, რის შესახებაც რამაზს ტარიელმა ხატაელი ყარაულების მეშვეობით აცნობა, შემდეგ კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებში ვკითხულობთ:

ცოტაი წავლეს, გამოჩნდა ხუთასი ცხენოსანანი.
შეტევებასა ჰლამობდეს ყმანი არაბთა თანანი;
ტარიელ ეტყვის: „ნუ იქმთო“, მისცა სიტყვისა ნანანი,
მოვიდეს, აჩნდა უაბჯროდ, არცა თუ ჰქონდა დანანი
(ჭიჭინ. 1684, საიუბ. 1608).

ცხენის ფერხთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა;
მოახსენა: „შემიბრალე, მისსა ძალსა, ვინცა გხვეწა!
ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი, მე, წა!
გული თქვენი სასაკუთრო ბედმან ასრე დამილეწა“
(ჭიჭინ. 1685, საიუბ. 1609).

დავუბრუნდეთ ახლა „ტარიელის მიერ ხატაელთა დამორჩილების“ შედგენილობის საკითხს.

როგორც ვხედავთ, ამ (არც ორ მომდევნო) სტროფიდან არ ჩანს, ვინ მოეგება ტარიელს, ვინ ჩნდა უაბჯაროდ, ვინ მოეხვია და ვის ცხენის ფეხს, ან რატომ, ან ვინ ვის მოახსენა — შემიბრალეო, და სხვ. მხოლოდ მომდევნო მესამე და შემდგომი სტროფებიდან ჩანს, რომ რამაზი მოჰგებებია ტარიელს „ხუთასი ვაზირით“, ჩავარდნია მას ცხენის ფერხქვეშ, და მისთვის პატიება უთხოვნია. თან, ოღონდ ტარიელმა რამაზის სპა ხელუხლებელი დატოვოს, და იგი, რამაზი, თანახმაა, თხოვს კიდეც ტარიელს, ამ უკანასკნელმა სამაგიეროდ, ერთგვარად საკომპენსაციოდ, თავები დასჭრას რამაზის ხუთასსავე ვაზირს.

თუმცა ასეთი დემოკრატიზმი რუსთაველის ერთგვარი მოდერნიზაციაა (ამის შესახებ — ქვემოთ), აღსანიშნავი აქ სხვა რამეა: კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო ტექსტებით გამოდის, რომ 80.000 კაციანი არაბეთის არმია ინდოეთის კარიბჭეს ტყუილა მიადგა: თურმე საკმარისი ყოფილა ტარიელის გამოჩენა ინდოეთში, რათა რამაზი

მას ფეხქვეშ ჩავარდნოდა, თავი დამარცხებულად ეცნო და მისთვის პატიება და ინდოეთიდან წასვლის ნებართვა ეთხოვა.

მაშ, „რისთვის გაიყოლა ტარიელმა თან ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი — საომრად, სარიკაოდ თუ მაყრიონის სამღერლად? [1] — ვიმეორებთ ჩვენ კ. ჭიჭინაძის მიერ დასმულ კითხვას, და მისივე სიტყვებით ვუპასუხებთ:

„რა თქმა უნდა, მხოლოდ იმისათვის, რომ შებრძოლებოდა თავის მტერს, ხატაელებს, და გამოეხსნა ინდოეთი განსაცდელისაგან, რაც ნამდვილად აწერილია... გაგრძელების „მეორე თავში". [2] კეთილი! მაგრამ დაბეჭდილი სადღაა? არც კ. ჭიჭინაძემ, არც საიუბილეო გამოცემამ ამ გაგრძელების მეორე თავში არ შეიტანეს სწორედ ეს „შებრძოლება", რამაც გაგრძელება გააბუნდოვანა და დაუკარგა მას ავტორისეული მიზანდასახულობა.

მართლაც, რამაზის ასეთი ნაბიჯი — „ცხენის ფერხთა მოეხვია" და სხვ., გარდა იმისა, რომ კ. ჭიჭინაძის და საიუბილეო გამოცემათა მიხედვით გაუგებარია, შეუწყნარებელია ფსიქოლოგიურად და გაუმართლებელი — ლოგიკურად. თუ მთელი ინდოეთი ხატაელთაგან ოკუპირებულია და რამაზს მართლა ისეთი რაოდენობის სპა და ლაშქარი ახლავს, როგორიც აღნიშნულია „გაგრძელებაში", მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ტარიელისათვის. საპირისპირო შემთხვევაში, თუ რამაზს ამისი უნარი აღარ ჰქონდა, შეეძლო სასწრაფოდ აყრილიყო, ტარიელს გასცლოდა და ინდოეთი დაეტოვებინა. თუ ასე არ მოიქცა, თუ ტარიელს არ გაერიდა, ცხადია, განზრახვა ჰქონია მტერს შებრძოლებოდა. ამიტომ რუსთაველმა გაიყოლა ტარიელს ინდოეთში 80.000 კაციანი არმია, თუ გამგრძელებელმა, სულ ერთია: ამ არმიამ იქ, ინდოეთში, ბრძოლა უნდა გადაიხადოს. ამ ეპიზოდის ერთადერთი მიზანია გვიჩვენოს, რომ ტარიელმა ინდოეთის ტახტიც ბრძოლით მოიპოვა და დაიპყრო.

ამრიგად, 1608 სტროფის შემდეგ 1609 სტროფი ისე, თუ მათ შორის არ ვიგულისხმებთ რაღაც გარდამავალს, შეუძლებელია.

მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერში (მაგ. № 4499 ყოფ. წ/კ. საზოგადოების სამუზეუმო ფონდისა, რომლის შესახებაც კ. ჭიჭინაძე ლაპარაკობს: „ამ ხელნაწერის მნიშვნელობა მეტად დიდია საერთოდ-ო", [3] № 205 ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა), ამ სტროფებს შორის ვკითხულობთ:

[1] „რუსთაველის გარშემო", 1928 წ., გვ. 120.

[2] იქვე.

[3] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. XXIX, შენიშვნა.

უბრძანა: ერთხელ კულავც ვნახე რამაზის სიმუხთალია;
იმათი ისრე მოდენა ჩუენზედა არ მართალია;
ფიცი არა სწამს დღე-კრულსა, არცა მაჰმადის რჯულია,
ღალატს ეცდების უცილოდ, ეს მათგან გაზრახულია
(ს. კაკაბაძის 1914 წ. გამ. 1560).

აწ შეუტიოთ, ნუ ვარჩევთ, მათ გაუცუდოდ ფლიდობა.
ავთანდილ ბრძანა: ვაცალოთ, ქნან ჩუენკენ მონაზიდობა;
ჩუენცა ცოტანი ვეჩუენნეთ, ესცნათ მათი ხრმალთა დიდობა.
გამოაცხადებს უცილოდ, სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა
(1560ბ).

რამაზ ბრძანა: შეეხუეწნეთ, შევეტყუენეთ საჭმით ჩუენით;
ვერას უზამთ გოლიათთა, თუ არ ხერხით, თუალთა ჩენით;
შეგვანანებს აჭ მოსულასა, ამოგუაგდებს ლაშქრით ჩუენით.
შეეხუეწნეთ, ნუ დაგუხოცო, მიუეიდეთ ნებით ჩუენით
(1560გ).

ღარა აცალეს მათ გმირთა მათ ხერხთა გამამრჩეველობა;
შესძახეს: ნახეთ, აწ რამაზ ამ ჩუენთა ხრმალთა მკუეთლობა;
ცოტა წინარე წამოდეგ, არას გიშველის დედლობა,
ფრიდონის სიკისკასობა, შენს ლაშქარზედა ქუელობა
(1560დ).

მართ ამაზედა შეიქნა შეტეცებ-შემოტევება.
ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექნა გამომჭლავნება;
ლაშქარნი სრულად მოჰიდეს, რაც რამაზს გულში ენება.
ავთანდილ ბრძანა: ამათი მე ესე ესრე მენება
(1560ე).

აქეთ ბრაბნი გაუხდეს და შეუტიევეს ცხენები;
ტარიელ ხელთა აიღო, შუბსა ახმარა მძლე ნები.
ჯკრა და ცხენსა გააელო იგ სიკვდილისა მჭენები,
რამაზს შეჰყარა აწ ღმერთმან სამთა გმირთაგან სენები
(1560ვ).

უბრძანა თუ: სიმუხთალე ორჯელ შენი შემიტყუია;
არ გაგიშვებ შენ ცოცხალსა, ესე ჩემგან შეგიტყუია,
არც გაუშვებ ხატაელთა, რაცა ჩუენთა ხელთა ტყუეა.
შიში მოჰკლავს უსაცილოდ რამაზს, ესე შემიტყუია
(1560ზ).

ამას მოსდევს სტროფი:

ცხენის ფერხთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა...

ახლა გასაგებია, ვინ მოეგება ტარიელს, ვინ ვის ცხენის ფეხს მოეხვია, რატომ, ან ვინ ვის მოახსენა — შემიბრალეო, და სხვ. ამით ბუნდოვანებაც გაიფანტა და ავტორის მიზანდასახულობაც გამართლდა: ტარიელი შეებრძოლა ხატაელებს, დაამარცხა და ბრძოლით გაიკაფა გზა ინდოეთის ტახტისაკენ.

თუ ერთის მხრივ 1608 სტროფის უშუალო გადაბმა 1609 სტროფზე ბუნდოვანს ხდის მომდევნო სტროფებს, თუ მათი უშუალო მეზობლობა ლოგიკურად დაუშვებელია და ფსიქოლოგიურად — გაუმართლებელი, მეორეს მხრივ 1609 სტროფს მოსდევს სტროფები, რომლებშიც აშკარად იგულისხმება 1560[1—7] სტროფების შინაარსი: რამაზი უბრძოლველად კი არ დანებდა ტარიელს, არამედ ბრძოლაში დამარცხდა.

მართლაც, „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ-ო" (1614), ვკითხულობთ მომდევნო სტროფში. ,,მოერიოვ-ო'', და არა — „დაგნებდეს-ო": ,,ძლეული შიშმან თუ ლია-ო'' (1615), — ვკითხულობთ იმავე რამაზის შესახებ. ,,ძლეული'' შეიძლება ითქვას მხოლოდ ბრძოლაში დამარცხებულზე.

მოვიდეს, ნახეს, რამაზის ლაშქარი ძლივღა ეტია
(1617).

თქმა არ უნდა, რომ აქ ლაპარაკია სწორედ რამაზის იმ ლაშქრის შესახებ, რომელზეაც № № 4499, 205 ხელნაწერთა ერთი ტაეპი გვაუწყებდა:

ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება
(1560[2]).

წინააღმდეგ შემთხვევაში, როდის გაჩნდა აქ ეს ლაშქარი, რომელიც ,,ძლივღა ეტია''? ამრიგად, ეს ანალიზი ცხადყოფს, რომ სტროფები 1560[1—7], დადასტურებული № № 4499, № 205 და შეიძლება სხვა ხელნაწერებითაც, ინდო-ხატაელთა ამბის ორგანული შემადგენელი ნაწილია. სხვა ნიშნების მიხედვითაც, რომელთა შესახებ აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, ეს სტროფები იმავე ავტორისაა, რომელმაც ინდო-ხატაელთა გაგრძელება დაწერა.

დამახასიათებელია მხოლოდ ერთი დეტალი.

ფრიდონი უადგილოდ არის ჩაჩხერილი და მიტმასნილია ლოგიკური კავშირის გარეშე როგორც კ. ჯიჯინაძის და საიუბილეო გამოცემათა მიერ რუსთაველისად მიჩნეული ინდო-ხატაელთა გაგრძელების ერთ სტროფში (1607), ისე ამავე გაგრძელების მათ მიერ დგნორირებულ ტექსტში:

არაბთა, იცის ყოველმან, მათი აბჯარი შუბია,
ფრიდონ-მზე მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია
(1607).

ცოტა წინარე წამოიღეგ, არას გიშველის დედლობა,
ფრიდონის სიკისკასობა, შენს ღაშქარზედა ქუელობა
(1560[1]).

ასეთ შემთხვევას პოემის ძირითადი ტექსტი არსად არ ადასტურებს.

ვფიქრობთ, ყველა ზემონათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ინდო-ხატაელთა გაგრძელება კ. ბიჭინაძისა და საიუბილეო გამოცემებში წარმოდგენილია რედაქციულად, შემოკლებული სახით, ხოლო მისი ავტენტური, სრული სახე წარმოდგენილია ხელნაწერებში № 4499, № 205.

მაგრამ თუ ზემონათქვამი სწორია, მაშინ გზა იხსნება ახალი დასკვნებისაკენ.

რადგან სტროფები 1560[1–7] ინდო-ხატაელთა გაგრძელების უცილობელი, ორგანული ნაწილია, ანუ ეს გაგრძელება სრული, ავტენტური სახით წარმოდგენილია ხელნაწ-ში № № 4499 და 205, შესაძლოა ინდო-ხატაელთა გაგრძელება გაანალიზირებულ იქნას სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. თუ ინდო-ხატაელთა გაგრძელების სამხედრო ხელოვნება პოემისეულის ნიშნებს ატარებს, მაშინ ეს გაგრძელება რუსთველს უნდა მიეკუთვნოთ; თუ არა, მთელი „ამბავი" დანართად და სიყალბის ჩამდენის დაწერილად უნდა ვიცნოთ.

პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატალური სურათები პოემაში შეტანილია არა როგორც მხატვრული სამკაული (მხოლოდ), სიუჟეტის გართულების საშუალება, ან დამოუკიდებელი, თვითმიზნის მქონე ეპიზოდები, არამედ როგორც ეპოქის სამხედრო ხელოვნების რეალისტური ასახვა. ახლა არავინ დაობს იმის შესახებ, რომ პოემა მარტო სიყვარულის ჰიმნი და რაინდობის საგალობელი არ არის. მასში ასახულია მისი წარმომშობი ეპოქა საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალებით, კულტურული პროფილით, მორალით, ეთიკით, იდეებით, მიზნებით, სოციალური თუ ყოფა ცხოვრებითი ტრადიციებით და დეტალებით. კერძოდ, „სამხედრო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები, სამხედრო ტექნიკა და მთელი სამხედრო ხელოვნების ვითარება, რომელსაც ვხვდებით პოემის ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების სურათებში,

ქართული სამხედრო ხელოვნების, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დადგენილი სამხედრო ტრადიციების მხატვრული უკუფენაა, ხოლო ზოგიერთი დეტალი ამ ომებისა შეიძლება გადახატული იყოს ახლო აღმოსავლეთის სინამდვილიდან". [1])

ამით, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ პოემის სამხედრო ხელოვნება ყოველმხრივ შესწავლილია. ეს ჯერ არც შესაძლოა, რადგან თვით ქართული სამხედრო ხელოვნებაც XII-XIII საუკუნეთა თავის მკვლევარს მოელის. მაგრამ უდავოა, რომ ქართული სამხედრო ხელოვნება აღნიშნული ეპოქისა ფეოდალურია. ისიც უდავოა, რომ მის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია და მისი თავისებურება განსაზღვრა კიდეც ძლიერმა მონარქიულმა ხელისუფლებამ, რომელმაც, მართალია, ცვალებადი წარმატებით, მაინც შეძლო მთელი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაერთიანება ნაციონალური თუ სხვა საბაბით მონარქის უზენაეს მბრძანებლობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ხარკის დადება და კავკასიის გაერთიანება.

სავსებით ანალოგიურ სისტემასთან გვაქვს საქმე „ვეფხისტყაოსანშიც". ფეოდალური ინდოეთის,—რომლის ლაშქარიც ფეოდალურის პრინციპით ორგანიზირდება,—ეროვნული გაერთიანება ერთი მონარქის სკიპტრის ქვეშ მისი სამხედრო პოტენციალის აშკარა ზრდით აღინიშნა, რაც ხატაეთისათვის ხარკის დადებით დაგვირგვინდა.

შევადაროთ ამ სისტემას სადაო თავების სამხედრო ხელოვნება.

სადაო თავების სამხედრო ხელოვნება ფეოდალურის არაეითარ ნიშანს არ ატარებს.

> მერმე ხუთასი ვაზირი მყაცს აქათ წარუვალია,
> თავები დასჭერ, ადინე სისხლი, მართ ვითა ღვარია
> (611).—

ეუბნება რამაზი ტარიელს. დავანებოთ თავი იმას, რომ ძირითადი ტექსტი არ იცნობს ვაზირთა ასეთ რიცხვმრავალ შტატს. ფეოდალური სამხედრო ხელოვნების სისტემაში, როცა ჯარის ორგანიზაციაში გადამწყვეტ როლს ფეოდალი (აქ—ვაზირი) ასრულებს, ასეთი რადიკალური დემოკრატიზმი წარმოუდგენელი მოდენიშნაა: რამაზი ვერ მოჰკვეთდა იმ ტოტს, რომელსაც მისი ძლიერება ემყარებოდა. ამასვე ადასტურებს ინდოეთის ხანგრძლივი ოკუპაცია,

[1]) მ. მახათაძე, სამხ. ხელოვ. ვეფხისტყაოსანში, გვ. 193-194.

რის საშუალებასაც მოკლებული იყო ფეოდალური ლაშქარი (რომელსაც შინ ცოლ-შვილი და ოჯახი უპატრონოდ მიტოვებული ეგულებოდა).

ავტორს წარმოდგენა არა აქვს არც ჯარის ორგანიზაციულ წყობაზე, რომელიც როგორც საქართველოში, ისე პოემაში თემობრივ-ტერიტორიულ პრინციპს ემყარებოდა, არც ტაქტიკურ ერთეულზე (ძირითადი ტექსტის ,,რაზმი'', ,,დასი''). მართალია, ტარიელი უთვლის რამაზს: ,,შემები, რაზმი დააწყევ-ო'' (1605), მაგრამ ეს რუსთაველის ტარიელის ,,რაზმი დაავწყევ-ის'' უბრალო განმეორებაა: თვით ბრძოლაში არც ავთანდილ-ტარიელს, არც რამაზს არავითარი რაზმი არ ,,დაუწყვიათ'', არ გამოუყვანიათ. ტაქტიკური ერთეულის გარეშე კი 80.000 კაციანი მებრძოლი ლაშქარი მხოლოდ უპიროვნო მასაა, რაც რუსთაველს ბრძოლის ველზე არასოდეს არ გამოჰყავს.

ომებს კი სახელმწიფოები აწარმოებენ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად. კლაუზევიცი აღნიშნავდა, რომ ომები არის პოლიტიკის გაგრძელება იარაღის საშუალებით.[1] მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით კი არა პოლიტიკისა აბსტრაქტულად, არამედ პოლიტიკისა, რომელსაც ამა თუ იმ ეტაპზე ატარებენ მმართველი კლასები.[2] ასეა პოემაშიც. ტარიელმა ხატაეთის მეფეს ჯერ ნოტა გაუგზავნა, და, როცა ამით ვერაფერს მიაღწია, გაილაშქრა ხატაეთზე. ტარიელი მოითხოვდა ხარკს, ინდოეთის მიერ ეკონომიური ვალდებულების შესრულებას, პოლიტიკურ მორჩილებას. ფრიდონმა სამშობლო გააერთიანა მის მიერვე გაჩაღებული ომით; ჭაჯეთის ციხის ოპერაციების შემდეგაც კი გმირები არ იცავწყებენ მატერიალურ სარგებლობას და პოლიტიკურ ამოცანებს:

> მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები,
> სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
> თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები
>
> (1476),

და წამოიღეს, ხოლო ჭაჯეთის სამეფოს დამოუკიდებლობა სრულიად გააქრეს.

რა პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობა არსებობს ხატაეთსა და არაბებს შორის, რომელთა შუა მოქცეულია მთელი

[1] Клаузевиц, О Войне, Москва, 1936 г., т. I., ст. 23.
[2] Ленин, О Войне 1914-1918 г. г., Москва, 1924.

ახლო აღმოსავლეთი და ინდოეთი? არავითარი. მაშ, რისთვის გაიღებს როსტევანი ასეთ უზარმაზარ სახელმწიფოებრივ მსხვერპლს, რომელიც ნაჩვენებია აქ?

კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი დაკაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია
(1567).

გაემართეს და წავიდეს დია სპითა და ბარგ თა
(1577).

მხოლოდ მეგობრობისთვის? ეს უაღრესად კოსმოპოლიტი და უანგარო მეგობრობის მქადაგებელი რუსთაველისთვისაც კი ნამდვილი გულუბრყვილობაა, რაც მას არ ახასიათებს: ის რეალისტი მხატვარია და არა ხელოვნური ზღაპრის ავტორი.

მხოლოდ ამ მოსაზრებათა მიხედვითაც შეიძლებოდა სათანადო დასკვნა გამოგვეტანა, მავრამ გადავიდეთ თვით ბრძოლის სურათების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული მომენტების შედარებაზე.

ფალსიფიკატორი დიდ სიფრთხილეს იცავს და მიმბაძველობის უნარს ამჟღავნებს. მას სურს შექმნას რუსთაველური ბატალური სურათები, სარგებლობს მისი ტერმინოლოგიით, სიტუაციებით, ცალკეული ტაქტიკური ხერხებით, და სხვა მომენტებით. და ცდილობს ამათ საკუთარი ელფერი მისცეს.

მართლაც, საკმარისია ინდო-ხატაელთა დამატების დისპოზიცია შევადაროთ რუსთაველის მიერ შექმნილ ინდო-ხატაელთა ბრძოლის დისპოზიციას ზოგადად, რომ ვიცნოთ მათი სქემატური იგივეობა.

თქვენი მესმა საღალატო, საცნობელად გამოვვარჯი
(433)...

რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გღალატობენ
(434)...

მეფე ცოტად მოგეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან,
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან
(435).—

აცნობეს ტარიელს.

ვერას ვუზამთ გოლიათთა, თუ არ ხერხით. თვალთა ჩენით, ამიტომ ,,**შევეტყუვნეთ საქმით** ჩვენით-ო" (1560[3]),—განუცხადა დამატების რამაზმაც თავის ეაზირთ.

რუსთაველი გვეუბნება: როცა საომრად მზადმყოფი მოწინააღმდეგის წინაშე აღმოჩნდა რამაზი თავისი მხედრობით, რის მოლოდინიც მას არ ჰქონდა, მაშინ მისმა სარდლებმაო

კვამლი შეჭმნეს ლაშქართათვას, დამალული **გაამჟღავნეს**. (444).

ყალბისმქნელის რამაზსაც არ სურს მტერთან ეომკაცური ომი. მას განზრახვა აქვს ღალატით დაღუპოს ტარიელი, მაგრამ

ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექმნა **გამომჟღავნება** (1560⁵).

როცა ხატაელთა სარდლობამ ნიშანი მისცა ლაშქარს, ხატაელთა არმიებიც

სამალავით **გამოვიდეს**, თავნი ორგნით აქარავნეს (114).

ყალბისმქნელი:

ლაშქარნი **სრულად მოვიდეს**, რაც რამაზს გულში ენება (1560⁵).

შეიძლება ამათ კ. ჯიჯინაძემ პასტიჩიო დაარქვას. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. აქ განმეორებაა, მაგრამ არა თავისთავის, არამედ რუსთაველის, რადგან თვით რუსთაველი არსად არ იმეორებს ერთხელ გადახდილი ბრძოლის სურათს, სიტუაციას, ხერხებს, ტაქტიკას, გარდა ერთი მომენტისა: ტარიელი მუდამ მცირერიცხოვანი რაზმით იბრძვის მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ამიტომ იგი ყოველთვის სწრაფ, ფიცხელ შეტევას აწარმოებს, რათა მტერმა არ მოასწროს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ეს არის რუსთაველის ძირითადი ტაქტიკური პრინციპი.

აქ კი ყალბისმქნელი რუსთაველის პრინციპის ერთგული რჩება...

მაგრამ იმეორებს რა ინდო-ხატაელთა ომის სქემას, გაგრძელების ავტორი ვერ ერკვევა სამხედრო ვითარებაში, იხლართება მის მიერვე შექმნილ სიტუაციაში, ღალატობს რუსთაველის სამხედრო ეთიკის, მორალის, სტრატეგიის პრინციპებს, და ქმნის სურათს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას.

პირველად — „კაცი ოთხმოცი ათასი".

ჯერ ერთი, რუსთაველი ითვლის ბევრეულებით (33, 44, 434, 1286 და სხვ.); შემდეგ,

არსად ასეთი რაოდენობის მებრძოლი მასის სათავეში ტარიელი არ დგას. ინდოეთის ლაშქრის რაოდენობა ინდო-ხატაელთა ბრძოლაში განსაზღვრული არ არის, მაგრამ ის არ შეიძლება ოთხმოცი ათასს აღწევდეს, რადგან ხატაელთა წინააღმდეგობის გასატეხად საკმარისი აღმოჩნდა სამასი მძიმედშეიარაღებული მეომარი. სამასი კაცი ახლდათ გმირებს ქაჯეთშიც. გულანშაროს გამაერთიანებელ ბრძოლაში კი ფრიდონის მთელი ლაშქარი, რომელსაც ტარიელი სარდლობდა, ორ ნავზე დაეტია. ამრიგად, მოწინააღმდეგის ლაშქარი რიცხობრივად ყოველთვის ჭარბობს ტარიელისას.

მიუხედავად ამისა, ტარიელი არსად არ ღალატობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და სამხედრო ეთიკას. პირიქით, მოწინააღმდეგეს მოუწოდებს მათი დაცვისაკენ: „შეგვებენით, ვითა წესი და რიგია“ (443). გამარჯვებულიც ყველგან ტარიელი გამოდის.

აქ კი ტარიელი ოთხმოცი ათასი კაცით თავს დაესხა ხუთას შეუიარაღებელ ხატაელს. მათაც მიიღეს ბრძოლა: „შეიქნა შეტევებ-შემოტევება“. მაგრამ რით შეუტია რამაზმა? აკი მის „ვაზირებს“ „არცა თუ ჰონდა დანანი!“.

არავითარი სტრატეგიული, ან ტაქტიკური თვალსაზრისი არ ამართლებს ასეთ ფიცხელ შეტევას აქ. ამჟამად ხომ რიცხობრივი უპირატესობა ტარიელის მხარეზეა შეფარდებით 80.000—500. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რამაზის მთავარი ძალები მხოლოდ შემდეგ გამოჩნდნენ, როცა ბრძოლა გაჩაღდა ტარიელის არმიასა და რამაზის ვიარაღო დიდებულთა რაზმს შორის:

მართ ამაზედა შეიქნა შეტევებ-შემოტევება.
ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექმნა გამომქლავნება.
ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება...

მაგრამ დავუშვათ, რომ ვიდრე მომენტამდე: „შეიქნა შეტევებ-შემოტევება“, ე. ი. ბრძოლის, შეტაკების დაწყებამდე ყველაფერი რიგზეა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რასაც უნდა მოჰყვეს ნამდვილი ბრძოლა. რუსთაველის რამაზს განზრახვა აქვს გარემოიცვას ტარიელი: „ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან“ (435), აცნობებს ტარიელს, რასაც იგი განახორციელებს კიდეც: „ერთობილნი მომეხვიენეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი“ (448), — გვიდასტურებს ტარიელი. ასეთი ტაქტიკური მანევრის განსახორციელებლად რუსთაველის რამაზის ჯარებმა „თავნი ორგნით აქარავნეს, შექმნეს რაზმი მრავალკეცი“ (444) და სხვ. ამრიგად, რამაზის 130.000-ანი არმია დაყოფილია რაზმებად და განლაგებულია მრავალკეცად. ტარიელმა კი პირველად იქ მიმართა, „სად უფროსი ჯარი დგესა“ (446), ჯერ მტრის მთავარი ძალები გაანადგურა, რითაც მის რიგებში არევდარევა შეიტანა და წინააღმდეგობა გატეხა. ამ გზით მან შეკრული რკალი გახსნა, რაც რეზერვის ომში დროულად ჩაბმამ ტარიელის გამარჯვებით დააგვირგვინა. [1])

ყალბისმქნელმა კი იქ დასვა წერტილი, სადაც ნამდვილი ბრძოლა უნდა დაიწყოს. იგი, საკუთარ წინააღმდეგობებში გახლართული,

[1]) იხ. უფრო ვრცლად—სამხედრო ხელოვნება კეფხისტყაოსანში, ქუთ. პედინსტ. შრომები. IV. 1942 წ.

დიდი გაჭირვებით მიჰყვა რუსთაველს ერთ გარკვეულ საზღვრამდე, სანამ ლაპარაკი შეიძლებოდა „მოტყვილებაზე“, „ხერხთა გამომრჩეველობაზე“, სანამ შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ „ლაშქარი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება“, ანუ, სანამ შესაძლო იყო დიდი მებრძოლი მასები ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. მაგრამ როცა საქმე მიდგა თვით ბატალური სურათის შექმნაზე, „გამორჩეული“ ტაქტიკური ხერხების განაღდებაზე, როცა თვით ბრძოლა უნდა გაიმართოს და ერთმანეთს შეებას არაბთა მხრით 80.000 კაციანი არმია და ხატაელთა მხრით, მთელი მათი ძალების ომში ჩაბმის შემდეგ — საგრძნობი რაოდენობის მებრძოლი მასები, როცა „ლაშქარი სრულად მოვიდა, რაც რამაზს გულში ენება“, ყალბისმოქმედს აღარ აღმოაჩნდა შესაძლებლობა განავითაროს დაწყებული „შეტევებ-შემოტევება“, და მებრძოლთა ბავშვური წაკინკლავების შემდეგ, რომლის დროსაც ტარიელმა ცხენი მოუკლა რამაზს, ბრძოლაც დაამთავრა. აშკარაა, ყალბისქმნელი ვერ გასცილდა დიამეტრალურად დაპირისპირებული მებრძოლი მასების შუბლური შეტაკების ტრაფარეტულ მოხაზვას.

ამრიგად, ტარიელის მიერ გადახდილი ეს მეოთხე ბრძოლა არა თუ პოემის სამხედრო ხელოვნების წინსვლის მაჩვენებელი არ არის, არამედ მის პროფანაციას და ფალსიფიკაციას წარმოადგენს. თვით ტარიელის სარდლობა და ტაქტიკური ხელმძღვანელობის უნარი მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ რამაზს

უკრა და ცხენსა გააცლო, იგ სიკვდილისა მქენები...

გადავიდეთ ამის შემდეგ ინდო-ხატაელთა გაგრძელების ცალკეული მომენტების განხილვაზე.

პირველად აქ უნდა აღვნიშნოთ რუსთაველის სამხედრო ეთიკა. მისი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს არასოდეს შეურაცხმყოფელ სიტყვას არ აკადრებენ: „ჩვენო ძმანო და პატრონო-ო“ (388), შეუთქვამს რუსთაველის ტარიელმა რამაზს. თვით რამაზის პასუხი: „ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენზედა რა პატრონია“ (400), ტარიელმა მოიხსენია, როგორც „ლაღნი და უკადრნი“, თუმცა ეს პასუხი არას შეიცავს პირად, პერსონალურად ვისიმე პიროვნების შეურაცმყოფელს. ინდო-ხატაელთა გაგრძელებაში კი ტარიელი მისგან „შეფიცხებული“ ხატაელთა დარაჯების მეშვეობით უთვლის რამაზს:

ინდოეთსა ვით მოაღეგ, შმაგთაგანცა უფრო შმაგო (1604)...

პირ-ბაზო, ჩემი მორევნა რა დია-დაგიქადიან (1605)...

უკანასკნელი ტაეპის მიმართება რუსთაველის სამხედრო ეთიკის და ეტიკეტის უხეშ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ, და ამის გამო შეუძლებელია მასვე მივაკუთვნოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხედრო თათბირები, რომელთაც ტარიელი მართავს მის მიერ გადახდილი ბრძოლების წინ.

სწორედ ამ თათბირებზე იქნა დაყენებული უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული დებულება რუსთაველის ეპოქის სამხედრო ხელოვნებისათვის:

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია
(1392).

მაგრამ ტარიელი არც ერთ თათბირზე წუთითაც არ თმობს მთავარსარდლის უფლებებს. ხატაეთის ბრძოლის წინ მან თავისი ვაზირები მხოლოდ რჩევისათვის მოიწვია, და გაიზიარა მათი წინადადებანი მხოლოდ იმიტომ, რომ მოეწონა ისინი: „მეკეთა ესე თათბირი-ო“ (426), აცხადებს სარდალი. დიდი პრინციპულობა, დისციპლინა, ღრმა დასაბუთება წარმოდგენილ წინადადებათა, და მათი თავაზიანი, მორიდებული გარჩევა და უარყოფა აბასიათებს ქაჯეთის თათბირსაც. ტარიელი აქაც ინარჩუნებს სარდლის უფლებას — გაარჩიოს წარმოდგენილი წინადადებანი და გამოიტანოს მათ მიმართ შესაფერი მსჯავრი. მულღაზანზარში კი ის ერთადერთი ხელმძღვანელი იყო ბრძოლისა.

ერთგვარი „თათბირი“ წინ უძღოდა სადავო ეპიზოდის ბრძოლასაც. როცა ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის ჯარებმა დაინახეს რამაზის ხუთასკაციანი რაზმი,

შეტევებასა ლამოდეს ყმანი არაბთა თანანი
(საიუბ. 1683).

მაგრამ,

ტარიელ ეტყვის: ნუ იქმთო, მისცა სიტყვისა ნანანი
(იქვე).

შემდეგ, გააცნო რა თავისიანებს „რამაზის სიმუხთალია“, უბრძანა: „აწ შევუტიოთ, ნუ ვარჩევთ-ო“ (1560²). ახლა კი ყოველგვარი მორიდებისა და ბოდიშის გარეშე

ავთანდილ ბრძანა: ვაცადოთ...
გამოამჟღავნებს უცილოდ სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა
(იქვე).

მაგრამ ბოლოს მაინც „აღარ აცალეს“ და სხვ.

უდისციპლინო, აყალმაყალით სავსე თათბირი, რომელშიაც წინ წახტომა, არათავაზიანი ურთიერთდამოკიდებულება, კოლეგის

აზრის უბოდიშო უარყოფა ბატონობს, რომელსაც არა ჰყავს ხვლ-მძღვანელი, — აი, გაგრძელების „თათბირი". ამით ვამთავრებთ.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სადავო ტექსტის სამხ. ხელოვნებას მთლიანად და ბრძოლის სურათებს კერძოდ არაფერი არა აქვთ საერთო არც საზოგადოდ ქართულ, ან ფეოდალურ სამხედრო ხელოვნებასთან, არც კერძოდ რომელიმე ისტორიულ ბრძოლასთან. ინდო-ხატაელთა გაგრძელების სამხედრო ხელოვნება საერთოდ არც ერთი ქვეყნის, ან სოციალური ეპოქის სამხედრო ხელოვნების ასახვა და ორეული არ არის. სამაგიეროდ შეიძლება დადგენილ იქნას ის სალიტერატურო ტრადიციები, რომლებითაც სარგებლობდა პოეტი. ეს არის „ვისრამიანის", „ამირანდარეჯანიანის" და „შაჰ-ნამეს" ვერსიების სამხედრო ხელოვნება. მაგრამ ეს ცალკე თემაა, და მას ოდესმე დავუბრუნდებით. აქ კი, უკვე წარმოებული ძიების შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი, მასში წარმოდგენილი ბატალური სურათის და სამხედრო ვითარების მიხედვით, პოემის ძირითადი ტექსტის ავტორის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება. [1])

---

[1]) თუმცა ამ წერილის მიზანი სადავო ტექსტის ავტორის პიროვნების დადგენა არ არის, მაგრამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა გამო მოკლედ აღვნიშნავთ, რომ იგი ერთგან წერს:

ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვენ:
ესეაო შამაცისა მეტისმეტი სიგულვენე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე (1614)...

ძნელი არ არის აღმოჩენა იმ „საკითხავისა", რომელიც ამ „ბრძენთა მოსწავლე ვინმეს" უპოვნია (და გამოუყენებია კიდეც): ეს არის ძირითადი ტექსტის

რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე...
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე.
ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე (-68).

მეორეგან კი ის უფრო აზუსტებს როგორც თავის, ისე ამ „ბრძენის" ვინაობას: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა" (1665) ე. ი. ვწერ (ამ გაგრძელებას) რუსთველის მიბაძვითო („ქართ. ლიტ. ისტ.", II, 1941 წ., გვ. 119).

ამრიგად, ინდო-ხატაელთა ამბის ავტორი ორ-ორჯერ ასახელებს:

1) ძირითადი ტექსტის ავტორს, იმოწმებს მას და პირველად ბრძნად მოიხსენიებს, მეორედ — რუსთველად;

2) თავის თავს, და თუმცა მეორედ — მეტი სიზუსტით (მესხი), მაინც კვლავ „ვინმეს" საფარით.

ეს შენიშვნა დიდი ხედმიწევნილობით განსაზღვრავს ორი პიროვნების ურთიერთმიმართებას: ერთია ძირითადი ტექსტის ავტორი, მეორე — გაგრძელებისა.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

გიორგი სამხარაძე

ლერმონტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი

I

პოეტურ ფოლკლორს, როგორც შემოქმედებისა და მხატვრული შთაგონების წყაროს, მთელი რიგი რუსი გამოჩენილი ბელეტრისტები და პოეტები მიმართავდნენ. ჩვენ შეგვიძლია სიტყვის რამდენიმე დიდი ოსტატი დავასახელოთ სამაგალითოდ. ასეთებია მაგალითად, ლომონოსოვი, პუშკინი, დერჟავინი, გოგოლი, კოლცოვი, ნეკრასოვი, ტურგენევი, ლ. ტოლსტოი, ა. ტოლსტოი, სალტიკოვ-შჩედრინი, დოსტოევსკი, ლესკოვი, გორკი, მაიაკოვსკი, ესენინი, ბაგრიცკი და სხვები. ეს მწერლები ძალზე უხვად, გაბედულად და ნაყოფიერად იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებაში ხალხის პოეტური მოღვაწეობის ჭეშმარიტ საუნჯეებს — სიუჟეტებს, მოტივებს, ლექსიკას, ცალკე ფრაზებს, გმირების გამოსახვის მხატვრულ სახეებს, ამბის გაშლის ხერხებს, შედარებებს, ჰიპერბოლებს, სტროფიკას, სიმბოლოებს და პოეტური მეტყველების სხვა ხამკაულებს.

ხალხური პოეზიისა და ინდივიდუალური მწერლობის შემოქმედებითი ურთიერთობა ისტორიულად საუკეთესო შედეგებს იძლეოდა.

მ. გორკი არაერთხელ მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ოტელო, ჰამლეტი, დონ-ჟუანი და სხვა მსოფლიო ტიპები გაცილებით ადრე ხალხური შემოქმედების სამყაროს ამშვენებდნენ, ვიდრე გენიალური მწერლების ნაწარმოებებში განსახიერდებოდნენო.

„მილტონი და დანტე, მიცკევიჩი, გოეთე და შილერი ყველაზე მაღლა ადიოდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ფრთებს ასხამდა კოლექტივის შემოქმედება, როდესაც ისინი სწურავდნენ უზომოდ ღრმა, ურიცხვოდ მრავალსახოვანი, ძლიერი და ბრძნული ხალხური პოეზიის წყაროდან". *)

*) М. Горький, „Разрушение личности", 1908 г., стр. 9.

ხალხური შემოქმედების გმირები დროთა ვითარებაში მხატვრულად სრულყოფილნი ხდებოდნენ. „მე ხელახლა მივაპყრობ თქვენს ყურადღებას, ამხანაგებო, იმ ფაქტს, — ამბობდა მ. გორკი საბჭოთა მწერლების I საკავშირო ყრილობაზე, — რომ ყველაზე მეტად ღრმა და ნათელი, მხატვრულად სრულყოფილ გმირთა ტიპები ფოლკლორის მიერ არის შექმნილი; მშრომელი ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედებით არის შექმნილი ისეთი სახეები, როგორიცაა ჰერკულესი, პრომეთეოსი, მიკულა სელიანინოვიჩი, შემდეგ — დოქტორი ფაუსტი, ვასილისა პრემუდრაია, ირონიული წარმატებების მქონე ივან დურაკი და დასასრულ, პეტრუშკა, რომელიც ამარცხებს ექიმს, მღვდელს, პოლიციელს, ეშმაკს და თვით სიკვდილსაც, — ყველა ეს სახეებია, რომელთა შექმნაშიაც ჰარმონიულად შეხამებულია გონება და ინტუიცია, აზრი და გრძნობა. ასეთნაირი შეხამება შესაძლებელია მხოლოდ ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლაში, სინამდვილის შემოქმედებაში შემქმნელის უშუალო მონაწილეობით". *)

მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია ერთი არსებითი მომენტი. ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის პრობლემა არაა შეჭანიკური პროცესი. ყოველი ეპოქის მხატვრული სიტყვის ოსტატები ხალხური პოეზიის საუნჯეებთან ერთნაირი განწყობილებით, აზრითა და იდეური მიმართებით როდი მიდიოდნენ. სხვადასხვა მწერალი განსხვავებული მსოფლშეგრძნებით სარგებლობდნენ ხალხური პოეტური შემოქმედების სალაროდან.

ზეპირსიტყვიერების საუნჯეთა გამოყენება, ამ ქმნილებათა ინდივიდუალურ ქსოვაში გადაჯნობა, ხალხური ტიპებისა და სახეების გამოძერწვა დამოკიდებული იყო ბევრ არსებით გარემოებაზე. აქ მთავარ როლს თამაშობდა ბელეტრისტისა თუ პოეტის კლასობრივი მდგომარეობა და სოციალური ფსიქოლოგია, მისი ხალხთან დამოკიდებულება და შემოქმედებითი ფილოსოფია, მისი სტილი, სკოლა, მეთოდი, იდეური სამყარო, მხატვრულ ინტერესთა სფერო, ამ სპეციფიკურ მოვლენებთან არის დაკავშირებული ხალხურ ნაწარმოებებთან დამოკიდებულების საკითხიც: ფოლკლორული ტექსტის იდეური შინაარსის ცვლა, ეპიზოდების გადასმა, გმირთა ფსიქოლოგიაში ცვლილებათა შეტანა, ახალი მოტივების ჩართვა, სუბიექტურ აღნაგობაში ოპერაციების ჩატარება და ა. შ.

ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული ლერმონტოვის შე-

*) М. Горький, „О литературе", მე-3 გამოცემა, მოსკოვი, 1937 წ., გვ. 450.

მოქმედებითი დამოკიდებულება ხალხის მიერ შექმნილი პოეზიის სხვადასხვა ჟანრებთან.

მ. ი. ლერმონტოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი, მისი შემოქმედების სოციალური და ესთეტიკური შემეცნებითი ღირებულება მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული მისი, როგორც შემოქმედის, ხალხურობასთან.

II

მ. ი. ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება დიდ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს ჩვენი ხალხი უღრმესი პატივისცემით ეპყრობა კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდნენ და ამით უდიდესი ვანძი შეჰქონდათ კაცობრიობის კულტურის განვითარების საქმეში. ამხ. ვ. მ. მოლოტოვი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისადმი მიძღვნილ თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს არამარტო ნაციონალური კულტურების აღმავლობა, არამედ აგრეთვე ამ კულტურების ერთმანეთთან დაახლოებაც. „ყოველივე ეს მოწმობს ჩვენი სოციალისტური კულტურისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივ აყვავებას.

„ამასვე მოწმობენ აგრეთვე ის ფაქტები, — ამბობდა ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი, — რომ ისეთ დიდ ადამიანთა იუბილეების საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, როგორიც არიან რუსი პოეტი პუშკინი და უკრაინელი პოეტი შევჩენკო, უერთდებიან ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა ნაციონალური პოეზიებისა და ლეგენდარული გმირების განთქმული სახელები. ამიტომ გენიალური ქმნილებანი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისა და სომხური ეპოსის სახალხო გმირის დავით სასუნელის შესახებ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად იქცევიან და უდიდესი სიმპატიებით სარგებლობენ ყველა კულტურულ საბჭოთა ადამიანებს შორის“.*)

ჩვენი სამშობლო დიდად აფასებს წარსულის კულტურულ მიღწევებს და გვირგვინით ჰგვისავს ლიტერატურის ალამდარებს, მათ შორის მ. ი. ლერმონტოვის პოეზიას, რომელმაც ორიგინალურად აითვისა არამარტო რუსული, არამედ ამიერკავკასიის ხალხთა

*) ვ. მოლოტოვი — „ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავი“, გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ. 11 ნოემბერი, № 259.

ფოლკლორული ტრადიციაც. ჩვენი ხალხი სიყვარულისა და წმინდა გრძნობის გვირგვინს უწნავს ადამიანებს, რომლებიც დაუნდობლად ებრძოდნენ თვითმპყრობელობას, ადამიანის მორალურ დამცირებას, ბატონყმობას და ისწრაფვოდნენ ხალხის პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლებისათვის, სამართლიანი ურთიერთობისა და ჭეშმარიტების დამკვიდრებისათვის.

„ხალხთა კულტურის ყველა მიღწევა, რაოდენ შორეულ წარსულსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, — ამბობს ვ. მ. მოლოტოვი, — დიდად ფასდება სოციალისტურ სახელმწიფოში და აღორძინებული, მთელი თავისი ნამდვილი იდეური ბრწყინვალებით ევლინება ახლა საკუთარ ხალხს და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებს. ბოლშევიკები არ ეკუთვნიან იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც არ ახსოვთ ნათესაობა თავის ხალხთან. ჩვენ, ბოლშევიკები, გამოვედით ხალხის წიაღიდან, ვაფასებთ და გვიყვარს ჩვენი ხალხის, ისე როგორც ყველა სხვა ხალხის, ისტორიის სახელოვანი საქმეები“.*)

ლერმონტოვის მხატვრულ ნაწარმოებებში დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ბ. ბელინსკიმ საოცრად ღრმა პოეტური გენია განსჭვრიტა, როცა აღნიშნა, რომ „უკვე შორს არაა ის დრო, როცა ლიტერატურაში მისი სახელი ხალხურ სახელად გადაიქცევაო“. აბსოლუტურად გამართლდა ბელინსკის წინასწარმეტყველება. მისი სახელი მთელი საბჭოთა ხალხის უღრმესი, სათუთი და მაღალი სიყვარულით არის გარემოცული.

ლერმონტოვის შემოქმედება XIX საუკუნის 30-იან წლებში გაიფურჩქნა. ეს ის დრო იყო, როცა მძვინვარებდა საშინელი პოლიტიკური რეაქცია და ნიკოლოზ პირველი სასტიკად უსწორდებოდა თავისუფლების ყოველგვარ გამოსხივებას. ლერმონტოვის გამოსვლა პოეტური მოღვაწეობის ასპარეზზე დაემთხვა იმ მომენტს, როცა დეკაბრისტებმა სახელოვნად და ამაყად ააფრიალეს თავისუფლების დიადი დროშა, როცა მეფემ ნიკოლოზ პირველმა თავისი მეფობა დეკაბრისტების წინააღმდეგ საზიზღარი შურისძიებით აღნიშნა და იგი რევოლუციის მოლოდინით შეშინებული ახშობდა თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას, აძლიერებდა პოლიტიკურ ცენზურას მხატვრული ლიტერატურის მიმართ. ეს ის დრო იყო, როცა განათლების სულმდაბალი და დამფრთხალი მინისტრი ს. უვაროვი აცხადებდა: „მინდა, ბოლოსდაბოლოს რუსული

*) ვ. მოლოტოვი — „ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავი“. გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ. 11 ნოემბერი. № 259.

ლიტერატურა სრულიად მოისპოს... მაშინ მე მშვიდად დავიძინებ"-ო...

დიდი რუსი პოეტი ვერ ურიგდებოდა ნიკოლოზ პირველის სასტიკ, რეაქციულ რეჟიმს. მას სული ეხუთებოდა მძიმე პოლიტიკურ ატმოსფეროში, რადგან, ბელინსკის თქმის არ იყოს, ლერმონტოვს ჰქონდა „ღრმა და მძლავრი სული".

ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი ლერმონტოვი 1829 წ. ლექსში „მონოლოგი" საოცარი მელანქოლიით შეპყრობილი სწერდა:

И душно кажется на родине,
И сердце тяжко, и душа тоскует.

ამგვარ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში ლერმონტოვის დინტერესება ხალხის უბრალო ცხოვრებით, ზეპირსიტყვიერი პოეზიით საგსებით გასაგებია.

III

დიდი რუსი პოეტი მ. ი. ლერმონტოვი მგზნებარე მომღერალი იყო თავისუფლებისა, სამართლიანი ცხოვრებისა. პოლიტიკური და სოციალურ-ესთეტიკური თვალსაზრისით საინტერესოა ლერმონტოვის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილებათაგანი — „ფიქრი". ამ ლექსში პოეტი ჯულისტკივილითა და მწარე განწყობილებით ლაპარაკობს თავისი დროის თაობის ირგვლივ.

მივიწყებული მწუხარ ბრბოის
ვატარებთ იერს,
და დავალთ ქვეყნად უხმაუროდ,
კვალდაუჩნეველად.
საკუთნეებს ვერ მივაწვდით
აზრს ნაყოფიერს
და ვერც გენიით გაბრწყინებულ
შრომის სუფევას.

მაგრამ ამ სტროფებს მეორე, უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. ეს სტრიქონები ამავე დროს ოცნებაა სხვა, მომავალი, მტკიცე და გაბედული რწმენის თაობაზე. ეს თაობა, პოეტის მოსაზრებით, მთელს მსოფლიოს აღავსებდა ბრძოლისა და მძლავრი შემოქმედების ხმაურით, ყიჟინით, ნაყოფიერი, მაძიებელი აზრით გაანაყოფიერებდა საუკუნეებს, მთელ სამყაროს გადასცემდა გენიოსი პოეტის დაწყებულ კეთილ საქმეს. უნდა ითქვას, რომ ამ თაობის მოსვლა ლერ-

მონტოვს ღრმად სწამდა. ამიტომ არ ეკარგებოდა ლერმონტოვს ბრწყინვალე მომავლის იმედი, უკეთესი მერმისის რწმენა. ლერმონტოვისაგან სწავლობდნენ ამ ძვირფასი იდეების ხორცშესხმას ნეკრასოვი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი და სხვები.

ლერმონტოვის შემოქმედება ჩვენთვის ახლობელია იმითაც, რომ მისი პოეტური ქმნილებანი ამჟამად დიდ ისტორიულ-შეცნებითს ღირებულებას ინარჩუნებენ. მისი პოეტური ქმნილებების მთავარი მხატვრული სახეა ძლიერი ნებისყოფის, ამაყი, ქედუხრელი და უშიშარი ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს მონობას, უსამართლობას, ჩაგრულ მდგომარეობას.

შემოქმედის მიერ გამოქანდაკებული პოეტური სახეები კვლავ ცოცხლობენ, გეხიბლავენ და შთაგონებენ უდიდეს ძალას ინარჩუნებენ.

პოემაში „მწირი" ასეთი სტრიქონები გვხვდება:

მე ერთი ფიქრი არ მასვენებდა —
ეს იყო ჩემი ალერსი ვნება,
ის მიტაცებდა უფრო ოცნებით,
ვიდრე სენაკი და ყრუ ლოცვები,
და მიმიწევდა იმ ქვეყანაში,
სად ბრძოლა იყო, ხან კი განგაში,
სად კლდეა ღრუბლის გულზე ნარწევი,
ხალხიც ლალია, როგორც არწივი.

ეს არის დაუდეგარი ვნებისა და ქარიშხლიანი სულის ადამიანი, რომელიც ვერ შეურიგდება მონობას, შებოჭვას, სულიერ სიმშვიდესა და მორალურ დაშცირებას.

ლერმონტოვის ლექსი მოწოდების ზარივით ჰქუხდა:

მომეცით ჩქარა თავისუფლება,
ბედნიერებას მე სხვას არ ვეღი!

ლერმონტოვის პოეზიის ასეთი რევოლუციური ბუნება, მისი განახლებისაკენ მომწოდებელი ჰიმნები იყო მიზეზი გერცენის ჭეშმარიტად სწორი განცხადებისა: „ლერმონტოვი ეკუთვნის ჩვენს თაობას". რევოლუციონერ-დემოკრატმა გერცენმა ძლიერ ღრმად შეიცნო ლერმონტოვის პოეზიის დემოკრატიულ-პროგრესიული სულისკვეთება და არსი.

გამოჩენილი რუსი პოეტის ლერმონტოვის ნიჭის ბრწყინვალება დიდი სიღრმით შენიშნა ბ. ბელინსკიმ. ეს უკანასკნელი სტანკევი-

ჩისადმი გაგზავნილ ბარათში აღნიშნავდა: „რუსეთში გამოჩნდა პირველი ყოვლისშემძლე ნიჭიო". გენიალურად შეაფასა ლერმონტოვის პოეტური ქნარის მომაჯადოებელი ძალა დობროლუბოვმა, სთქვა რა ლერმონტოვის შესახებ: „ლერმონტოვი არის რუსული პოეზიის ბრწყინვალე ვარსკვლავიო". ლერმონტოვის გმირები გვხიბლავენ და გვაჯადოებენ რუსული, თვითმყოფური ძალით. ეს გმირები მიწის ავ-კარგით, სინამდვილის განცდით ცოცხლობენ.

ლერმონტოვი, გადმოდის რა კავკასიაში, იმსჭვალება ქართველი ხალხის სიყვარულით. ლერმონტოვის ლექსები, მგზნებარე ცეცხლოვანი სტროფები იტაცებდა ახალგაზრდა ქართველს „დაუცხრომლობისა და ბრძოლის საუცხოო სამყაროსაკენ". გაზ. „პრავდა" აღნიშნავს, რომ „ვეფხვთან რწირის შებმის განთქმული სურათი შთაგონებულია ქართველი ხალხის გენიალური პოემით, შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილებით. ლერმონტოვი ღრმად განიმსჭვალა ქართველი ხალხის სულისკვეთებით, მისი მისწრაფებით თავისუფლებისადმი".

თბილისში ლერმონტოვი რამდენიმე დღე დარჩა. აქ მან შეადგინა დიდძალი ჩანაწერები, იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით. ლერმონტოვს აქვს ჩანახატები: დარიალის ხეობის, არაგვის, წელეტეხილის. ლერმონტოვმა ნახა ფასანაური, აქ გაათია ღამე. ლერმონტოვმა ღამე გაატარა იმ სახლში, სადაც ბინადრობდნენ ვაგლით გრიბოედოვი, პუშკინი და 30-იან წლებში დეკაბრისტი როზენი. მიღებული შთაბეჭდილებანი უხვად გადაშალა რომანში „ჩვენი დროის გმირი".

კავკასიაში გამოდევნის დროს ლერმონტოვმა იმუშავა თავის ნაწარმოებებზე: „დემონი", „მწირი". აქ დასწერა „ბოროდინო", „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოზე".

ლერმონტოვი თავის პოეზიაში, პროზაში, დრამებში შეეხო პრობლემებს, რაც აღელვებდა მისი ეპოქის პროგრესიულ მასას. ლერმონტოვ-ს პოეტური სიტყვის ძალის მომჯადოებლობაზე არაერთხელ შეჩერებულა მაქსიმ გორკი.

IV

ლერმონტოვი ფართოდ იყენებდა ხალხური პოეზიის სხვადასხვა ჟანრებს: სიმღერებს, ლექსებს, ზღაპრებს, გადმოცემებს, თქმულებებს, რომლებიც მისთვის პოეტური შთაგონების უმდიდრეს წყაროს წარმოადგენდა. იგი შემოქმედებითად იყო დაკავშირებული ზეპირსიტყვიერ წყაროსთან.

„ლერმონტოვი, — აღნიშნავს გაზ. „პრავდა", — დიდი რუსი სახალხო პოეტია. მისი ნაწარმოებნი დასაბამს რუსულ ხალხურ შემოქმედებაში იღებენ. მან იცოდა რუსული სიმღერები, თქმულებანი, საგმირო ამბები, ყოყვარდა ისინი; მან თავისი ხალხისაგან შეითვისა სიტყვის სიცხადე, ძალა, სიმარტივე და სილამაზე, რუსული პოეტური მეტყველების სიმდიდრე და გამომსახველობა. თავის მხრივ, ძან გაამდიდრა ეს მეტყველება, ახალი ძალა შეჰმატა მ ს თავისი რკინისებური ლექსით, თავისი შესანიშნავი პროზით". *)

მართლაც, ლერმონტოვი ჩვენ გვევლინება ხალხური შემოქმედების დიდ მცოდნედ. ლერმონტოვის პროზისა და ლექსების, პოემებისა და დრამების შინაარსობრივი, არქიტექტონული და პოეტიკური ანალიზი აშკარად ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ლერმონტოვი ხარბად დაეწაფა ხალხური შემოქმედების როგორც სუჟეტებს, ისე ცალკე მოტივებს, სახეებს, გააზრების ფორმებს, სინტაქსს, ლექსიკას, რომლებიც ამშვენებენ რუსულ უმდიდრეს ხალხურ ეპოკალურ ეპოსს, ლეგენდებს, ზღაპრებსა და ისტორიულ-საგმირო ლექსებსა და სიმღერებს.

ხალხური შემოქმედების ამ დაინტერესებას, რა თქმა უნდა, ჰქონდა მიზეზი და მომწიფებული ნიადაგი ეროვნულ გარემოში.

როგორც ცნობილია, ლერმონტოვი 13 წლამდე თავის უზრუნველ ბავშვობას ატარებდა ტარხანში, მეშამურეთა წრეში. აქ ლერმონტოვი გაეცნო სიმღერებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ხალხის საყოფაცხოვრებო პირობებთან, ჭორწინებასა და სამგლოვიარო-დამარხვის წესებთან, ზნე-ჩვეულებასთან. დღესასწაულების დროს სოფლად მიდიოდნენ ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებელნი. ისინი ეზოებში ცეკვავდნენ, მღეროდნენ, თამაშობდნენ. მომავალი პოეტი ამ სახალხო გართობაში ცოცხალ მონაწილეობას ღებულობდა. შემდეგ იგი გარბოდა ბებიასთან და ბიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

ლერმონტოვის ბავშვობა წყარო იყო ძლიერი შთაბეჭდილებების მიღებისა, რაც შემდეგ თავისებურად ცნაურდება პოეტის შემოქმედებაში.

იგი ბავშვობის წლებში, სოფლად გლეხების ბავშვებთან ერთად დარბოდა მინდორ-ველად, ტყეში და აქ ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას, ხალხურ სიმღერებსა და ლექსებს. ლერმონტოვი შეკრებდა

*) გაზ. „პრავდა", 1939 წ. 14 ოქტომბრის მოწინავე.

ბოლმე კბილა ბიჭებს და მათთან ერთად აწყობდა „ყაჩაღობიას“ ინსცენირებას. *)

ეს თამაში იყო ალბად შორეული გამოძახილი იმ გადმოცემებისა, რომლებიც შეეხებოდნენ ყაჩაღთა მღელვარე და გმირული ცხოვრებას. ყაჩაღურ სიმღერებს იმჟამად ერთელს რუსეთში, მის ყოველ კუთხეში მღეროდნენ და სცენურადაც ანსახიერებდნენ ხოლმე. ამ სერიოზულმა მომენტმა ლერმონტოვის პოეტურ მოღვაწეობაში სათანადო კვალი დასტოვა.

ლერმონტოვი უკვე ცამეტი წლისაა, როცა იგი მიემგზავრება მოსკოვს, რომ მოემზადოს უნივერსიტეტის პანსიონში შესასვლელად. ამ დროს მის სულში, ცხადია, იყო ჩაბეჭდილი, შესაძლოა, ინსტიქტური, შეუგნებელი სიყვარული ხალხური ნაწარმოებებისადმი. **)

მოსკოვში მ. ი. ლერმონტოვი გაეცნო სტოლიპინების საშინაო მასწავლებელს სემინარიელ ორლოვს. ლერმონტოვი და ორლოვი დამეგობრდნენ, ხშირად ერთად საუბრობდნენ. ლერმონტოვი სულ სემინარიელთან იყო არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ავარჯიშებდა მომავალ პოეტს ორთოგრაფიასა თუ სწორწერის კანონებში, არამედ უფრო იმიტომ, რომ ორლოვმა მშვენივრად იცოდა ძველი რუსული გადმოცემები და ხალხური სასიმღერო რეპერტუარი. ორლოვი აცნობდა თანამოსაუბრეს ხალხური სიტყვიერების ძეგლებს, საუკეთესო ნიმუშებს.

ხშირად ეწვეოდა ხოლმე ლერმონტოვი მოხასტრებსა და საბალხო შეკრებულობათა სახლებს, სადაც ისმენდა მათხოვრებისაგან, ბრმა მუსიკოსებისაგან ხალხურ სიმღერებს, უსმენდა ინსტრუმენტებზე შესრულებას. ლერმონტოვი, ბუნებრივია, ამ პირობებში უშუალოდ ეცნობა ხალხურ სიმღერებს, იმსჭვალება მათი სიყვარულით, ეცნობა უბრალო ხალხის ცხოვრებას, რომელიც სიმღერა-გართობის გარეშე უაზროდ იყო წარმოდგენილი. ასე თანდათან იმსჭვალება მომავალში დიდი პოეტი ხალხური პოეზიისადმი სიყვარულით. თანდათანობით ლერმონტოვის შეგნებაში მწიფდება ხალხური ქმნილებებისადმი შეგნებული, ორგანული სიყვარული და თავდავიწყებითი გატაცება.

ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა ლერმონტოვის ერთი ჩანა-

*) დაწვრილებით იხ. П. Висковатый — „Михаил Юрьевич Лермонтов. Жизнь и творчество“, М 1891 г.

**) უფრო ვრცლად იხ. „Венок Михаилу Юрьевичу Лермонтову“. Москва. 1914 г.

წერი, რომელიც მისი ჰაბუკობის წლებს უნდა მიეკუთვნოს. ამ ჩანაწერში აშკარად სჩანს, თუ რაოდენ დიდი ინტერესით იყო გამსჭვალული ლერმონტოვი რუსული მდიდარი ზეპირსიტყვიერებისადმი. პოეტს ღრმად სწამდა, რომ ფოლკლორი წყაროა ინდივიდუალური ლიტერატურული ცხოვრების გადახალისებისათვის. ეს აზრი ჩვენთვის პრინციპული ხასიათისაა. იგი გულდაწყვეტილია იმით, რომ თავისი აღზრდის პირობების გამო პოეტმა ვერ მიიღო რუსული აღზრდა.

„ჩვენი ლიტერატურა ისე ღარიბია, რომ რაიცერი არ შემიძლია ვისესხო იქედან. თუთხმეტი წლის ბავშვის ცკუა ისე ჩქარა ვერ ღებულობს წთაბეჭდილებებს, როგორც ბავშვობის დროს, მაგრამ მე მაშინ თითქმის არაფერს არ ვკითხულობდი. ერთი კია, თუ მომინდება შევიჭრა ხალხურ პოეზიაში, ცხადია, არსად მას ძებნას არ დავუწყებ, გარდა რუსული სიმღერებისა. როგორ მწყინს, რომ მე გადიად მყავდა გერმანელი ქალი და არა რუსი. მე არ მომისმენია ხალხური ზღაპრები, მაგრამ უეჭველია, მასში მეტი პოეზიაა, ვიდრე მთელს ფრანგულ სიტყვიერებაში". *)

ლერმონტოვის თხზულებათა IV ტომში არის მონასახი ნაწარმოებისა. იგი განეკუთვნება 1831 წელს. მასში ასეთი ფრაზაა: „მთავარ ვლადიმირის სასახლეში მიდის ერთი ახალგაზრდა რაინდი". ზედმიტია ლაპარაკი იმაზე, რომ აქ საქმე გვაქვს ლერმონტოვის ნაცნობობასთან წიგნური წარმოშობის ფანტასტიკური ზღაპრის შინაარსთან. შედარებით უფრო გვიანდელი ჩანაწერია ლერმონტოვის წიგნაკისა, სადაც ავტორი იგონებს რუსული ეპოსის (ბილინების) ცნობილ გმირს ერუსლან ლაზარევიჩს. **)

ერუსლ ნ ლაზარევიჩი რუსული ბილინური ეპოსის საყელგანთქმული გმირია. ერუსლან ლაზარევიჩის ბილინას, როგორც აკადემ. მილერი ფიქრობს, გავლენა მოახდინა პილინის მხატვრულ გაფორმებაზე, რომელიც შეეხება ილია მურომელის ფანტასტიკურ თავგადასავალს. ***)

... ერუსლან ლაზარევიჩი მიდის ინდოეთის სამეფო გზაზე. მას ხვდება ორი ქალიშვილი, რომლებსაც ეკითხება: — ქალიშვილებო, თქვენზე უფრო ლამაზი და ჩემზე, ერუსლანზე უფრო ვაჟკაცი არის

*) „Сочинения", т. V, стр. 350-351.

**) იქვე, გვ. 352. იხ. М. Астахова — „Былины севера", Москва-Ленинград, 1938 г.

***) Академик Вс. Миллер — „Очерки русской народной словесности" I—XVI, Москва, 1897 г.

თუ არა ვინმე ამ ქვეყანაზე? უფროსი და პასუხობს: უფრო ლამაზია ინდოეთის მეფის ასული და უფრო ძლიერი ვაჟკაცია იმავე მეფის დარაჯი ივაშკა. ერუსლანი ჰკლავს ამ უფროს დას და იმავე კითხვებით მიმართავს უმცროს დას. უმცროსი და პასუხობს: ჩემზე უფრო ლამაზია ინდოეთის მეფის ასული, ხოლო ლაზარევიჩზე უფრო ძლიერი ამ ქვეყნად არავინაა. ამ პასუხისათვის ერუსლანი უვნებლად სტოვებს უმცროს დას და თვითონ მიემგზავრება ინდოეთის მეფის სამყოფში. დიდი ვაჟკაცური ბრძოლებით ართავისუფლებს გველეშაპისაგან ლამაზ ასულს და ცოლად იროთავს მას.

ამ თქმულების ბრაგალი ვარიანტი არ ებობდა რუსულ ხალხურ ეპოსში. *) ამ თქმულებათა ვარიანტთაგანი ცნობილი იქნებოდა ცნობისმოყვარე ლერმონტოვისათვის. ამ გზით მოხვდებოდა პოეტის უბის წიგნაკში მოგონება ერუსლან ლაზარევიჩის შესახებ. ეს ვარაუდი საკმაოდ სანდოა ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის.

ლერმონტოვის განცხადება იმის შესახებ, რომ მე არაფერი შემიძლია ვისესხო მშობლიური ლიტერატურიდანო, არაა მთლიანად მართალი. მან ისესხა ზოგიერთი რამ პუშკინისაგან, უფრო მეტი ხალხური პოეზიის ვრცელი რეპერტუარისაგან, რაშიც მკაფიოდ ქვემოთ დავრწმუნდებით. ლერმონტოვის ქნარი დავალებულია კავკასიური სიუჟეტებისაგან, მსოფლიო კლასიკოსებისაგან (შატობრიანი, ჰიუგო, ბარბიე, ვინი, ჰ. ჰაინე, მიცკევიჩი, შექსპირი, გოეთე, შილერი და სხვ.).

ლერმონტოვის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების გასაგებად საჭიროა მივმართოთ ზოგიერთ ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევა-ძიებას. იგი ნათელს მოჰფენს მთელ რიგ არსებით საკითხებს ამ სფეროში.

მ. ი. ლერმონტოვის სამწერლო მოღვაწეობის პერიოდისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო ა. ს. პუშკინის ნაწარმოებნი: „საქმრო“ (1828 წ.), „დამხრჩვალი“ (1829 წ.). საინტერესოა აღნიშნულ იქნას ერთი ფაქტიც: პუშკინის ლექსი „საქმრო“ ატარებდა ქვესათაურს: „უბრალო-ხალხური ზღაპარი“, ხოლო „დამხრჩვალი“—ატარებდა ქვესათაურს — „უბრალო-ხალხური სიმღერა“. **)

პუშკინს აგრეთვე გამოქვეყნებული ჰქონდა „ზამთრის გზა“. მერზლიაკოვი და დელვიგი უკვე პოპულარული პოეზები იყვნენ, რომ-

*) იხ. М. Астахова—„Былины севера“, 1938 г. აქ ლაპარაკია ვარიანტების ირგვლივ. გ. ხ.

**) იხ. Н. Синявский и М. Цявловский — „Пушкин в печати“. стр. 44, 61.

ლებიც სცემდნენ ფსევდო-ხალხური სიმღერებისა და რომანსების კრებულებს. მათ მწერალთა შორის მიმბაძველნიც ჰყავდათ. კიდევ მეტი. 1818 წელს მეორედ იქნა გამოცემული ცნობილი კრებული კირშა დანილოვისა: „ძველი რუსული ლექსები" („Древние российские стихотворения, собранные Киршею Даниловым"), რომელიც მოიცავდა როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ ხალხურ ძეგლებს. *) კირშა დანილოვის მიერ შეკრებილმა და გამოცემულმა კრებულმა გააათკეცა სიყვარული და ინტერესი ხალხური ზეპირი პოეზიისადმი. რა თქმა უნდა, იგი უცნობი არ იქნებოდა მ. ი. ლერმონტოვისათვის.

ამ ეპოქაში უდიდესი ძალით გაიშალა ფოლკლორისა და ფოლკლორთმცოდნეობის სფეროებში შემკრებლობითი და კვლევით-მეცნიერული მუშაობა.

აი ზოგიერთი ცნობებიც. **)

ლერმონტოვის მოღვაწეობის დროს ქვეყნდება ცერტელევის „Василий Новгородский (1820 წ.). ავტორის განმარტებით, ეს არის „მოთხრობა ძველი რუსული ლექსების მაგვარი". იბეჭდება აგრეთვე კატენინის „Старая быль" (1828 წ.) და მთავარ ვლადიმირის დროინდელი ამბავი ბოროვიკოვსკისა „Пир Владимира Великого". მეზღაპრენი დიდი ენერგიით აწარმოებენ ხალხური ზღაპრების გადაკეთებას და ახლოვდება მომენტი ა. ს. პუშკინის ცნობილი „ზღაპრების" გამოქვეყნებისა.

როგორც ნ. მენდელსონი აღნიშნავს, ამის პარალელურად ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას აწარმოებენ მეცნიერები თუ პუბლიცისტები. ისინი წერილებით გამოდიან პრესაში და აღვივებენ სიყვარულის გრძნობას ზეპირსიტყვიერებისადმი.

ხალხური პოეზიისადმი სიყვარულს ათმაგად აძლიერებს ნ. პოლევოის წერილი, რომელიც მოთავსებულ იქნა 1825 წელს „მოსკოვის ტელეგრაფის" ფურცლებზე. ამ სტატიაში პოლევოი შემდეგ აზრს ანვითარებს: „თუ გვინდა აღვმართოთ საკუთარი ხალხური პოეზიის შენობა, ჩვენ აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ ყოველივეს, რაც პოეტურია ჩვენი წინაპრების ყოფაში: ისტორია გვანახვებს ჩვენ მათს საქმეებს, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერების ნაწარმოებებს შეუძლიათ გვაჩვენონ მათი მოსაზრებანი, აზრთა სახეები და ყოველივე, რითაც იყო გავარჯიშებული მათი წარმოსახვა".

*) ეს კრებული უკანასკნელად გამოვიდა მოსკოვში 1938 წელს, ნ. შამბინაგოს რედაქციით.

**) ვემყარები ნ. მენდელსონის ცნობებს წერილში — „Народные мотивы в поэзии Лермонтова", კრებ. „Венок Лермонтову", 1914 г. Москва.

რამდენიმე წლის შემდეგ „მოსკოვის უწყებაში“ ქვეყნდება შუბერევის საინტერესო წერილი, ამავე საკითხისადმი მიძღვნილი.

რა თქმა უნდა, ამ მოწოდებათა საპასუხოდ სისტემატურად ქვეყნდებოდა ნამდვილი, დაუმახინჯებელი ორიგინალები ხალხური შემოქმედებისა, განსაკუთრებით კი ლეგენდები, სიმღერები, ზღაპრები, ისტორიული სიმღერები და გადმოცემანი.

ლერმონტოვის სიყვარულს კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევდა რუსეთის სიძველეთა და ხალხური პოეზიის მოტრფიალე ადამიანთა მეცნიერული და საჟურნალო პუბლიცისტური წერილები ხალხური პოეზიის ისეთი თავგამოდებული მოამაგეებისა, როგორიც იყვნენ მერზლიაკოვი, სნეგირევი, ნადეჟდინი, პოგოდინი, ჯაჩენოვსკი და სხვები.*)

ცხადია, ლერმონტოვის ფაქიზ პოეტურ ნატურაზე ფოლკლორისტიკაში წარმოებული მთელი ეს მუშაობა და მისი შედეგი უდიდეს გავლენას მოახდენდა ლერმონტოვის პოეტურ წარმოსახვაზე, ორიგინალური მხატვრული სახეების ჩამოყალიბებაზე. განსაკუთრებით დადებითი როლი ითამაშა ხალხის უმდიდრესმა პოეტურმა საუნჯეებმა.

V

ხალხური პოეზიის კვალი აშკარადაა შესამჩნევი მოსკოვის პერიოდის ორ ნაწარმოებში: „დამნაშავე“ (1829 წ.) და „ატამანი“ (1831 წ.). პირველ ლექსში ლიტერატურული გავლენის ნიშნებიც არის (პუშკინის „ძმები-ყაჩაღებისა“ და შილერის „დონ-კარლოსისა“).**)

„ატამანში“ გამოძახილია ძველი სიმღერებისა სტეფანე რაზინზე და მის შეყვარებულ ქალზე“.***) ამ ლექსის პოეტიკა ხალხურია. ასე, მაგალითად, გამოთქმები: „პატიოსანი ატამანი“, „კეთილი ახალგაზრდა“, „ფართო ვოლგა“,—ანარეკლია ხალხური ლირიკული ეპოსისა.

გაცილებით მჭიდრო ურთიერთობაშია ხალხურ პოეზიასთან ლერმონტოვის მოთხრობა „ვადიმი“ (1832 წ.). ყაჩაღური პოეზი-

*) იხ. დამატებით Ю. М. Соколов — „Русский фольклор“. Москва. 1938 г.

**) ნ. მენდელსონი — "Народные мотивы в поэзии Лермонтова", М. 1914 г.

***) А. П. Лозанова — „Народные песни о Стенке Разине“, 1928 г., „Степан Разин на Волге“, 1937 г.

ისათვის დამახასიათებელი შტრიხები აღვილი საკარაუდოა ამ მოთხრობაში, რომელიც აღებულია პუგაჩევშჩინის ქარიშხლიანი ეპოქიდან. ვადიმის სასიყვარულო სცენებში მოცემულია ცოცხალი ხალხური რიტუალი, სატრფიალო ლირიკის ბუნება, მისი მოტივები. აქ გმირები საუბრობენ კოლორიტული ხალხური მეტყველებით. პოეტი მშვენივრად იცნობს ხალხური საუბრის, აზრების დალაგების და გადმოცემის ბუნებას. დამახასიათებელ ფაქტად ისიც გამოდგება, რომ აღვნიშნოთ ვადიმის შეხვედრა მათხოვარ ქალთან. მოხუცი ქალის საუბარი ჩვენ გვგონებს სიმღერათა ტექსტებს, რომლებშიც ცოლი ასეთივენაირი სურვილებით მიმართავს ქმარს, ან დედამთილს. სასიმღერო ლირიკის ასეთი ოსტატური გამოყენება ხშირად გვხვდება ლერმონტოვის პოეზიაში.

„ვადიმის" 24 ე თავში მოთხრობილია, თუ როგორ დამალა მხედარმა ქალმა იური იატაკქვეშ, რათა იგი კაზაკთაგან გადაერჩინა. ვადიმი გრძნობს, რომ მისი მსხვერპლი აქ არის დამალული. სახლის პატრონი მიმართავს ცეცხლით გამოცდას. ცეცხლით გამოცდა ხალხური პოეზიის დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებაში ღებულობს სათავეს. ცეცხლით გამოცდის ამგვარი სცენები ძლიერ ხშირად გვხვდება ყაჩაღურ სიმღერებში.

ცეცხლით გამოცდა მკაფიოდ არის მოცემული ყაჩაღურ სიმღერაში „Беззаботно бросив повода и сложа руки". *)

კირშა დანილოვის ძველ რუსულ ხალხურ სიმღერათა კრებულში არის მოთხრობილი ამბავი სულელი შვილის შესახებ, რომელმაც ყაჩაღებს ასწავლა, თუ სად აქვთ მის მშობლებს ფული, ჭონება და სიმდიდრე შენახული. ავრეთვე „ვადიმში" გამოყვანილი სალდათი-ქალის შვილი, რომელიც მოისულელებს. ეს სახე ლერმონტოვს უკარნახა კირშა დანილოვის კრებულში მოთავსებულმა ანალოგიურმა ყაჩაღურმა მოტივმა.

„ვადიმის" მე-17 თავში ჩვენ გვხვდება ლირიკული ხალხური სიმღერა: „Воет ветер, светит месяц". ეს სიმღერა განეკუთვნება ხალხური ლირიკის იმ რკალს, რომელშიც წარმოდგენილია შეყვარებული ქალ-ვაჟის განშორება-ს სცენა. სიმღერებს ასრულებს ავრეთვე კაზაკი: „Беззаботно бросив повода и сложа руки". ყარიბი ყმაწვილი სცილდება საზოგადოებას, მაგრამ მას ამშვიდებს იმის აზრი, რომ ღმერთი მისცემს მშვენიერ ცოლს. ეს მომენტი ჩვენ

*) კირშა დანილოვის კრებული, გვ. 409, 413. მ. ჩულკოვის „თხზულებანი", 1913 წ.

ასოციაციურად წარმოგვისახავს ხალხურ პოეზიაში წარმოდგენილ მოტივს.

ყაჩაღური ხალხური სუჟეტები ლერმონტოვის სხვა ნაწარმოებებშიც გეხვდება. მამა ყაჩაღობს სოფლად, მისი ასული კი ყველაზე ბოროტი მკვლელია. ქალიშვილი მონაწილეობს მამის მიერ ჩადენილ ბოროტებაში. ქალი-ყაჩაღის სახე რუსულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებულია.*) ამგვარ ყაიდაზეა აგებული ლერმონტოვის ლექსი „სიმღერა“ (1830). ეს სიმღერა მთლიანად ხალხურ განწყობილებასა და პოეტიკას ემყარება. სჩანს, ლერმონტოვი არა თუ მხოლოდ კარგად იცნობდა ხალხურ პოეზიას, არამედ მისი შეუნიერი ამთვისებელი და გამომყენებელიც იყო.

აი, მაგალითად:

„Что в поле за пыль пылит,
Что за пыль пылит, столбом валит?..
Злы татаровья полон делят:
То полу, то сему — по добру коню.
... Как услышана моя доченька,
Закидался, заметалася:
„Ты родная моя матушка!
Ах, ты что давно не сказалася?
Ты возьми мои золоты ключи,
Отпирай мои кованы ларцы
И бери казни, сколько надобно“.

„სიმღერის“ შემდეგ ლერმონტოვი აქვეყნებს „რუსულ ბალადას“, „რუსულ სიმღერას“ (1830 წ.), რომლებიც ხალხურ სალექსო ზომასა და რიტმს ეყარება. „რუსული სიმღერა“ ხალხური ბალადის თავისებური ვარიაციაა.

ლერმონტოვი თავის დრამაში „მსტისლავი“ დაინტერესებულია აკვნის სიმღერებით.

ნაწარმოების გეგმაში ლერმონტოვს ასეთი ჩანაწერები აქვს: „მსტისლავი გაიელის სოფლის მახლობლად. ერთი ქალი მღერის, აქანავებს რა თავის პირმშოს („Что за пыль... Злы татаровья“). იგი მხიარულია იმით, რომ ეს სიმღერა შთააგონებს ბავშვს თაობებისადმი სიძულვილს“... „მოთავსდეს სიმღერა ნაღვლიან სიყვარულზე“, ან: „Что за пыль пылит“... „ოლგა ახალგაზრდაა, ქალწული. ანველოსი, მისი სიმღერაა: „Что за пыль пылит“...**)

*) იხ. მ. ჩულკოვი — „Сочинения“, ტ. I. 1913 წ. გვ. 694.

**) შეადარე: მ. ჩულკოვი — „Сборник русских песен“, ტ. IV. გვ. 353-354.

ამ სუჟეტის სიმღერები ძლიერ გავრცელებული იყო და ლერმონტოვის „მსტისლავის“ გეგმაში ისინი შევიდოდნენ, რა თქმა უნდა, როგორც ნამდვილი ხალხური ორიგინალები. ლერმონტოვს შეეძლო ეს სიმღერები გაეგონა როგორც შემსრულებელთაგან უშუალოდ, ისე ამოეღო ხალხური კრებულებიდან. არც ერთი ეს ვარაუდი გამორიცხული არ არის.

VI

კავკასიის ხალხთა ფოლკლორისადმი ინტერესი მკაფიოდ სჩანს ლერმონტოვის ადრინდელი პერიოდის ზოგიერთ ნაწარმოებში („იზმაილ-ბეი“, „ჰაჯი აბრეკი“ და სხვ.). ამ ნაწარმოებებში მ. ლერმონტოვი აღწერს მთიელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, ხალხურ სიმღერათა მოტივებს.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ლერმონტოვის ზღაპარი „აშუღ-ყარიბი“. აშუღ-ყარიბის ბედმა რაღაცნაირად საოცარი ძალით მოხიბლა ლერმონტოვის პოეტური ფანტაზია.

ზღაპარი „აშუღ-ყარიბი“ ფრიად გავრცელებულია კავკასიის ხალხებში. მას იცნობენ ახლო აღმოსავლეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში. ამ ზღაპრის ყაბარდოული ვარიანტიც არსებობს.*) ეს ზღაპარი, ი. ენიკოლოპოვის აზრით, პოპულარული ყოფილა თურქეთში, მას ხალხური მომღერლები მღეროდნენ რუმელსა და ანატოლიაში.

კავკასიაში, 1837 წელს, სამხედრო სამსახურში ყოფნისას, ლერმონტოვმა ბევრი რამ ნახა, გაიგონა და წაიკითხა. „აშუღ-ყარიბის“ ვარიანტები ფართოდ იყო ცნობილი შემახის რაიონებში, სადაც ლერმონტოვს მოუხდა ყოფნა. აქ შეეძლო ლერმონტოვს ამ ზღაპრის გაგონება. ლერმონტოვის ზღაპარი მთლიანად თხრობითია. მასში არ არის ლექსისა და პროზის მონაცვლეობა.

ეს ზღაპარი ლერმონტოვის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (იგი პირველად გამოქვეყნებულ იქნა 1846 წელს ლიტერატურულ ჟურნალში „გუშინ და დღეს“, წიგნი მეორე). ლერმონტოვმა ისარგებლა რა ზღაპრის პირველი წყაროთი, შემდეგ შეუდგა მის ლიტერატურულ დამუშავებას, მაგრამ ბოლომდე არ მიუყვანია იგი.

შთმღერლის პიროვნება, მისი ჰანგებისა და მელოდიის ძალა ხიბლავს ლერმონტოვს. ეს მშვენივრად სჩანს ერთ ფაქტშიც: მე-

*) დაწვრილებით იხ. И. К. Биколопов — „К сказке „Ашик-Кериб“ Лермонтова“, Тбилиси, 1941 г.

ბრძოლი მსტისლავი კვდება რა, ითხოვს, რომ მის საფლავზე დაასონ ჯვარი და მისი საქმენი უამბობენ „ვინმე მომღერალს, რომ ამ სიმღერით ალუნთონ სულში შთამომავლებს სამშობლოსადმი სიყვარული".

ლერმონტოვი სიმღერისადმი კულტს ანვითარებს ზღაპარში „აშულ-ყარიბი". ზღაპრის მთავარი გმირებია წარმტაცი დამკვრელი აშულ-ყარიბი, ულამაზესი ასული მაგულ-მეგერი, ცბიერი კურშუდბეკი, ყარიბის დედა და მისი ლამაზი და.

ზღაპარი „აშულ-ყარიბი" *) ფანტასტიკურია. ავტორი ამ ზღაპრით ადიდებს მუსიკის ჯადოსნურ ძალას, ერთგულ სიყვარულს. მოქმედება სწარმოებს უმთავრესად ამიერკავკასიაში. ხშირადაა მოხსენიებული „თბილისი". ეს აღნიშნულია დასაწყისშივე: „დიდი ხნის წინათ ქალაქ თბილისში ცხოვრობდა ერთი მდიდარი თურჩი. დიდძალი ოქრო უპოვა მას ალაპში, მაგრამ ოქროზე ძვირფასი მამას ერთი ასული მაგულ-მეგერი ჰყავდა. მშვენიერია ცის ვარსკვლავები, მაგრამ ვარსკვლავებს მაღლა ცხოვრები ანგელოსნი მშვენებით სჭარბობენ ვარსკვლავებს. ასევე მაგულ-მეგერი ყველა თბილისელ ქალიშვილებში ულამაზესი იყო. თბილისში ცხოვრობდა აგრეთვე ღარიბი აშულ-ყარიბი. წინასწარმეტყველმა არ მისცა მას არაფერი, გარდა კეთილშობილური გულისა და სიმღერის ნიჭისა. უკრავდა რა თარზე და დიდებით ჰმოსავდა თურქესტანის ჯეველეს გმირებს, იგი მდიდართა და ბედნიერთა გასამხიარულებლად დადიოდა ქორწილებზე. ერთ-ერთი ქორწილის დროს მან დაინახა მაგულ-მეგერი და ორთაველ შეუყვარდათ ერთმანეთი".

ნაწარმოებში, როგორც ეს ფანტასტიკური ჟანრის ზღაპრისათვისაა დამახასიათებელი, ხდება მრავალი სასწაულებრივი მოქმედება, სიყვარულის განხორციელების გზაზე დაბრკოლებანი, ათასგვარი ფათერაკი, თაევგადასავალი, გარდაქმნები.

ზღაპარში განკიცხულია მოღალატე, ცბიერი და მატყუარა ყურშუდ-ბეკის მოქმედება. ზღაპარი ბედნიერებით მთავრდება. გაიმარჯვა ჯადოსანმა მომღერალმა. სიმართლე, სიკეთე და ჰატიოსნება გამარჯვებას ზეიმობენ.

უმთავრეს შემთხვევაში ზღაპარში გვხვდება აზერბაიჯანული, ირანული და თურქული ტერმინები. ეს სიტყვები სწორი ტრანსკრიპციითაა ნახმარი; ასეთი სიტყვებია: „ოღლან", „ნამაზ", „აღა",

*) მ. ი. ლერმონტოვი — „Собрание сочинения", პეტერბურგი, 1914 წ., გვ. 46-57., „Ашик-Кериб" (турецкая сказка)".

,,ანა'', ,,ქერქან'', ,,ჩაუშ'', ,,სელიამ-ალეიქუმ'', ,,ჩაპრა'' და სხვ. გეოგრაფიული სახელწოდებანიც სწორადაა ნახმარი.

ლერმონტოვმა თავის ზღაპარს ,,თურქული'' უწოდა. მართლაც აქ არის თურქული სიტყვები (,,ჩაუშ'', ,,შინდი'', ხოლო მნიშვნელოვანი უმრავლესობა ,,თურქული სიტყვების'', ნამდვილად აზერბაიჯანულია).

,,აშუღი'', ი. ენიკოლოპოვის განმარტებით, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს—შეყვარებულს, აღტაცებულს (არაბული სიტყვიდან: ეშყ—სიყვარული). გადატანითი აზრით ,,აშუღი'' ნიშნავს მოხეტიალე რაფსოდს, აედს, მუსიკოსს, იმპროვიზატორს, ავტორ-მთქმელს.

ზღაპარი ,,აშუღ-ყარიბი'' ქართულ ენაზე ჯერ კიდევ 1865 წელს თარგმნილ იქნა პედაგოგ კონსტ. კოლუბანსკის მიერ და ჟურნალ ,,ცისკარში'' დაიბეჭდა.

VII

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ლერმონტოვის გატაცება ყაჩაღური ხალხური სიმღერების მოტივებით პირობადებულია პოეტის წსოფლმხედველობრივი პრინციპების, კერძოდ, ესთეტიკური შეხედულებების თავისებურებით. ეს სიმღერები და გადმოცემები სულიერ საზრდოს აძლევდა სიტყვის ოსტატს, რომ მას თავის შემოქმედებაში ღრმად, ძლიერად, მჭერმეტყველურად წარმოედგინა თავისი ვნება, ქედუბრუნლობა და სიამაყე, სევდა და მტკიცე ნებისყოფა, რომლითაც ასე ძლიერ სუნთქავდა ყაჩაღური პოეზიის საყოველთაოდ გავრცელებული ტექსტები. ამ ნაწარმოებებს რუსეთის თვით მიკარდნილ კუთხეებშიც ასრულებდნენ ხოლმე.

მაგრამ ლერმონტოვის შემოქმედების პირველ პერიოდში ორგანიულად მაინც არ არის ათვისებული პოეზის მეტყველებაში ხალხური ნაწარმოების სახეები, ფორმები, ენა და არქიტექტონიკა.

ლერმონტოვმა ხალხური შემოქმედების ათვისებისა და ოსტატურად გამოყენების ნიმუშები მოგვცა შემდეგ პერიოდში, 1834-1837 წლებში, როცა პოეტმა მიატოვა გვარდიის პროპორჩიკების სკოლა და სერიოზულად დაფიქრდა კაცობრიობის უფლებებისა და ხალხურობის პრობლემებზე, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ბედის, მისი მომავლის შესახებ. ამ პერიოდში ლერმონტოვი საფუძვლიანად სწავლობს თავისი სამშობლოს წარსულს, ქვეყნის სიძველეებს, რომლებიც მხატვრულად იყვნენ ასახულნი ხალხურ სიმღერებში, სუეტებში და ფოლკლორული შემოქმედების სხვა

ძეგლებში. ახლა გაღრმავდა ლერმონტოვის პოეზიაში ხალხური პოეტური სუჟეტებისა და სიტყვისადმი ინტერესი. ლერმონტოვი ეწაფება რუსეთის ისტორიას, სწავლობს კარმა დანიელოვისა და სხვათა პოპულარულ ხალხურ კრებულებს.

ამ მოსაზრების საუკეთესო მაჩვენებელია პოემა „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“, რომელიც შევირევის აზრით, ხალხური პოეზიის თავისუფალ მიბაძვას წარმოადგენს.

ლერმონტოვის ლექსი იცვლებოდა, ალერსიანად ჟღერდა, როდესაც პოეტი წერდა ხალხზე, ხოტბას ასხამდა მის გმირებს. „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“ რუსი ხალხის ღირსებისა და სახელის, მისი თავისუფლების მოყვარულობის გენიალური პოემაა“. *)

„სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“ ლერმონტოვის ახალგაზრდობის წლების მოფიქრებული ქმნილებაა. ეს ის დროა, როცა ავტორის მისწრაფება ხალხურობისადმი გადაეჯაჭვა მისწრაფებს მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. ამ პერიოდისათვის ლერმონტოვმა მოხაზა ნაწყვეტები „ოლეგისათვის“ და დასწერა პოემა „თავისუფლების უკანასკნელი შვილი“. ახლა ლერმონტოვს იზიდავს სახეები მომღერლის, მებრძოლის, მისი სამარის. ეს სახეები გენიალური ოსტატობით არის ჩამოყალიბებული პოემაში „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“.

სიმღერა, მხოლოდ მგზნებარე სიმღერა იზიდავს ლერმონტოვის ოეტურ ფანტაზიას. მომღერალი, მოხეტიალე დ მიუვალფარი ხიბლავს და აჯადოებს ლერმონტოვს. ეს მოტივები რაღაცნაირად მჭიდროდ უკავშირდებოდა ლერმონტოვის პირად ბედს.

მომღერლის პიროვნება, მისი ჰანგებისა და მელოდიის ძალა ხიბლავს დიდ შემოქმედს. ეს მშვენივრად სჩანს ერთ ფაქტშიც: მებრძოლი მტკიცედ კვდება რა, ითხოვს, რომ მის საფლავზე დაასონ ჯვარი და მისი საქმენი უამბონ ვინმეს სამღერლად.

საინტერესოა პოემის „სიმღერა მეფე ივანე ვასილის-ძისა, ახალგაზრდა ოპრიჩნიკისა და მამაც ვაჭარ კალაშნიკოვის შესახებ“ ისტორია.

როგორც ნ. მ. მენდელსონი შენიშნავს, პოეტის ახალგაზრდობის წლებს ეკუთვნის ერთი შემთხვევა მოსკოვის ცხოვრების ქრონიკიდან, რომელიც, როგორც გადმოცემა ამბობს, შეეხება ლერმონტოვის ამხანაგს პარამონოვს. **) ამ შემთხვევამ პოეტის მხატვრულ

*) გაზ. „პრავდა“, 1939 წლის 14 ოქტომბრის მოწინავე.

**) ნ. მ. მენდელსონი — „Народные мотивы в поэзии Лермонтова“ კრებული: „Венок М. Ю. Лермонтову“, М. 1914 г.

წარმოსახვაზე, ალბად, მძლავრი გავლენა მოახდინა. როგორც საფიქრებელია, ამ შემთხვევის გამოძახილი საფუძვლად დასდებია ლერმონტოვის შესანიშნავ ნაწარმოებს „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე".

ქრონიკა გადმოგვცემს: მოსკოვში მოსკვა-რეკას ქვემოთ ცხოვრობდა ძლიერი ვაჟკაცი, ახალგაზრდა ვაჭარი. მას ჰყავდა მეტად ლამაზი, მომხიბლავი ცოლი. ცოლ-ქმარი ძველებური წესით ცხოვრობდნენ. გადმოცემის მიხედვით, ვაჭარ პარამონოვის „სახლი, როგორც უმრავლესობა ძველი ვაჭრების სახლისა იმ დროს, მუდამ დაკეტილი იყო. თუ ვისმეს მოესურვებოდა ეზოში შესვლა, რამდენიმეჯერ უნდა დაერეკა, ჰიშკართან გამოდიოდა მსახური ვაჟი ან მზარეული ქალი და ჰიშკრის გაუღებლად ეკითხებოდა: — „ვინ არის?", „ვინ გნებავთ?". მისი ცოლი სახლიდან არ გამოდიოდა, გარდა ეკლესიაში ან მშობლებთან წასვლისა, და ისიც მხოლოდ ქმართან, დედამთილთან ან ორივესთან ერთად".

1831 წელს მოსკოვში ცხოვრობდნენ გუსარები, დაბრუნებულნი პოლონეთის ლაშქრობიდან. ერთ გუსართაგანს მოეწონა ვაჭრის ცოლი. სურდა მისი გული სიყვარულით მოეგო. ქალმა სასტიკი უარი შეუთვალა. მაშინ გუსარმა ვაჭრის მლამაზესი ცოლის მოტაცება გადაწყვიტა, როცა ქალი ეკლესიიდან ბრუნდებოდა. გუსარმა კიდეც შეასრულა თავისი წადილი. შეურაცყოფილი ქალი სამი დღის შემდეგ დაბრუნდა შინ.

ხელისუფლებას სურდა ეს საქმე მიეფუჩეჩებინა, ცშვიდობიანად მოეგვარებინა ვაჭრისა და გუსარის ურთიერთობა. მაგრამ ვაჭარმა სამაგიერო მიუზღო გუსარს.

საფიქრებელია, რომ ამ ამბავმა გავლენა მოახდინა ლერმონტოვზე, რი დესაც მან გაიაზრა ამ პოემის გეგმა.*)

„სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე" იწყება მიმღერებით და თავდება სადიდებელი მიმართვებით. გუსლიარები იყვნენ ხალხური მომღერალ-გამრთობნი, ისევე როგორც სკომოროხები, რომლებიც სიმღერა-თამაშს, ინსტრუმენტზე დაკვრას პროფესიად იხდიდნენ და ამ ხელობის შემოსავლით ცხოვრობდნენ. გუსლიარების ხსენება, პოეტური ჩარჩო, პოემის ცალკე ადგილები, მიმღერება, მიგვითითებს იქითკენ, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილი ხალხური პოეზიის სისხლითა და ხორცით ცოცხლობს. გუსლიარები მხიარული ადა-

*) იხ. მარტინოვი — „Из записной книжки", ჟურნალი „Исторический вестник", IX, 1884 წ., გვ. 593-595.

ჭიანურში იყვნენ. ისინი ხიბლავდნენ მაყურებლებს, შემდეგ დალევდნენ, გასამრჯელოს ღებულობდნენ და თავსა და ცოლშვილს ამით არჩენდნენ.

კირშა დანილოვის ხალხურ ლექსთა კრებულში ასეთ გუსლიარსკომორხთა ნათელი სახეებია შემონახული.

ლერმონტოვის პოემაც ამგვარ გუსლიართა ლხინის აღწერით იხსნება:

ეჰ, მეფევ, ივან ვასილის-ძეო!
შენზე შეგვითხზავს ჩვენი სიმღერა.
მერე შენს რჩეულ ოპრიჩნიკზე და
იმ მამაც ვაჭარ კალაშნიკოვზე.
ჩვენ ძველ კილოზე შევაწყვეთ იგი,
ჩვენ ვმღერდით მას ბარბითის ხმაზე,
მოვთქვამდით ზარით, ვამბობდით ლექსებს.
და ბოიარინა რომოდანოვსკიმ
მოგვართვა კათხით თაფლი ქაფ-ქაფა,
თეთრმა მეუღლემ ბოიარინის
ჩვენ მოგვაწოდა ვერცხლის ლანგარით
პირისახოცი უცხოდ ნაქარგი.
ჩვენ გვიმასპინძლეს სამ დღე და ღამეს.
ყველა გვისმენდა და — ვერ გაძღენ სმენით. *)

ანდა ავიღოთ ადგილი მეფე ივანე მრისხანის ქეიფისა:

უკან უდგანან მერიქიფენი,
პირდაპირ სხედან დიდებულები.
გვერდით კი მისი ოპრიჩნიკები —
და ლხინობს მეფე სახელოვანი,
კმაყოფილია და მხიარული.

ეს სცენა ხშირად გვხვდება რუსულ ბილინურ ეპოსში, კერძოდ ბილინაში მასტრიუკ ტემრიუკოვიჩის შესახებ, რაც ადრე შენიშნა ბ. ბელინსკიმ. **)

ყველა მხიარულია ამ ნადიმში, გარდა კირიბეევიჩისა, რომელიც

*) „პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი", გრ. ცეცხლაძის თარგმანი, ბათუმი, 1939 წ., გვ. 29. სხვა ციტატებიც აქედან იქნება მოტანილი.

**) ბ. ბელინსკი, „Собрание сочинения", ვენგეროვის რედაქციით, ტ. VIII, გვ. 282.

არ ასველებდა თასში ულვაშებს,
შავი თვალებით დასცქერდა მიწას,
ბრგე მკერდზე თავი მას დაეხარა, —
გულში კი ფიქრი ჰქონდა ძლიერი.

ასვეა ბილინაში მასტრიუკიც, რომელიც მონაწილეობდა ივანე მრისხანის ქეიფსა და ჯარიობაში. მეფისა და ოპრიჩნიკის ურთიერთობანი კირიბეევიჩის მოწყენილობის შესახებ ზუსტ პარალელებს პოულობს ბილინებში, რომლებიც გამოქვეყნებულია კ. დანილოვისა და ჰილფერდინგის ხალხური ეპოსის კრებულებში.

ლერმონტოვი, აღწერს რა ალენა დმიტრის-ასულის სილამაზეს, ემყარება ხალხურ პოეტურ სახეებსა და სამკაულებს.

ალენა დმიტრიევ-ასული, კირიბეევიჩის თქმით, მთელს რუსეთში ყველაზე ლამაზი ქალია.

დადის, დასცურავს — თითქოს გედია,
მზერა აქვს ტკბილი — სითბოს მტრედია,
ბაგეებს გახსნის, გალობს ბულბული,
რისი ღაწვები ლოყები ბრწყინვენ,
ვით განთიადი ღვთიურ ზეცაში,
და ოქროსფერი დალალ-კავები,
უცხოდ შეკრულნი ფერად ბაფთებით,
მხრებზე ალერსით დასრიალებენ,
ხანაც მის თეთრ მკერდს ჰკოცნიან ტრფობით.

აქ მოტანილი ადგილის ყოველი სტრიქონი ხალხური ლირიკისა თუ ეპოსის სიმბოლიკით არის ფრთაშესხმული.

ხალხურ ეპოსში, სადაც კი არის ქალის მშვენიერება დახატული, ყველგან ნათქვამია გედისა და მტრედის შესახებ, როგორც შესადარებელი ობიექტებისა, ოქროსფერი დალალები კი ხალხური ეპითეტია. ამგვარია ყველა ულამაზესი და უმშვენიერესი ასული, რომელთა შერთვისა თუ ნახვისათვის გმირებს ხვდებათ მრავალი ხიფათი და დაბრკოლება.

კირიბეევიჩის პასუხი მეფისადმი, სადაც იგი მოიხსოვს, ურჩევნია, წავიდეს ვოლგის ნაპირებზე და დაიღუპოს ბუსურმანთა მახვილით, უშუალო პოეტური გამოძახილია ყაჩაღური ლექსებისა და სიმღერებისა, რომლებიც მშვენივრად იცოდა ლერმონტოვმა. განწყობილება, სტროფიკა, ნაღვლიანობა თითქოს ერთბაშად გამოუტანია პოეტს ყაჩაღური რუსული ფოლკლორიდან.

გამიშვი ვოლგის ნაპირთა ველზე,
ვიცხოვრო ლაღად, კაზაკთა შორის.
იქ მე უთუოდ ვნახავ დასასრულს,
ბუსურმანის შუბს წამოვეგები,
და ბოროტ თათრებს დარჩება ჩემი
მარდი ცხენი და ხმალი ფხიანი,
და უნაგირი კავკასიური.
შკვდარს ქორი თვალებს მე ამოკორტნის,
ჩემს ობოლ ძვლებსაც წვიმა გადარეცხს,
საბრალო ფერფლი დაუტირებლად
ქვეყნის ოთხკუთხივ გაიფანტება.

საინტერესოა კალაშნიკოვის ძმების პასუხი, სადაც მოხსენებულია არწივი.

სითაც ქარი ჰქრის ცისა ქვეშეთში,
ღრუბლებიც იქით მიიჩქარიან,
როცა ვეჟანი არწივი უხმობს
სისხლით შეღებილ ბრძოლის ველისკენ,
ლხინი ილხინოს, მკვდრები აკრიფოს,
იქით მიჰფრენენ მცირე მართვენიც.

არწივი — სიმბოლოა ძლიერების, ქედუხრელობის. ასეა არწივი წარმოდგენილი ხალხურ ლირიკაშიც.

ისე, როგორ რუსულ ბილინებშია გავრცელებული. ,,სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე'' თავდება გუსლიარებისადმი მხიარული მიმართვით. ესეც გვაფიქრებინებს, რომ ლერმონტოვი დიდი პოეტური გენიით იყენებდა ბილინების აგების ხერხებს, სიტყვაქმედობას, საბეებსა და მასალის მოტივებად დალაგებას.

ჰე, ბიჭებო, ვაჟკაცებო,
ჰეი გუსლიარებო!
ეშხიანად დაიწყეთ, დაასრულეთ ეშხითა,
თქვენ უმღერეთ მართალი,
ვის რა შეეფერება.

ბ. ბელინსკი 1841 წელს ბეჭდავს ვრცელ სტატიას ლერმონტოვის პოეზიის შესახებ. *)

ბ. ბელინსკი ამ სტატიაში უმაღლეს შეფასებას აძლევს ლერმონტოვის საოცარ პოეტურ ტალანტს, მისი ლექსების იდეურ

*) იხ. ჟურნ. „Отечественные записки". т. XIV, кн. 2, отд. V. стр. 35 80.

შინაარსსა და გამომსახველობითს ძალას. ბელინსკი არჩევს აგრეთვე ლერმონტოვის პოემას და ეხება ხალხური პოეზიის ნიშნებს ამ უკვდავ ქმნილებაში. ბელინსკი პირველი კრიტიკოსია, რომელმაც აღნიშნა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა პოემისა „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“ და ხალხური პოეზიისა როგორც ბელინსკი ამბობს, ლერმონტოვი „გვევლინება აქ გამოცდილ, გენიალურ არქიტექტორად, რომელსაც ასე შეუძლია შეახამოს ერთმანეთს შენობის ნაწილები, სადაც მორთულობის დეტალებში არაფერი არის ზედმეტი“. ლერმონტოვთან არ მოიპოვება „არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ხაზი, სტრიქონი და სახე, არ არის არცერთი სუსტი ადგილი, ყველაფერი მასში აუცილებელი, საჭირო და ძლიერია. ლერმონტოვი გამსჭვალულია ხალხურობით, ძველი ამბების იშვიათი შეგრძნებით“, მაგრამ „ჩვენი პოეტი შეეიდა ხალხურობის სამეფოში, როგორც მისი სრული მფლობელი, შეეხო მის სულს, შეეთვისა მას, ამით მან გვაჩვენა მასთან ნათესაობა და არა იგივეობა... ამით მან გვაჩვენა მხოლოდ თავისი პოეზიის ელემენტების სიმდიდრე, სისხლით ნათესაობა თავისი სულისა თავისი სამშობლოს ხალხურობის სულთან.*)

ბ. ბელინსკი ამ მხატვრულად და მღელვარე სულით დაწერილ სტატიაში მიუთითებს კირშა დანილოვის მიერ შეკრებილ და გამოცემულ ზეპირსიტყვიერების, კერძოდ ბილინების ცნობილ კრებულზე. იგი არ ჩერდება პარალელებზე ან ცალკე ეპიზოდების ანალოგიურ რეალიებზე. აღნიშნავს კი, რომ კირშა დანილოვის ხალხური კრებული „ხშირად პოეტურია, ხშირად პროზული, არც თუ იშვიათად სახეობრივი, მაგრამ უფრო ხშირად სიმბოლიური... სავსე ერთიანად იგივეს არა საჭირო განმეორებებით“.**) ლერმონტოვის პოემა კი ეს არის ძლიერი ქმნილება, მომწიფებული და ძალიან მხატვრული, რამდენადაც ხალხური. აქ უკვე ბ. ბელინსკი, ერთი მხრივ, აფასებს რა ხალხური ნაწარმოებების მხატვრულ ძალას, მეორეს მხრივ, ხაზს უსვამს ლერმონტოვის ტალანტის, პოეტური სულის უძლიერეს თვისებებს, რაც იგი მსოფლიო გენიასთა გვერდით დააყენა.

ლერმონტოვის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება რუსული ფოლკლორის უხვად გამოყენების შემთხვევები. ყველა ნაწარმოებში

*) ბ. ბელინსკი — „М. Ю. Лермонтов. Статьи и рецензии“, სახელგამომცემლობა, ლენინგრადი, 1940 წ. გვ. 173. 174.

**) იქვე, გვ. 174.

შეტ-ნაკლები მოცულობითა და სიუხვით ოსტატურად არის გამოყენებული ხალხური პოეზიის სახე, სიუჟეტი, ლექსიკა და სხვ.

პოემაში „ორშა“ მშვენიერი ოსტატობით არის ჩასმული ხალხური ზღაპარი ერთი ხელმწიფის შესახებ. ჯერ ერთი, ზღაპარი გაგებულია ისტორიული დანიშნულებით. ბატონი ორშა მიმართავს შონას შემდეგი სიტყვებით:

... მოწყენითა ვარ,
შავი ფიქრები ჰკუაში მერევა,
მოდი, მომიყევ მე აქვე ახლოს
და მოინდომე ფიქრის განქრევა.
ეგები მითხრა — შენ, წინა დროში
ქვეყნად რა იყო, რა იძინება
და მოვიგონებ მე წარსულ დროსა,
მოგონებაშიც ჩამეძინება.*)

შონამ, რომელიც ბატონის ოჯახურ მდგომარეობაში კარგადაა გარკვეული, იცის, თუ როგორ ღალატობს მამას თავისი ღვიძლი ასული, ეუბნება მანიშნებელ ხალხურ ზღაპარს. მონას სურს, რომ ბატონი მიხვდეს — რა უბედურებაა მის თავზე დატეხილი.

— სცხოვრობდა ერთი დიდი ხელმწიფე,
ამ ჩვენს ქვეყნითგან იყო ის შორსა.
თვით მეფე იყო სუსტი, ბებერი,
მაგრამ მის ქალი იყო შვენება,
დაშალა, როგორც კარგი ალმასი
და ახალგაზრდებს არ ეჩვენება.
მის ქალიშვილსა ეტრფიალება
მარტო დღე და ან მას ღამე ბნელი,
მარტო შეეძლო მის ლამაზ ლოყებს
დაჰკონებოდა ნიავი ნელი.
ბებერი მეფე მის სანახავად
მიბრძანდებოდა სამჯერ ერთს დღეში,
მან მოინდომა ერთხელ ენახა,
როგორ ეძინა წყვდიადს ღამეში.
აიღო ვერცხლის მან გასაღები.
ხელში ეჭირა სანთელი მკრთალი
და წამოვიდა იქ, სადაც იწვა

*) „ორშა“, თარგმ. გ. არგრძელისა, ზ. ჯიჯინაძის გამოცემა, თბილისი, 1395 წ., გვ. 7.

მის ერთადერთი ლამაზი ქალი.
შვიდა, კოშკში სულ სიჩუმეა,
ქალს დასწოლია ზე ტკბილი ძილი,
მაგრამ არ არის ის მარტოდ ერთი,
მასთან არს კიდევ ხელმწიფის შვილი.
მაშინ განრისხდა ბებერი მეფე,
უბრძანა, ერთად უ[illegible]ამსჯულოდ,
რომ ჩაეყარნათ ისინი კასრში
და ლურჯსა ზღვაში მალე დაერჩოთ.

ლერმონტოვმა რამდენიმე ხანი დაჰყო კავკასიის წარმტაც ბუნებაში, გაიცნო ქართველი ხალხის ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ჭორწინებისა და ტირილის წესები, ქართველთა გმირული ხასიათი, ქედუხრელობა, და ყოველივე ამან პოეტური ასახვა ჰპოვა ლერმონტოვის შემოქმედებაში.

ლერმონტოვი ეცნობა ქართველი ხალხის ძველეს გადმოცემებს, თქმულებებს, რიტუალებს, იწერს უბის წიგნაკებში, აკეთებს შენიშვნებს, რომ ისინი შემდეგში გამოიყენოს ნაწარმოებებში, რომლებიც ეხებიან საქართველოს. ჩვენ აქ არას ვამბობთ მთელი რიგი კავკასიური თემების გენიალურად გააზრების შესახებ. ეს კვლევის ცალკე სფეროა.

ჩვენ აქ გვაინტერესებს რიტუალების, ყოფითი დამახასიათებელი დეტალების აღწერა და გამოყენება, რომელიც მოცემულია პოეტის უკვდავ პოემაში „დემონი".

გაზ. „პრავდა" სწერს: „პუშკინის მოყოლებით ლერმონტოვმა მოწინავე რუს საზოგადოებას გადაუშალა კავკასია, როგორც ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეომარ ძლის ქვეყანა. ამაყ მთიელთა სახეები შევიდნენ რუსულ ლიტერატურაში, მშობლიურნი გახდნენ რუსი ხალხისათვის, ეხმარებოდნენ რუსი ახალგაზრდობის რევოლუციურ აღზრდას".

ლერმონტოვი ფხიზელი გონების ადამიანი იყო. ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში იგი ამჩნევს თვით მცირე დეტალებსაც კი. ამდენად იგი საქართველოს ეთნოგრაფიის მცოდნეცაა. ამ დებულების სიმართლეს ადასტურებს მისი ნაწარმოებები, რომლებიც კავკასიისა და საქართველოს თემას ეხებიან და განსაკუთრებით პოემა „დემონი".

ბელინსკი წერს, რომ „მან (ლერმონტოვმა — გ. ს.) ნახა კავკასია, და ჩვენთვის გასაგებია სიმართლე კავკასიის სურათებისა"...

„ბუნების სურათები სუნთქავენ გრანდიოზულობითა და ფანტასტიკური კავკასიის საოცარი ბრწყინვალებით. კავკასია თითქოს გამიზნული იყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზების აღმაფრენად, მათ პოეტურ სამშობლოდ“. ლერმონტოვმა „კავკასიის მიუწვდომელ ქედებზე, მარადიული ოფლით დაგვირგვინებულ ქედებზე ჰპოვა თავისი პარნასი“.

როგორც ბელინსკი ამბობს, პოემა „ტამანი“ ეს მხატვრული ქმნილება კი არაა, არამედ, მკაცრი აზრით, ხელოვნებაა.

„დემონში“ შესანიშნავად არის აღწერილი ხალხური გართობის სცენები, რომლებიც დაკავშირებულია ქორწინებასთან თუ ნიშნობასთან. ლერმონტოვს იშვიათი სიღრმითა და სისრულით გაუცვნია ქორწინებასთან დაკავშირებული მხიარულება, ლხინი, ცეკვა-თამაში, ქართული ხალხური ცეკვების წარმტაცი სინარნარე, რიტმიულობა. სიტყვით, რაც უნდა ლირიკული და ზუსტი არ უნდა იყოს იგი, ძნელია მოძრაობის გადმოცემა, აქ უფრო ძლიერია ქანდაკება და ფერწერა, მაგრამ ლერმონტოვი საოცარი ვირტუოზული ხელოვნებით გადმოსცემს მოქმედებას, მოძრაობის დეტალებს, რაც დაკავშირებულია ქართულ ხალხურ ცეკვებთან.

საჭლი პირქუში, ყოველთვის წყნარი,
ველს დაჰყურებდა მაღლობზე მდგარი,
მაგრამ დღეს იგი ხმაურობს ლხინით,
გაჰკივის ზურნა, თვრებიან ღვინით,
გუდალმა თვისი დანიშნი ქალი,
ბევრია ხალხი სტუმრად მოსული.
ბანს აფერადებს მრავალი ხალი
და, დობილებით გარემოცული,
ზედ პატარძალი ზის მშვენიერი.
იქვე სიმღერა ისმის ხმიერი,
შენელებული ტაშის ცემითა.
ახლოა უკვე საზღვარი დღისა,
უკვე ნახევრად ბორბალი მზისა
დაფარულია შორის მთებითა...
ზეზე წამოდგა თამარი მაშინ,
და გაძლიერდა გარშემო ტაში,
ცეკვა დაიწყო კენარმა რხევით,—
შეათამაშა დაირი ზევით,
დაჰკრა ხელი და მოიცლო თავსა...

ხან გაქანდება ფრინველის მსგავსად,
ხანაც შესდგება, და თი-ჭის ხარბი,
დასველებია თვალი ნამითა,
შემოჩრდილული შავ წამწამითა,
ხან აეწევა უეცრად წარბი,
ხან მთელის ტანით იხრება ძალზე,
მაშინ იმისი ფეხი ნარნარი. *)

დიდის ოსტატობით არის აღწერილი თამარის საქმროს გამოშგზავრება ლალ-ზურმუხტებითა და ძვირფასი ქსოვილებით. ლერმონტოვი ამ ყოფითს დეტალს, რომელიც დაკავშირებულია საქორწინო ხალხურ რიტუალთან, დიდის სისწორით ასურათებს: აქლემთა გრძელი მწკრივი, ზართა წკრიალი, ხმალ-ხანჯლის ჩუქურთმები, სასიძოს ნაციონალური მოკაზმულობა და სხვ.

დაკლაკნილ გზაზე მალვით და ჩენით
მას აქლემები გამწკრივებული
ძლივს მიჰყვებიან, მდიდრულის ძღვენით
დატვირთული და დამძიმებული.
ზართა წკრიალი მოისმის ნელი...
ის ბატონია სინოდელისა,
და ქარავანიც მისია გრძელი.
თასმით გაუკრავს წერწეტი წელი.
მზეზე უელავს, მჭრელი თვალისა
მოჭედილობა ხმალ-ხანჯალისა,
მხარზე ჰკიდია ზარნიშიანი
თოფი სიათა—ირგვლივ სრულიად
ქულაჯა მისი მოსირმულია.
მიაფრიალებს ქარი ფრთიანი
ყურთმაჯებს მის. ფერადი ძაფით
ტურფად ნაკერი სჩანს უნაგირი
და შემკობილი ფოჩვით აღვირი. **)

ლერმონტოვი პოემაში „დემონი“ გადმოსცემს აგრეთვე რელიგიასთან დაკავშირებულ ცერემონიალს, გარდაცვლილის კულტის

*) მ. ლერმონტოვი—„დემონი“, თარგმ. კ. ბიჭინაძისა, ჟურნ. „მნათობი“ 1941 წ., № 1, გვ. 72.

*) იქვე, გვ. 73.

წესებს, წმინდანის წინაშე პატივისცემის უძველეს ზნე-ჩვეულების დეტალს:

აგერ გამოჩნდა გზისპირას, მაღლა,
სალოცავი და დასმული ჯვარი.
აქ განისვენებს მკვდრის ხელით მკვდარი,
ვიღაც თავადი, წმინდანი ახლა!
მუდამ წასული ომში თუ ლხინში,
ამ გამოვლილი მგზავრი ყოველი,
პირჯვარს იწერდა ფარულის შიშით
ხიფათისაგან ხსნის შემთხოველი,
და ასცდებოდა ამ ლოცვის ძალით
მას მუსლიმანის მახვილი მჭრელი.
მაგრამ არ შესდგა მხედარი მალი,
არ შეასრულა ადათი ძველი. *)

ქართული ხალხური სიმღერების სტროფიკა და რიტმიკა აჯადოებდა რუსული პროზისა და პოეზიის დიდ ოსტატებს **) და მათ შორის პუშკინსა და ლერმონტოვს. პუშკინმა სპეციალურად აზრიც კი გამოთქვა ქართული ხალხური სიმღერების მომხიბლავი ბუნების შესახებ და კერძოდ ხაზი გაუსვა ამ სიმღერათა ნაღვლიან კილოსა და ქცევას.

ლერმონტოვის ნაწარმოებებში, ჩვენი ვარაუდით, ქართული ხალხური სტროფიკისა და წყობის მიგნება არ ყოფილა საწადელია. ერთგვარი მსგავსების დანახვა შეიძლება, მაგრამ ეს დებულება შემდგომში მეტ დაზუსტებას საჭიროებს.

გამიღეთ მე ციხის კარი,
მომეცით დღის ბრწყინვალება,
შავი ცხენი ნიავ-ქარი,
ჭალიშვილი შავთვალება,
პირველად ჭალს სასურველსა
გადვუკოცნი ბროლის ყელსა,
მოვახტები ცხენსაც ხელად,
გავიჭრები წამსვე ველად. ***)

*) მ. ლერმონტოვი, „დემონი", თარგმ. კ. ჭიჭინაძისა, ჟურნ. „მნათობი", 1941 წ., № 1, გვ. 74.

**) იხ. გ. ნატროშვილის საინტერესო წერილი—„გორკის ზღაპარი დედაზე და ძველი ქართული ბალადები", გაზ. „ლიტ. და ხელ.", 1945 წ., № 43 (139).

***) მ. ლერმონტოვი, „ტუსაღი", გრ. ცეცხლაძის თარგმანი.

ასევე ხალხური მელოდიითა და ხალხური სასიმღერო ლირიკის სტროფიკით არის გამართული ერთი ადგილი პოემიდან „დემონი".

მისცურავენ მნათობები
ეთეროვან სფეთა ზღვაში —
არც აფრა და არც ხოფები
არ სჭირდებათ ნათელ სვლაში.
თვალუწვდენელ მინდორ-ველად
მიდი-მოდის ცაში წყნარად,
უმიზნოდ და უზრუნველად,
თმებხუჭუჭა ღრუბელთ ფარა.
შეხვედრის თუ გაყრის წამი
არა სტოვებს მათზე კვალსა,
მათთვის წარსულს არ აქვს შხამი,
და შარბათი მომავალსა. *)

დასკვნა: მ. ი. ლერმონტოვი ღრმად იცნობდა რუსულ ჩილინებს, ხალხურ ლირიკულ სიმღერებს, ისტორიულ ლეჭსებს, გადმოცემებს, ლეგენდებსა და ზღაპრებს. მ. ი. ლერმონტოვმა ხალხური შემოქმედების მიმზიდველი სურეტები, ცალკე ეპიზოდები და პოეტური სახეები, სინტაქსი და ლექსიკა, გამომსახველობითი ხერხები და სხვა პოეტური საშუალებანი უხვად, ოსტატურად და ფაქიზად გამოიყენა თავის მდიდარ შემოქმედებაში.

პოეტმა იშვიათი სიღრმითა და ორიგინალობით აითვისა მხატვრული სამკაულების ელვარება, სითბო და სიმბოლიკა (დეტალების ეპიკური აღწერა, სინონიმურ გამოთქმათა შეერთება, ტავტოლოგიური განმეორებანი, უარყოფითი კატეგორიის შედარებანი და სხვ.). ხალხური შემოქმედება ლერმონტოვისათვის იყო პოეტური მოღვაწეობის, მისი მხატვრული ინდივიდუალობის არსებითი ნაწილი. მისმა მიამბოხე სულმა ნამდვილი თავშესაფარი ხალხურ პოეზიაში ჰპოვა.

მ. ი. ლერმონტოვი მგზნებარე შემოქმედი იყო.

„საბჭოთა ლიტერატურა, — სწერს გაზ. „პრავდა", — მოწოდებულია გამოჰხატოს ეს მგზნებარება. მწერლებსა და პოეტებს აქვთ საამისო საშუალებანი. ამ საშუალებებს იძლევა ჩვენი უდიდესი თანამედროვეობა. ამ საშუალებებს იძლევა კლასიკური მემკვიდრე-

*) მ. ლერმონტოვი — „დემონი". თარგმ. კ. ჭიჭინაძისა, „მნათობი". 1941 წ., № 1, გვ. 75.

ოპაც — სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა, დიადი რუსული ლიტერატურა, რომელშიაც ლერმონტოვს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის".

ლერმონტოვის უმდიდრესი შემოქმედება, რომელსაც ღრმად იცნობს და აფასებს საბჭოთა მკითხველი, ჩვენი დიადი გამარჯვებული ხალხის საკუთრებაა. ლერმონტოვის ძვირფასი ქმნილებანი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე. მას სწავლობენ, ღერიან, ითვისებენ, როგორც უძვირფასეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

—:—

ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილი ხალხები, ლენინისა და სტალინის იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდობა დიდად აფასებს მ. ი. ლერმონტოვის ძვირფას ლიტერატურულ მემკვიდრეობას. სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 22 აგვისტოს დადგენილებაში „სოციალიზმის, რევოლუციისა და სხვ. დიდ მოღვაწეთა ძეგლების დადგმის შესახებ" (დადგენილებას ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი), ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის, გოგოლის, რადიშჩევის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ოგარიოვის, მიხაილოვსკის გვერდით დასახელებული იყო ლერმონტოვი.*)

ლერმონტოვი ეტრფოდა თავისუფალ სამშობლოსა და ხალხს. სიყვარულის ეს გრძნობა წყაროსავით სჩქეფს მის შემოქმედებაში. თავის სამშობლოს ისეთი ძლიერი განცდით უმღერა მან, რომ იგი ნათელი შარავანდედით მოსავს მისი ავტორის ქნარს.

Люблю отчизну я, но странной любовью!
Не победит ее рассудок мой!
Ни слава, купленная кровью,
Ни полный гордого доверия покой,
Ни темной старины заветные преданья
Не шевелят во мне отрадного мечтанья.

ქართველ მკითხველებში ლერმონტოვი თავიდანვე საოცარი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. სხვა გარემოებებთან ერთად ამ სიყვარულს აძლიერებდა ისიც, რომ პოეტმა თავის მხატვრულ ქმნილებებში შთამაგონებლად აღწერა კავკასიის ბუნება, მისი განუმეორებელი სილამაზე („იზმაილ-ბეი", „ლტოლვილი" და სხვ.). კავკასიისა და კერძოდ საქართველოს თემა მისი შემოქმედე-

*) იხ. ქრებული — „Ленин о культуре и искусстве", 1938 г., стр. 100.

ბის განუყრელი ნაწილი გახდა. ლერმონტოვი, აცხადებდა რა ზიზღსა და გმობას ტირანი მეფისა და თვითმპყრობელობისადმი, ეშმვიდობებოდა მისი დროის სულშემხუთავ რუსეთს, თავშესაფარს ჩვენში ეძებდა:

Быть может, за хребтом Кавказа
Укроюсь от твоих царей,
От их всевидящего глаза,
От их всеслышащих ушей.

მ. ი. ლერმონტოვი სიამაყეა რუსული კლასიკური პოეზიისა. მას მთელი არსებით სძულდა მეფის თვითმპყრობელობა, ბატონყმური წყობილება. მისი სული და ნებისყოფა ვერ გასტეხა დუელმა, გადასახლებამ, დევნამ. როცა პატიმარი ლერმონტოვი ინახულა ბელინსკიმ, ამ უკანასკნელმა თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა ბოტკინს: „მე პირველად ვნახე ნამდვილი ლერმონტოვი, როგორიც ყოველთვის მსურდა მენახა იგი?“

ლერმონტოვს განუსაზღვრელად უყვარდა ხალხი, უყვარდა თავისუფალი, ძლიერი და მდიდარი სამშობლო, უყვარდა რუსი ხალხის შემოქმედება, მისი მრავალფეროვანი პოეტური კულტურა, ფოლკლორი, რომელსაც მ. გორკიმ „ხალხის სული“ უწოდა.*)

---

*) იხ. დაწვრილებით Н. Никсанов — „Горький и фольклор“.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

გიორგი კოკოჩაშვილი

მასალები Limnaea truncatula Müller-ის გავრცელების შესწავლისათვის საქართველოში

საქართველოს სსრ საზღვრებში Limnaea truncatula Müll.-ის მოპოვების ადგილი ლიტერატურული მონაცემებით მხოლოდ ათია ცნობილი. ეს ათი პუნქტი მოყვანილი აქვთ სხვადასხვა ავტორს [1, 2, 3, 4, 5, 6, 7] და შემდეგია: სურამი, კობის მახლობლად, თბილისი, ბათუმის მახლობლად მდ. ჭოროხის გამონარიყში, ახალი ათონის მონასტრის მახლობლად მდ. ფსირცხაში, ქუთაისის მახლობლად ნაკადულში, სამტრედიას ჭაობში, გელათის მონასტრის წყაროში, ქუთაისი და ბათუმი.

ეს რიცხვი საქართველოს ტერიტორიისათვის ძალზე მცირეა. სხვა ქვეყნებში, სადაც ამ სახეობის მოლუსკი არის გავრცელებული, იგი ჩვეულებრივ უფრო მჭიდროდ დასახლებული გვხვდება. ამიტომ შესაძლებელი იყო, რომ უფრო დეტალური ძიების შედეგად ჩვენშიც შეიძლებოდა მეტ ადგილას მისი რეგისტრირება, მით უმეტეს, რომ საქართველოში ბევრია ისეთი წყალსატევი, სადაც შექმნილია ამ მოლუსკისათვის ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემო.

ჩემს კოლექციაში დაცულია Limnaea truncatula-ს ნიჟარები, რომლებიც შეგროვილია ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში როგორც ჩემ მიერ, ასევე სხვა პირთაგანაც — ლ. მარუაშვილის, პროფ. ა. სადოვსკის, გრ. დევდარიანის და სხვათა მიერ. მათ ამისათვის გულითადს მადლობას ვუძღვნი. მაგრამ, ბუნებაში ექსკურსირების შესაძლებლობის შესაბამისად, ნიჟარები მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან მოგვეპოვება. მოპოვების ეს პუნქტები უმეტეს შემთხვევაში ახალ პუნქტებს წარმოადგენენ. ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია ამ ცნობის გამოქვეყნება.

მოპოვების ადგილები:

1. **მდ. წყალწითელას ხეობა.** ქუთაისსა და წყალწითელას შორის მე-2 გამოქვაბულთან. ამ გამოქვაბულიდან გამომდინარე ჩან-

ჩქერის ბრ ნაკადულში 23. VII. 42 წ შევაგროვე 10 ცოცხალი ლოკოკინა წყალმც ნარეებითა და ხავსით დაფარულ ქვებზე.

2. **ზელათი.** მონასტრის ჭიმოთ შარაგზის პირას წყაროს წყალში. წყარო გამოდის ფერადი წყების ქანებში და ასველებს კლდის ზედაპირს, რომელიც უხვად დაფარულია წყალმცენარეებით და ხავსით. 9. VIII. 42 წ. აქ შევაგროვე 4 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 14° C.

3. **ჭუთაისის მიდამოები.** წყაროს ქუჩის მახლობლად კარსტული წყაროს ორმოში ლამიან ფსკერზე და ქვებზე 3. IX. 42 წ. შეგროვილი იყო 3 ცალი. წყლის ტემპერატურა 21° C.

4. **ჭუთაისის მიდამოები.** ღელეში, რომელიც ფერადი წყების ქანებში გაჭრილ ხეობაში მიიდინება, 3. IX. 42 წ. შეგროვილი იყო 23 ცოცხალი ეგზემპლარი ლამიან და კლდოვან ფსკერზე. წყლის ტემპერატურა 20° C.

5. **ჭუთაისის მიდამოები.** გელათის გზაზე პატარა წყარო. 16. V. 43 წ. ხავსით მოფენილ კლდეზე ვნახე ერთი ცოცხალი ლოკოკინა.

6. **ჭუთაისიდან 4 კილომეტრით დაშორებით.** ს. სორმონისაკენ მიმავალი გზის პირას 16. V. 43 წ. შეგროვილი იყო 9 ცოცხალი ლოკოკინა ამონთხეული ქანის კლდეზე გადმომდინარე პატარა ნაკადულში.

7. **წყალტუბო.** ხელოვნური ტბის მახლობლად ნიადაგიდან ამომავალ წყაროს ბუნებრივ საგუბარში, რომელიც ნაწილობრივ დაჭაობებულია, 6. VI. 43 წ. შეგროვილი იყო ქვებზე 7 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 21° C

8. **ხოფ. პირველი მაისი,** ხობის რაიონი. ვაკე ადგილზე შარაგზის მახლობლად ჭაობში 13. VI. 43 წ. შეგროვილი იყო 5 ცოცხალი ლოკოკინა. ჭაობი მოზრდილია. სიღრმით ერთ მეტრამდე, ფსკერი გუმუსით მდიდარი ლამითაა დაფარული. ლოკოკინები დაპერილი იყო ფსკერზე და ჭაობის მცენარეების ღეროზე. წყლის ტემპერატურა 27° C.

9. **ხათაფლიას მთის ძირში.** ქუთაისიდან 3-4 კილომ. დაშორებით წყაროს პატარა საგუბარში ქვებზე 17. VI. 43 წ. შევაგროვე 8 ცოცხალი ლოკოკინა.

10. **ჭუთაისი.** „ციხის წყაროს" ცემენტიანი აუზის კედელზე ხავსებს შორის 10 VII. 43 წ. ნახული იყო 3 ცოცხალი ლოკოკინა.

11. **ხოფ. კორცხელი,** ზუგდიდის რ., გამოქვაბულის პატარა ნაკადულში 29. VII. 43 წ. მოპოვებული იყო ერთი ცოცხალი ეგზემპლარი. თუმცა ეს ლოკოკინა იყო ნახული გამოქვაბულის შიგ-

ნით სრულ სიბნელეში, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ გამოქვაბულში იგი ჩატანილი უნდა ყოფილიყო ზედაპირიდან ღვარებით, რადგან არც კონქიოლოგიურად და არც ანატომიურად იგი არ განსხვავდება ზედაპირზე მცხოვრებ სხვა ტრუნკატულებისაგან. წყლის ტემპერატურა 12° C.

12. **სოფ. გორდი**, წულუკიძის რ., პატარა წყარო ერთ-ერთი მოსახლის (ნ. ბიწაძის) ეზოში. წყაროს საგუბრისებურ ორმოში 12. VIII. 43 წ. შეგროვილი იყო 3 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 12° C.

13. **სოფ. გორდი**, წულუკიძის რ., ყოფ. დადიანების პარკის წყარო ქვის ნაგებობით, რომელიც მთლიანად შემკულია ხეივია მცენარეებით. წყაროს იატაკზე, ქვებზე 12. VIII. 43 წ. შეეაგროვე 3 ცოცხალი ლოკოკინა.

14. **ადგილი „ნალისტეხია"**, სოფ. ღვედის სამხრეთით, წულუკიძის რ., 14. VIII. 43 წ. 2 ცოცხალი ლოკოკინა შეეაგროვე კირქვის ფენებიდან გამომდინარე პატარა წყაროში ქვებზე. წყლის ტემპერატურა 15° C.

15. **სოფ. ღვედი**, წულუკიძის რ., სოფლის წყარო დიდი დებიტისა. 14. VIII. 43 წ. წყაროს თლილი ქვის ნაგებობის კედელზე წყალმცენარეთა შორის შეეაგროვე 2 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 10° C.

16. **სოფ. ზედა შავრა**. ამბროლაურის რ., კარსტული წყარო სათიბებში ბუნებრივ ჩაღრმავებაში. წყარო კირქვის ძირითად ქანებიდან შადრევანივით ამოდის. 21. VIII. 43 წ. 6 ცოცხალი ლოკოკინა შეგროვილი იყო ქვებზე და ბალახების ღეროებზე. წყლის ტემპერატურა 9° C.

17. **სოფ. ახუთი**. ჩხოროწყუს რ., ჩანჩქერისებრ ნაკადულში კლდის ზედაპირზე და ქვებზე 7. IX. 43 წ. შეგროვილი იყო 7 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 12° C.

18. **სოფ. ნაზოდელავო**, ჩხოროწყუს რ., 7. IX. 43 წ. 11 ცოცხალი ლოკოკინა იყო შეგროვილი წყაროს წყალში ქვებზე. წყლის ტემპერატურა 11° C.

19. **სოფ. ნაზოდელავოს** მახლობლად მდ. ზანას მარცხენა ნაპირზე პატარა ნაკადულში შეგროვილი იყო 12 ცოცხალი ლოკოკინა 7. IX. 43 წ. წყლის ტემპერატურა 6° C.

20. **სოფ. ნოღა**, გეგეჭკორის რ., მდ. ცივას მარცხენა ნაპირზე პატარა ნაკადულში 3 ცოცხალი ლოკოკინა იყო ნახული ქვებზე 8. IX. 43 წ., წყლის ტემპერატურა 15° C.

21. **სოფ. კიწია,** გეგეჭკორის რ., გალავნით შემოვლებულ წყაროს წყალში 8. IX. 43 წ. შეგროვებული იყო 4 ცოცხალი ლოკოკინა. წყლის ტემპერატურა 11° C.

22. **სოფ. კიწია,** გეგეჭკორის რ., გზის პირას გუბეში ლამზე და ქვებზე 12. X. 44 წ. შევაგროვე 12 ცოცხალი ლოკოკინა.

3. **ჰიათურა,** მდ. რგანის ტოტი. მდორე დინების ადგილას ქვებზე 29. IX. 43 წ. შეგროვილი იყო 3 ცოცხალი ეგზემპლარი.

24. **ჰიათურახა და სოფ. რგანს შუა** მდ. რგანის ნაპირას 29. IX. 43 წ. ნაპოვნი იყო ეთი პატარა ლოკოკინის ნიჟარა.

25. **სოფ. სალიეთი,** ჰიათურის რ., მილით გამოყვანილ წყაროში 2 ცოცხალი ლოკოკინა შეგროვილი იყო 1. X. 43 წ.

26. **სოფ. გუმბალაური,** ლანჩხუთის რ., სოფლის წყაროში ლამით მოფენილ ქვაზე 9. X. 43 წ. ნაპოვნი იყო ერთი ცოცხალი ეგზემპლარი.

27. **ხარაგოული,** ადგილი „ლაშე", რკინიგზის ლიანდაგთან „დევის ხვრელის" გამოქვაბულის ძირში ხელოვნური მილით გამოყვანილ წყაროს წყალში 23. X. 43 წ. იყო ნაპოვნი ერთი ცოცხალი ეგზემპლარი, იგი ქვის არხის ხავსით დაფარულ კედელზე იმყოფებოდა

28. **ხარაგოული,** მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე წყაროს წყალში, რომელიც ხელოვნური ღარით გადმოდის. 23. X. 43 წ. ერთი ცოცხალი ლოკოკინა იყო ნაპოვნი ქვაზე.

29. **სათაფლიას მთა,** წყალტუბოს რ., ფერადი წყ ბის ნაპრალიდან გამომდინარე წყაროში სველ მიწაზე შევაგროვე ერთი ცოცხალი ლოკოკინა 10. X. 43 წ. და შემდეგ 7 ცოცხალი ეგზემპლარი 1. X. 44 წ.

30. **სოფ. ცუცხვათი,** ტყიბულის რ., მაღარას მთის ფერდობზე წყაროს გუბეში კენჭებზე 4. X. 44 წ. შევაგროვე 5 ცოცხალი ლოკოკინა.

31. **სოფ. სალხინო.** გეგეჭკორის რ., მდ. წაჩხურის ხეობაში 10. X. 44 წ. ნაკადულის გუბეში ქვებზე შევაგროვე 7 ცოცხალი ლოკოკინა.

32. **სოფ. სალხინო,** იმავე ხეობაში კარსტული გვირაბიდან გამომდინარე პატარა ნაკადულში 10, X. 44 წ. 15 ცოცხალი ლოკოკინა შეგროვილი იყო სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრების მიერ (პროფ. ალ. სადოვსკი, გრ. დეედარიანი, გ. კოკოჩაშვილი). წყლის ტემპერატურა 18° C.

33. **იმავე ადგილას,** მხოლოდ კარსტული გამოქვაბულის შიგ-

ნით, ნახევრად ბნელ ადგილას ნაკადულის ლამიან ფსკერზე 10. X. 44 წ. შევაგროვე 3 ცოცხალი ლოკოკინა.

34. **სოფ. ბალდა**, გეგეჭკორის რ., მდ. ჩერის დასაწყისში კარსტულ გამოქვაბულიდან გამომავალის ადგილას ტბისებურ უბეში ქვებზე შევაგროვე 2 ცოცხალი ლოკოკინა 11. X. 44 წ.

35. **სოფ. ზარათი**, ქუთაისის რ., პატარა წყაროს გუბეში წყალმცენარეთა შორის 19. V. 46 წ. ვიპოვე ერთი ცოცხალი ლოკოკინა.

როგორც ეს სია გვიჩვენებს, Limnaea truncatula ჩვენში უფრო მეტად ყოფილა გავრცელებული, ვიდრე ეს დღემდე გამოქვეყნებული ცნობებით ჩანდა. მოპოვების ადგილები იმასაც მოწმობენ, რომ იგი გავრცელებულია როგორც დაბლობში, ასევე მთა-ბორცვიან ზოლშიც. თუ დაეუმატებთ დასავლეთ საქართველოს ჭალებსა და სანაპიროებს როგორც ბარში, ასევე მთაშიც, რომლებსაც ჩვენი ექსკურსიები არ შეხებიან, მაგრამ სადაც მისი მოპოვება ნოსალოდნელია, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში ნოლუსკი უფრო მეტ ტერიტორიაზე უნდა იყოს დასახლებული. ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ კუთხეებშიც, საიდანაც დღემდე ლიტერატურა მხოლოდ სამ პუნქტს იხსენიებს: სურამს, კობსა და თბილისს. ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს ლოკოკინა ჩვენი ქვეყნის მაღალკოფაუნის ისეთივე ჩვეულებრივ წევრს უნდა წარმოადგენდეს, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში.

ჩვენი მასალები იმასაც გვიჩვენებს, რომ Limnaea truncatula ჩვენში უფრო ხშირად წყაროებსა და ჩანჩქერისებრ ნაკადულებში გვხვდება, ვიდრე ჭალებსა და ჭაობებში. თუ მოხსენებულ 35 პუნქტს დავაჯგუფებთ წყალსატევთა ტიპების მისედვით, ეს უფრო ნათლად გამოჩნდება:

№ №	წ ყ ა ლ ს ა ტ ე ვ ე ბ ი	მოპოვების პუნქტი
1	წყარო, ჩანჩქერისებრი ნაკადული	22
2	ნაკადული, ღელე, მდინარის ტოტი . . .	10
3	ჭაობი, ჭაობისებრი აუზი	3

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ Limnaea truncatula ჩვენში, მისი გავრცელების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, თანახმად შემოღებული მტკნარი წყლების მოლუსკათა ეკო-

ლოგიური კლასიფიკაციისა [3], უმთავრესად წყაროების მცხოვრებს (კრენოფილს) წარმოადგენს, და შემდეგ კი — ჭაობებისას (ელეოფილს). მეტი ფაქტიური მასალის დაგროვების შემდეგ, ეს შეხედულება, ცხადია, შეიძლება შეიცვალოს.

Limnaea truncatula-ს გავრცელების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებულია აგრეთვე სხვა საკითხიც — ჩვენი შინაური საქონლის დაავადების შესაძლებლობა ფასციოლოზით.

ცნობილია, რომ შინაურ ცხოველთა დაავადება ფასციოლოზით სწარმოებს იმ შემთხვევაში, თუ იმავე მხარეში აღნიშნული მოლუსკიც მოიპოვება, რომ საქონლის საგრძნობი დაავადება ჰგულისხმობს ინვაზიის ადგილობრივი კერების არსებობასაც. ის სურათი ფასციოლოზის გავრცელებისა საქართველოში, რომელიც უკვე არის მოცემული სპეციალურ ლიტერატურაში, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი წყაროები, ნაკადულები და ღელეები და უფრო მეტად ჭალები და სათიბები, სადაც შესაძლოა შეგვხვდეს ეს მოლუსკი თუ ეს ადგილები წყლის სასმელად და საძოვრად საქონლისათვის ადვილი მისადგომია, სწორედ იმ ადგილებს უნდა წარმოადგენდნენ, სადაც სწარმოებს მათი დაავადება. ჩვენს სიაში ჩამოთვლილი 35 პუნქტიდან საქონლისათვის სრულიად იოლი მისადგომი 26 აღმოჩდა. შესაძლოა, რომ აქ ყველგან საქონლის ინვაზიას ადგილი არც ჰქონდეს ლოკალიზების სხეულში ფასციოლოზის გამომწვევი ჭიის — ღვიძლის ფასციოლას ლარვების არარსებობის გამო, მაგრამ ნაწილის მიმართ ეს შესაძლებლობა გაშორიცხული არ უნდა იყოს.

ამიტომაა, რომ Limnaea truncatula Müller-ის გავრცელების შესწავლას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ეძლევა.

15. VI. 1946 წ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Boettger, O. Kaukasische Mollusken gesammelten von H. Leder. Jahrb. d. d. Mal. Ges., 1879.
2. Boettger, O. Sechstes Verzeichnis transkaukasischer, armenischer und nordpersischer Mollusken. Jahrb. d. d. Mal. Ges., 1881.
3. Жадин, В. И. Фауна рек и водохранилищ СССР. Тр. Зоол. Инст. А Н СССР, т. V, в. 3-4, 1940.

4. კოკოჩაშვილი, გ. ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკის გავრცელების საკითხისათვის საქართველოში. ქუთ. სახ. პედინსტ. შრომები, ტ. III, 1941.

5. Линдгольм, В. А. Моллюски, собранные Северо-Кавказской гидробиологич. станцией в 1921-23 гг. Работы Сев.-Кавк. гидробиол. станции при Горском С.-Х. институте, т. I, в. 1, 1925.

6. Retowski, O. Liste der von mir auf meiner Reise von Konstantinopel nach Batum gesammelten Binnenmollusken. Bericht über die Senckenberg. Naturforsch. Ges., 1899.

7. Retowski, O. Materialen zur Kenntnis der Molluskenfauna des Kaukasus. Изв. Кавк. Муз., т. VI, в. 4, 1914.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

ლევან მარუაშვილი

წალკის ძვაბულის გეომორფოლოგიისათვის

შესავალი

წალკა ეწოდება ქვემო ქართლის ნაწილს, რომელსაც მდ. ქციას (ხრამის) ზემო წელის აუზი უკავია. ძველად ამ რაიონს თრიალეთი ეწოდებოდა (1, 2, 3, 4); აქედან XIX საუკუნეში წარმოსდგა თრიალეთის ქედის სახელწოდება.

წალკა ანუ თრიალეთი ამ სახელწოდების გეოგრაფიული გაგებით ზუსტად არ შეესაბამება წალკის რაიონის თანამედროვე საადმინისტრაციო ცნებას. თუ წალკად ნაგულისხმევი გვექნება მდ. ქციას აუზის ის ნაწილი, რომელიც ხრამჰესის საგენერატორო სადგურის ზემოთ მდებარეობს, მაშინ ამგვარად განსაზღვრული რაიონის გარეთ დარჩება წალკის საადმინისტრაციო რაიონის სამხრეთი ნაწილი (მდ. ჭობიანის აუზი), ხოლო დასაელეთით საადმინისტრაციო რაიონის ტერიტორიას დაემატება მდ. ქციას სათაეების რაიონი, რომელიც ბორჯომის რაიონს ეკუთვნის.

წინამდებარე ნარკვევში წალკას სახელწოდებით ნაგულისხმევი გვაქვს სივრცე, რომლის დრენირებასაც აწარმოებს მდ. ქციას ზემო წელი ხრამჰესის საგენერატორო სადგურამდე.

აღნიშნული სივრცე („გეოგრაფიული წალკა") ჩრდილოეთიდან შემოუარგლულია თრიალეთის ქედის შუა ნაწილით მ. ცხრაწყაროდან მ. კლდეკარამდე. ეს საზღვარი წალკის დანარჩენ საზღვრებზე უფრო მკვეთრად არის რელიეფში გამოხატული. წალკას დანარჩენი საზღვარი შეიძლება პირობითად დადგენილი იქნეს იმ წყალგამყოფი ხაზის მიხედვით, რომელიც გამოჰყოფს მდ. ქციას ზემო წელის აუზს ტბა ტაბისყურის, ტბა ფარავნისა და მდ. მდ. ჭობიანისა და ალგეთის აუზებისაგან. ეს წყალგამყოფი ხაზი მმ. სამსარისა და დალი-დალის მწვერვალებზე გადის. იქ, სადაც წყალგამყოფი სამსრის ქედისა და ქაჩაღორის თხემებს გასდევს, მისი მდებარეობა ადვილი დასადგენია, მაგრამ მმ. სამსარსა და დალი-დალს შორის მდებარე პლატოზე და აგრეთვე თიქმა-თაშის ზეკარის

ფართო უნაგირაზე წყალგამყოფი გაურკვევლად არის გამოხატული. ასევე ძნელი გამოსარკვევია წალკის ჰიდროგრაფიული საზღვარი სამხრეთით (როზენბერგის პლატოს რაიონში) და ნაწილობრივ აღმოსავლეთითაც (ლაკჯისა და ბედენის მაღლობების რაიონში).

აღწერილ საზღვრებში მოქცეულ რაიონს გეგმაზე საკმაოდ რთული მოყვანილობა აქვს. შეიძლება გავარჩიოთ: ა) წალკის ძირითადი ნაწილი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაახლოებით 50 კმ მანძილზე ვრცელდება, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მაქსიმალურად 23 კმ-ზე და ბ) მდ. ქციას ზემო წელის გასწვრივი ხეობა, რომლის სიგრძე 30 კმ აღწევს. სიგანე კი მხოლოდ 2-5 კმ.

ბუნებრივი ლანდშაფტის საერთო იერის მიხედვით წალკა ამიერკავკასიის ზეგანის ნაწილს შეადგენს. ეს მაღლობი რაიონი დახასიათდება საკმაოდ ცივი კონტინენტური ჰავით და თითქმის მოკლებულია ხე-მცენარეულობას. მისი ქვედა ზონა ძირითადად შავმიწიან ველებს უკავია, ხოლო ზედა ზონა ალპურ მდელოებს.

ტრაღიკული იყო საქართველოს ამ კუთხის ისტორიული ღრმა. ოდესღაც აქ მჭიდროდ ესახლნენ ქართველნი, რომელთა სოფლების მდებარეობასა და სახელწოდებებს ამომწურავად გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონის რუკები. წალკასთან ანუ თრიალეთთან დაკავშირებულია ჩვენი წარსულის მრავალი მოვლენა და ბევრი ცნობილი სახელი. აქ იყო ორბელიანთა გვარის ერისთავ-ერისთავების, რამდენიმე ლიპარიტის სამფლობელო და რეზიდენცია. აქ, ბოჟანოს (ახლანდელი ნარდევანის) წყაროების მიდამოებში, ხშირად იბანაკებდენ დასასვენებლად ან მტრის დასახვედრად მოსული ქართველი მეფეები. XVIII საუკ. მეორე ნახევარში მტერთაგან აკლებული თრიალეთი თითქმის დაიცალა: ქართველი მოსახლეობა განადგურდა ან გადაიხვეწა საქართველოს სხვა რაიონებში და, როდესაც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლება დამყარდა, რაიონი უკაცრიელი იყო. შემდეგში აქ დაბინავდენ მეფის მთავრობის მიერ ჩამოსახლებული ბერძნები, თათრები და სომხები, რომელთა მიწური სახლების შორის დღემდე წარსულის მოწმეებად დარჩენილან ქართული ეკლესია-ტაძრების დიადი ნანგრევები. ერთადერთ სოფელს წალკაში, რომელმაც ქართველი მოსახლეობა შეინარჩუნა, რეხა წარმოადგენს.

წალკის ანუ თრიალეთის აღწერილობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობაში“, რომელიც იმავე მკვლევარის რუკებთან ერთად

VI-ის „დასტურლამალიან“ და ვახუშტის მიერ გივი თუმანიშვილის თანამშრომლობით შედგენილ ქვემო ქართლის სტატისტიკურ აღწერასთან ერთად უხვ მასალას იძლევა რაიონის ძველი (ქართული) ტოპონიმიკის აღსადგენად.

XIX საუკუნეში წალკის გეოლოგიური შესწავლა-აღწერა ჰერმან აბიხმა და გიორგი წულუკიძემ აწარმოეს, რომელთა შრომებმა შეჰქმნეს პირველი წარმოდგენა რაიონის აგებულებასა და რელიეფზე. კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიული შტაბის რუკებიან ერთად, ზემოხსენებული გეოლოგების ნაშრომები დაახლოებით 1930 წლამდე ერთადერთ წყაროებს წარმოადგენდნენ, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა წალკის გეომორფოლოგიური თავისებების შესახებ მსჯელობა.

საბჭოთა პერიოდში წალკა, ხრამჰესის მშენებლობის გეგმასთან დაკავშირებით, საკმაოდ დეტალური და სისტემატური კვლევის ობიექტი ხდება. რაიონის გეომორფოლოგიური აღწერის მასალას შეიცავენ ილინის, ს. კუზმინის, ჟელტოვის, ბ. კლოპოტოვსკის ნაშრომები, რომელთა ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია, ნაწილი კი სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა არქივებში ინახება. წალკის სპეციალური გეომორფოლოგიური კვლევა 1945 წლამდე არ ჩატარებულა.

1945 წ. ზაფხულში ჩვენ საშუალება მოგვეცა გვეწარმოებინა გეომორფოლოგიური კვლევა საქართველოს სამხრეთ რაიონებში და მათ შორის წალკაშიც. წალკის გეომორფოლოგიური დახასიათების ცდა, რომელსაც ქვემოთ ვიძლევით, უმთავრესად 1945 წ. დაკვირვებებზე არის დამყარებული.

გეომორფოლოგიური მიმოხილვა

გამოქვეყნებულ აღწერილობებში (8, 9, 11) წალკა პლატოდ არის აღიარებული. ჩვენ უფრო ზუსტად მიგვაჩნია ვუწოდოთ განსახილველ რაიონს არა პლატო, არამედ ქვაბული, ვინაიდან ზოგადად აღებული წალკა თავისი მოყვანილობით მაკრორელიეფის უარყოფით ფორმას წარმოადგენს. მისი ცენტრალური დაბალი ნაწილი ყოველის მხრიდან ამაღლებული პერიფერიული ნაწილებით არის შემოზღუდული.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით წალკის ქვაბული შეიძლება დაყოფილი იქნეს ოთხ ძირითად ნაწილად:

I. წალკის ქვაბულის ჩრდილო ზოლი უკავია **თრიალეთის ქედის** შუა ნაწილის სამხრეთ ფერდობს, რომელიც აგებულია ეოცენის ინტენსიურად დანაოჭებული ვულკანოგენური წყებით და (უმნიშვნელოდ) ზედა ცარცის კირქვებითა და პალეოგენური ფლიშით; წალკის ეს ნაწილი მთიანი და ბორცვიანი ეროზიული რელიეფით დახასიათდება; იგი დანაწევრებულია მდ. ქციას მარცხენა შენაკადებით და გეომორფოლოგიურად აჭარა-თრიალეთის სისტემას ეკუთვნის.

II. **თრიალეთისძირა ზოლი** წარმოადგენს შედარებით მცირე აბსოლუტური სიმაღლის (1600-1800 მ) მქრქე ზოლს, რომლის ფარგლებშიც თრიალეთის ქედის ზემოხსენებული გეოლოგიური ფორმაციები მეტწილად ფხვიერი კონტინენტური ნალექებით არის დაფარული.

III. წალკის ქვაბულის უდაბლესი **ცენტრალური ნაწილი** აგებულია ახალი ლავებითა და კონტინენტური ნალექებით და იყოფა რამდენიმე მეორეხარისხოვან ქვაბულად, რომელთა შორისაც ამართულია დაბალი სერები.

IV. წალკის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილები უკავიათ **ჭაჩალ-გორისა** (Мокрые горы) და **ს მსრის ქედებს** ჩრდილო ნაწილების კალთებს. ისინი აგებულია მხოლოდ ეფუზიური ქანებით.

ადვილი შესამჩნევია, რომ წალკის ქვაბულის ძირითადი გეომორფოლოგიური ნაწილებიდან, რომლებიც ახლახან იქნა ჩამოთვლილი, პირველი და უკანასკნელი ნაწილები ეკუთვნიან სამხრეთ საქართველოს სამ მნიშვნელოვან ოროგრაფიულ ერთეულს (აჭარა-თრიალეთის სისტემას სამსრის ქედსა და ჭაჩალ-გორას), რომელთა უმეტესი სიერცე წალკის ქვაბულის ფარგლებს გარეშეა. ამ ნაწილებისაგან განსხვავებით, წალკის დანარჩენი ორი ნაწილი (თრიალეთისძირა ზოლი და ცენტრალური დაბლობი) მთლიანად ჩვენი რაიონის ფარგლებშია მოქცეული. წალკის გეომორფოლოგიური თავისებურების გაგებისათვის მთავარი მნიშვნელობა სწორედ ამ ორი უკანასკნელი ნაწილის განხილვას აქვს. ამიტომ წინამდებარე ნარკვევში წალკის განაპირა ნაწილები, რომლებიც წარმოდგენილია თრიალეთის ქედის, სამსრის ქედისა და ჭაჩალგორის ფერდობებით, ჩვენ მოკლედ გვიქნება დახასიათებული, ხოლო დანარჩენ ორ შუა ნაწილს მთავარ ადგილს დაეუთმობთ.

თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობი მმ. ცხრაწყაროსა და კლდეკარს შორის, როგორც ითქვა, ძირითადად ეოცენური ვულკანოგენური წყებით არის აგებული. ამ წყებაში გაბატონებული

პორფირიტები და მასივი პორფირიტული ტუფობრექჩიები, რომლებიც დიდი დენუდაციური სიმტკიცის მქონე ქანები, თრიალეთის ქედის ამ ნაწილს კლდოვან ხასიათს უქმნიან. მმ. ჯამჯამასა (2430 მ.) და კლდეკარის (1965 მ.) დაკბილული კლდოვანი თხემები სწორედ ამ ქანებით არის აგებული. მნიშვნელოვანი კლდოვანობა ახასიათებს მ. არჯევანის (2763 მ.) სამხრეთ კალთებსაც, რომლებიც წალკას გადმოჰყურებენ. მხოლოდ არჯევანის აღმოსავლეთ მწვერვალსა და მ. კლდეკარს შორის, სადაც თრიალეთის ქედი ზედა ცარცის კირქვებით არის აგებული და აგრეთვე მ. კლდეკარის სამხრეთით, ქ. ქია-ალგეთის წყალგამყოფზე ამართული ლაკვის მთის რაიონში, სადაც პალეოგენის ლითოკლასტიური ფლიშია განვითარებული, რელიეფი უფრო შერბილებული ფორმებით დახასიათდება.

თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობის განსახილველ ნაწილში სათავეს ღებულობენ მდ. ქციას მარცხენა შემდინარეები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია მდ. მდ. კუსრეთის-წყალი (Кусрети), გუმბაათის-წყალი და მდ. ქორსუს განშტოებული სისტემა. ყველა ეს შემდინარეები მოედინებიან ეროზიულად გამოშუშავებულ ხეობებში, რომლებიც ალაგ-ალაგ ნამდვილ მთის ტიპის ხეობებს წარმოადგენენ.

საშარის ქედისა და ქაჩალგორის კალთები, რომლებსაც წალკის ქვაბულის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილები უკავიათ, წარმოადგენენ ვულკანურ პლატოებს, სუსტად დახრილს წალკის ცენტრალური ნაწილისაკენ და დანაწევრებულს 50-200 მ. სიღრმის ეროზიული ფორმებით. წალკისა და ჯავახეთის საზღვარიან ზემოხსენებული პლატოები დაგვირგვინებულია მაღალი ვულკანური მასივებით — სამსრის ქედი მმ. სამსრით (3285 მ.), შავნაბადით (2929 მ.) და ბებერ-გორით (2513 მ.), ხოლო ქაჩალგორა მმ. დალი-დალით (2630 მ.) და ყოიუნდალით (2420 მ.). აღნიშნული მასივები ორ მერიდიანულ ხაზზე არიან გამწკრივებულნი და ჰქმნიან სამსრის ქედისა და ქაჩალგორის თხემებს. მასივების კალთები დანაწევრებულია მდინარული და ყინვარული ეროზიით. მათგან მხოლოდ სამსარსა და შავნაბადის სამხრეთ კონუსს აქვთ მკაფიოდ განვითარებული კრატერი, დანარჩენი მასივები კი მონოგენურ ეფუზიურსა და ექსტრუზიულ კონუსებს წარმოადგენენ და მოკლებულნი არიან კრატერს. ძველი გამყინვარების ნიშნები გამოხატულია 2400-500 მეტრზე მაღლა მდებარე ყინვარული კარებით (მმ. სამსარზე, ყარადაღზე, ყარა-ყუშეთზე). ვულკანური კონუსების კალთები და ძირი

მოფენილია ლავების გაბოფიტვის შედეგად წარმოქმნილი ლოდნარებით, რომელთა შემადგენლობაში ძველი ყინვარების მორენული მასალაც უნდა მონაწილეობდეს.

სამსრის ქედისა და ქაჩალგორის კალთებზე სათავეს ღებულობენ მდ. ქციას მარჯვენა შემდინარეები, რომელთა შორის აღსანიშნავია მდ. მდ. ბურნაშეთი (ეახუშტი „ავლადისხევი“, რომლის სათავეშიც მდებარეობდა „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნული ადგილი „ცივი ანუ მყინვარი“), ნარდევანი, ტაქ-ქილისა და ბუუკდერესი.

თვით მდ. ქციას, რომელიც სათავეს მ. ცხრაწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე ღებულობს, თავდაპირველად (დაახლოებით 3100 მ მანძილზე) მოედინება თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობის გასწვრივ. მისი ხეობა აქ წარმოადგენს კანიონისებური (ვიწრო) და ტაფობისებური (ფართო) მონაკვეთების მორიგეობას. ნარიანის ველი და უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის ირგვლივ მდებარე ვაკე ნატბეურებს წარმოადგენენ, რომელთა ბრტყელ ფსკერს მდინარე მრავალრიცხოვანი მეანდრებით სერავს. სოფ. რეხას მიდამოებში ქცია ჯერ საკმაოდ ვრცელ ქვაბულში მოედინება, შემდეგ ავრანლოს კანიონში შედის და გაივლის რა მას, გამოდის ბეშტაშენის ვრცელი ტაფობის ბრტყელ ფსკერზე. ამ ტაფობის გასწვრივ დინებით ქცია მიაღწევს მის აღმოსავლეთ კიდეს, ჰკვეთს ქორსუს ქედის დაბალ ნაწილს ბარმაქსიზის კანიონით და გადის ბარმაქსიზის ქვაბულში, საიდანაც ტაშბაშის კანიონით ჩადის „ქციის ხრამის“ (1) ღრმა ეროზიულ ხეობაში. ამგვარად, ხრამჰესის საგენერატორო სადგურის ზემოთ მდ. ქცია ჰკვეთს რამდენიმე ქვაბულსა და ტაფობს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ლავებში გამომუშავებული ეროზიული ხრამებით (კანიონებით).

გადავდივართ რა წალკის ქვაბულის ძირითადი გეომორფოლოგიური ნაწილების დახასიათებაზე, საჭიროდ ვცნობთ აღვნიშნოთ, რომ წალკის განსახილველი ორი ნაწილის ერთურთისაგან გამყოფი საზღვარი რელიეფში მკვეთრად არის გამოხატული. თრიალეთის ძირა ზოლი გამოყოფილია წალკის ცენტრალური დადაბლებისაგან ხაზობრივად გაჭიმული დაბალი სერით, რომელსაც ჩვენ **წალკის სერს** ვუწოდებთ და რომელიც გაწოლილია წალკის ქვაბულის გრძელი ღერძის გასწვრივ დაახლოებით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. წალკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სს. თეჯისისა და კარაკომის მიდამოებიდან მოკიდებული, წალკის სერი უწყვეტად ვრცელდება წალკის დასავლეთ ნაწილში მდებარე მ. თავ-

ქვეთილამდე (2585 მ.) და თავის გაგრძელებას პოულობს უფრო იქითაც — ჯავახეთის ფარგლებში. წალკის სერი განსახილველი რაიონის გეომორფოლოგიური აგებულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და დაწვრილებით გვექნება შემდგომ განხილული.

თრიალეთისძირა ზოლი მოქცეულია მის ჩრდილოეთით ამართულ თრიალეთის ქედსა და სამხრეთით გაწოლილ წალკის სერს შორის. რამდენიმე ადგილას თრიალეთის ქედიდან სამხრეთისაკენ გამოწვდილი შტოქედები ებჯინებიან წალკის სერს და ჰყოფენ თრიალეთისძირა ზოლს სამ ძირითად ნაწილად:

1. ქციას ზემო წელის გასწვრივი ხეობა შეადგენს თრიალეთისძირა ზოლის დასავლეთ ნაწილს და ვრცელდება ცხრაწყაროს მიდამოებიდან ავარანლოს კანიონამდე. ქციას ხეობის ამ ნაწილს აქვს რამდენიმე გაფართოებული ნაწილი ქვაბულებისა და ტაფობების ტიპისა, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია **რეხის ქვაბული** ამავე სახელის მქონე ქართული სოფლის მიდამოებში. რეხის ქვაბული შეადგენს ქციას ზემო წელის განსახილველი ხეობის აღმოსავლეთ ბოლოს. ამ ქვაბულის გავლის შემდეგ ქცია უკვე სტოვებს თრიალეთისძირა ზოლს და ავარანლოს კანიონით გადის ზეშტაშენის ტაფობში, რომელიც წალკის ცენტრალურ დადაბლებულ ნაწილს ეკუთვნის. რეხის ქვაბულის ფსკერი წარმოადგენს მდინარული ნალექებით (გათიხნარებული ქვიშებითა და რიყექანით) აგებულ აკუმულაციურ ვაკეს, რომლის სიგრძე მდ. ქციას გასწვრივ 7 კმ უდრის, ხოლო უდიდესი სიგანე 2-3 კმ. ქვაბულის ფსკერის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 1650 მ. ეთანასწორება. უფრო ზემოთ ქციას ხეობას ორგან აქვს გაფართოებული ტაფობისებური ნაწილები: ტაბისყურის ტბის ჩრდილოეთით მდებარეობს **ნარიანის ვაკე** (2060-2080 მ. ზღვის დონიდან), ხოლო უფრო დასავლეთით, ქციის სათავეების მახლობლად, ზღვის დონიდან 2200 მ. სიმაღლეზე იმყოფება მეორე ვაკე, რომელზედაც მოთავსებულია უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეთა ბინები. ორივე ტაფობი ძველად არსებული ტბების ნაშთებს წარმოადგენენ. განსაკუთრებით ტიპიური ამ მხრივ ნარიანის ვაკეა, რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყედ გვეჩვენება.

2. რეხის ქვაბულის აღმოსავლეთით თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთა უშუალოდ მიკრულია წალკის სერზე და ჰქმნის აქ მდ. მდ. ქციასა და თარსონის ბორცვებრივ წყალგამყოფს. ამ წყალგამყოფის აღმოსავლეთით მდებარეობს თრიალეთისძირა ზოლის შუა ნაწილი — მერიდიანულად მიმართული **თარსონის ხეობა**, რო-

მელშიც მოედინება ქციას მარცხენა შემდინარე მდ. თარსონი (ქვემო წელში მდ. გუმბათად წოდებული). თარსონის ხეობის ფსკერი სოფ. თარსონის მიდამოებში ზღვის დონიდან 1750 მ. სიმაღლეზეა. იგი წარმოქმნილია მდინარული აკუმულაციური ტერასებით, რომლებიც სამხრეთისაკენ გუმბათის კანიონის ჩრდილო შესასვლელამდე ვრცელდებიან. გუმბათის კანიონი წარმოადგენს (ისევე, როგორც ავრანლოს კანიონი) ვიწრო ხეობას, რომლის საშუალებითაც მდ. თარსონი სტოვებს თრიალეთისძირა ზოლს და გამოდის ბეშთაშენის ტაფობში.

3. თარსონის ხეობის აღმოსავლეთით, თრიალეთის ქედიდან გამოწვდილი დაბალი შტოქედის გადაღმა, მდებარეობს კაბურის დახრილი ვაკე, რომელიც თრიალეთისძირა ზოლის აღმოსავლეთსა და უკრაინის ნაწილს შეადგენს. აბსოლუტური სიმაღლეები კაბურის ვაკეზე მერყეობენ 7 0-1850 მ. ფარგლებში. კაბურის დახრილი ვაკე ზოგადად წარმოადგენს სიბრტყეს, რომელიც სუსტად არის დაქანებული თრიალეთის ქედის ძირიდან სამხრეთისაკენ, ე. ი. წალკის სერის ჩრდილო ძირისაკენ. ვაკე გაშიშვლებია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 23 კმ მანძილზე, სიგანე მისი 4-5 კმ არის საშუალოდ. მისი რელიეფი ვაკისებურია, მხოლოდ აქა-იქ ტალღობრივ ხასიათს იძენს. კაბურის ვაკის ასეთი რელიეფი აიხსნება მისი აკუმულაციური წარმოშობით: ვაკე წარმოადგენს თრიალეთის ქედიდან ჩამომავალ მცირე მდინარეთა ნალექებს ურთიერთშეკავშირებით წარმოქმნილ ალუვიურ საფარს, აგებულს თიხნარებისა და რიყეჭანებით. ვაკე იწყება მთელი რიგი ნაკადულებით, რომლებიც მას გარდიგარდმო ჰკვეთენ და რომლებიც ქციას მარცხენა შემდინარეების — მდ. მდ. ქორსუსა და გუმბათის სისტემებს ეკუთვნიან.

ამგვარად, თრიალეთისძირა ზოლი წარმოადგენს თრიალეთის ქედსა და წალკის სერს შორის მოქცეულ, წედარებით დადაბლებულ გასწვრივ ზონას, რომელიც შედგენილია რამდენიმე მორფოლოგიური ელემენტისაგან. მის აღმოსავლეთ ნაწილში (კაბურის დახრილ ვაკეზე) გაბატონებულია მდინარულ-აკუმულაციური რელიეფი, ხოლო დასავლეთ ნაწილში ადგილი აქვს აკუმულაციური და ეროზიული რელიეფის კომბინირებას.

თრიალეთისძირა ზოლის სამხრეთით მდებარეობს წალკის ქვაბულის ცენტრალური, ყველაზე დაბალი და ამავე დროს გეომორფოლოგიურად ყველაზე რთული ნაწილი, რომელიც მეორე თანრი-

გის ქვაბულებისა და მათი განყოფი სერების ერთობლიობას წარმოადგენს.

წალკის ცენტრალურ ნაწილში შეიძლება გავარჩიოთ შემდეგი ქვაბულები ანუ ტაფობები: ბეშტაშენის, ქიარაკის, ბარმაქსიზისა და ბაშკოვის. აღნიშნული ქვაბულები ერთმანეთისაგან, აგრეთვე თრიალეთისძირა ზოლისა და როზენბერგის პლატოსაგან გამოყოფილნი არიან ლავებისაგან შემდგარი დაბალი სერებით, სახელდობრ წალკის სერით (იხ. ზემოთ), ბეშტაშენის, ქორსუსა და ტაშბაშის სერებით.

ბეშტაშენის ქვაბული ანუ ტაფობი წალკის მეორე თანრიგის ქვაბულთა შორის ყველაზე ვრცელია. იგი ისაზღვრება: ჩრდილოეთიდან წალკის სერის შუა ნაწილითა და ბეშტაშენის სერით, დასაელეთიდან ხამსირის ქედისა და ქაჩალგორის კალთებით, სამხრეთიდან ქაჩალგორის კალთებითა და ქორსუს სერის დასაელეთი ნაწილით, ხოლო აღმოსაელეთიდან ტაფობი თანათანობით ეწროვდება და ბეშტაშენისა და ქორსუს სერების ურთიერთ—მიახლოვებას ან ერთად ისოლება.

ბეშტაშენის ტაფობის ბრტყელი ფსკერი ზღვის დონიდან 1510-1550 მ სიმაღლეზე მდებარეობს, თვალისაჩინოდ დახრილია აღმოსაელეთისაკენ და გაშიშვლია 27 კმ სიგრძეზე სოფ. ბურნაშეთის მიდამოებიდან სოფ ბეშტაშენის აღმოსაელეთით მდებარე რაიონამდე. მისი საშუალო სიგანე 5 კმ უდრის, ხოლო მაქსიმალური (დასაელეთ ნაწილში) 9 კმ. იგი წარმოადგენს იდეალურ ხიბრტყეს, რომელიც თითქმის ჰორიზონტალურია და უმნიშვნელოდ არის დასერილი ეროზიული ფორმებით (მდ. ქციას, მისი შემდინარეებისა და დროებითი ნაკადულების კალაპოტებით), რომელთა სიღრმე მეტწილად 1-2 მ. არ აღემატება. ტაფობი ირწყვება მდ. ქციათი და მისი შემდინარეებით (მდ. მდ. გუმბათი, ქორსუ, ნარდევანი, ტაქ-ჭილისა). ქცია ბეშტაშენის ტაფობში შემოდის თავისი ზემო გასწვრივი ხეობიდან ავრანლოს კანიონით, ხოლო გადის ტაფობიდან ბარმაქსიზის კანიონით. მდ. მდ. თარსონი (იგივე გუმბათი), ხაჭკოვი და ბეშტაშენ-ჩაი, რომლებიც თრიალეთის ქედიდან ჩამოდიან, ბეშტაშენის ტაფობში შემოდიან, შესაბამისად, გუმბათის, აშყალისა და ბეშტაშენის კანიონებით. ბეშტაშენის ტაფობის ფსკერი თავის ზედაპირულ ნაწილში აგებულია ალუვიური ქვიშებითა და რიყექანებით, რომლებსაც ქვეშ უფენია უფრო ძველი ტბიური ნალექები.

ბეშტაშენის ტაფობის თავისებურ ელემენტს წარმოადგენს **დარაკოვის პლატო**, რომელსაც გეგმაზე თითქმის წრიული მოყვანილობა ახასიათებს. ამ დაბალი პლატოს კიდეებთან მდებარეობენ სს. ქვემო ჯინისი, დარაკოვი და წინწყაროო. თავისი ჩრდილო გეერდით დარაკოვის პლატო მიკრულია წალკის სერის იმ ნაწილზე, რომელიც სს. აშყალასა და სანთას შორის მდებარეობს. დანარჩენი მხრიდან პლატო შემოფარგლულია ბეშტაშენის ტაფობის აკუმულაციური ფსკერით. პლატოს დიამეტრი 5 6 კმ. უდრის. განსახილველი პლატო წარმოადგენს მიზეზს იმისას, რომ ბეშტაშენის ტაფობის ფსკერი თავის შუა ნაწილში (სოფ. ტაქ-ქილისას მერიდიანის დასავლეთით) შევიწროვებულია 2 კმ-მდე. დარაკოვის პლატოს დასავლეთით და აღმოსავლეთით ბეშტაშენის ტაფობის ფსკერი ერთბაშად ფართოვდება. დარაკოვის პლატოს ზედაპირი ოდნავ ამობურცულია, — იგი თანდათანობით დაბლდება თავის შუა ნაწილში მდებარე უმაღლესი პუნქტიდან (1690 მ. ზღვის დონიდან) კიდეებისაკენ და თავდება ციცაბო ფერდობით, რომლის შეფარდებითი სიმაღლე ბეშტაშენის ტაფობის ფსკერიდან უდრის 40-50 მ. პლატო თავისი საერთო მოყვანილობით რგვალ ფარს მიემსგავსება. დარაკოვის პლატო აგებულია ალუვიური რიყექანების, ქვიშების, თიხნარებისა და თიხების სქელი წყებით, რომელსაც ახასიათებს ტიპიური ირიბი შრეობრივობა. შრეების დაქანება მიმართულია პერიკლინურად პლატოს შუა ნაწილიდან მისი კიდეებისაკენ. პლატოს განაპირა ნაწილები სს. დარაკოვისა და წინწყაროს მიდამოებში დასერილია რადიალურად განლაგებული, ჩვეულებრივად მუდმივ წყალნაკადს მოკლებული, ხევ-ხრამებით, რომლებსაც ახასიათებს ფლატიანი ციცაბო კედლები და რიყექვით მოფენილი ფსკერი. ფლატეების სიმაღლე ალაგ-ალაგ 20-30 მ აღწევს. აღნიშნული ეროზიული ფორმების ქსელის სიხშირის გამო, ზოგან წარმოქმნილია ხრამების ლაბირინტი და „Bad land"-ის ტიპის ლანდშაფტი. ამგვარ ადგილებში ფხვიერი კონტინენტური წყება დაყოფილია ფხასავით თხელ სერებად, წვეტიან პირამიდებად და მაგიდისებურ ნაწილებად. რიყექანების პეტროგრაფიული შემადგენლობა დახასიათდება ეოცენური ფორმაციის პორფირიტის ნატეხების სიჭარბით და მოწმობს იმას, რომ პლატო აგებულია თრიალეთის ქედიდან მდინარეების მიერ ჩამოტანილი მასალით. ეს შეიძლება მომხდარიყო მანამდე, სანამ გაჩნდებოდა თანამედროვე წალკის სერი. ამ უკანასკნელის გაჩენასთან ერთდროულად, ზემოხსენებული კონტინენტური წყება მის ქვეშ მდებარე უფრო ძველ ქანებთან

ერთად, ტექტონიკური პროცესების ზეგავლენით ამოწეული და ოდნავ გაღუნულ ბრაქიანტიკლინურ ნაოჭად დეფორმირებული იქნა. ამგვარად, დარაკოვის პლატოს საერთო მორფოლოგიური ხასიათი, ჩვენი აზრით, ტექტონიკური წარმოშობის მქონეა. ამის საფუძველზე, პლატოს ამგები ფხვიერი წყება შეიძლება პლიოცენურად (უფრო საფიქრებელია ზედა-პლიოცენურად) იქნეს დათარიღებული.

ქიარაკის ტაფობი მდებარეობს ბეშტაშენის ტაფობის აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილოეთით და მოქცეულია წალკისა და ბეშტაშენის სერებს შორის. მისი ფსკერი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 10 კმ სიგრძეზეა გაჭიმული, მაქსიმალური სიგანე კი 4 კმ უდრის. ტაფობის ფსკერის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვსებულია ტბიური და მდინარული ნალექებით და წარმოადგენს ისეთსავე ბრტყელ ვაკეს, როგორიც ბეშტაშენის ტაფობისათვის იყო აღნიშნული. ქიარაკის ტაფობის ფსკერის ყველაზე დაბალი სამხრეთი ნაწილი (სოფ. საფარ-ხარაბასთან) მდებარეობს 1560 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ხოლო ფსკერის ამაღლებული ჩრდილო ნაწილების აბსოლუტური სიმაღლე 1600-1650 მ აღწევს. ტაფობს რწყავენ მდ. მდ. ჩილჩილი, ქიარაკი და ბაშკოვ-სუ, რომლებიც შემოდიან მასში დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. მდ. ქიარაკი შემოდის კაბურის დახრილი ვაკიდან, წალკის სერში გაჭრილი ქიარაკის კანიონით. ზემოხსენებული მდინარეები გამოდიან ქიარაკის ტაფობიდან სამხრეთისაკენ ორი ურთიერთ.პარალელური და ახლოს მდებარე კანიონით (ბეშტაშენის კანიონებით), რომლებიც ჰკვეთენ ბეშტაშენის სერს. შემდეგ მდინარეები ერთდებიან და ჰქმნიან მდ. ბეშტაშენ-ჩაის (მდ. ქორსუს მარჯვენა შემდინარეს).

ბარმაქსიზის ქვაბული შემოფარგლულია ქორსუსა და ტაშბაშის სერებით და ქაჩალგორის ჩრდილო ნაწილის კალთებით. ამ ქვაბულის ფსკერის ფართობი 1 კმ² არ აღემატება. მისი აბსოლუტური სიმაღლე (მდ. ქციას დონე) 1480-1500 მ. უდრის. ქვაბულის ფსკერზე მდებარეობს რაიონული ცენტრის — სოფ. წალკას (ყოფ. ბარმაქსიზის ანუ ეძანის) დაბალი ნაწილი. ქვაბულს ჰკვეთს მდ. ქცია, რომელიც შემოდის ბარმაქსიზის კანიონით და გადის ტაშბაშის კანიონით. ბარმაქსიზის ქვაბულის ფსკერი თავის ზედაპირულ ფენში ალუვიური ქვიშებითა და წვრილი რიყექანით არის აგებული, რომელთა ქვეშ დასაშვებია ტბიური ნალექების არსებობა.

ბაშკოვის ქვაბული მდებარეობს ბეშტაშენისა და ჭორსუს ქედების აღმოსავლეთ ბოლოებს შორის. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ბაშკოვის ტბას (1612 მ. ზღვის დონიდან). ტბას ირგვლივ არტყია ტბიურ-აკუმულაციური ვაკე ზოლი, რომლის სიგანე 0,1-0,4 კმ უდრის. ტბის წყალი გაედინება დასავლეთის მიმართულებით მდ. ბაშკოვისაკენ.

წალკის ყველა ზემოჩამოთვლილი ქვაბულებისა და ტაფობების წარმოშობა დაკავშირებულია ქვემოთაღწერილი ლავის სერების გენეზისთან და ამიტომ გაშორკვეული იქნება ამ უკანასკნელთა გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თავისებურობების განხილვის შემდეგ.

წალკის, ბეშტაშენის, ტაშბაშისა და ჭორსუს სერები, რომლებიც განაპირობებენ წალკის ქვაბულის დანაწილებას მეორე თანრიგის ქვაბულებად, წარმოადგენენ ფუძე ლავებით აგებულ, სუსტად დანაწევრებულსა და ხაზოვრივად გაჭიმულ მაღლობებს, რომელნიც თავიანთი შეფარდებითი სიმაღლის მიხედვით (50-200 მ.) არ სცილდებიან ბორცვიანი რელიეფისათვის დადგენილ ზღვრულ სიდიდეს. სერების ფერდობთა დახრილობა საშუალოდ 10-15° უდრის, ზოგან კი მატულობს 30-40°-მდე. სერების სიგანე ცვალებადობს 0,5-4 კმ ფარგლებში. მათი თხემები ითქმის არსად დახასიათდებიან სივიწროვე-სიმახვილით; ძირითადად მათ ფართოდ გადარგვალებული განივი პროფილი აქვთ, ხოლო მათი გასწვრივი პროფილი უმნიშვნელო უსწორ-მასწორობებით განირჩევა. სერების გეოლოგიურ აგებულებაში მთავარი მნიშვნელობა აქვთ ბაზალტისა და ანდეზიტ-ბაზალტის ტიპის ლავებს, რომლებთანაც ერთად გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ასაკისა და შემადგენლობის ნალექი წყებები.

წალკის სერი, რომელიც გაძოჰყოფს თრიალეთისძირა ზოლს ბეშტაშენისა და ქიარაკის ტაფობებისაგან, აღმოსავლეთით სს. თუკისისა და კარაკომის მიდამოებში იწყება წალკის ქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და აქედან მიმართება დასავლეთისაკენ მ. თავკვეთილის მიმართულებით. იგი გაივლის იმ ხაზის ჩრდილოეთით, რომელიც აერთებს სს. კარაკომს, ქიარაკს, სანთას, ამშვალას, გუმბათს, ავრახლოს, ყიზილ-ქილისას და ყიზილ-ქილისა იაილას. სერის სიგრძე სოფ. კარაკომიდან მ. თავკვეთილამდე 40 კმ უდრის. უფრო დასავლეთით, ნაწიანის ვაკის იქით, წალკის სერის გაგრძელებას წარმოადგენს მაღლობი, რომელიც ტაბისყურის ტბის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებს გასდევს და რომელზეც მდებარეობენ მმ. შუანა-მთა (2357 მ.), მშრალ-მთა (2483 მ.) და

სხ. საკუთრივ წალკის სერის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს ძირითადად 1700-1900 მ. შორის, ხოლო მისი შეფარდებითი სიმაღლე ბეშტაშენ-ჭიარაკის ვაკეებიდან და თრიალეთისძირა ზოლის ზედაპირიდან უდრის 50-200 მ.

ბეშტაშენის სერი გამოეყოფა წალკის სერის შუა ნაწილს და მიემართება ჯერ აღმოსავლეთით, შემდეგ კი ჩრდილო-აღმოსავლეთით 18 კმ მანძილზე და თავდება სოფ. ლივადთან წალკის ქვაბულის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში.

ჭორსუს სერი იწყება სოფ. ბარმაქსიზის მიდამოებში ხრამჰესის სათაოესთან და მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ბაშკოვის ტბის მერიდიანზე ეს სერი ორად იტოტება: ჩრდილო შტო ინარჩუნებს სერის საერთო მიმართულებას და სამხრეთიდან დასცქერის ხსენებულ ტბას, ხოლო სამხრეთი შტო ბედენის ქედის სახით მიემართება აღმოსავლეთისაკენ.

ტაშბაშის სერი აღმართულია სს. ბარმაქსიზსა და ტაშბაშს შორის, ტაშბაშის კანიონის ზემო ნაწილის მარჯვენა მხარეზე. მისი სიგრძე 2 კმ უდრის; მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

წალკის ქვაბულის სერების აგებულება და წარმოშობა

ფუძე ლავებით აგებული დაბალი ქედები ანუ სერები, რომლებიც ახლახან იქნა ჩამოთვლილი, წალკის ქვაბულის გეომორფოლოგიური აგებულების ფრიად საყურადღებო ელემენტებს წარმოადგენენ, რამდენადაც სწორედ ისინი იძლევიან წალკის რელიეფის გენეზისის გამოსაცნობ გასაღებს. წალკის ცენტრალური ნაწილის გეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც ქვაბულებსა და ტაფობებში ახალგაზრდა კონტინენტური ნალექებით არის შენიღბული, განსახილველ ოროგრაფიულ ელემენტებში (ლავის სერებში), ეროზიის მეოხებით, დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომია.

აღნიშნული სერები უმთავრესად ეფუზიური ქანებით არის აგებული: ეს გარემოება უკარნახებდა წალკის მკვლევარებს (ვ. ბოგაჩევს, ს. კუზნეცოვს, ს. კუზმინს, გ. წულუკიძეს და სხვებს) გაეზიარებინათ ეს მაღლობები, როგორც ვულკანური წარმონაქმნები. სერების წარმოშობის ძირითად ფაქტორად სთვლიდენ ვულკანური მასალის (ძირითადად ლავების) აკუმულაციას. ზოგიერთი ავტორი შესაძლებლად სთვლიდა ეცნო აღნიშნული მაღლობები ფუძე ლავების ამონთხევის ადგილებად და ეძებნა აქ ამონთხევის ცენტრე-

ბის აღმნიშვნელი ვულკანური კონუსები (8, 9). ამიტომაც გაჭირველი არ არის, რომ წარმოდგენა წალკის ქვაბულის სერებზე, როგორც ვულკანური რელიეფის ფორმებზე, ლიტერატურაში განმტკიცდა.

ამავე დროს, წალკის ქვაბულის ცენტრალური ნაწილის ზემოაღნიშნული სერების აგებულება და მორფოლოგია ეწინააღმდეგება სერების ამგვარ გაგებას და გვიკარნახებს ვეძიოთ მათი წარმოშობის სხვა ახსნა

განსახილველი მაღლობების მიჩნევას ეფუზიური მასალის დაგროვებით ადგილზევე წარმოქმნილ ვულკანურ ფორმებად არ ეთანხმება მთელი რიგი ფაქტები უწინარეს ყოვლისა, აქ არსად მოჩანს ლავის ამონთხევის ცენტრები არც ვულკანურ ნაგებობათა (კონუსების, კრატერების) და არც ეროზიის მიერ გაშიშვლებული ვულკანური ფესვების სახით.

წალკის ქვაბულის სერების აღიარებას ვულკანური რელიეფის ფორმებად ეწინააღმდეგება ისიც, რომ ხსენებული მაღლობების ფერდობთა დახრილობის კუთხე მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიოში ცნობილი, ფუძე ლავებით აგებული ვულკანური ფორმების ზედაპირის ზღვრულ დახრილობებს.

წალკის ქვაბულის სერების ფერდობთა საციცაბოვე შეიძლებოდა აგეგხსნა ლავისქვეშა რელიეფის სასიათით, ან კიდევ სერების მეორადი ეგზოგენური გაფორმებით (მაგალითად, ეროზიის შედეგად), ამგვარი მოსაზრება რომ პოულობდეს ნიადაგს ადგილზე არსებულ ფაქტებში. მაგრამ სინამდვილეში ასეთი ახსნა გარდაულახველ წინააღმდეგობას ხვდება. იმისათვის, რომ განსახილველი სერების საციცაბოვე ლავისქვეშა რელიეფის შედეგად ვცნოთ, ძალებულნი ვიქნებით ვივარაუდოთ, რომ 1) ან ლავის ღვარები თავისი გავრცელების დროს გადაედინებოდენ ქედებზე მათს ცალ მხარეზე ასვლით და მეორე მხარეზე ჩასვლით, ისე, რომ გაცივების შემდეგ ლავის საფარმა მიიღო მის ქვეშ დამარხული მაღლობის ფორმა ან 2) ლავის ამოღვრა სწარმოებდა უკვე არსებული ქედის თხემის გასწვრივ და ამოღვრილი ლავა ჩამოედინებოდა ორივე ფერდობზე ქედის მთელ სიგრძეზე. ორივე ვარიანტი პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც ამგვარი დაშვება უარყოფილი უნდა იქნას.

თუ ვიფიქრებთ, რომ წალკის ქვაბულის სერების თანამედროვე რელიეფი ეროზიის მიერ არის წარმოქმნილი, მაშინ გაუგებარი იქნება ხსენებული ოროგრაფიული ელემენტების საკმაოდ თანაბარი სიმაღლე და მათი უმნიშვნელო დანაწევრება. თუ არ ჩავთვლით

მცირერიცხოვან გამკვეთ ხეობებს, რომლებიც თრიალეთის ქედიდან ჩამომავალ მდინარეებს გაუთხრიათ წალკისა და ბეშტაშენის სერებში, აქ სრულებით არ მოიპოვება მნიშვნელოვანი სიდიდის ეროზიული ფორმები, რომლებიც სერების ეროზიული წარმოშობის შემთხვევაში აუცილებლად წარმოიქმნებოდა.

განსახილველი მაღლობების გარეგნული თავისებურებები, აგრიგად, გვაიძულებენ კრიტიკული თვალით შევხედოთ ამ მაღლობების ვულკანური ბუნების ვერსიას. წალკის ქვაბულის ცენტრალური ნაწილის სერების შინაგანი აგებულების შესწავლა საბოლოოდ გვარწმუნებს მათი წარმოშობის შესახებ არსებული შეხედულების მცდარობაში და საშუალებას იძლევა ნაპოვნი იქნას საკითხის სხვა გადაწყვეტა.

განსახილველი მაღლობების გეოლოგიური აგებულება განსაკუთრებით მკაფიოდ და სრულად მოჩანს კანიონისებურ გამკვეთ ხეობებში, რომლებიც ჰკვეთენ წალკის სერს სს. ავრანლოსთან, გუმბათთან, აშყალასთან და ქიარაკთან.

ზემოჩამოთვლილ ოთხ კანიონში ეროზიის მიერ გაშიშვლებული გეოლოგიური პრილების შესწავლის საფუძველზე, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ წალკის სერი ტექტონიკურად წარმოშობილ მაღლობს წარმოადგენს და ზოგადად შეესაბამება თრიალეთის სისტემის ერთ-ერთ ანტიკლინურ ნაოჭს, რომლის აგებულებაშიც ეოცენურ ვულკანოგენურ ფლიშთან ერთად მონაწილეობენ ნეოგენური ლავები და მათთან დაკავშირებული ფხვიერი კონტინენტური წყებები. ქვემოთ მოგვყავს ამ დებულების დამსაბუთებელი ფაქტობრივი მასალა.

წალკის სერის გამკვეთი ხეობები წარმოადგენენ კანიონის ტიპის მოკლე გარდიგარდმო ხეობებს, რომლებიც ატარებენ მდინარეებს თრიალეთისძირა ზოლიდან ბეშტაშენისა და ქიარაკის ტაფობებისაკენ.

ოთხთა შორის ყველაზე დასავლეთით მდებარე **ავრანლოს კანიონი** გამომუშავებულია მდ. ქციას მიერ იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე რეხის ქვაბულიდან გზას იკვლევს ბეშტაშენის ტაფობისაკენ. კანიონის სიგრძე თითქმის 2 კმ უდრის, ხოლო სიღრმე 40-50 მ. კანიონი ჩაჭრილია წალკის სერის გარდიგარდმო მიმართული ძველი მდინარული ხეობის ფართო და ბრტყელ ფსკერში. ეს ძველი ხეობა შორიდან მზერისას წალკის სერის ერცელი უნაგირას სახით გამოიყურება. გამკვეთი ხეობის საერთო სიღრმე (ძველი ხეობისა და მის ფსკერში ჩაჭრილი კანიონის ჩათვლით) 150 მ. აღწევს.

კანიონის სამხრეთ ბოლოსთან მდებარეობს სოფ. ავრანლო. ამ სოფლის დასაწყისთ კიდესთან მდ. ქციაზე გადებულ ხიდთან, კანიონის ბოლოს მარჯვენა მხარეზე ლავის ფენები მნიშვნელოვან სამხრეთულ დახრილობას იჩენენ, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ხიდის პირისპირ გამოკვეთილი მღვიმეების მიდამოებში. გავემართებით რა აქეთან კანიონით ჩრდილოეთისაკენ (მდ. ქციას დინების აღმა), ჩვენ თავდაპირველად ვერ ვხედავთ ლავის დახრილ ფენებს და, საერთოდ გეოლოგიური გამოშვერებანი არ იძლევიან საკმარის წარმოდგენას წვალკის სერის აგებულებაზე, მაგრამ უფრო იქით — კანიონის ჩრდილო (ზემო) ნაწილში, სადაც კანიონში აღმოსავლეთიდან შემოდის ავრანლო-რეხის საავტომობილო გზა, ხელოვნური ჭრილები ამ გზის გასწვრივ (კანიონის მარცხენა ფერდობზე) აშიშვლებენ ანტიკლინურ ნაოჭს. აქ ლავის ქვეშ მდებარეობს ფხვიერი კონტინენტური ნალექების წყება — ქვიშები, რიყექანები და თიხნარები, ნათლად გამოხატული შრეობრიეობის მქონე. ამ ქანებში ნაპოვნი იქნა მტკნარი წყლის მოლუსკების ნიჟარები და ხერხემლიანთა ძვლების ფრაგმენტები. რიყექანები შესდგებიან უმთავრესად პორფირიტის ნატეხებისაგან, რომლებთან ერთადაც არის ავრეთვე ცისფერი ტუფისა და სხვა ტუფოგენური ქანების მასალა. მთელი ეს მასალა ჩამოტანილია მდინარეთა მიერ თრიალეთის ქედიდან, რომელიც მდ. ქციას ზემო წელის აუზის ფარგლებში ძირითადად ეოცენური ვულკანოგენური (პორფირიტულ-ტუფოგენური) წყებით არის აგებული.

დასაწყისში (აერანლოდან სოფ. რეხას მიმართულებით სვლისას) ხსენებული წყებების შრეები 50-75°-ით სამხრეთისაკენ არის დახრილი. შემდეგ (კანიონის ჩრდილო ბოლოსაკენ), რიყექანებში შრეების დახრილობა მცირდება, უფრო იქით შრეები დახრილია უკვე ჩრდილოეთისაკენ 10-20°-ით (ანტიკლინის ჩრდილო ფრთა). ფხვიერი წყების თავზე მდებარე ლავის საფარიც ანალოგიურად არის გაღუნული. ანტიკლინის სიგანე 3კ0 მეტრს უდრის. ნაოჭის გულში მოჩანს უფრო ძველი ნალექი ქანები, რომლებიც აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინის ეოცენურ ფორმაციას ეკუთვნიან.

თუ ავრანლოს კანიონს თვალს გადავაგლებთ წვალკის სერის მახლობელი ერთ-ერთი მაღალი პუნქტიდან, ჩვენ შევძლებთ ნათლად წარმოვიდგინოთ აქ არსებული გამკვეთი ხეობის გეომორფოლოგიური აგებულება. როგორც უკვე ნათქვამი იყო, ავრანლოს კანიონი ჩაღრმულია უფრო ძველი და ფართო, ანტეცედენტური ტიპის ხეობის ფსკერში, ამიტომაც კანიონის ორივე მხარეზე, მისი

ციცაბო გვერდების ზევით, დარჩენილია ტერასული საფეხურები, რომლებიც განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული გამკვეთი ხეობის ჩრდილო (ზემო) ნაწილში.

ყურადღებას იპყრობს, რომ ხეობის აღნიშნულ ნაწილში ზემოაღწერილი ანტიკლინური ნაოჭის რაიონში, ძველი ანტეცედენტური ხეობის ფსკერი ამოზნექილია და შექმნილია ამ ხეობის გარდიგარდმო გაწოლილი მომრგვალო სერი, რომელიც თავისი ზომითა და მოყვანილობით საკმაოდ ზუსტად იმეორებს ანტიკლინის კონფიგურაციას. ანტიკლინური ნაოჭი, ცხადია, ძველ გამკვეთ ხეობაზე უფრო გვიან გაჩენილა და წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფსკერის დეფორმაციის მიზეზს. ავრანლოს კანიონი არის მეორადი ანტეცედენტური ხეობა, რომელიც გამომუშავებული იქნა ანტიკლინის წარმოქმნის შემდეგ.

რეხის ქვაბულში, რომელიც ავრანლოს კანიონის ზემოთ მდებარეობს (მდ. ქციას აყოლებით), განვითარებულია აკუმულაციური მდინარული ტერასები, ღორღიანი თიხნარებით აგებული. ეს ტერასები ჰქმნიან ქვაბულის ბრტყელ ფსკერს. ზედა ტერასი უკავშირდება ძველი გამკვეთი ხეობის ფსკერს: ამ ტერასის ზედაპირი თავის გაგრძელებას პოულობს წალკის სერის უნაგირაზე, რომელშიც ჩაჭრილია ავრანლოს კანიონი. აღნიშნულ უნაგირასთან მიახლოვებისას, ტერასის სიბრტყე ზეზოთკენ იწევს და უკულმართ დახრილობას ღებულობს. აქედან ჩვენ დავასკვნით, რომ რეხის ქვაბულის ზედა ტერასი ასაკობრივად ძველი ანტეცედენტური ხეობის თანატოლია და ამ უკანასკნელთან ერთად დისლოცირებული.

გუმბათის კანიონში, რომელიც ავრანლოს კანიონის აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე მდებარეობს, ეროზიას აგრეთვე გაუშიშვლებია წალკის სერის ანტიკლინური სტრუქტურა. გუმბათის კანიონი დაახლოებით ისეთივე სიგრძისაა, როგორც ავრანლოს კანიონი, ხოლო სიღრმე მისი 100 მ. და მეტსაც აღწევს ქედის საღერძე ზონაში. შევალთ რა გუმბათის კანიონში სამხრეთიდან (კანიონის სამხრეთ ბოლოსთან მდებარე სოფ. გუმბათიდან, სოფ. თარსონში მიმავალი ბილიკის მიყოლებით), ჩვენ დავინახავთ რიყექანის სქელი წყების გაშიშვლებებს. შრეები დახრილია 35°-ით სამხრეთისაკენ. რიყექანი შესდგება პორფირიტის, ვულკანური ტუფებისა და ტუფოგენური ქანების ნატეხებისაგან და ალაგ-ალაგ შეიცავს სუსტად შეცემენტებული ქვიშაქვის შრეებს. ჩრდილოეთისაკენ რიყექანის ადგილს იკავებენ თიხები წოლის იმგვარსავე პირობებში, რომელთაც მოსდევს ქვიშებისა და თიხების მორიგე-

ობით შედგენილი, ვერტიკალურად დაყენებული შრეობრივი წყება: ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჩრდილოეთისაკენ ადგილს ჟუმოზს ვერტიკალურადვე დაყენებულ ლავის საფარს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ განსახილველი კანიონის სამხრეთი ბოლოს აღმოსავლეთით, გუმბათ-ხაჩქოვის საავტომობილო გზის გასწვრივ, წალკის სერის სამხრეთ ფერდობზე, რომლის უმეტესი ნაწილი აქ გაშიშვლებულია და დახრილ „ბუმბერაზთა ქვაფენილებს“ წარმოადგენს, შერჩენილია ლავაზე მიწებებული რიყექანის ფრაგმენტები აშკარად სამხრეთისაკენ ციცაბოდ დაქანებული შრეებით. ეს ფრაგმენტები წარმოადგენენ გუმბათის კანიონის სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული რიყექანის წყების გაგრძელებას და აღნიშნავენ წალკის სერის ანტიკლინის სამხრეთ ფრთას, მიპყრობილს ბეშტაშენის ტაფობისაკენ.

განვაგრძობთ რა გუმბათის კანიონის შუა ნაწილიდან ჩრდილოეთისაკენ სვლას მდ. თარსონის დინების აღმა, ჩვენ ლავის საფარისა და ანტიკლინის სამხრეთ ფრთაში განვითარებული ფხვიერი წყების შეხების ადგილიდან 200 მ. მანძილზე შევდივართ ნაოჭის ჩრდილო ფრთაში. ლავა და ახალგაზრდა ფხვიერი ნალექები კანიონში აქ უკვე აღარ მოსჩანს (შეიძლება ისინი ნახული იქნას უფრო მაღლა — ძველ ანტეცედენტურ ხეობაში), ასე რომ ანტიკლინის ჩრდილო ფრთა, ჩრდილოეთისაკენ 15-20°-ით დახრილი შრეებით, შესდგება მესამეული მკვრივად შეცემენტებული ფიქლისებული თიხებისა და მერგელებისაგან. უფრო ჩრდილოეთით, კანიონის ზემო ბოლოსთან, შრეების ჩრდილო დახრილობა მატულობს 45°-მდე.

გუმბათის კანიონი, როგორც ავრანლოს კანიონი, ჩაჭრილია წალკის სერის ფართო ჭუნგირაში, რომელიც ძველ ანტეცედენტურ ხეობას წარმოადგენს. ამ ძველი ხეობის ფსკერი დეფორმირებულია წალკის სერის ანტიკლინის განმეორებითი შეკუმშვის დროს, რის გამოც ამოზნექილია ანტიკლინის ღერძის გასწვრივ. დასახელებული ორი გამკვეთი ხეობა გეომორფოლოგიური აგებულების მხრივ ერთიმეორისაგან იმით განსხვავდება, რომ ავრანლოს კანიონის რაიონში განმეორებითი დისლოკაცია გამოიხატა უფრო ადრე არსებული წალკის სერის ანტიკლინის გართულებით მის ჩრდილო ფრთაში, სადაც წარმოიქმნა დამატებითი მცირე ანტიკლინი და მისი შესატყვისი ამობურცულობა ძველი გამკვეთი ხეობის ფსკერისა; ამავე დროს, გუმბათის კანიონის არეში განმეორებითმა ტექტონიკურმა წნევამ შეკუმშა წალკის სერის ანტიკლინი მთლიანად, რის გამოც ძველი გამკვეთი ხეობის ფსკერის ამოზნექილობა აჭ

გრცელდება სერის მთელ სიგანეზე, ე. ი. კანიონის მთელ სიგრძეზე.

გუმბათის კანიონის აღმოსავლეთით და მისგან 2-3 კმ მანძილზე წალკის სერი გარღვეულია **აშყალის კანიონით**, რომელშიც მოედინება მ. არჯევანიდან ჩამომდინარე მდ. ხაჩკოვი. დასახელებული მდინარე აშყალის კანიონის საშუალებით კაბურის დახრილი ვაკის დასავლეთი ნაწილიდან ბეშ-აშენის ტაფობში გადმოდის, რის შემდეგაც იგი შეერთების მდ. გუმბათს. ამ ბესამე კანიონს უფრო რთული ტექტონიკური აგებულება აქვს, ვიდრე ორ წინაღწერილ კანიონს. აშყალის კანიონში ჰკვეთს ორ ანტიკლინურ ნაოჭს მათ შორის მოქცეული სინკლინურთურთ. წალკის სერის გეოლოგიურ პრილს ამ კანიონის გასწვრივ ჩვენ ალვეწერთ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მდ. ხაჩკოვის დინების დაყოლებით.

კაბურის ვაკის მხრიდან აშყალის კანიონისადმი მიახლოვებისას მდ. ხაჩკოვი თანდათანობით იღრმავებს კალაპოტს და აშიშვლებს თითქმის ჰორიზონტალურად მწოლ მეოთხეულ ტბიურ-მდინარულ წყებას, შემდგარს თიხნარების, ქვიშებისა და რიყექანების შრეებისაგან. ჩვენ მიერ დათვალიერებული გაშიშვლება მდ. ხაჩკოვის მარჯვენა ნაპირზე წარმოადგენს 8 მ. სიმაღლის ფლატეს; მისი ზედა ნაწილი უკავია 3 მ. სისქის რიყექანის შრეს, შემდგარს თრიალეთის ქედის ეოცენური ვულკანოგენური ფორმაციის ნგრევის შედეგად ჩამოტანილი პორფირიტის მსხვილი და საშუალო ნატეხებისაგან. მას ქვეშ უფენია 5 მ. სისქის ფსამიტურ-პელიტური წყება, რომელშიც მორიგეობენ თიხნარები, ქვიშები და თიხები. როგორც რიყექანში, ასევე მის ქვეშ მდებარე შრეებშიც ხერხემლიან ცხოველთა ძვლების ნაშთები გვხვდება. აღწერილი ნალექი წყება წარმოადგენს თრიალეთის ქედის ნგრევით წარმოქმნილ მასალას, დაგროვებულს კაბურის ვაკის სამხრეთ (დაბალ) ნაწილში წალკის სერის ჩამოყალიბების შემდეგ. მას არ განუცდია ან, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოდ განუცდია ტექტონიკური ზეგავლენა; შრეთა შემჩნეული დახრილობანი (5-10°-მდე) შეიძლება აიხსნას თრიალეთისძირა ზოლის ძველი სუბსტრატის პირველადი რელიეფით.

აშყალის კანიონის ჩრდილო შესასვლელთან, ზემოაღწერილი სუსტად შეცემენტებული მეოთხეული ნალექების ქვეშ, ჩნდება უფრო გამკვრივებული ძველი კონტინენტალური ნალექები — კონგლომერატები, ქვიშაქვები და თიხები, რომელთა შრეები 30-40°-იანი კუთხით დახრილია ჩრდილოეთისაკენ და აღნიშნავენ წალკის სერის

ანტიკლინურის ნაოჭის ჩრდილო ფრთის დასაწყისს. ამ ქანებით აგებული ფერდობი ზევით დაგვირგვინებულია ლავის თხელი საფარით, რომელიც დაბალ ქარაფს ჰქმნის.

შევალთ რა კანიონში, ჩვენ მის ჩრდილო ბოლოში ვხედავთ ეოცენური ვულკანოგენური წყების ტუფ-კონგლომერატებს, დახრილს 40°-ით ჩრდილოეთისაკენ. მათ თავზე აწევს ახალგაზრდა რიყექანებისა და თიხნარების შედარებით სუსტად დახრილი შრეები, რომლებსაც თავის მხრივ ზემოდან აფარია ლავა. ამ უკანასკნელის სისქე აქ უკვე შესამჩნევად მომატებულია.

ამყალის კანიონის ჩრდილო ნაწილში ლავის საფარი ჰქმნის ფერდობთა ზედა ქარაფოვან ნაწილს. მის ქვეშ მდებარეობს ზემოაღნიშნული რიყექანების, თიხნარებისა და ქვიშების შრეობრივი წყება, რომელიც აჩენს სხვადასხვა კუთხით დახრილ ფერდობებს. ამ კონტინენტური წყების ქვეშ მდებარე ეოცენური ტუფ-კონგლომერატების ზედაპირი სამხრეთისაკენ ზევით იწევს და აღწევს 20-30 მ. სიმაღლემდე კანიონის ფსკერიდან.

უფრო სამხრეთით ლავის საფარი, რომელიც უკვე ძლიერ გახშელებულია, თანდათანობით სამხრეთულ დახრილობას ღებულობს. ეს იქიდან მოჩანს, რომ ლავის საფარის ქვედა ზედაპირული სიბრტყე სამხრეთისაკენ თანდათან უახლოვდება სამხრეთისკენვე მიმდინარე წყლის დონეს. გარდა ამისა, სამხრეთული დახრილობა (დაახლოებით 20°) აღბეჭდილია ლავის ქვეშ დაფენილ კონგლომერატის, თიხისა და ქვიშის შრეებში. ამ ფხვიერი წყების სისქე 25 მ. უდრის. კონგლომერატი უმთავრესად პორფირიტის ნატეხებისაგან შესდგება. ალაგ-ალაგ ლავის ქვეშ მოსჩანს წითლად გამომწვარი თიხნარი, რომლის შრეებიც სუსტად დახრილია სამხრეთისაკენ.

ამყალის კანიონი თავის შუა ნაწილში ვიწროვდება და კლდეკარის ხასიათს ღებულობს. აქ მისი გვერდები თავიდან ძირამდე ლავითაა აგებული და აჩენს ქარაფებს, რომელთა სიმაღლე 50-70 მ. აღწევს.

კანიონის იმ ნაწილში, რომელიც სინკლინურ ნაოჭშია გამომუშავებული, მდ. ხაჩქოვს მარცხნიდან შეერთვის მცირე ნაკადული, რომელიც ვიწრო კანიონში მოედინება და ზოგან ჩანჩქერებს ჰქმნის.

უფრო სამხრეთით ამყალის კანიონი, ინარჩუნებს რა კლდეკარის ხასიათს, შედის მეორე (სამხრეთი) ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში. ლავის საფარი მის ქვეშ დაფენილ რიყექანისა და ქვიშის შრეებთან ერთად დახრილია კვლავ ჩრდილოეთისაკენ 10 15° ით. ხეობა აქ ძლიერ დაკლაკნილია, მდინარე მრავალრიცხოვან ჭორომებს აჩენს.

უფრო სამხრეთით რიყექანის ადგილს იკავებენ ტბიური, წესიერ და თხელ შრეებად დაფენილი ქვიშები და თიხები, რომელთა წყების ხილული სისქე 25 მ უდრის. აქა იქ ისევ გვხვდება წითლად გამომწვარი თიხნარები და ქვიშები.

კანიონის სამხრეთ ნაწილში, სანამ სოფ. აშყალას მივადგებოდეთ, ლავის საფარების დახრილობა (ნალექი ქანები აქ უკვე ისევ აღარ მოჩანს) ხელახლად სამხრეთული ხდება, რაც აღნიშნავს მეორე ანტიკლინის სამხრეთ ფრთას. დახრილობის კუთხე 25-30° აღწევს, რაც მოსჩანს როგორც ლავის შრეების გამყოფი სიბრტყეების მიხედვით, ისევე ბაზალტის სვეტისებური ნაწევრების მდებარეობის მიხედვითაც.

თუ აშყალის კანიონში გაშიშვლებულ ზემოაღწერილ გეოლოგიურ ჭრილს შევაპირისპირებთ პარალელურ ჭრილებთან გუმბათისა და ქიარაკის კანიონების გასწვრივ და რაიონის ოროგრაფიულ აგებულებასთან, ჩვენ შევძლებთ შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ წალკის სერის და მასთან დაკავშირებული ბეშტაშენის სერის ტექტონიკური აგებულება. გუმბათისა და აშყალის კანიონებს შორის წალკის სერის დასავლეთი ნაწილის ანტიკლინი იტოტება (ვირგაციას განიცდის) და აღმოსავლეთისაკენ გადადის ორ ანტიკლინურ ნაოჭში, რომლებიც ერთიმეორესთან სინკლინური გაღუნულობით არის დაკავშირებული. აშყალის კანიონის რაიონში სინკლინი ჯერ კიდევ ვიწროა და ანტიკლინების ღერძები ერთმანეთთან ახლოს არიან, მაგრამ უფრო აღმოსავლეთით სინკლინი ფართოვდება და ანტიკლინები ერთმანეთს შორდებიან. ჩრდილო ანტიკლინი ჰქმნის წალკის სერის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ სს. თეჯისისა და კარაკომის რაიონამდე; სამხრეთი ანტიკლინი ჰქმნის ბეშტაშენის სერს, რომელიც მიემართება ჯერ აღმოსავლეთისაკენ სოფ. ბეშტაშენამდე, ხოლო შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ — სოფ. ლივადამდე. სოფ. ბეშტაშენის მჭ-რიდიანზე მანძილი ანტიკლინებს შორის 4 კმ აღწევს. წალკისა და ბეშტაშენის ანტიკლინურ ქედებს შორის მოქცეულია ქიარაკის ტაფობი, რომელიც ნაწილობრივ ტბიურ მდინარული ნალექებით ამოესებულ ერცელ სინკლინს წარმოადგენს. ეს სინკლინი დასავლეთისაკენ ვიწროვდება და უერთდება მდ. ჩილჩილის ზემო წელის სინკლინურსავე ხეობას და ტბა უზუნ-გელის გაუდინარ ქვაბულს.

ქიარაკის კანიონის გასწვრივ გაშიშვლებულ ჭრილში ლავის ორი საფარი მათ შორის მოქცეული რიყექანის წყებით და ქვეშ დაფენილი ეოცენური პორფირიტებითა და ტუფოგენებითურთ ჰქმნიან

სამხრეთისაკენ დახრილ მონოკლინს, რომელიც წალკის სერის ანტიკლინის სამხრეთ ფრთას შეესაბამება. ხსენებული კანიონის სამხრეთ ბოლოში, როგორც კი სოფ. ქიარაკიდან მასში შევალთ, მდ. კაბურის ეროზიული მოქმედებით გაშიშვლებულია სუსტად შეკემენტებული რიყექანის შრეობრივი დისლოცირებული წყება, სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 20°-ით დახრილი. რიყექანით აგებულია კანიონის ორივე გვერდის ქვედა ნაწილი. მასზე გადაფარებული ანდეზიტ-ბაზალტი (ლავის ზედა საფარი) დისლოცირებულია სრულიად იმგვარადვე, როგორც ზემოაღნიშნული ნალექი წყება. რიყექანების შემადგენლობაში სჭარბობს პორფირიტი. რიყექანის წყების სისქე 15-20 მ აღწევს.

გაეცნობით რა კანიონში მომდინარე ნაკადულის დინების აღმა — ქიარაკიდან სოფ. ჩიეთქილისაკენ მიმავალი შარაგზის გასწვრივ, შეეთ დახასიათებული ფხვიერი წყების ქვეშ ისევ დისლოცირებულ ლავის საფარს შევხვდებით (ქვედა ბაზალტური საფარი). ლავის სვეტები მკვეთრად გადახრილია სამხრეთისაკენ.

კიდევ უფრო იქით, ქიარაკის კანიონის ჩრდილო ნაწილში, ლავის ქვედა საფარის ქვეშ ჩნდება მოწითალო პორფირიტები, მათი ტუფები და ტუფოგენები (ეფუძკანოგენური ეოცენი), რომელთა შრეებიც ისევ სამხრეთისაკენ არის 40°-ით დახრილი. მათ შემდეგ მოსდევს ტუფობრექჩიები, სამხრეთისაკენ 30°-ით დაქანებული.

ამ ალაგას ქიარაკის კანიონი ფართოვდება და იქცევა საკმაოდ განიერ ხეობად, რომლის ფერდობებიც ხომიერად არის დაქანებული. მალე ხეობა იტოტება ორ ხეობად, რომლებიც მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ოროგრაფიულად მარცხენა ხეობაში, რომელიც NO SW მიმართულებით არის გაჭიმული, მიედინება მდ. კაბურის მცირე მარცხენა შენაკადი, რომელიც სათავეს სოფ. ჩივთქილისას სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ჭაობში ღებულობს; მარჯვენა ხეობაში, რომელიც NW-SO მიმართულებით დახასიათდება, მოედინება თვით მდ კაბური.

მარცხენა ხეობის მარცხენა გვერდი წარმოდგენილია წალკის სერის ჩრდილო ფერდობით, რომელიც აქ საკმაოდ ციცაბოა და აგებულია უმთავრესად ეოცენური პორფირიტულ-ტუფოგენური წყებით. მხოლოდ მის ზედა ნაწილში მოსჩანს ლავის ქვედა საფარის გათხელებული ჩრდილო კიდე, რომელიც რელიეფში დაბალი ჭარაფით არის გამოხატული.

ამგვარად, ქიარაკის კანიონის რაიონში წალკის სერის შემადგენელი გეოლოგიური ფორმაციები გამკვეთი ხეობის მთელ სიგრ-

ძუზე სამხრეთისაკენ არის დახრილი, რაც სერის ამ ნაწილს მონოკლინურ აგებულებას უქმნის. საწინააღმდეგო (ჩრდილო) დახრილობა ჩვენს მიერ შენიშნული იქნა უფრო ჩრდილოეთით და საკმაოდ მოშორებით, მარცხენა ხეობის მარჯვენა მხარეზე და მარჯვენა ხეობაში — სოფ. ჩივთჭილისასკენ მიმავალ გზასთან. მაშასადამე, წალკის სერი ქიარაკის კანიონის რაიონში ემთხვევა ანტიკლინის სამხრეთ ფრთას; ნაოჭის ჩრდილო ფრთა აქ გადარეცხილია მდ. კაბურისა და მისი შენაკადების ეროზიული მოქმედებით.

წალკის სერის ოთხი გამკვეთი ხეობის აღწერილობიდან შეიძლება დავინახოთ, რომ ამ ხეობების გასწვრივ არსებულ გეოლოგიურ ჭრილებში, ზემოხსენებული სერის ამგები ლავის საფარები, მათთან შრემცველ ფხვიერ კონტინენტურ ნალექებთან და ქვეშდაფენილ უფრო ძველ ზღვიურ ფორმაციებთან ერთად, დახრილად ძევს და ჰქმნის განხილული მაღლობის ანტიკლინურ აგებულებას. აერანლოსა და გუმბათის კანიონებში ჩვენ საქმე გვაქვს ანტიკლინურ ნაოჭთან, რომლის სამხრეთი ფრთაც შედარებით ციცაბოა. აშყალის კანიონი ჰკვეთს ორ ანტიკლინს მათ შორის მოქცეული სინკლინითურთ, ხოლო ქიარაკის კანიონი — სამხრეთისაკენ დახრილ მონოკლინს.

წალკის სერის აგებულების ეს თავისებანი ააშკარავებენ მის ტექტონიკურ ბუნებას და გვაიძულებენ უარვყოთ ტრადიციული შეხედულება მასზე, როგორც ეულკანურ წარმონაქმნზე.

წალკის სერის ამგები ქანების დარღვეული მდებარეობა ადრევე შენიშნული იქნა წალკის ჯოგიერთი მკვლევარის მიერ. მაგრამ ხსენებული ქანების დისლოცირებულობის შემჩნეულმა ფაქტებმა დაბაკმაყოფილებელი ახსნა ვერ ჰპოვეს იმის გამო, რომ მკვლევარები დაკანონებული შეხედულებების გავლენას განიცდიდენ და ამ უკანასკნელებთან შესათანხმებლად მიისწრაფოდენ განემარტათ ფაქტები წალკის რეღიეფის ეულკანური წარმოშობის თვალსაზრისით. მაგალითად, ვ. ბოგაჩოვმა, რომელმაც აერანლოს კანიონში შენიშნა ლავებისა და ქვეშდაფენილი ფხვიერი ნალექების დარღვეული წოლა, ეს მოვლენა „ლავის ღვარის წნევას“ მიაწერა, რაც ალბად გულისხმობს ნალექი წყების დანაოჭებას თხიერ მდგომარეობაში მყოფი ლავის მიერ. ამგვარი ახსნა შეიძლებოდა ვაი-ვაგლახით გამოგვეყენებინა აერანლოს კანიონისათვის, სადაც გეოლოგიურ ჭრილში მონაწილეობს მხოლოდ ფხვიერი წყება მასზე გადასხმული ლავის საფარით, მაგრამ ასეთი განმარტება სრულიად არ შეეფერება წალკის სერის სამ დანარჩენ გამკვეთ ხეობაში არსებულ ჭრილებს,

რომლებშიც ლავის საფარის ნაპოვან სტრუქტურას იმეორებენ არა მარტო მის ქვეშ დაფენილი, არამედ მასზე გადაფარებული ფხვიერი ტბიურ-მდინარული ნალექებიც, აგრეთვე ზედა ლავის საფარიც, რომელსაც ქვედა საფარისაგან რამდენიმე ათეული მეტრის სიხშირე ნალექი წყება ჰყოფს და ბოლოს მკვრივად შეცემენტებული, ნეოგენზე ძველი ქანები. წალკის სერის შემადგენელი გეოლოგიური ფორმაციების ამგვარი წყობა შეიძლება მხოლოდ ტექტონიკური დეფორმაციის შედეგი იყოს.

ზემომოტანილი ფაქტობრივი მასალა, რომელიც წალკის სერის ირგვლივ გამკვეთ ხეობაში არსებულ გეოლოგიურ ჭრილებს შეეხება, უნდა ასაბუთებდეს, ჩვენის აზრით, წარმოდგენას წალკის სერის, როგორც ანტიკლინური მაღლობის შესახებ.

წალკის ქვაბულის დანარჩენი, ლავით აგებული მაღლობების, სახელდობრ ბეშტაშენის, ქორსუსა და ტაშბაშის სერების ტექტონიკური ბუნება აგრეთვე პოულობს თავის ანარეკლს ამ მაღლობთა მორფოლოგიასა და აგებულებაში. მართალია, ისეთ კარგ გეოლოგიურ ჭრილებს, როგორიც წალკის სერის ოთხი კანიონისათვის იყო აღწერილი, წალკის ფარგლებში სხვაგან არ ვხვდებით, რის გამოც ზემოჩამოთვლილი სერების შინაგანი სტრუქტურის გამორკვევა საგრძნობლად გაძნელებულია წალკის სერთან შედარებით. ეროზიას ჯერ არ გაუშიშვლებია ბეშტაშენის, ტაშბაშისა და ქორსუს სერების ტექტონიკური აგებულების დამახასიათებელი დეტალები. მაგრამ წალკის სერის მორფოლოგიისა და ტექტონიკის ინტერპრეტაციის სინათლეზე, ხსენებული სერების თავისებურებებიც ანალოგიურად შეიძლება იქნას განმარტებული.

ბეშტაშენის სერის ტექტონიკური წარმოშობა გამომდინარეობს როგორც ზემომოტანილი მსჯელობიდან აშყალის კანიონში არსებული გეოლოგიური ჭრილის მნიშვნელობის შესახებ, ისევე ბეშტაშენის სერის ამგები ლავის სვეტისებურ ნაწევართა მდებარეობის პირობებიდანაც. ლავის სვეტები აქ კანონზომიერად არის განლაგებული და გამოაელენს სერის ანტიკლინურ სტრუქტურას. იგივე ითქმის **ქორსუს სერზე**; ამ უკანასკნელის დასავლეთი ბოლოს გარდიგარდმო ჭრილი გაშიშვლებულია მდ. ქციას მიერ ბარმაქსიზის კანიონში, რაიონულ ცენტრ სოფ. წალკასა (სოფ. ბარმაქსიზი) და ხრამჰესის საგუბრის შორის. ეს ჭრილი გვიჩვენებს ქორსუს სერის ამგები ლავის საფარებისა და მათ შორის მოქცეული ტბიურ-მდინარული ნალექების შრეების სუსტ ანტიკლინურ გაღუნულობას. აღმოსავლეთისაკენ ნაპი უფრო იკუმშება და მისი ფრთების დახ-

რილობა მკვეთრად მატულობს. ლავის სვეტები ქორსუს სერში, როგორც სწორად შენიშნა ს. კუზმინმა (8), მარაოსებურად არის გაწლაგებული და გადახრილია ვერტიკალური მდგომარეობიდან ჩრდილო ფერდობზე ჩრდილოეთისაკენ, ხოლო სამხრეთ ფერდობზე სამხრეთისაკენ. დასახელებული მკვლევარი ამ ფაქტს განმარტავს იმ ზედაპირის მოყვანილობით, რომელზეც გადაღვრილია ლავა. ჩვენის აზრით, ეს განმარტება მიუღებელია. საქმე იმაშია, რომ ფიზიკის კანონების თანახმად, ლავის გაციებისას სვეტისებური ნაწევრები ლაგდება გაციების ზედაპირის, ე. ი. ატმოსფეროსთან (წყალქვეშა ამონთხევის შემთხვევაში — ჰიდროსფეროსთან) შეხების ზედაპირის პერპენდიკულარულად. ეს ზედაპირი ფრიად თხელ ფუძე ლავებისათვის, როგორებიც არიან ბაზალტი და ანდეზიტ-ბაზალტი, არ შეიძლება, განურჩევლად ლავის სარეცელის რელიეფისა, ატარებდეს ციცაბო პარაბოლის ფორმას, როგორსაც იძლევა ქორსუს სერში სვეტების მდებარეობა. ამ უკანასკნელის ასახსნელად რჩება ერთადერთი გზა: აღიარება იმისა, რომ პრიზმების მდებარეობა შეცვლილა ლავის გაციების შემდეგ; ეს კი გულისხმობს ლავის საფარის ანტიკლინურად შეკუმშვას, რამაც შექმნა სვეტების მარაოსებური განლაგება.

ტაშბაშის სერის ჩრილში, რომელიც სს. ტაშბაშისა და წალკის (ბარმაქსიზის) შემაერთებელი შარაგზის პირას გეხვდება, მოსჩანს ლავის ფენების მონოკლინური სერია. ლავის საფარები დახრილია სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (აზიმუტი 158°) 55°-ით. აქ საქმე გვაქვს ანტიკლინის სამხრეთ ფრთასთან; ნაოჭის მეორე ფრთა გადარეცხილი ან ჩარეცვის გამო დაძირული უნდა იყოს. ლავის ფენების ციცაბო დახრილობა, თუ მხედველობაში მივიღებთ მათს დიდ სისქეს და ფუძე შემადგენლობას, არ შეიძლება ქვეშდაფენილი სუბსტრატის რელიეფს მივაწეროთ.

ქორსუსა და ტაშბაშის სერთა ანტიკლინები აღმოსავლეთისაკენ თავიანთ გაგრძელებას პოულობენ, შესაბამისად, ბედენის ქედისა და მ. გიუნეინდაღის (1675 მ) ანტიკლინური მაღლობების სახით.

ამგვარად, წალკის ქვაბულის ლავებით აგებული მაღლობები — წალკის, ბეშტაშენის, ქორსუსა და ტაშბაშის სერები და აგრეთვე წალკის აღმოსავლეთით მდებარე ბედენის ქედი წარმოადგენენ რელიეფის ტექტოგენურ ელემენტებს და მიეკუთვნებიან „პირველადი სტრუქტურული ფორმების“ ტიპს (ემანუელ დე-მარტონნის კლასიფიკაციის მიხედვით), ე. ი. ნაოჭოვანი სტრუქტურებით წარმოქმნილ იხეთ ფორმებს, რომელთა მორფოლოგიაც უმნიშვნელოდ არის

გარდაქმნილი დესტრუქციული პროცესებით. ანტიკლინური აგებულება შენახულია განხილული სერების უმეტეს ნაწილში და მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებში, ცალმხრივი მდინარული ეროზიის შედეგად, სერებს მონოკლინური სტრუქტურა შეჰქმნიათ.

დასკვნა

წალკის ქვაბულის ზემოაღწერილი მაღლობები ანუ სერები, ნაოჭქვაშის გამო, განხილულ უნდა იქნას, როგორც აჭარა-თრიალეთის ნაოჭოვანი სისტემის შემადგენელი ელემენტები. ისინი წარმოადგენენ თაღურ ნაწილებს ანტიკლინური ნაოჭებისას, რომლებიც გაწოლილია თრიალეთის ქედის ნაოჭების გასწვრივ და რომლებიც მთათაწარმომქმნელი მოძრაობების ალპური ციკლის უკანასკნელ ფაზებში უნდა იყოს გაჩენილი. წალკის ქვაბულის ცენტრალური დაღაბლება, მაშასადამე, შეადგენს დასახელებული ნაოჭოვანი სისტემის ნაწილს. აჭარა-თრიალეთის სისტემის სამხრეთი საზღვარი განხილულ რაიონში გავლებული უნდა იქნას ხრამის კრისტალური მასივის კიდესთან მდებარე სოფ. ტაშბაშიდან დასავლეთისაკენ, ბეშტაშენის ტაფობის სამხრეთი კიდის გასწვრივ, მმ. თავკვეთილსა და შავნაბადს შორის მდებარე რაიონისაკენ. ყურადღების ღირსია ამყალისა და გუმბათის კანიონების მიდამოებში წალკის სერის ანტიკლინის ვირგაციის ფაქტი.

წალკის მეორე თანრიგის ქვაბულთა (ბეშტაშენის, ჭიარაკის, ბარმაქსიზისა და ბაშკოვის ქვაბულების) წარმოშობის საკითხი, ხეზონათქვამთან დაკავშირებით, უნდა გადაწყვეტილი იქნას რელიეფის ამ უარყოფითი ფორმების სინკლინური ბუნების აღიარების გზით. ანტიკლინურ სერებს შორის მოქცეული ეს ქვაბულები წარმოადგენენ დანაოჭებული პლიოცენური ლავის საფარის ჩაზნექილ ნაწილებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აშოვსებულია ტბიური და მდინარული ნალექებით.

წალკის ქვაბულის რელიეფის ვულკანოგენურ ელემენტებს წარმოადგენენ მხოლოდ სამსრის ქედისა და ჭაჩალგორის კალთები, რომლებიც ჰქმნიან წალკის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებს. ეს ვულკანოგენური რელიეფი მნიშვნელოვნად გარდაქმნილია მდინარული, ხოლო ზედა ზონაში ყინვარული ეროზიითაც.

წალკის ქვაბულის გეოლოგიური და გეომორფოლოგიური განვითარების ისტორიის უკანასკნელი (კონტინენტური) ეჯაპი შედარებით ვიწროდ შეიძლება იქნას წარმოდგენილი. პლიოცენის დასაწ-

ჭიისწი, ბაზალტური და ანდეზიტ-ბაზალტური ლავების ამოღვრამდე, რაიონი წარმოადგენდა სუსტად დანაწევრებულ ზმელეთს, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა უკვე იმ დროს საკმაოდ მნიშვნელოვან სიმაღლეზე ამართული თრიალეთის ქედი. ქაჩალგორის ჩრდილო ნაწილში ამონთხეულმა ლავამ დაბფარა ტექტონიკურად შობილური აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინური ზონის სამხრეთი ნაწილები. ლავის საფარების გათხელება ჩრდილოეთისაკენ, რაც აღნიშნული გვქონდა ქიარაკისა და აწყალის კანიონების აღწერისას, გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ლავის ამონთხევის ადგილი თანამედროვე წალკის სერის სამხრეთით მდებარეობდა, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ლავის გავრცელების არე დახასიათდებოდა სამხრეთისაკენ სუსტად დახრილი ზედაპირით და წარმოადგენდა თრიალეთის ქედის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ფხვიერი მასალის დალექვის არეს.

ლავების ამოღვრა ორ ჯერზე მოხდა. თიოთეული ლავის საფარის გაჩენის შემდეგ მის ზედაპირზე მდინარეები და ტბები ლექავდენ თრიალეთის ქედიდან ჩამოზიდულ მასალას.

შემდეგში, მოათანწარმომშობი პროცესების მორიგი გამოვლინების ფაზაში, ლავებისა და მათთან შრემცველი კონტინენტური ნალექების წყებამ განიცადა გვერდითი წნევა, რის შედეგადაც ჩაისახენ წალკის, ბეშტაშენის, ტაშბაშის, ქორსუსა და ბეჯენის ქედების ანტიკლინები მათ შორის მოქცეული ბეშტაშენის, ქიარაკის, ბარეაქსიზისა და ბაშკოვის ქვაბულებითურთ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ლავების ამონთხევამდე წალკის სერის ალაგას უკვე ჩასახული იყო ანტიკლინური ნაოჭი, რაც იქიდან მოსჩანს, რომ ზემოაღწერილი გამკვეთი ხეობების გასწვრივ გაშიშვლებულ გეოლოგიურ ჭრილებში ანტიკლინის ფრთების სიღრმულ ნაწილებში, რომლებიც აგებულია პალეოგენური ფორმაციებით, შრეები უფრო ციცაბოდ არის დახრილი, ვიდრე იმავე ფრთების სტრატიგრაფიულად ზევით მდებარე, ლავებითა და კონტინენტური ფხვიერი ნალექებით აგებულ, ნაწილებში. ნაოჭის სამხრეთი ფრთის მეტი დაქანება ჩრდილო ფრთასთან შედარებით მიგვითითებს თრიალეთის ქედიდან მომართულ გვერდითს წნევაზე.

პლიოცენური ლავის საფარის დანაოჭებით წარმოიქმნა დახშული ქვაბულებისა და დაბალი სერების სისტემა, რითაც დაისახა წალკის თანამედროვე ოროგრაფიული ჩონჩხი. დანაოჭებას ორი ფაზა ჰქონდა, რაც თვალსაჩინოდ მოსჩანს წალკის სერის გამკვეთი ხეობების გეომორფოლოგიური აგებულებიდან, — ჩვენ ზემოთ აღ-

ნიშნული გვქონდა, რომ ავრანლოსა და გუმბათის კანიონები წარმოადგენენ შეორადს ანტეცედენტურ ხეობებს, ჩადგმულს უფრო ფართო ძველი ანტეცედენტური ხეობების ფსკერში.

წალკის ზემოხსენებული ტექტოგენური ოროგრაფიული ელემენტების წარმოქმნამ რაიონი დაანაწილა აკუმულაციისა და ეროზიის მთელ რიგ განცალკევებულ უბნებად. წალკის სერი წარმოადგენდა ჯებირს თრიალეთისძირა ზოლის ჰიდროგრაფიული ქსელისათვის; იგი აიძულებდა თრიალეთის ქედიდან ჩამომდინარე ქციის მარცხენა შენაკადებს დაეგროვებინათ თავიანთი ნალექები რეხისა და თარსონის ქვაბულებში და კაბურის დახრილ ვაკეზე. პირველ ხანებში თრიალეთისძირა ზოლში, უმთავრესად მის სამხრეთ ნაწილებში წალკის სერის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ, არსებობდა ტბები, რომლებიც დაიცალა წალკის სერის გამკვეთი ხეობების გამომუშავების შედეგად. უფრო ხანგრძლივი და გეომორფოლოგიურად ეფექტიური იყო ტბების არსებობა ბეშტაშენის, ქიარაკისა და ბაშკოვის ქვაბულებში. ბეშტაშენისა და ქიარაკის ტაფობების ფსკერის ვაკისებრივი ხასიათი შექმნილია ტბიური ნალექების დაგროვებით. სერების ეროზიულად გახერხვას თავდაპირველად აწარმოებენ ერთი ტბიდან მეორეში გადამდინარე წყლები; გამკვეთი ხეობების (ავრანლოს, გუმბათის, აშყალის, ქიარაკის, ბარმაქსიზის, ბეშტაშენისა და ტაშბაშის კანიონების) გაჩენამ ჩამოაყალიბა რაიონის თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელი: ტბები მოისპო, წარმოიქმნა მდ. ქციას და მის შემდინარეთა სისტემა. წალკის ძველი (მეოთხეული) წყალსათავსების ნაშთებს წარმოადგენენ ბაშკოვის ტბა და პატარა ტბები ბეშტაშენის ტაფობში (შიფიაქი, სანამერი, ალი-გელი, ქურა-გელი), აგრეთვე უზუნ-გელი წალკისა და ბეშტაშენის სერებს შორის მოქცეულ სინკლინში და, ბოლოს, ჭაობები ქიარაკის ტაფობში და კაბურის ვაკეზე.

მდ. ქციამ და მისმა შემდინარეებმა, რომლებიც მდორედ მოედინებიან და ჟამთა განმავლობაში ადგილს იცვლიან ძველი ნატბეურების ბრტყელ ფსკერზე, დაჭფარეს ტბიური ნალექები თავისმიერ დალექილი მასალით (ქვიშითა და წვრილი რიყექანით), ამიტომაც ქვაბულების ფსკერის ზედა, დაკვირვებისათვის მისაწვდომი ნაწილი აგებულია არა ტბიური, არამედ ალუვიური ნალექებით.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ტექტონიკის მნიშვნელოვანი როლი წალკის ქვაბულის რელიეფის ჩამოყალიბებაში. დაკვირვებანი გვიჩვენებენ, რომ ის, რაც რაიონის ძველ მკვლევა-

რებს წმინდა ვულკანურ წარმონაქმად მიაჩნდათ, სინამდვილეში დანაოჭების შედეგს წარმოადგენს.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს სამხრეთი საქართველოს გეომორფოლოგიურ შეუსწავლელობას. ფაქტიურად, ჰერმან აბიხის კლასიკური შრომების შემდეგ, რომლებიც ვულკანიზმის იდეის აპოლოგიას წარმოადგენენ და დღეისათვის საკმაოდ მოძველდნენ, სამხრეთი საქართველოს რელიეფის ცოდნა უმნიშვნელოდ განვითარდა. ერთი საუკუნის განმავლობაში მკვლევარები აბიხის ავტორიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და, ახალი ფაქტების მოპოვების მიუხედავად, არ აწარმოებდენ მისი შეხედულებების კრიტიკულ გადასინჯვას.

წინამდებარე ნარკვევის ამოცანაში არ შედის მთლიანად სამხრეთ საქართველოს გეომორფოლოგიური განხილვა, ვინაიდან ეს ერცელ შრომას მოითხოვს და არ შეიძლება მოკლე სტატიაში იქნეს ჩატეული. მაგრამ საჭიროა მაინც აღვნიშნოთ, რომ ტექტონური რელიეფის ელემენტები სამხრეთ საქართველოს „ვულკანურ მთიანეთში", წალკის გარდა სხვაგანაც არის. მაგალითად, 1945 წელსვე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჯავახეთის ზეგანის საფუძველი წარმოქმნილია დანაოჭებული მიოპლიოცენური ლავის საფარით, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია შუა-მეოთხეული ასაკის დოლერიტული ლავით. ჯავახეთის ჩრდილო ნაწილში ლავის ძველი საფარის ტექტონიკური სტრუქტურები და მათი შესატყვისი ოროგრაფიული ერთეულები თვალსაჩინოდ აღნიშნავენ კავშირს აჭარა-თრიალეთის სისტემის სიგანედურ ნაოჭებსა და ჩრდილო სომხეთის ტავრის (თურქეთშია) NO-SW გავრცელების მქონე ნაოჭებს შორის. ამგვარად, სამხრეთ საქართველოში მდებარე არე ახალგაზრდა ლავების გავრცელებისა სრულიად არ წარმოადგენს „ტექტონიკურად მუნჯ" ქვეყანას, როგორც ეს ეგონათ წინათ. არსებობს საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ ხსენებული „ვულკანური" მხარის შემდგომი გაღრმავებული შესწავლა გამოავლენს მის გეომორფოლოგიურ აგებულებაში ტექტონიკური პროცესების აქტიური მონაწილეობის მთელ რიგ ახალ ფაქტებს.

Л. И. МАРУАШВИЛИ

К геоморфологии Цалкинской котловины в Южной Грузии

Р е з ю м е

Цалкинская котловина, занимающая бассейн верхнего течения р. Храми, в физико-географическом отношении является частью Закавказского лавового нагорья, сочетая в себе ландшафты черноземных нагорных степей и покрытых альпийскими лугами хребтов.

В геологическом и геоморфологическом отношениях Цалка подразделяется на ряд различных по своему происхождению частей:

1. Северную полосу котловины занимает южный склон средней части Триалетского хребта, сложенный, в основном, интенсивно дислоцированной вулканогенной (порфиритово-туфогенной) свитой эоцена, имеющий горно-эрозионный рельеф и составляющий неотъемлемую часть Аджаро-Триалетской складчатой горной системы.

2. Южнее предыдущей горной полосы расположена Притриалетская полоса, подпруженная Цалкинским кряжем (см. ниже) и поэтому являющаяся областью интенсивной аккумуляции озерно-речных отложений. Подразделяется на Кабурскую наклонную равнину, Тарсонскую и Рехскую котловины и продольную долину верхнего течения р. Кина.

3. Наиболее пониженная срединная часть Цалки представляет совокупность котловин второго порядка, выполненных озерно-речными отложениями и разделенных низкими линейно вытянутыми возвышенностями (кряжами) из основных лав. Можно различить Бешташенскую, Кирякскую, Бармаксызскую и Баниковскую котловины и кряжи Цалкинский, Бешташенский, Ташбашский и Кореу. Рельеф данного района представляет следствие смятия покровов плиоценовых базальтовых и андезито-базальтовых лав в последних фазах альпийского горообразовательного цикла, при чем котловины соответствуют синклиналям, а кряжи антиклиналям.

Тектоническое строение района видно в естественных геологических разрезах по каньонообразным долинам прорыва, пересекающим антиклинальные кряжи.

В особенности интересны разрезы по Авраплойскому, Кюмбатскому, Аникалинскому и Кирякскому каньонам, которые вскрывают внутреннее строение Цалкинского кряжа, протягивающегося от с. с. Карабом и Гедиш, расположенных в северо-восточной части Цалки, до г. Тавкветили на западе.

4. Южная и западная части Цалкинской котловины образованы склонами северных частей вулканических возвышенностей: а) Самсарского хребта и б) Мокрых гор. Представляют наклонные лавовые плато, расчлененные эрозионной сетью и увенчанные у границы с Джавахетией вулканическими конусами со следами древнего оледенения.

Лавовые возвышенности (кряжи) Цалки, ранее принимавшиеся за чисто вулканические образования, в действительности имеют тектоническое происхождение, представляя складки триалетского простирания. Таким образом, большая часть Цалкинской котловины тектонически принадлежит к Аджаро-Триалетской складчатой системе.

Сказанное, на ряду с наличием аналогичных тектогенных элементов рельефа в районе Джавахетского плато, лишний раз показывает необходимость пересмотра традиционных представлений о Южно-Грузинском лавовом нагорье, как о районе, в котором тектоника замаскирована покровом молодых лав.

ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941.
2. Atlas pour Wakhoucht (ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მეორე ვარიანტი, ორიგინალი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში).
3. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ბატონიშვილის ვახუშტის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. (მოთავსებულია ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში „სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნეში", თბილისი, 1907).
4. ვახტანგ მეექვსე. დასტურლამალი. პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისი. 1886.
5. Абих, Г. В. Геологические наблюдения в нагорной стране между Курой и Араксом. Перевод Л. Маркова. „Записки Кавказского отдела императорского Русского Географического общества", кн. VIII, Тифлис, 1873.
6. Абих, Г. В. Геология Армянского нагорья. Восточная часть. Орографическое и геологическое описание. Перевод Б. З. Ко-

ленко. „Записки Кавказского отдела императорского Русского Географического общества“, кн. XXIII, Тифлис, 1902.

7. Цулукидзе, Г. К геологии Тифлисской губернии. Геологические исследования в области речных долин Алгетки и Храма. „Материалы для геологии Кавказа“, серия II, кн. I, Тифлис, 1887.

8. Кузмин, С. А. Основные лавы Цалкинского плато. „Академия Наук СССР. Совет по изучению производительных сил и петрографический институт имени Ф. Ю. Левинсон-Лессинга. Серия Закавказская, вып. 20. Материалы по геологии и петрографии СССР Грузии. III. Триалетский хребет (бассейны рек Алгетки, Кавтуры, Хекордзулы)“. Изд. АН СССР. Москва-Ленинград, 1936.

9. Кузнецов, С. С. и Беликов, Б. Н. Геолого-петрографическое строение южных склонов Триалетского хребта. „АН СССР. Материалы по геологии и петрографии СССР Грузии. III: Триалетский хребет“. М.-Л., 1936.

10. Белянкин, Д. С. и Петров, В. П. Петрография Грузии. Изд. АН СССР, М.-Л., 1945.

11. Беликов, Б. Н. Розенбергский (Александергильфский) кристаллический массив. „АН СССР. Материалы по геологии и петрографии СССР Грузии. III: Триалетский хребет“. М.-Л., 1936.

12. Ильин, С. Н. Геологические исследования в районе проектируемых гидростанций на р. Храм. „Техника и Строительство“, №№ 2 и 3, Тифлис, 1930.

13. Мартонн, Э. Основы физической географии. Том. II: Геоморфология. Москва, 1945.

14. Гамкрелидзе И. Д. и Эдилашвили, В. Я. Геологическое описание листа К-38-XXI карты 1:200.000 (Тбилиси). 1940. ხელნაწერი და რუკა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ფონდებში.

15. Маруашвили, Л. П. и Клопотовский, Б. А. Геоморфологический очерк средней части Южной Грузии, с приложением геоморфологической карты масштаба 1:200.000. 1946. (рукопись и карта в фондах „Скецгео“).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

გრიგოლ დევდარიანი

გეომორფოლოგიური დაკვირვებანი სოხუმის მიდამოებში

1945 და 1946 წლებში ჩვენ ჩავატარეთ საველე მუშაობა სოხუმის მიდამოებში მისი გეომორფოლოგიური შესწავლის მიზნით.

სოხუმის მიდამოების სახელით ვგულისხმობთ შავი ზღვის სანაპიროს ნაწილს სოხუმის ახლოს, უფრო ზუსტად, საკვლევი ობიექტი მდებარეობს მდ. გუმისთასა და მდ. კელასურის ქვემო წელებს შორის. რაიონის ჩრდილო საზღვარი მდებარეობს სოხუმის ჩრდილოეთით ამართული კირქვიანი მთების, აბიან და-ჩაბას პარალელზე. სოხუმის მიდამოები, როგორც გეოგრაფიული ერთეული, შეიძლება გავიგოთ მეტი ან ნაკლები ფართობის მნიშვნელობით, რაც გამოწვეულია შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ განვითარებული გეომორფოლოგიური ლანდშაფტის ერთგვაროვნებით.

სოხუმის მიდამოები, ისევე, როგორც აფხაზეთის მთელი სანაპირო ზოლი, შეისწავლა მრავალმა მკვლევარმა. მათ შორის ყველაზე საყურადღებო შრომები მოგვცეს მ. შვეცოვმა (18), ა. კოზლოვმა (9), ს. ილინმა და ა. ებერზინმა (8). ბ. დობრინინმა (3, 4) და სხვ. ამ მკვლევარებმა, გარდა ბ. დობრინინისა, აფხაზეთში და კერძოდ მის სანაპიროზე ჩაატარეს უმთავრესად გეოლოგიური კვლევა. რაიონის სპეციალური გეომორფოლოგიური გამოკვლევები უკერძოებით არავის უწარმოებია. ბ. დობრინინის ნაშრომში ეხება უმთავრესად სანაპიროს ტერასებს. ზოგადად იგი გეომორფოლოგიური რაიონების დახასიათებასაც იძლევა. ზოგი გეოლოგი თავის ნარკვევში გაკვრით შეეხო საკვლევი რაიონის გეომორფოლოგიურ თავისებურებას გეოლოგიურ აღნაგობასთან დაკავშირებით; ზოგმაც მოგვცა მასალები მეოთხეული გეოლოგიის საკითხებზე (2, 16, 17). ცალკეული გეომორფოლოგიური ობიექტებიდან მკვლევართათვის ყველაზე საინტერესო იყო ტერასები. სოხუმის მიდამოების გეოლოგიური აღნაგობის შესახებ ყველაზე საყურადღებოა ა. კოზლოვის ნაშრომი (9).

ზემოაღნიშნულ საზღვრებში სოხუმის მიდამოები ბორცვიან ხასიათს ატარებს. ბორცვიან რელიეფს ჩრდილოეთით სცელის საშუალო სიმაღლის (500-600 მ.-დე) მთები. ა. ნ. ჯავახიშვილი „დაბალნაოჭა და დამრეცი მონოკლინური სტრუქტურის მქონე აფხაზეთ-სამეგრელოს ბორცვიან ზოლს“ ანაწილებს ორ ქვერაიონად სამეგრელოსა და აფხაზეთის ქვერაიონებად. მათი რელიეფი და გეოლოგიური აღნაგობა იმდენად მსგავსია, რომ ისინი ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, აღნიშნავს ა. ჯავახიშვილი (20), რომ აღმოსავლეთით სამეგრელოსაკენ ზოლი განიერდება. ბ. თ. დობრინინსაც ასეთივე მიდგომით აქვს განხილული შავი ზღვის სანაპირო (5). მან ამერკავკასიის გეომორფოლოგიურ რაიონების სქემაზე ერთ-ერთ რაიონად გამოჰყო აფხაზეთ-სამეგრელოს ბორცვიანი ზოლი სახელწოდებით „მთებისპირა რაიონი მეოთხეული (ზღვიური და მდინარეული) ტერასების ფართო გავრცელებით“.

ავტორის შეხედულებით, აღნიშნული ზონისათვის დამახასიათებელია დისლოცირებულ და გადარეცხილ მესამეულ შრეებზე განვითარებული ტერასები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია ხმელეთის პერიოდულ ვერტიკალურ მოძრაობასთან მეოთხეულში. იმავე მკვლევარმა მეორე შრომაში (4) ტერასების აღწერასთან ერთად აფხაზეთის სანაპიროს ზოგადი გეომორფოლოგიური დახასიათებაც მოგვცა. მან შეადგინა „აფხაზეთის გეომორფოლოგიური მხარეებისა და რაიონების რუკა“ და შავი ზღვის სანაპირო სოხუმის მიდამოებში შემდგომ ნაწილებად გაჰყო: 1. ზღვის სანაპირო დაბლობის ზონა, 2. ბორცვიანი მთისპირეთისა და ძველი მაღალი ტერასების ზონა. 3. კირქვიანი მთების ზონა. აფხაზეთის სანაპიროს გეომორფოლოგიური თავისებურება ზოგიერთმა სხვა მკვლევარმაც აღნიშნა.

ამრიგად, სოხუმის მიდამოების რელიეფი ბორცვიანია. რელიეფის ბორცვიანობა აქ დაკავშირებული უნდა იყოს ტექტონიკურ პირობებთან (21). დასავლეთ საქართველოში მთებისპირა ბორცვიანი ზოლის ნაოჭებს კარგად ემჩნევა ბელტის გავლენა, რაც ზეწრული ნაოჭების არსებობაში გამოიხატება. განსახილველი რაიონი საქართველოს ბელტის კოლხეთის ნატეხის შემადგენელი ნაწილია.

სოხუმის მიდამოების აღმოსავლეთით, ჯერ მდ. კოდორამდე და შემდეგ კოდორის აღმოსავლეთითაც, ბორცვიანი ზოლი თანდათანობით განიერდება. სოხუმის დასავლეთითაც სოფ. ეშერამდე იგი რამდენიმედ ფართოვდება, შემდეგ კი სწრაფად ვიწროვდება ახალ

ათონთან კირქვიანი მთების ზღვის ნაპირთან მიახლოების გამო. ბორცვიან ხოლსა და ზღვას შორის სანაპირო დაბლობი მდებარეობს. ისიც, მსგავსად ბორცვიანი ზონისა, სოხუმთან მიახლოებისას საგრძნობლად ვიწროვდება, განსაკუთრებით მდ. მაჭარას შესართავიდან. მაჭარადან სოხუმამდე დაბლობის სიგანე რამდენიმე ათეულ მეტრს უდრის, სოხუმის ფარგლებში კი ორ კილომეტრამდეა. სოხუმის დასაწყისთან, მდ. გუმისთას შესართავისაკენ რამდენიმე კილომეტრამდე ფართოვდება. სანაპირო დაბლობს ბორცვიანი ზონა საკმაოდ მკვეთრად გამოეკოფა, განსაკუთრებით იქ, სადაც ამ ზონის სამხრეთი ფერდობები მოკლებულია აკუმულაციურ ტერასებს. რელიეფის ასეთ მკვეთრ განსხვავებას იწვევს ბორცვიანი ზოლის აგებულებაში მტკიცედ შეცემენტებული კონგლომერატების მონაწილეობა. სანაპირო სერებიც მრკლებულია მთლიან გავრცელებას. ისინი ინტენსიურად არიან დანაწევრებულნი მდინარეული ხეობებით. გარდა ამისა, სანაპიროს გასწვრივ დასავლეთით კონგლომერატების როლი მცირდება. ზონა ჯერ ვიწროვდება და შემდეგ სრულიად ქრება. მიუხედავათ იმისა, რომ კონგლომერატები აქ მაღალ მთებს არ ჰქმნიან, მათი მონაწილეობა რელიეფში მაინც შესამჩნევია. კონგლომერატების მთების სიმაღლე რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში 300 მეტრს აღემატება, დასავლეთით სიმაღლე კლებულობს და სოხუმთან 200 მეტრამდეა. აღნიშნულ მაღლობთა ზოლს ჩრდილოეთით ესაზღვრება ბორცვიანი ზონის მეორე ნაწილი, სადაც სიმაღლე ჩვეულებრივად 200 მეტრზე ნაკლებია. ეს ზონა უფრო განიერია, ვიდრე სამხრეთი ზონა. მეორე ზონას ჩრდილოეთით მოსდევს მთიანი ზოლი, რომლის სიმაღლე 500-600 მეტრამდე აღწევს. მთები აქ მორიგეობენ დაბალ ადგილებთან, რომლებიც მთათა შორის მდებარე ტაფობებს წარმოადგენენ.

სოხუმის მიდამოები აგებულია ცარცისა და მესამეულის ქანებით. ცარცი წარმოდგენილია კირქვებით, რომლებიც აგებენ რაიონის ჩრდილო ნაწილში მდებარე მთებს. ცარცის კირქვებზე მდებარეობს ქვედა მესამეული (პალეოცენ-ეოცენური) კირქვები და მერგელები. მერგელები წარმოდგენილია ფორამინიფერიანი თხელი შრეებით. კირქვები და მერგელები ჩვეულებრივად ანტიკლინურ ნაოჭებს ჰქმნიან. მერგელები დარჩენილია ანტიკლინის ფრთებზე. მერგელებს ზემოთ სცვლიან ოლიგოცენური ნალექები. ა. კოზლოვმა ოლიგოცენი ორ ნაწილად გაჰყო: ქვედა კიროვან თიხებად და ზედა (მაიკოპის) ტიპიურ თიხებად. ოლიგოცენის ნალექებს დიდი გავრცელება აქვს სოხუმის მიდამოებში. ოლიგო-

კენის თიხებით აგებულია კირქვიან მთებსა და კონგლომერატის სერებს შორის მდებარე განიერი ზოლი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება და კელასურთან მიახლოებისას ძლიერ განიერდება. კელასურის აღმოსავლეთით ზოლი მაჭარასაკენ ისევ ვიწროვდება და ბოლოს მთავრდება, რადგან ოლიგოცენურ თიხებს მაჭარას აღმოსავლეთით სხვა ნალექები სცვლიან. ოლიგოცენური თიხები შენახულია აგრეთვე ზოგიერთ სინკლინში. მ. შვეცოვმა (18) ოლიგოცენის შრეების მერგელებზე უთანხმო წოლა აღნიშნა. ეს შეხედულება კობლოვმა უარჰყო.

ილინისა და ებერზინის გეოლოგიურ რუკაზე ოლიგოცენი ერთ სტრატიგრაფიულ ერთეულად არის წარმოდგენილი (7).

მაიკოპის თიხებს სამხრეთით ცელის ჩოკრაკული ქვიშაქვები და კონგლომერატები, რომლებიც ეიწრო ზოლად ვრცელდებიან სოფ. იამჭუხიდან აღმოსავლეთით მ. ჩალბაშის (ბესლეთის) მარცხენა ნაპირამდე. ჩოკრაკული ნალექები რელიეფში დიდ როლს არ ასრულებენ. მესამეულის უკანასკნელ სტრატიგრაფიულ ერთეულს (ზედა პლიოცენს) ეკუთვნის ზღვასთან მდებარე მაღლობების ამგები კონგლომერატები. ილინი და ებერზინი კონგლომერატებს პონტურად ათარიღებენ, კობლოვი კი ზედაპლიოცენურად (კიმერიულად). კონგლომერატების შემადგენლობაში სჭარბობენ ამონთხეული ქანების ნატეხები. ისინი შეცემენტებულნი არიან თიხოვან-ქვიშოვანი მასალით. კობლოვის მიხედვით, ეს კონგლომერატები კონტინენტური წარმოშობისაა და მდინარეთა გამოზიდვის კონუსებს წარმოადგენენ. მათი სისქე კობლოვმა 500 მეტრად ივარაუდა. ავტორის მიხედვით, კონგლომერატის ასეთი დიდი რაოდენობა ახალგაზრდა მაღალი ქედის თანდათანობით დაძირვის დროს უნდა წარმოშობილიყო. ქედის დაძირვა მან კიმერულ ოროგენეტულ ფაზისს დაუკავშირა. კონგლომერატის შრეების ცალ მხარეზე (ზღვისაკენ) დახრილობა მათ მონოკლინურ სტრუქტურაზე მიგვითითებს; შრეები ჩვეულებრივად დახრილია 15-20°-ით.

კობლოვი ყველაზე ახალგაზრდა პლიოცენურ ნალექებად, მდ. გუმისთას მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის ხიდთან, ჩაუდურს გამოჰყოფს. ილინმა და ებერზინმა კობლოვის ჩაუდურ ნალექებში (ქვიშიან თიხაში) მეოთხეული ფაუნის წარმომადგენლები ნახეს და ამ ნალექების ჩაუდური ასაკი ეჭვის ქვეშ დააყენეს.

გარდა მეზოზოური და მესამეული ქანებისა, სოხუმის მიდამოებში მნიშვნელოვანი გავრცელება აქვთ მეოთხეულ ნალექებსაც, სახელდობრ: ზღვიურს, ალუვიურს და დელუვიურს. ალუვიონით

აგებულია ტერასები და მდინარეთა თანამედროვე კალაპოტი. ძველი ტერასები დაფარულია ნიადაგის სქელი ფენით. მაგ., უძველეს ტერასებზე არის წითელი მიწა რკინოვან-მარგანეციანი კონკრეციებით. კოხლოვმა ძველი ტერასების ზღვისაკენ დახრილობა შეამჩნია, რაც ტერასზე დელუვიონის ფენის არსებობით ახსნა.

რაიონის ტექტონიკური სტრუქტურა. კოხლოვის მიხედვით ძირითადად ანტიკლინების სინკლინებთან მორიგეობით გამოიხატება (9). ზღვის სანაპიროს გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთით ორი თუ სამი ბრაქიანტიკლინური ნაოჭი ერცელდება. ისინი სოფ. ზედა ეშერთან ერთდებიან. კოხლოვი მათ შენაცვლებით ნაოჭებად სთვლის.

სამხრეთ მხარეზე ზღვისაკენ დახრილი კონგლომერატების სამხრეთი ფრთები ზღვის ფსკერზე იძირებიან. კოხლოვის ვარაუდით კონგლომერატის ზონის სამხრეთით, ზღვის ფიგნით, ან დიდი ღრმა სინკლინია, ან ფლექსური.

უკიდურესი სამხრეთი ანტიკლინის ღერძი მდ. მაჭარასთან რელიეფში არ არის გამოსახული. აქედან დასავლეთისაკენ იგი თანდათანობით მაღლდება ბირცის მთამდე, შემდგ იქვე დაბლდება და მის ჩრდილოეთით მდებარე ანტიკლინს უერთდება. ბირცის ანტიკლინი ასიმეტრიულია. მისი ჩრდილო ფრთა უფრო ციცაბოა. მეორე, ბირკის მთის ჩრდილოეთით მდებარე ანტიკლინიც დაბალია აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მდ. მაჭარას აღმოსავლეთით იწყება. მდ. ჩალბაშის დასავლეთით ამაღლების განიცდის და ახბიუკის მთას ქმნის კოხლოვის მიხედვით, ამ ანტიკლინს გამოეყოფა პატარა ანტიკლინი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ უხვევს. შვეცოვის შეხედულებით, ახბიუკის ანტიკლინი დამოუკიდებელია და მისი აღმოსავლეთი დასაწყისი მდებარეობს მდ. ჩალბაშის აუზში. დასავლეთით იგი მაღლდება, ასიმეტრიული ხდება და მის ჩრდილო ფრთაზე რღვევის ხაზი გადის. ამ ხაზის გასწვრივ ადგილი აქვს ჩრდილოეთისაკენ შეცოცებას (შვეცოვი).

ყველა ანტიკლინი ასიმეტრიულია (მათი სამხრეთი ფრთის დახრილობა უდრის 35°, ჩრდილოსი 90°) და იჩენენ ჩრდილოეთისაკენ შეცოცებას. ამრიგად, სოხუმის მიდამოების ტექტონიკისათვის დაშახასიათებელია: ჩრდილო ნაწილში ასიმეტრიული ანტიკლინებისა და სინკლინური დეპრესიების მორიგეობა. სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე. მონოკლინური სტრუქტურის მქონე კონგლომერატების ზონა.

რაიონის რელიეფის თავისებურებას ძირითადად ლითოლოგია

და ტექტონიკური პირობები განსაზღვრავენ. მაღლობები და მთები ან ანტიკლინურ ნაოჭებს, ან მკვრივ ქანებს ემთხვევიან. დაბალი ადგილები (ტაფობები) უმთავრესად სინკლინურ მხლდებში განვითარდნენ. რელიეფის გარდაქმნის საქმეში ჰიდროქსელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

სოხუმის მიდამოები მდინარეების მიერ ინტენსიურად არის დანაწევრებული. განსაკუთრებით ძლიერ სახეცვლილია კონგლომერატების ზონა. კონგლომერატებით აგებული მაღლობები ადრე მთლიან სანაპირო სერებს წარმოადგენდენ, ამჟამად კი მრავალ იზოლირებულ მაღლობად არიან დაყოფილნი. კირქვიან ზონაში ზედაპირის დანაწევრება უფრო ნაკლებია. მთავარი მდინარეები კირქვიან მთებს უმთავრესად ღრმა განივი ხეობებით ჰკვეთენ.

სოხუმის მიდამოების მდინარეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: გუმისთა, ჩალბაში, კელასური და მაჭარა. რაიონში მდებარეობს მათი მხოლოდ ქვემო წელი. ყველა მდინარეს, განსაკუთრებით კი კელასურსა და მაჭარას, ახასიათებს ჩქარი დინება. გუმისთა კირქვიანი მთებიდან გამოსვლის შემდეგ ზღვამდე, დაახლოებით 5-6 კილომეტრზე, შედარებით მდორედ მოედინება აკუმულაციურ დაბლობში.

ზღვის სანაპიროზე, გეოლოგიურ წარსულში, ეპეიროგენული მოძრაობის გამო, ზღვა მოქმედებდა და ხან აბრაზიას აწარმოებდა, რითაც ახდენდა კონგლომერატების გადარეცხვას, ხან კი აკუმულაციას. ზღვის მოქმედების ნაკვალევი, მიუხედავათ შემდგომი დენუდაციისა და მდინარეული ეროზიისა, დღემდე არის დარჩენილი, რაც საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ რაიონის ახლობელი გეოლოგიური წარსული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სოხუმის მიდამოებში შეიძლება გამოვყოთ რელიეფის შემდეგი ძირითადი ტიპები:

1. დაბალი კირქვიანი ანტიკლინური მთები.
2. ტაფობები ოლიგოცენური თიხების საფუძველზე.
3. სერები პლიოცენური კონგლომერატების საფუძველზე.
4. აკუმულაციური რელიეფი.

ა. კოზლოვი სოხუმის მიდამოების რელიეფის თავისებურებას აკავშირებს ლითოლოგიურ პირობებთან. ავტორის შეხედულებით, მკვრივი ქანები (კირქვები) წარმოშობენ რელიეფის დადებით ფორმებს, ხოლო ფხვიერი ქანები (თიხები, მერგელები) უარყოფითს. კოზლოვი არასაკმარის ყურადღებას აქცევს ტექტონიკური პირობების გავლენას რელიეფზე.

ილინმა და ებერზინმაც (8) შავი ზღვის სანაპიროს რელიეფი გეოლოგიურ აღნაგობას დაუკავშირეს. ამავე აზრს იზიარებენ ბ. თ. დობრინინი და ო. მიხაილოვსკაია (4. 10). ო. მიხაილოვსკაიამ მესამეული ზოლი ქანების სიმკვრივის მხრივ რამდენიმე ნაწილად დაჰყო და თითოეულ მათგანს თავისებური რელიეფი შეუფარდა. განვიხილოთ რელიეფის ზემოდასახელებული ტიპები.

1. დაბალი კირქვიანი ანტიკლინური მთები

რაიონის ანტიკლინური მთების მთლიანი რელიეფი არა მარტო ტექტონიკური სტრუქტურით არის გამოწვეული, არამედ ლითოლოგიური პირობებითაც. აღნიშნული მთები უმთავრესად ცარცული და პალეოგენური მკვრივი ქანებით არის აგებული.

სოხუმის მიდამოებში ანტიკლინურ მთებს წარმოადგენენ: მთა ბირცი და მისი დასავლეთი გაგრძელება მთა იაშთხვა. მათ შორის მოქცეულია აღმოსავლეთი გუმისთას მშრალი გამკვეთი ხეობა. ბირცის აღმოსავლეთი ნაწილი კი მდ. ჩალბაშს გადაუკვეთია. ბირცის ჩრდილოეთით მდებარეობს მეორე ანტიკლინური მთა ახბიუკა, რომელიც გადაკვეთილია აღმოსავლეთი გუმისთას მშრალი ხეობით. მდ. გუმისთას დასავლეთით მდებარეობს მთა აბაჩაღდარა. რომელშიც ზემოხსენებული ანტიკლინური ნაოჭები ერთდებიან. გარდა აღნიშნული მთებისა, ჩვენი რუკის ფარგლებში შემოდის რაიონის ჩრდილოეთით მდებარე ჩააბას მთების ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება შრომის სინკლინს.

ყველა დასახელებული ანტიკლინი აღმოსავლეთისაკენ დაბლდება და იძირება. მაგ. ბირცს აღმოსავლეთიდან უვლის ოლიგოცენური თიხები. ანტიკლინური მთების ფერდობები ციცაბოდ დაქანებული (საშუალო დახრილობა ფერდის 30-35°) და სუსტად დანაწევრებულია. მთებზე არსებული ხევები მშრალია, ღრმა და ვიწრო. მთათა ფერდობები სინკლინური დეპრესიებიდან მკვეთრად არიან გამოყოფილნი. ფერდობების გასწვრივ დარჩენილი ფორამინიფერებიანი მერგელები ვიწრო ტერასისებურ ბაქნებს ჰქმნიან. მთავარ მდინარეებს (გუმისთა, ჩალბაში) ანტიკლინების ფარგლებში აქვთ კანიონისებური ხეობები. მდინარული ხეობების კანიონისებური ფორმა და დიდი სიღრმე ადასტურებს ანტიკლინური მთების ახლო გეოლოგიურ წარსულში (პოსტპლიოცენში) აზევებას. ამიტომ აღნიშნული ხეობები ანტეცედენტურია. სხვა შემთხვევაში მდინა-

რეებს შეეძლოთ მიეღოთ აღმოსავლეთური მიმართულება და გაჰყოლოდნენ ოლიგოცენური თიხებით შექმნილ დაბალ რელიეფს. გარდა ხეობების მორფოლოგიისა, ახალ ოროგენეტურ მოძრაობებს საერთოდ კაეკასიონზე და კერძოდ სოხუმის მიდამოებში, სხვა ფაქტებიც ადასტურებენ. მათ ქვემოთ შეეხებით.

კირქვიანი მთებისათვის დამახასიათებელია კარსტი. აქ ძლიერ გაერცელებულია ზედაპირული კარსტული ფორმები, უმთავრესად ძაბრები, რომლებიც გარდა ბრტყელი თხემებისა, სუსტად დახრილ ფერდობებზე და მშრალ ხეობებშიც გვხვდება. გრუნტის წყალი დიდ სიღრმეზეა, რასაც ადასტურებს ზედაპირული წყაროების სიმწირეთე ანტიკლინური მთების ფარგლებში. მშრალ ხეობებში (მაგ. აღმოსავლეთი გუმისთას ხეობაში), რომლებიც ანტიკლინების თხემიდან რამდენიმე ასი მეტრით დაბლა მდებარეობენ, წყაროები ძლიერ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. გვხვდება კარსტული მღვიმეებიც (ერთ-ერთი მღვიმე სოფ. შრომასთან მდებარეობს).

ანტიკლინური მთები დიდ სიმაღლეს არ აღწევენ. ყველაზე მაღალი მთა აბაჩალდარა (აღწევს 805-მდე), ბირცი უფრო დაბალია, მისი სიმაღლე უდრის 593 მ., ხოლთხვა კი 520 მეტრს. რაიონის ფარეთ, ჩრდილოეთით მდებარე მთების სიმაღლე 1000 მეტრს აღემატება.

2. ტაფობები ოლიგოცენური თიხების საფუძველზე

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტაფობების ტიპის მორფოლოგია ახასიათებს სინკლინურ მულდებს და ოლიგოცენური თიხებისაგან აგებულ სივრცეებს. ყველაზე მნიშვნელოვან ტაფობს წარმოადგენს შრომის სინკლინი, რომელიც ახბიუკის ანტიკლინის ჩრდილოეთით მდებარეობს სოფ. შრომას (მიხაილოვსკოე) მიდამოებში. ამიტომ მას ვუწოდებთ შრომის ტაფობი. ტაფობს წარმოადგენს ავრეთვე სამხრეთ მხარეზე, კონგლომერატებსა და ბირცის ანტიკლინს შორის მდებარე ვრცელი ზოლი, რომელიც დასავლეთით იწყება მდ. გუმისთადან და გრძელდება მდ. კელასურამდე და მის აღმოსავლეთითაც. ამ ტაფობის დასავლეთ ნაწილში ძირითად ქანებს ტერასული ნალექების სქელი ფენა ჰფარავს, ამიტომ მას რელიეფის უკანასკნელ (აკუმულაციურ) ტიპთან განვიხილავთ. ზოლის დანარჩენ ნაწილს აღმოსავლეთისაკენ ვუწოდებთ ჩალბაშ-კელასურის ტაფობს.

შრომის ტაფობი

შრომის ტაფობი დასავლეთით იწყება სოფ. შრომასთან და გრძელდება აღმოსავლეთისაკენ 5-6 კმ-ზე. ამავე მიმართულებით იგი განიერდება. ტაფობის შემადგენელ ოლიგოცენურ თიხებს კიდეებში მერგელები ჰფარავენ.

სოფ. შრომასთან მდ. აღმოსავლეთი გუმისთა ამ ტაფობის ჩრდილო კიდემდე აღწევს, შემდეგ კი მკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ. იგი მიედინება მერგელებისა და კირქვების კონტაქტზე და ერთვის დასავლეთ გუმისთას. მდინარის კალაპოტი ამ ნაწილში ღრმა და განიერია. სოფ. შრომასა და აღნიშნული მდინარის დონეს შორის სიმაღლეთა სხვაობა 100 მ.-მდეა. თვით სოფელი მდებარეობს 220-240 მეტრის აბსოლუტურ სიმაღლეზე. აღმოსავლეთით ზედაპირის დანაწევრების გამო, ტაფობის სიმაღლე ცვალებადობს. ტაფობის ზედაპირის ამგები ქანები — ოლიგოცენური თიხები ხშირად ალუვიონით არის დაფარული. სოფ. შრომა მდებარეობს აღმოსავლეთი გუმისთას ძველ ალუვიონზე.* სამხრეთ მხარეზე მთებთან ძველ ალუვიონს დელუვიონი ჰფარავს.

ჩალბაშ-კელასურის ტაფობი

ჩალბაშ-კელასურის ტაფობს სოხუმის მიდამოებში მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს. ეს ტაფობი მდებარეობს მდ. მდ. ჩალბაშსა და კელასურს შორის, შემდეგ უხვევს ჩრდილო-დასავლეთით ბირცის ანტიკლინის ჩრდილო მხარეზე, სადაც იგი დაბალი სერებით არის გამოყოფილი შრომის ტაფობისაგან. ბირცის ანტიკლინის ღერძი კელასურიდან სწრაფად იძირება, ამიტომ მისი როლი რელიეფში უმნიშვნელოა. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მოგვცა ჩალბაშ-კელასურის ტაფობი დაგვეკავშირებინა ბირცის ჩრდილო-ეთით მდებარე ტაფობთან, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 200-250 მეტრს არ აღემატება.

ჩალბაშ-კელასურის ტაფობი უმეტეს წილად 200 მეტრზე დაბალია. განსაკუთრებით დაბალი და განიერია ჩალბაშის ხეობა. მისი სიმაღლე ბირცის მთასა და კონგლომერატების სერებს შორის 100 მეტრზე ნაკლებია, სიგანე კი აღწევს 2-3 კილომეტრამდე. ჩალბაშის ხეობა და კალაპოტი სუსტად არის დახრილი, ამიტომ მდინარის დინება მდორეა. ტაფობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მდ. კელასურის კალაპოტს მეტი დახრილობა აქვს. შესართავიდან სა-

* აღმოსავლეთი გუმისთას ძველ მშრალ ხეობას ქვემოთ შევეხებით.

თაეისაკენ 14 კილომეტრზე მისი კალაპოტის ვარდნა 200 მეტრამდე აღწევს.

ჩალბაშის ტაფობში ოლიგოცენური თიხები ხშირად ალუვიური ნალექებით არის დაფარული. ოლიგოცენურ თიხებში, განსაკუთრებით ხეობათა ფერდობებზე, ხშირია მეწყრული მოვლენები. მეწყრული ფორმები გვხვდება ჩალბაშის დასაელეთითაც მდ. გუმისთასთან. გუმისთას მარჯვენა მხარეზე სოფ. ეშერის მიდამოებში მეწყრებს განსაკუთრებით დიდი გავრცელება აქვთ. ეშერის სამხრეთით დამეწყრული თიხები შავი ზღვის ნაპირამდე აღწევენ.

ამრიგად, ოლიგოცენის თიხებზე არსებული ტაფობებისათვის დამახასიათებელია: **უმნიშვნელო აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, ჰიდროქსელის სიხშირე, განიერი და მცირე სიღრმის ხეობები და მეწყრული მოვლენები.**

3. სერები პლიოცენური კონგლომერატების საფუძველზე

ზღვის სანაპირო მაღლობები აგებულია კონგლომერატებით. ეს მაღლობები ზოგან უახლოვდებიან ზღვის ნაპირს, ზოგჯერ კი რამდენიმე კილომეტრით არიან მისგან დაცილებულნი. მდ. მაჭარას აღმოსავლეთით და მაჭარა-კულასურს შორის ხსენებული მაღლობები რამდენიმე კილომეტრის სიგანეს აღწევენ. კულასურის დასავლეთით კონგლომერატების გავრცელების არე ვიწროვდება. დასავლეთით კონგლომერატები გადარეცხილია მდ. გუმისთას მიერ.

კონგლომერატები მტკიცედ არიან შეცემენტებულნი, ამიტომ ისინი დენუდაციას მედგარ წინააღმდეგობას უწევენ და მკვეთრ მთიან რელიეფს ქმნიან. რადგან კონგლომერატის შრეები სუსტად არიან დახრილნი ზღვისაკენ და მათი სტრუქტურა მონოკლინურია, ამიტომ ისინი ზღვის სანაპირო კუესტს ჰქმნიან. კონგლომერატების მიერ წარმოშობილ მოგრძო პარალელურ მაღლობებს ციცაბო ფერდობები ახასიათებს.

აღნიშნული სერების ორივე (სამხრეთი და ჩრდილო) ფერდობი ციცაბოა (დაქანება ხშირად 40°-მდე აღწევს). სერებს ჰკვეთენ განივი და გასწვრივი ხეობები. ორივე ტიპის ხეობებისათვის დამახასიათებელია მკვეთრი რელიეფი. მდ. ჩალბაშის ქვემო წელის მარცხენა მხარეზე სერების მაღალი ნაწილიდან ჩამოდის რამდენიმე გასწვრივი ხევი. მათგან ორი-სამი, მეტად გამოირჩევა რელიეფში. ეს ხევები აჩენენ ჩრდილოეთისაკენ მიმართულ ციცაბო

ფერდობების მჭონე მოგრძო მაღლობებს, რომელთა თხემები მაღლდება აღმოსავლეთისაკენ.

კელასურისაკენ სერები უფრო მაღალია. კელასურის ქვემო წელის მარჯვენა მხარეზე მდებარე მთის სიმაღლე 330 მეტრს უდრის. კელასურ-მაჭარას წყალგამყოფის სიმაღლე 287 მეტრამდეა. სოხუმთან და მის დასავლეთით სერები დაბლდებიან. აქ მათი დიდი ნაწილი გადარეცხილია. სერების ფერდობებზე ზოგან ტერასული საფეხურებია.

4. აკუმულაციური რელიეფი

აკუმულაციური რელიეფი უმთავრესად წარმოდგენილია რაიონის მთავარ მდინარეთა შესართავებთან და განხილული სერების სამხრეთით ზღვის ნაპირზე. ყველაზე ვრცელი აკუმულაციური ვაკეები მდებარეობს გუმისთას ქვემო წელის ორივე მხარეზე. კირქვიან მთებსა და ზღვას შორის. ამავე რელიეფთან ერთად განვიხილავთ აღმოსავლეთი გუმისთას მშრალ ხეობას, რომელიც იწყება სოხუმის ჩრდილოეთით და აღწევს სოფ. შრომამდე. აკუმულაციური რელიეფის განხილვისას საქმე გვექნება ზღვიურ ან მდინარეულ ტერასებთან. რაიონის ტერასული ნალექები მეოთხეული ხნოვანებისაა და განლაგებულია მესამეული დისლოცირებული წყებების ზედაპირებზე. საველე მუშაობის დროს ტერასული ნალექების სრული ჭრილების შესწავლის მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენდა მათი არასაკმარისი გაშიშვლებულობა. ტერასების გაშიშვლებებს ეხვდებოდით გზებისა და ხელოვნური თხრილების გასწვრივ, მაგრამ ამ შემთხვევებშიც არ იყო მთლიანი ჭრილი. ამის გამო, ხშირად ტერასების დასადგენად მხოლოდ მათს მდებარეობას ვეყრდნობოდით. ტერასები შედარებით კარგად არის გამოსახული მდინარეთა შესართავებთან, განსაკუთრებით კი გუმისთასა და კელასურის ხეობებში. გუმისთასა და კელასურს შორის ძველი ტერასების დიდი ნაწილი გადარეცხილია. ზოგიერთი მათგანი დარჩენილია ფრაგმენტებად. სანაპიროს გასწვრივ ყველგან კარგად არის გამოსახული თანამედროვე საფეხური, რომელზეც მდებარეობს ქ. სოხუმი და სხვა დასახლებული პუნქტები.

შავი ზღვის სანაპირო ტერასებით მრავალი ძველი და ახალი მკვლევარი იყო დაინტერესებული. მკვლევართა უმრავლესობა ეხებოდა უმთავრესად ტერასების რაოდენობას, სიმაღლესა და ასაკს. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სანაპიროს ყველა ნაწილში ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდი ერთნაირი არ იყო. ამ სა-

კითხზე სპეციალური მუშაობა ჩაატარა ვ. პეტროპაველოვსკიმ, რომელმაც შავი ზღვის ტერასები შეისწავლა ადლერსა და ტუაფსეს შორის (12). მკვლევარების მიერ მეორე შემჩნეულ ფაქტს წარმოადგენს ტერასების აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლის ზრდა ზღვიდან მთებისაკენ.

მდ. მდ. კოდორსა და ენგურს შორის არსებული ტერასების შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ო. მიხაილოვსკაიამ (10). აფხაზეთის სანაპიროს ზღვიური ტერასების ვრცელი დახასიათება მოგვცა ბ. თ. დობრინინმა თავის ორ სტატიაში (3. 4). ხსენებული ავტორის მეორე სტატია მარტო აფხაზეთის ტერასებს ეხება. ავტორმა, სხვათა შორის, სოხუმის მიდამოებსაც ყურადღება მიაქცია და ძირითადად მაღალი (110-120-180 მ. და სხ.) ტერასები აღნიშნა. ბ. დობრინინი პლიოცენური კონგლომერატებით აგებულ მთებზე არსებულ დენუდაციურ ზედაპირებს შავი ზღვის უძველეს ტერასებად სთვლის. იგი ვარაუდობს, რომ კელასურ-ჩალბაშის წყალგამყოფზე 200 მეტრზე მაღალი ტერასებიც არსებობენ.

საველე მუშაობის დროს ჩვენ მიერ შემჩნეული იქნა, რომ ტერასები მდინარეთა შესართავებთან უფრო კარგად არიან შენახული. იქ, სადაც სანაპირო სერები ზღვამდე აღწევენ, ან უახლოვდებიან მას, მეოთხეულში ჩნდებოდნენ ტერასების ვიწრო საფეხურები, რომლებიც ხანმოკლე დროის განმავლობაში ირეცხებოდნენ. განიერ სანაპირო ვაკეებზე ტერასები უფრო კარგად არის შენახული. კონგლომერატებით აგებული მაღლობები გამოფიტვის გამო ადვილად იშლებიან, რამაც აგრეთვე ხელი შეუშალა მათს ფერდობებზე ტერასული საფეხურების შენახვას. მდინარეთა შესართავებთან ტერასების კარგად დაცულობა შეიძლება ავხსნათ შემდეგი მიზეზებით. როგორც ვიცით, ხეობების გაფორმება ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის პროცესში მიმდინარეობდა. ხმელეთის აზევების დროს მდინარე აღრმავებდა კალაპოტს და, ზღვის უკუდახევის გამო, თავისი შესართავის წინისაკენ გადაადგილებას ახდენდა. ხმელეთის დაძირვის შემთხვევაში კი ზღვა იჭრებოდა მდინარის მიერ წინათ გაღრმავებულ კალაპოტში და მის შესართავში აკუმულაციას აწარმოებდა. ამით მდინარის შესართავთან გაკანიერებული ხეობა ზღვიური ნალექებით ივსებოდა. შემდეგ ხმელეთის ახალი აზევებით ზღვა უკან იხევდა და მის მიერ დატოვებულ ნალექებში მდინარის ახალი კალაპოტი ჩნდებოდა. ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ფაზების რიცხვს მდინარის შესართავთან არსებული ტერასების რაოდენობა გვიჩვენებს. ამრიგად, ხოხუმის

შიდამოების მდინარეთა შესართავებთან არსებული ტერასები თავისი წარმოშობის მიხედვით ზღვიურიც არიან და მდინარეულიც. მათი შემადგენელი მასალა ზღვისა და მდინარის მიერ დაგროვდა. ტერასული საფეხური მდინარემ წარმოშვა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ტერასები მდინარის გასწვრივაც ვრცელდებიან. იმავე ტერასების შესატყვისი საფეხურები სანაპიროზე ზღვის პარალელურადაც გრძელდება, მაგრამ აქ ისინი ცუდათ არიან შენახულნი.

მდ. კელასურის შესართავთან არსებული ტერასები ა. კოზლოვმა შემდეგი სიმაღლეებით აღნიშნა I 5-6 მ., II 8-10 მ., III 20-24 მ., IV 45-48 მ., V 110 მ. (9).

ჩვენი აზრით, იმავე რაიონში შემდეგი ტერასები შეიძლება გამოიყოს: თანამედროვე ტერასი, რომლის სიმაღლე უდრის 1-2 მეტრს: იგი ზღვის გასწვრივ თითქმის უწყვეტად ვრცელდება, ზოგან ვიწროვდება, ზოგან კი განიერდება. მეორე საფეხურის სიმაღლე 4-6 მეტრს უდრის ზღვის დონიდან. მესამესი 12-14 მ. ეს ტერასი ხეობაში მდინარისაკენ ფლატით მთავრდება. მდ. კელასურის ხიდის ზემოთ, მდინარის გასწვრივ ამ ტერასის ჭრილში გაშიშვლებულია მორუხო და რუხი ფერის ქვიშები და კენჭები. ზოგი ფენი სუსტად არის შეცემენტებული ოდნავ კარბონატული ქვიშით. ზედა შრეები უფრო უხვიერია და ყვითელ ფერისა. მეოთხე ტერასის სიმაღლე 45-47 მეტრამდეა, მეხუთესი 68-74 მ. ყველაზე მაღალი ტერასი ანუ მეექვსე აღწევს 102-108 მ.

მაღალი ტერასები თითქმის არ არიან გაშიშვლებულნი, მაგრამ გზის პირას კარგად ჩანს მათი ნაწილის აგებულება. ძველ ნალექებს აქვთ ხუსტად გამოხატული შრეებრივობა. შრეებს ემჩნევა ზღვისაკენ დახრილობა. ძველი ტერასები აგებულია მოყვითალო თიხებით, ქვიშიანი თიხებითა და რიყექვანით. ტერასულ ნალექებში დიდ მონაწილეობას იღებს დაშლილი პლიოცენური კონგლომერატი. აღმოსავლეთით მდ. მაჭარასაკენ 2-3 ტერასია, რომლებიც ვიწრო ზოლებად ვრცელდებიან.

კელასურიდან სოხუმისაკენ, ზღვის გასწვრივ, ზემოაღნიშნული ტერასები მცირე მანძილზე (150-200 მ.) გრძელდება. ბოტანიკურ ბაღამდე აღწევს ორი ძველი (45-48 მ. და 68-74 მ.) ტერასი. მდ. ჩალბაშის დასავლეთით ზოგიერთი ტერასი ისევ ჩნდება. სოხუმში თანამედროვე ტერასი განიერია, 1 კილომეტრს აღემატება. ამ ტერასის სიმაღლე ზღვის ნაპირზე 1 მეტრამდეა, ჩრდილოეთით იგი მაღლდება და ქალაქის ჩრდილო ბოლოში 2-3 მეტრს აღწევს. აქ მდებარეობს პატარა ხევი, რომელიც ჰკვეთს ტერასებს.

სოხუმის ჩრდილოეთით კონგლომერატით აგებული მაღლობის (ჩერნიავსკის მთის) ფერდობზე მდებარეობს 10-12 მეტრის აბსოლუტური სიმაღლის ვიწრო ბაქანი, რომელიც აგებულია მოყვითალო ფერის ქვიშიანი თიხებითა და მსხვილმარცვლოვანი კენჭებიანი ჟანგისფერი ქვიშებით. სოხუმის დასავლეთით მდ. დაშპალასაკენ (Гвиазупка) არის უფრო მაღალი საფეხურებიც. ერთ-ერთი საფეხურის სიმაღლე უდრის 18-22 მეტრს. ამ ტერასის ჭრილში გაშიშვლებულია მსხვილმარცვლოვანი კენჭებიანი ქვიშები, რომლებიც ფხვიერ კენჭებიან ქვიშაქვებთან მორიგეობენ. შრეებრიობა ძლიერ სუსტადაა გამოხატული. ტერასის ამგები მასალა შესდგება კირქვის, ქვიშაქვისა და მაგმური ქანების ნატეხებისაგან. ამ საფეხურის ზემოთ წყალგამყოფისაკენ კიდევ არის ერთი უფრო მაღალი საფეხური, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 40-45 მეტრს უდრის.

მდ. გუმისთას ორივე გაგანიერებულ სანაპიროზე, შესართავიდან კირქვიან მთებამდე რელიეფში კარგად არიან გამოსახული ტერასები. მათგან თანამედროვე ტერასი ძლიერ განიერია (2-3 კილომეტრამდე). შემდეგ გუმისთას დასავლეთით იგი ვიწროვდება. თანამედროვე ტერასის ჩრდილოეთით ერცელდება ორი უფრო ძველი ტერასი. გარდა ამ უკანასკნელებისა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხიდთან რკინიგზის გასწვრივ არის 4-5 მეტრიანი გაშიშვლება, რომელშიც წარმოდგენილია ყვითელი ქვიშით სუსტად შეცემენტებული რიყის ქვები და კენჭები. ზემოთ კენჭების რაოდენობა მცირდება. შრეების სისქე 30-40 სანტიმეტრამდეა. ამ საფეხურის სიმაღლე 6-10 მეტრამდეა.

აღწერილი გაშიშვლების ნალექები კოზლოვმა ჩაუდურად დაათარიღა. ილინმა და ებერზინმა, როგორც ითქვა, ამ ნალექებში შეოთხეული ფაუნის ნამარხები ნახეს, მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა მკვლევარებმა თავიანთ რუკაზე ეს ნალექები ისევ ჩაუდურად დასტოვეს. ხსენებული ნალექების მეოთხეულ ასაკს მათი ლითოლოგიაც მოწმობს. ისინი შემადგენლობის მიხედვით არ განსხვავდებიან არაფრით სოხუმთან და კელასურთან მდებარე, იმავე სიმაღლის ტერასის ნალექებისაგან. ამრიგად, ეს საფეხური წარმოადგენს მეორე ტერასს, რომელიც აქ ვიწრო ზოლად ერცელდება მცირე მანძილზე. შემდეგი, უფრო მაღალი საფეხური განიერია მდინარის ორივე მხარეზე და სიმაღლით 18-24 მეტრამდე აღწევს. ეს ტერასი ჩრდილოეთით, მდინარის გასწვრივ თანდათანობით ვიწროვდება. აღნიშნულ ტერასს გუმისთას ხეობის გაგანიერებულ ჩრდილო ნაწილში, მდინარიდან მოშორებით სცვლის უფრო მა-

ლალი, 35-45 მეტრიანი ტერასი, რომელიც ახალგაზრდა ტერასებთან შედარებით უფრო დანაწევრებულია ჰიდროქსელით. ეს ტერასი შესდგება როგორც ჟანგის ფერი ქვიშისაგან, ისევე სუსტად შეცემენტებული კონგლომერატისაგან. მის ჭრილში მონაწილეობს აგრეთვე კენჭებიანი და თიხიანი ქვიშები და რიყექანი. ჩრდილოეთით, კირქვიან მთებთან მიახლოებისას ამ ტერასის ნალექებში გამოერევა ლოდებიც. 35-45 მეტრიანი ტერასი აღმოსავლეთით და დასავლეთით კირქვიანი მთების პარალელურად ვრცელდება. ამ ტერასის შექმნის პროცესში მდ. გუმისთა ზღვას მთების ძირთან ერთოდა.

მესამე (18-24 მ.) ტერასის სიგანე 1,5 კ მ.-მდეა, 35-45 მეტრიანისა კი ერთ კილომეტრამდე. მთების ახლოს ტერასების ჭრილის ქვედა ნაწილში გაშიშვლებულია ოლიგოცენური თიხები.

უკანასკნელ ობიექტს, რომელსაც შევეხებით, წარმოადგენს აღმოსავლეთი გუმისთას მშრალი ხეობა. ეს ხეობა მდებარეობს სოხუმსა და სოფ. შრომას შორის. კირქვიანი მთების ფარგლებში, აღნიშნული ხეობის საზღვრები ა. კოზლოვს თავის რუკაზე სწორად აქვს მოცემული. მთების სამხრეთით ოლიგოცენის ზონაში ხეობა განიერდება და ვრცელ აკუმულაციურ ვაკეს ჰქმნის, რასაც ხელი შეუწყო ოლიგოცენის თიხებზე არსებულმა დაბალმა რელიეფმა.

აღმოსავლეთი გუმისთას მშრალი ხეობა იწყება ახბიუკის ანტიკლინის ჩრდილოეთით სოფ. შრომის ფარგლებში. სოფ. შრომა მდებარეობს კირქვიან ანტიკლინურ მთებს შორის მოქცეულ სინკლინში, რომელიც აგებულია ოლიგოცენური თიხებით. გადარეცხილ თიხებზე განლაგებულია მეოთხეული ნალექები, რომლებიც ეკუთვნის აღმოსავლეთ გუმისთას. ამ ნალექების სისქის გამორკვევა ცუდი გაშიშვლებების გამო ვერ შევძელით: მათი სისქე დაახლოებით რამდენიმე ათეული მეტრი უნდა იყოს. ალუვიონი შესდგება სუსტად შეცემენტებული კონგლომერატისაგან. შემაკავშირებელი მასალა ყვითელი თიხიანი ქვიშებია. კონგლომერატი წარმოდგენილია წვრილი რიყექანით, რომელშიც გამოერევა ლოდებიც. რიყექანი შესდგება კირქვის, პორფირიტისა და სხვა მაგმური ქანების ნატეხებისაგან. აღმოსავლეთი გუმისთას თანამქრობი კალაპოტი, ძველი ხეობის კალაპოტთან შედარებით, გაცილებით დაბლა მდებარეობს და სხვაობა 100 მეტრს აღწევს.

ანტიკლინური მთების ფარგლებში მშრალი ხეობა ზოგან განიერია, ზოგან კი ვიწროვდება. საშუალო სიგანე 200 მეტრამდეა. კალაპოტი ყველგან დაფარულია ალუვიონით. ძველი კალაპოტი დასერილია ახალი ხევებით. ხეობას უერთდება მრავალი მშრალი ხევი.

სოფ. შრომიდან სოხუმისაკენ 3,5 კმ. მანძილზე (ხიდთან) კალაპოტში არის 7-8 მეტრიანი გაშიშვლება. ჭრილს ემჩნევა ორიგი შრეებრიობა. ნალექები ყვითელი ფერისაა, ან მოყვითალო, ზოგჯერ ჟანგის ფერი, განსაკუთრებით ზედა ნაწილში. ჭრილში სუსტად შეცემენტებული კონგლომერატები (ქვიშაქვის, კირქვის, მაგმური ქანებისა) მორიგეობენ ქვიშიან თიხებთან და კენჭებიან თიხებთან. იშვიათად გამოერევა 20-30 სანტიმეტრიანი დიამეტრის ლრდებიც. მშრალი ხეობის ფერდობები ციცაბოა და უმთავრესად მცენარეულობით შემოსილი. კალაპოტზე სშირია უწყლო კარსტული ძაბრები. მათი სიმშრალე გამოწვეულია გრუნტის წყლის ღრმა მდებარეობით. ზოგიერთი ღრმა ქვაბული წვიმების დროს წყლით ივსება და ტბა ჩნდება. ასეთი ძაბრი ვნახეთ სოფ. შრომიდან სამხრეთით 5 კმ. მანძილზე. მიუხედავად გვალვისა, ძაბრში წყალი იდგა. კირქვიანი მთებიდან გამოსვლის შემდეგ მშრალი ხეობა გაიფართოვდება. მთების ძირთან მდინარეს ფართო გამოზიდვის კონუსი გაუჩენია. კონუსი ღრმა ხევებით არის დასერილი. ერთ-ერთ ხევში 30 მეტრიანი ფლატე ვნახეთ. გაშიშვლებაში მოსჩანს ზემოაღწერილი ჭრილის მაგვარი ნალექები. სოხუმამდე 1 კილომეტრზე ე. ი. კონგლომერატის მაღლობებთან მიახლოებისას, კონუსი თავდება. სამხრეთ ბოლოში, ე. ი. სოხუმთან, აღმოსავლეთი გუმისთას ძველი ნალექები 45-50 მეტრზე მდებარეობს (ასევე აღნიშნავს ა. კოზლოვიც), ე. ი. იგი ამავე სიმაღლის ზემოაღწერილ ტერასს ეფარდება.

მშრალი ხეობის გამომუშავებამდე ახბიუკისა და ბირცის მთები ახლანდელთან შედარებით გაცილებით დაბალნი იყვნენ, რამაც ხელი შეუწყო ხეობის გამომუშავებას რელიეფის საერთო (სამხრეთისკენ) დახრილობასთან შეთანხმებულად. სოფ. შრომის ჩრდილოეთით მდებარე მაღალი მთებიდან მაშინდელ აღმოსავლეთ გუმისთას გამოჰქონდა ალუვიონი და შრომის მიდამოებში აგროვებდა. **ალუვიონის დიდი რაოდენობით დაგროვებამ და ანტიკლინური მთების ახალმა სწრაფმა აზევებამ (რომელმაც სანაპიროზე 40-45 მეტრიანი ტერასი წარმოშვა) მდინარის სამხრეთისაკენ დინების ხელი შეუშალა. ხეობა უკვე გამოსახულ ანტიკლინურ მთებს შორის მდებარე მერგელებსა და ოლიგოცენურ თიხებს გაჰყვა და დასავლეთი გუმისთას ხეობას შეუერთდა.**

მშრალი ხეობის გაჩენის პირველ სტადიაში ხმელეთის მნიშვნელოვან აზევებას ჰქონდა ადგილი, რასაც ადასტურებს ანტიკლინურ მთებში მშრალი ხეობის დიდი სიღრმე (100 მეტრზე მეტი). ამის

შემდეგ ხმელეთმა რამდენიმედ დაიწია, რაც მტკიცდება მშრალ კალაპოტზე ალუვიონის დიდი სისქით. ახალმა მორიგმა აზვირთებამ მდინარეს შეუცვალა მიმართულება და ძველი კალაპოტი დააშრო. **შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მშრალი ხეობის ასაკი დასავლეთ გუმისთასთან და კელასურთან ნახული 40-45 მეტრიანი ტერასის სინქრონიულია.** ამის საბუთს აღმოსავლეთი გუმისთას ძველი გამოზიდვის კონუსის ნალექების ამავე სიმაღლეზე (45-50 მ.) მდებარეობა წარმოადგენს.

აფხაზეთის სანაპირო ტერასების ასაკის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი. ძველი მკვლევარები ტერასების წარმოშობას ზღვის დონის ევსტატიკურ ცვალებადობას უკავშირებდნენ და შავი ზღვის სანაპირო ტერასების ხმელთაშუაზღვის შესატყვის ტერასებთან ასაკობრივ პარალელიზაციას ახდენდნენ.

უკანასკნელი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ კავკასიონის მეოთხეულშიც განიცდიდა ოროგენეტულ მოძრაობებს, ამიტომ ტერასების წარმოშობაც ამავე მოძრაობებით ახსნეს. მოახდინეს მათი სინქრონიზაცია გამყინვარების პერიოდებთან. შავი ზღვის სანაპირო ტერასებთან ერთად, მდინარეული ხეობების გაფორმებაც ხდებოდა. მდინარეული ტერასების გამყინვარების პერიოდებთან დაკავშირების შესაძლებლობა შეიქმნა მის შემდეგ, რაც შავი ზღვის მრავალ მდინარეულ ხეობაში მეოთხეული მყინვარების მიერ დატოვებული მორენების არსებობა დადასტურდა (11, 13, 14).

უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის სანაპირო ტერასები დააკავშირეს არქეოლოგიურ ძეგლებთან (პირველყოფილი ადამიანის ნადგომები და სხვ.), რომლებიც აღმოჩენილი იქნა ტერასული ნალექების ცალკეულ წყებებში (2, 16, 17). მკვლევართა უმრავლესობა არსებული მასალების საფუძველზე შემდეგნაირად ათარიღებს აფხაზეთის ტერასებს:

I. 4 8 მ. ტერასი. ყაბანური („კობანური") კულტურა.

II. 12-17 მ. ზედა პალეოლითი, რის-ვურმი, კარანგატული პერიოდი.

III. 33-40 მ. მუსტიერული, რისული გამყინვარება, ჭანჭლარული პერიოდი.

IV. 60-70 მ. მუსტიერული. მინდელ-რისი, ძველეეექსინური პერიოდი.

V. 80-130 მ. აშელური, მინდელური გამყინვარება.

უკანასკნელად სოხუმის მიდამოებში (მდ. გუმისთაზე და სოხუმის ჩრდილო ნაწილში) ტერასულ ნალექებში ნახეს მეოთხეული

ფაუნის ნამარხები (6). 33-40 მ. ტერასის ნალექებში აღმოჩნდა კარანგატული ფაუნის წარმომადგენლები, ხოლო 60-70 მ. ტერასის ნალექებში უზუნლარულისა (2. 16). ამ შემთხვევამ ეჭვის ქვეშ დააყენა შავი ზღვის მეოთხეული ტერასების აღრინდელი სტრატიგრაფიული სქემა და დამატებითი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობა წარმოშვა.

Г. С. ДЕВДАРИАНИ

Геоморфологические наблюдения в окрестностях гор. Сухуми

Р е з ю м е

Предлагаемая статья является результатом полевых работ, проведенных нами в окрестностях гор. Сухуми в 1945-46 г. г.

Район наших исследований расположен в прибрежной полосе Абхазии, между нижними течениями рек Гумисты и Маджарки. На севере граница проходит в зоне известняков, по линии гор Абаатдара-Ахбюк.

В приморской части Абхазии до последнего времени исследователями проводились, главным образом, геологические работы. Некоторые исследователи в своих трудах касались отдельных геоморфологических вопросов, особенно морских и речных террас. Из геоморфологических работ, относящихся к району, можно назвать статьи Б. Ф. Добрынина, А. Н. Джавахишвили, О. Михайловской (4, 5, 20, 10).

Окрестности Сухуми являются частью причерноморской холмистой полосы, представляющей предгорья Западного Кавказа.

О геологическом строении района довольно полное представление дают работы А. Козлова, М. Шведова, С. Ильина и А. Эберзина, К. Ваханин и др. (9, 18, 8, 7).

В стратиграфическом разрезе района присутствует комплекс осадочных пород, начиная с меловой системы и кончая плиоценовыми отложениями. Мел и нижний палеоген представлены известняками и мергелями, над которыми лежат олигоценовые глины, заполняющие главным образом синклинальные мульды. На юге района, у самого моря, прибрежные возвышенности сложены плиоценовыми плотно-цементированными конгломератами. Третичные слои имеют наклон в сторону моря.

В районе обширным распространением пользуются четвертичные отложения, преимущественно представленные морскими и речными осадками, слагающими террасы.

Тектоническая схема района определяется чередованием антиклинальных и синклинальных складок, расположенных в северной части района. А. Козлов выделил две главные антиклинали, осложненные на северных крыльях разрывами и сливающиеся между собой на западе (на правом берегу р. Гумиста) в горах Абачгдара. К востоку оси антиклиналей понижаются и около р. Келасуры погружаются под олигоценовыми глинами. На севере, в районе сел Шроми (Михайловское), между антиклинальными гор ми расположена синклиналь.

В южной части зона третичных отложений обладает моноклинальной структурой, слои падают в сторону моря.

Основой современного рельефа окрестностей Сухуми является геологическое строение. Первичный рельеф впоследствии испытал преобразование экзогенными и эндогенными факторами.

На основании вышеизложенного, в исследованном районе можно выделить следующие типы рельефа:

1. Невысокие известняковые антиклинальные горы;
2. Котловины, выработанные в олигоценовых глинах;
3. Гряды из илиоценовых конгломератов;
4. Аккумуляционный рельеф.

К типу антиклинальных гор относятся: Бырц (593 м.); Ахбюк (660 м.), Абачгдара (805 м.), а также южные склоны северных гор. Эти горы резко выделяются в рельефе. Они имеют крутые склоны, которые расчленены глубокими, обычно безводными долинами. Горы прорезываются некоторыми главными реками, каковы Гумиста и Беслетка. Они в пределах гор имеют глубокие ущелья, происхождение которых связано с недавним поднятием суши. В результате этого движения, в пределах гор, долины упомянутых рек антецедентны. Характерной чертой рельефа гор, особенно их гребневой части, являются карстовые явления, представленные преимущественно поверхностными формами карста, а также пещерами.

К другому типу рельефа мы относим все понижения (котловины), сложенные олигоценовыми глинами.

Рельеф котловин обусловлен синклинальной структурой и литологическим составом слагающих пород. В нашем районе мы выделили две таких котловины — Шромскую и Беслетско-Келасурскую. Абсолютные высоты этих котловин не превосходят 200-250 м. Основными характерными чертами рельефа котловин являются: незначительные абсолютные и относительные высоты, густота речной сети, широкие и неглубокие

речные долины и оползневые явления. Для конгломератовых гряд характерен резкий, сильно расчлененный и куэстообразный рельеф. В восточной части района высота гряд больше 300 м, на склонах гряд имеются размытые морские террасы.

Аккумуляционный тип рельефа представлен: в нижних частях речных долин и вдоль берега моря. К этому же типу можно отнести сухую долину Восточной Гумисты.

Прежние исследователи отмечали наличие на побережье Черного моря нескольких террас. Они пытались датировать террасы путем сопоставления их с эпохами четвертичного оледенения.

За последнее время некоторые исследователи связали террасы с найденными на них археологическими памятниками.

На правом берегу устья р. Келасури наблюдаются следующие террасы: современная 1 м, I терраса 4-6 м, II 12-14 м, III 45-47 м, IV 68-74 м, V 102-108 м. Все они сложены слабо-цементированными галечниками, переслаивающимися с песками и глинистыми песками.

Более древние выветрились сильнее, поэтому слагающие их породы имеют красный оттенок. От устья Келасури по направлению к Маджарке из описанных террас простираются только 2-3.

В направлении Сухуми большая часть террас размыта. Террасы хорошо выражены на обоих берегах Гумисты. Здесь они широкие, достигающие нескольких километров ширины. Таковы террасы: современная 6-10 м., 18-24 м. и 35-45 м. Их слагает тот-же материал, который образует террасы правобережья р. Келасури. В образовании террас, в приустьевых частях рек, в процессе эпейрогенических движений, море и реки участвовали совместно.

К аккумулятивному же рельефу следует отнести сухую долину Вост. Гумисты, расположенную между сел. Шрома и Сухуми. Эта долина, прорезывая вышеописанные антиклинальные горы, заканчивается в Беслетско-Келасурской котловине, севернее Сухуми. В пределах гор она узка, с сухим закаретованным дном, при выходе из гор долина расширяется.

Сел. Шрома находится на древне-аллювиальных отложениях сухой долины. Мощность этих наносов здесь измеряется несколькими десятками метров. Они имеют еще большую мощность у выхода долины из гор, где река образовала большой конус выноса. Относительная высота начала сухой долины 100 м. (над уровнем нынешней Восточной Гумисты). Южная оконечность конуса выноса расположена на высот

45-50 м. над уровнем морл. Исходя из этого, сухую долину можно хронологически сопоставить с одной из вышеописанных террас, а именно с 35-45 метровом уступом долины Гумисты.

История долины Восточной Гумисты может быть обрисована следующим образом. Образование древней антецедентной долины Вост. Гумисты произошло вследствие вертикального поднятия суши. Поднятие вызвало интенсивный размыв в верхнем течении реки и перенос вниз большого количества рыхлого материала. Эти наносы скопились в районе сел Шрома. Поднятие суши сменилось некоторым опусканием. В районе Шромской мульды образовался конус выноса. Нагромождение наносов между оформившимся к тому времени антиклинальными горами вынудило Вост. Гумисту изменить свое направление на западное, вдоль контакта олигоценовых глин и мергелей нижнего палеогена.

ბიბლიოგრაფიული ცნობარი

1. Архангельский А. Д. и Страхов Н. М. Геологическое строение и история развития Черного моря. Акад. Наук СССР, 1938.
2. Громов В. И. Итоги изучения геологических условий нахождения палеолита на Кавказе и его значение для четвертичной стратиграфии Бюлл. Ком. по изуч. четвертичн. периода, № 6-7, 1940 г.
3. Добрынин Б. Ф. О террасах Восточного средиземья. „Землеведение", т. XXXIV, вып. 3-4, 1932.
4. Добрынин Б. Ф. Террасы Абхазии (геоморфологический очерк) Учен. зап. Московск. Ун-та, вып. V, 1936.
5. Добрынин Б. Ф. Закавказье. Опыт физико-географической характеристики. Изд. Ак. Наук СССР, 1940, Москва.
6. Эберзин А. Г. О фауне из морских террас Абхазии. Бюлл. Ком. по изуч. четверт. периода, № 6-7, Москва, 1940.
7. Вахания Е. К. Геологические исследования приморской зоны Абхазии (Рукопись, фонды Груз. филиала ГНК Азнефтеразведки). 1936-37 г. г.
8. Ильин С. Н. и Эберзин А. Г. Материалы к геологии третичных отложений Абхазии. Тр. НГРИ, серия А, вып. 99, 1936.

9. Козлов А. Л. Предварительный отчет о геологических исследованиях в б. Сухумском уезде в 1929 г. Изв. Всесоюзн. геолого-развед. об'един., вып. 68, 1932.

10. Михайловская О. Н. Четвертичные террасы Абхазии. Тр. Перв. Всесоюзн. Геогр. С'езда, вып. 3, 1934.

11. Москвитин А. И. Ледниковые образования Красной Поляны. Террасы р. Мзымты и части Черноморского побережья Кавказа. Бюлл. Ком. по изуч. четверт. периода, № 4. изд. Акад. Наук СССР, 1938.

12. Петропавловский В. К вопросу о черноморской трансгрессии. Изв. Гос. Географ. Общ-ва, т. XIV, вып. 4-5, 1932.

13. Рейнгард А. Л. Несколько слов о причерноморских и долинных террасах Кавказа. Ежегодник по геологии и минералогии России, т. 17, вып. 4, 1916.

14. Рейнгард А. Л. Некоторые геоморфологические проблемы Кавказа и пути их разрешения (к вопросу о возрасте черноморских террас). Тр. Перв. Всесоюзн. Геогр. С'езда, вып. 3, 1934.

15. Рейнгард А. Л. К вопросу о послетретичных тектонических движениях на Кавказе. Тр. Советск. Секц. Международн. Ассоц. по изуч. четверт. периода, вып. IV, 1934.

16. Соловьев Л. Н. К вопросу о геологической датировке Абхазского палеолита. Бюлл. Ком. по изуч. четвертичн. периода, № 6-7, 1940.

17. Шанцер Е. В. Условия залегания и геологическая датировка Абхазского палеолита. Бюлл. Ком. по изуч. четверт. периода, № 6-7, Москва, 1940.

18. Швецов М. С. Палеоценовые и смежные с ними слои Сухума. Тр. Геол. научно-исслед. Института при 1 МГУ, 1929.

19. ჯავახიშვილი ა. ნ. საქართველოს გეოგრაფია. ტ. I. გეომორფოლოგია. თბილის უნივერსიტეტის გამოცემა, 1926.

20. Джавахишвили А. Н. Геоморфологические ландшафты Грузинской ССР. (Рукопись, при кафедре Геоморфологии Тбилисского Гос. университета им. Сталина).

21. ჯანელიძე ა. ი. საქართველოს ბელტის პრობლემა. საქსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 1 და 2, თბილისი, 1942.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VI, 1946 г.

გური ქვირიკაძე

მთარაჭის ალპიური მეურნეობა

ყველაზე უფრო შეუსწავლელ, გამოურკვეველ დარგს საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიაში ალპიური და სუბალპიური მეურნეობის განლაგება წარმოადგენს. ამავე დროს, როგორც ცნობილია, საქართველო უმეტესად მთაგორიანი ქვეყანაა. აფხაზეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამხრეთ-ოსეთის, მთიულეთის, ხევის, ხევსურეთის, მთათუშეთის, აჭარის, მესხეთის, ჯავახეთის და საქართველოს სხვა კუთხეების ალპიურ მეურნეობას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

წინამდებარე მასალები მიზნად ისახავს გააშუქოს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის—მთარაჭის ალპიური მეურნეობა. იგი წარმოდგენილია ძირითადად თვით ავტორის მიერ მთარაჭაში ჩატარებულ დაკვირვებათა საფუძველზე.*) კვლევა-ძიების სფეროში მოქცეულია სამი დასახელებული პუნქტი: ღები, ჭიორა და გლოლა.

მთარაჭა, რომელიც მაღალ მთიან რაიონში მდებარეობს, ბრაჟალმხრივ საინტერესო კუთხეს წარმოადგენს. მეცნიერების თითქმის ყოველ დარგს (ბოტანიკას, გეოლოგიას, გეოგრაფიას, ეკონომიკას და სხვ.) შეუძლია გამონახოს აქ თავის კვლევა-ძიების ობიექტი. მთამადნეულისა და მცენარეულობის მრავალსახეობა, ბუნებრივი კლიმატური პირობების შეტად საინტერესო სახეობანი, ალპიური მეურნეობა და სხვ. მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს.

მაგრამ მთარაჭა საინტერესოა აგრეთვე უძველესი არქიტექტურული ძეგლებით, სახვითი ხელოვნების ნიმუშებით და ხალხური შემოქმედებით. აქ მრავალად შეხვდება მოგზაური ნანგრევებს, ისტორიულ კოშკებსა და სიმაგრეებს, ტაძრებს და საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის შორეული ეპოქის ყოფა-ცხოვრებას.

მთარაჭა ონის რაიონში შედის. ჩრდილოეთით მას აკრავს ჩრდილო-ოსეთის ასსრ და ყაბარდოს ასსრ. აღმოსავლეთით სამ-

*) იბეჭდება შემოკლებით.

ხოეთ-ოსეთის ავტ. ოლქი. სამხრეთით ის ესაზღვრება ონის რაიონში შემავალ სოფლებს და დასავლეთით — ქვემო სვანეთის რაიონს. მთარაჭაში შედის, როგორც აღვნიშნეთ, სამი დასახლებული პუნქტი: ღები, ჭიორა და გლოლა. გარდა ამისა, მის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი შოვი და საგლოლო საზაფხულო საავადმყოფოთი და შლიბდენმშენის მუშათა დასახლებული უბანი — გონა.

საკუთრივ მთარაჭა მოქცეულია რაჭის კავკასიონს და შოდა ქედებს შორის. მთავარი ქედის ის ნაწილი, რომელიც მას ეკვრის დაახლოებით გადაჭიმულია 42 კმ. მანძილზე და მიუხრთება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. იგი ჭანჭახის მწვერვალიდან უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამ ქედს სიმაღლე აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით*) აღწევს 3.800 მეტრს ზ. დ. ზოგიერთი მისი მწვერვალები კი უფრო მეტიცაა. ბუბა — 4530 მეტრს, ჭანჭახის წვერი — 4420 მ., ბუტკულა — 4350 მ., ლაბოდა — 4318 მ. მთარაჭისათვის დამახასიათებელია ალპიური ტიპის რელიეფი.

მთარაჭაში შეიძლება გავარჩიოთ სამი სხვადასხვა ზონა: მუდმივი თოვლისა და კლდეების ზონა, რომელიც 2300 მეტრის ზევით მდებარეობს, მუდმივი თოვლის საზღვარი ძევს 3300 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნული ზონა ასაზრდოებს მთავარ მდინარეებს, ალპიური და სუბალპიური ზონა, რომელიც 2000 მეტრიდან 2800 მეტრამდე მდებარეობს ზ. დ., წარმოადგენს ალპიური მესაქონლეობის განვითარების ბაზას; ტყის ზონის ფარგლებში, რომელიც 1400 მეტრიდან 1800-2300 მეტრამდე მდებარეობს, მოქცეულია სახვავ-სათესი მიწები და ამავე დროს საკმაო ადგილი უჭირავს სატყეო მეურნეობას. ამრიგად, სამივე ამ ზონას თავისი განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

მთარაჭა მდიდარია ჰიდროგრაფიული ქსელით, რომლის რეჟიმს განსაზღვრავს ჰავა, გეოლოგიური აგებულობა და რელიეფი. მთავარი მდინარეა რიონი, რომელიც სათავეს ღებულობს ედენას ყინვარიდან (ავრეთვე ნაწილობრივ ფასის მთიდან). მისი მარცხენა შენაკადებია: ჭანჭახი, ჩვეშურა, ნოწარულა, ბურალის რუ,**) ფარხიშული, კვაიშურის რუ; მარჯვნიდან ერთვიან: ჯუმათას ღელე, სასვანო რუ, გადარეული, ფიცრიხულას რუ, ფაცხეურა, ჯიჯიმარის რუ, სადათვის რუ, სახრიკილო, ლათქიშარას წყალი, მდ.

*) ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I
**) მთარაჭაში რუს უწოდებენ ნაკადულს.

შოდა და მხიროლული. გარდა ამისა თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ შემდინარეს თავის მხრივ ერთვიან პატარა ნაკადულები.

მდინარეთა უმრავლესობა თავიანთ დასაწყისს ღებულობს სკოროებიდან (ყინვარების ადგილობრივი სახელწოდება) ან წყაროებიდან.

მთარაჭის მდინარეები უდიდეს ჰიდროენერგიას შეიცავენ, რაც სოფლების ელექტროფიკაციის საფუძველს წარმოადგენენ. ამ მხრივ უკვე გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები: ერთი ჰიდროელსადგური აგებულია მდ. ბუბაზე, რომელიც მომსახურებას უწევს ძირითადად კურორტ შოვს და სოფ. გლოლას, მეორე კი მდ. ჩეშურაზე მოლიბდმშენისა და ღების მოსახლეობის საჭიროებისათვის.

ტბებიდან აღსანიშნავია: სასვანო გორის ტბები, მუხამეშის ტბათანი, შთალა.

მთარაჭა ხასიათდება შედარებით ცივი პავით (დასახლებულ ადგილებში), რაც აიხსნება ზღვიდან მოშორებით, თოვლიანი ქედების გავლენითა და მნიშვნელოვანი სიმაღლით. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა +13-15°, ზამთრის კი — 4-6°. ქარების სიძლიერე არ აღემატება 1,9 მეტრს. ზამთრის პერიოდში ნალექები უმთავრესად თოვლისაგან შესდგება. თოვლის სიღრმე 0,5-1,5 მეტრამდე აღწევს. ზაფხულის პერიოდში წვიმებს ხშირად თავსხმების ხასიათი აქვს, მაგრამ მათი ხანგრძლივობა 2-3 საათს არ აღემატება.

მთარაჭის საერთო ფართობი დაახლოებით შეადგენს 640 კვ. კმ. აქედან სასოფლო მეურნეობისათვის (საძოვრები, სათიბები, სახნავ-სათესი, საკარმიდამო) ვარგისია 36,7%; უვარგისია (კლდეები, ხრამები და სხვ.) 32,2%; ტყეს უჭირავს 29%; ბუჩქნარ-ჯაგნარს 2,1%.

ქ. ონიდან გონა დაშორებულია 37 კმ-ით, ღები 30 კმ., ჭიორა 26 კმ., გლოლა 24 კმ., შოვი 27 კმ., საგლოლოს საავადმყოფო 17 კმ. უკანასკნელი აღწერით მოსახლეობის საერთო რაოდენობა მთარაჭაში შეადგენს 6400 სულს. აქედან ღებში 3460 კაცია, ჭიორაში 1764 და გლოლაში 1176. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია კომლთა აბსოლუტური უმეტესობა. მთარაჭაში მეურნეობის უმთავრეს დარგს მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოშენება წარმოადგენს. საკმაოდ განვითარებულია მემინდვრეობაც.

მთარაჭის მოსახლეობისათვის მესაქონლეობა მეტად ხელსაყრელი დარგია, რადგან მისი მეშვეობით ხდება იაფი საკვების —

ბალახის, ჩალის, ბზის გადამუშავება ძვირფას პროდუქტებად (ხორცი, რძე, მატყლი, ტყავი, სასუქი და სხვ.). მესაქონლეობის განვითარების ბაზას წარმოადგენს მთის ალპიური და სუბალპიური ზონა, იგი 2000-2800 მეტრამდე აღწევს ზღვის დონედან. ალპების ქვეშ იგულისხმება საძოვარი, რომელიც მდებარეობს მაღალ მთებში და გამოსადეგია მხოლოდ ზაფხულში.*) მთარაჭის საძოვრები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: მუდმივი და დროებითი. პირველს მიეკუთვნება ალპიური საძოვრები, რომლებიც გამოყენებულია პირუტყვის საძოვრებად, წლის ხანგრძლივ პერიოდში. ასეთებია, მაგალითად, საძოვრები: ედენა, ტყისთავი, საბარო, თბილისა, მოდრეკილა, გორა, წმინდა ველები, მოლისა, საყავრე ქედი და სხვ. მუდმივი ანუ ალპიური საძოვრების საერთო ფართობი შეადგენს 18.240 ჰექტარს (საერთო ტერიტორიის 29%, რაც საძოვრების მთელი ფართობის 95%-ს შეადგენს). დროებითს საძოვრებს ეკუთვნის ისეთი ადგილები, რომლებიც დროგამოშვებით და ხანმოკლე დროით გამოიყენება საბალახოდ. ასეთებია, მაგალითად, ნასვენი მიწა, ქერისა და პურის ნაწვერალი და გათიბული ადგილები. მათი ხვედრითი წონა მცირეა (960 ჰექტარი ანუ 5%). ამრიგად, მესაქონლეობის ძირითადს ბაზას ზაფხულში შეადგენს ალპიური საძოვრები.

ზამთრის თვეებში მთარაჭის საქონლის საკვებს წარმოადგენს უმთავრესად თივა და აგრეთვე ბზე, ჩალა და სილოსი. სათიბების საერთო ფართობი შეადგენს 3000 ჰექტარს (საერთო ტერიტორიის 4,9%). თივის საშუალო წლიური საერთო მოსავალი უდრის 75.000 ცენტნერს (ჰექტარზე 25 ცენტ.). გარდა ამისა, დანარჩენი საკვები (ჩალა, ბზე და სილოსი) შეადგენს 3900 ცენტ. სულ პირუტყვის საკვების რესურსები ზამთრისათვის დაახლოებით 78.900 ცენტ. საძოვრების საერთო ფართობის სიდიდე (19.200 ჰექტ.) 6-ჯერ და კიდევ მეტად აღემატება სათიბების ფართობს (3000 ჰექტ.). უნდა აღინიშნოს, რომ მთარაჭაში საზაფხულო და საზამთრო საკვების რესურსები დისპროპორციულია: საზაფხულო საძოვრებს შეუძლია უფრო მეტი რაოდენობის პირუტყვის გამოკვება, ვიდრე ეს შესა-

*) პროფ. ტ. შაანი აჯამებს რა მთელ რიგ განმარტებებს ალპების შესახებ, ასკვნის: „ალპების ქვეშ გულისხმობენ მთების იმ სიბრტყეებს, რომელნიც 1) მდებარეობენ ზღვის დონედან არანაკლებ 900 მეტრის სიმაღლეზე, 2) აწვდიან საკვებს მორეკილ საქონელს ხელსაყრელი დროის განმავლობაში პირდაპირი ძოვების გზით და 3) იყენებენ ძირითადი მეურნეობისაგან დამოუკიდებლად, თუმცა მასთან ორგანიულ კავშირში იმყოფება“.

ძლებელია საზამთრო საკვები მარაგის საფუძველზე. მაგ., საზაფხულო საძოვრებზე იკვებება 5600-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. 1700 სული ცხვარი და თხა და 300 ცხენი. ყველა საჭის პირუტყვის გარდა ღორისა) რაოდენობა შეადგენს 7600-მდე სულს. ზამთრის პერიოდში საშუალოდ (7-8 თვის ხანგრძლივობით) საქონლის ამ რაოდენობის გამოსაკვებად ნორმალური პირობების დაცვით საჭირო იქნება 153.360 ცენტ. თივა (საშუალოდ თითო სულზე 20 ცენტ. არსებულ მარაგს (78.900 ცენტნერი) პირუტყვის თითოეულ სულზე ნორმალური საკვების (20 ცენტ.) დაცვით შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ 3945 სული. მაგრამ სინამდვილეში, ფაქტიურად არსებული მარაგით, ზამთრის პერიოდში იკვებება 7600 სული საქონელი, რაც უნდა ჩაითვალოს არანორმალურად, რადგან ასეთ პირობებში საქონელი ფაქტიურად შიმშილობს (20 ცენტნერის ნაცვლად ეძლევა 10,2 ცენტნერი). ეს გარემოება დიდ უარყოფითს გავლენას ახდენს განსაკუთრებით პროდუქტულ საქონელზე, რადგან ზამთარში ნაშიმშილებმა პირუტყვმა საზაფხულო საძოვრებზე ჯერ უნდა აღიდგინოს დაკარგული ენერგია, აღიდგინოს თავის ნორმალური წონა და შემდეგ დაიწყოს პროდუქტიულობა. ასეთ პირობებში მესაქონლეობა ნაკლებ-შემოსაელიანი ხდება. აქ თითქოს ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, რომლის გადალახვა გარეგნულად შეუძლებლად გვეჩვენება. თუ მოსახლეობა საზაფხულო საძოვრებზე იყოლიებს იმდენივე რაოდენობის საქონელს, რამდენიც ზამთარში შეუძლია გამოკვებოს, მაშინ საზაფხულო საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი დარჩება. მაგრამ თუ ეს საძოვრები გამოყენებული იქნება მთლიანად, მაშინ აქედან მიღებული საქონლის რაოდენობის გამოკვება ზამთრის განმავლობაში შეუძლებელი გახდება არსებული რესურსების საფუძველზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში საჭიროა ზედმეტი საქონელი ან გაიყიდოს და ან გაიგზავნოს საზამთრო საძოვრებზე. ეს უკანასკნელი მთარაჭის ახლომახლო არ მოიპოვება. ალპიური მესაქონლეობის ქვეყნებში საზაფხულო და საზამთრო საკვები რესურსების თანაშეუზომლობით გამოწვეული შედეგების თავიდან აცილებას ცდილობენ შემოდგომაზე ზედმეტი საქონლის გაყიდვით. სწორედ ამ ნიადაგზე ადგილი აქვს ალპიურ ქვეყნებში დიდ საშემოდგომო ბაზრობებს: რათა საქონლის ზაფხულის კონტინგენტი შეავსონ, გაზაფხულზე ისევ ყიდულობენ. ამ ოპერაციის ეკონომიური სარგებლობა გამოიხატება იმაში, რომ გაზაფხულზე ყიდულობენ გამხდარ საქონელს იაფ ფასებში და შე-

მოდგომაზე ვიდიან უკვე გასუქებულ საქონელს მაღალ ფასებში, რაც შეეხება მთარაშას, აქ ზოგჯერ ვერ უფარდებენ საქონლის რიცხვს საკვების რაოდენობას და ხშირია შემთხვევა, რომ ზამთარში პირუტყვის ნაწილი იხოცება მოუვლელობისა და უპმელობის შედეგად.

მაგრამ მთარაშაში საუკეთესო პირობები არსებობს, რათა მეცხონლეობა გაცილებით მაღალ დონეზე დადგეს და მოისპოს ის უხერხულობა, რომელიც საზაფხულო და საზამთრო საკვების რესურსების დისპროპორციით არის გამოწვეული.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მთარაშის საზაფხულო საძოვრებს, თუ მას რაციონალურად გამოვიყენებთ, შეუძლია გაცილებით მეტი რაოდენობის საქონელი გამოკვებოს, ვიდრე ამას ხინამდვილეში აქვს ადგილი. ჩვენი გამოანგარიშებით სულ ცოტა 4000 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შეიძლება კიდევ დამატებით გამოიკვებოს საზაფხულო საძოვრებზე. საქმე ისაა, რომ ამჟამად მთარაშაში ძოვების რაციონალური წესი არ ტარდება. ამ წესის თანახმად საძოვრების მთელი ფართობი იყოფა რამდენიმე ნაკვეთად (10-15 ნაკვეთად), რომელთა ექსპლოატაცია ხდება რიგრიგობით და განსაზღვრულ დროს. ძოვების ამ წესს სხვანაირად „გარეკვითი სისტემა" ეწოდება და მას მრავალი უპირატესობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი ადიდებს საძოვრების პროდუქტულობას, თვალსაჩინოდ ზრდის რძის ცხიმიანობას და ადიდებს წველადობას, საქონელიც სწრაფად მატულობს წონაში (განსაკუთრებით მოზრდილი). ერთი სიტყვით იწვევს მესაქონლეობის როგორც რაოდენობითს, ისე ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

უნდა ითქვას, რომ მთარაშაში არსად არ ტარდება ძოვების გარეკვითი სისტემა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საქონლის გაშვება საძოვრებზე ხდება ერთბაშად, გაფანტულად, ნაკვეთების დაუყოფლად. ძოვების ასეთი უსისტემობის დროს საქონელი ბალახობს ზერელედ, იმდენს არ სჭამს, რამდენსაც ფეხებით აფუშებს, თელავს და სვრის. ზოგიერთი ადგილი ძირფესვიანად მოიძოვება, ზოგი მხოლოდ 10-15%-ით. ეს გარემოება მეტად ამცირებს საძოვრების ნაყოფიერებას. მთარაშის საძოვრების გამოყენების ახლანდელი კოეფიციენტი არ აღემატება 35-40%-ს. მაშინ, როდესაც ის წესიერი ძოვების შედეგად უნდა შეადგენდეს 80-85 პროცენტს. ამრიგად, თუ ამჟამად მთარაშის საზაფხულო საძოვრები კეებავს 5600 სულ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, გარეკვითი სისტემის ცხოვრებაში გატარების შემდეგ, მას შეუძლია გა-


მოკვეთოს არანაკლები 9.600 სული. (ამჟამად თითო სულ საქონელზე ზაფხულის პერიოდში იხარჯება 3,4 ჰექტარი საძოვარი. რაციონალური წესის გატარების შემდეგ კი საკმარისი იქნება ორი ჰექტარი).

გარდა აღნიშნულისა, საძოვრების რაციონალურად გამოყენებისა და ჯოგის წესიერი კვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყაროების შერჩევას. საქმის არამცოდნე და დაუინტერესებელ მწყემსს ხშირად საქონელი მიჰყავს ისეთ ადგილებში, რომლებიც თავის პირადს ინტერესებს უფრო შეეფერება. მაგ. გამოქვაბულთან, როგორც თავშესაფრის ახლოს, ტყის ახლოს ცეცხლის დასანთებად, სახელი წყლების ახლოს და სხვ. ყოველივე ამის შედეგად მიგვიღებთ იმას, რომ ეს ადგილები მოიძოვება გადაჭარბებით, საქონელი კი ნახევრად მშიერი დარჩება. ასეთ შემთხვევებს რომ არ ექნეს ადგილი, გარეკვითი სისტემის გატარებისათვის საჭიროა საძოვრების რამდენიმე მოხერხებულ ადგილას აშენდეს სადგომები, სადაც წყაროებს შეეძლებათ შეაფარონ თავი ცუდი ამინდის დროს. სამშენებლო მასალები (ქვა, თიხა, ხე-ტყე) ადგილობრივად მოიპოვება. ამ მხრივ მეოთხე ხუთწლიან გეგმაში ნათქვამია: „უზრუნველყოფილ იქნას გასარეკი მეცხოველეობის რაიონებში ჰექტრის, საცხოვრებელ და საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა“ *)

საძოვრების პროდუქტიულობას ამცირებს აგრეთვე ძოვების ადრე დაწყება გაზაფხულზე და გვიან დამთავრდება შემოდგომაზე. მთაბაჯის ყველა სოფელი ცდილობს, რაც შეიძლება მალე გარეკოს საქონელი ახლადამოსულ ბალახზე. პირუტყვი სრესს საძოვრების ჯერ კიდევ სველ ზედაპირს, ბალახის ზრდა სუსტდება, ნიადაგი ხმება და შიშვლდება, ვითარდება სარეველა ბალახები და საბოლოოდ მცირდება საძოვრების ფართობი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ არ არის დადგენილი ძოვების მტკიცე ვადები და ნაკლებად ითვალისწინებენ ნორჩ ბალახიან საძოვრებზე პირუტყვის გარეკვის დამღუპველ შედეგებს. საჭიროა დაიყოს საძოვრები ცალკე უბნებად და საფეხურებად და შედგეს მათი გამოყენების კალენდარული გეგმა. ამჟამად მთაბაჯის საქონლის მოძრაობა საზამთრო ბინებიდან საზაფხულო საძოვრებამდე შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ზოგადი სქემით (ცალკე სოფლების სპეციფიურობას არ ვღებულობთ მხედველობაში).

---

*) კანონი სსრ კავშირის საბალნო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გვ. 49, 1946 წ.



როგორც მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, მთარაჯაში სოფლიდან შვეიცარიაში Wintergut) საქონლის (განსაკუთრებით მეწველის) მთებში გარეკვა იწყება აპრილის მეორე ნახევრიდან. თესვის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ, რადგან საზაფხულო საძოვრები ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული, ამიტომ საქონელი ერთ თვემდე რჩება გარეყანებში (შვეიცარიაში Maiensäss). მთარაჯაში არჩევენ შინა და გარეყანებს. შინაყანები სოფლის ირგვლივ მდებარეობენ, გარეყანები კი დაშორებულია სოფლებიდან 4-10 კმ.-მდე. ამ ადგილებში საქონელი სძოვს ნამჯარს (ქერის, ხორბლის ნაწვერალი) და ახლადმოსულ ბალახს. მაგრამ, როდესაც თესვის დაწყების დრო აქაც დადგება (20 მაისიდან), საქონელი პირდაპირ საზაფხულო საძოვრებზე ადის (Alp) და რჩება იქ ოთხ თვემდე (ივნისი, ივლისი, აგვისტო): ე. ი. 10-15 სექტემბრამდე. ამრიგად, საქონელი მთებიდან მანამდე არ დაიძრება. სანამ ძალზე არ აცივდება და თოვას არ დაიწყებს. საზაფხულო საძოვრებიდან საქონელი ჩამოდის გარეყანებში 10-15 სექტემბერს. მაშინ აქ ჭირნახულის და თივის აღება უკვე დამთავრებულია და საქონელი რჩება იქ ერთი თვე. ე. ი. 15 ოქტომბრამდე. ამის შემდეგ ჩამოდის სოფელში და რჩება მომავალ გაზაფხულამდე, რის შემდეგ დაიწყება ისევ საქონლის ჩვეულებრივი მოძრაობა.

მთარაჯის საქონლის წლიური მოძრაობის ზოგადი სქემა დიდად წააგავს შვეიცარიისას, მაგრამ არის განსხვავებაც: მთობის დაწყებისა და დამთავრების დრო ერთნაირი არ არის, რაც ამ ორი

ქუთხის სხვადასხვა გეოგრაფიული სიგანეებით აიხსნება (მაგრამ ამ სხვადასხვაობას მთარაჭის სოფლებს შორისაც აქვს ადგილი). გარდა ამისა, შვეიცარიაში ოქტომბერში სოფელს (Wintergut) ჩამოსული საქონელი ნოემბრის ბოლო რიცხვებში ისევ ადის მაისის საძოვრებზე, სადაც რჩება დეკემბრის 25 რიცხვამდე. ამ ხელმეორედ ასვლის მიზანი ის არის, რომ მაისის საძოვრებზე დაგროვილი საკვები სოფელში კი არ ჩამოიტანონ, როგორც ამას მთარაჭაში აქვს ადგილი, არამედ აქვე აჭამონ საქონელს და დაგროვილი ნაკელიც იქვე გამოიყენონ ყანების სასუქად.

ალპიური საძოვრები (მთა, Alp) თავის დანიშნულების მიხედვით იყოფა რამდენიმე ზონად, რომლებიც დამახასიათებელია ყველა ალპიური ქვეყნისათვის. ეს ზონები არის:

1. ქვედა ზონა, რომელსაც შვეიცარიაში Sennalpen-ს უწოდებენ, მდებარეობს 1200-2000 მეტრზე ზღვის დონედან. მას ახასიათებს შედარებით ხანგრძლივი ვეგეტაციის პერიოდი ბალახის დიდი სიმაღლე. ეს ზონა ძირითადად განკუთვნილია მეწველი საქონლისათვის (ხბოები 1 წლამდე). ამ ზონის დანიშნულებაა რძის პროდუქტების წარმოება. მეწველი საქონლის ქვედა ზონაში დატოვება აიხსნება იმით, რომ რძის პროდუქტების დამზადება მოითხოვს მეტ მუშახელს და მათი სურსათით მომარაგებას, რაც ადვილდება სოფელთან სიახლოვით. გარდა ამისა, რაც უფრო მაღლა მდებარეობს საძოვარი, მით უფრო კლებულობს ძროხების წველადობა, რადგან ცივაბოიან ადგილებში და სიცივეში საქონელს ზედმეტი ენერგია ეხარჯება.

2. საშუალო ანუ მთხარდი საქონლისა და სასუქის ზონა (2000-2500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან); შვეიცარიაში და ბავარიაში მას უწოდებენ Galtalpen, რაც ნიშნავს რძემოკლებულ საქონელს. ამ სახის საქონელი შესამჩნევად იმატებს სიმაღლეში და ნაკლებად წონაში, მაგრამ ზამთრის პერიოდში იგივე საქონელი უფრო სწრაფად იმატებს წონაში, ვიდრე დაბალ ადგილებზე ნამყოფი საქონელი. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემოდგომაზე გასასყიდად განკუთვნილი საქონელი ირეკება საბალახოდ ქვედა ალპებში, გაზაფხულზე განკუთვნილი კი ზედა ალპებში.

3. ცხვრებისა და თხების ზონა ანუ Schafalpen. ეს ზონა გრძელდება თოვლის ხაზამდე და მდებარეობს 2500-2500 მეტრის სიმაღლეზე. ამ ზონაში ბალახი მეტად დაბალია, რომელიც მსხვილფეხა რქოსან საქონლისათვის მიუწვდომელია მაგრამ ცხვარი და თხა გულიანად სძოვს აქაურ დაბალ და გვრილ ბალახს.

ცხადია, რომ საძოვრის ამ სქემის პრაქტიკულად გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს მესაქონლეობის აღმავლობას, მაგრამ მთარაჭაში საქონელი სახეების მიხედვით თავის ადგილას არ დგას. ხშირია შემთხვევა, რომ ყველა სახის საქონელი (ძროხა, ცხვარი, თხა, ცხენი, ხარი) ერთდაიმავე ადგილას სძოვს. ამ საქმის მოწესრიგებას, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა მოჰკიდონ სასაქონლო ფერმებმა.

მთარაჭაში საძოვრების საკითხების გარდა მოსაწესრიგებელია სათიბების საკითხებიც. რათა საქონელს საკმარისი საკვები მიეცეს ზამთრის პერიოდში, საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს არსებული დამოკიდებულება თივის მომარაგების საქმეში. წინათ ეგზოობისა და სათიბების მიუდგომლობის გამო საკმაო რაოდენობის თივა ვერ მზადდებოდა და საქონლის შენახვა ზამთარში კიდევ უფრო დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. ამჟამად ყოველგვარი პირობები არსებობს იმისა, რომ კოლექტიური შრომის საფუძველზე გაყვანილ იქნას საცალფეხო და სასოფლო გზები—ალპიური სათიბებისაკენ, რაც ნაწილობრივ უკვე შესრულებულია. სასაქონლო ფერმების ჩამოყალიბებამ შესაძლებელი გახადა ახალი საკვები ბაზების გამოყენება, რის შედეგად შესამჩნევლად მოიმატა პირუტყვის რაოდენობამ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დეფექტი რჩება. ჩვენი გამოთვლებით მთარაჭაში სათიბების პროდუქტულობა მეტად დაბალ დონეზე დგას ფაქტიურ პროდუქტულობასთან შედარებით.*) თითო ჰექტარ სათიბზე ნორმალური მოსავალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 51 ცენტნერ თივას, სინამდვილეში ის არ აღემატება 25 ცენტნერს. ამრიგად, თუ ახლანდელი თივის მოსავალი (75.000 ცენტ.) ინახავს 4-5 ათას სულს მსხვილფეხა რქოსან საქონელს, სათიბების წესიერი მოვლის შემდეგ გადიდებული მოსავალი (153.000 ცენტ.) გამოკვებავს 9-10 ათას სულს.

რა იწვევს სათიბების ასეთ დაბალ ნაყოფიერებას? სათიბები ბევრ შემთხვევაში მოკლე დროით გამოყენებულია საძოვრებად (გაზაფხულსა და შემოდგომაზე). ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ბალახის ზრდაზე და საბოლოოდ მოსავალზე. არაა დაცული თივის ვადები; ბალახში ყველაზე მეტი პროტეინი გროვდება ყვავი-

*) საბალახოების ყველა მარაგის კრებადობას, ე. ი. პირველადს მარაგს და ძოვების ყველა ნაზარდს უწოდებენ საძოვრის პროდუქტულობას. საქონელი არ ძოვს ისეთ ბალახს. როგორიცაა: გასვრილი, ცუდსუნიანი, თვითნებურად გაძოვებული და სხვ. ამრიგად, იმ ბალახს, რომელსაც ფაქტიურად ითვისებს ცხოველი (რაც თეორიულზე ნაკლებია), უწოდებენ ფაქტიურ პროდუქტულობას.

ლობის დასაწყისში და მის სრულ ფაზაში, მაგრამ მთარაჭაში ხშირად თიბვას იწყებენ ყვავილობის დამთავრების შემდეგ. გარდა ამისა, თიბვის ნაწვერავი საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს 4-5 სანტიმეტრს, სინამდვილეში კი აღწევს 8-9 სანტიმეტრს, რაც თივის ფაქტიურ შემოსავალს ამცირებს და ამცირებს აგრეთვე პროტეინის შემადგენლობას. ზოგჯერ თივას აგროვებენ არა მოთიბვის დღეს, რაც იწვევს როგორც რაოდენობითს ისე საკვები ნივთიერების დანაკარგებს. ყველა ამ დეფექტების გამოსწორების შედეგად სათიბების ნაყოფიერება გაიზრდება 100 პროცენტით. ახალი სტალინური ხუთწლედი გვავალებს, „უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ხარისხის თივის აღების მნიშვნელოვანი გადიდება ბუნებრივი თიბვისა და ნათესი ბალახების დროზე აღების ჩატარების, აგრეთვე მდელოების გაუმჯობესების გზით. გაუმჯობესდეს პირუტყვის საძოვარზე შენახვა ბუნებრივი საძოვრების სწორად გამოყენების მოწყობის გზით“.*)

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთარაჭაში მეტად ძვირფასი საკვები ბალახი იზრდება, რის გამო ეს კუთხე შეიძლება განვიხილოთ არა მარტო, როგორც ალპიური მესაქონლეობის მხარე, არამედ აგრეთვე როგორც საკვები ბალახების ბუნებრივი სანერგის ბაზაც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საძოვრებისა და სათიბების წესიერი და მაქსიმალური გამოყენებითა, როგორიცაა გზების გაყვანა, საძოვრებზე ბინების აგება, ნაკვეთმორიგებითი გარეკვითი სისტემის ზუსტი გატარება და სხვ. სასაქონლო ფერმების გაშლით შესაძლებელია მოხდეს გოგანტური ძვრები საქონლის სულადობის გადიდებისა და მისი საზოგადო საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

მთარაჭაში არსებული მეწველი საქონელი ძირითადად ქართული ჯიშისაა. მუშა საქონელი კი უმთავრესად ჩრდილო-კავკასიიდან გადმოჰყავთ. ზამთრის პერიოდში საქონელი ბოსლებშია მოთავსებული. წინათ ეს სადგომები იყო დაბალჭერიანი, ეიწრო და ბნელი. ადამიანის საცხოვრებელი სახლი და ბოსლები ერთ შენობაში იყო მოთავსებული. ამჟამად ეს მდგომარეობა ნაწილობრივ შეცვლილია და ხშირ შემთხვევაში ბოსლები ცალკეა მოთავსებული. განსაკუთრებით კარგი სადგომები აქვს მოწყობილი სასაქონლო

*) კანონი, გვ. 49.

ფერმებს (ღებრს ფერმისათვის გორის ბოლოში, გლოლის — ოქროყანაში და ჭიორის — ნოწარაში). საქონლის ეს სადგომები აგებულია ქვისაგან, აქვთ მაღალი ჭერი, ფართო ფანჯრები, ვენტილიატორები, ხის იატაკი და, ერთი სიტყვით, მოწყობილია რაციონალურად. წინათ არავითარი ღონისძიებანი საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის არ ტარდებოდა, რის გამო საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მრიელი მცირე პროდუქტულობის მქონე საქონელი. აქაური ძროხის ცოცხალი წონა საშუალოდ არ აღემატება 130-150 კილოგრამს (ბარის ძროხის ნორმალური წონაა 400-500 კგრ.); ამ მხრივ ახალ ხუთწლედში მითითებულია: „გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშები და უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე უფრო პროდუქტული ცხოველების შერჩევის გზით, აგრეთვე მაღალპროდუქტული მწარმოებლებით პირუტყვის მეტიზაციის საშუალებით იმ ვარაუდით, რათა ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ ჯიშიანი მაღალპროდუქტული პირუტყვის მნიშვნელოვანი ზრდა, უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების სწორი დარაიონება“.*)

დღე-ღამითი წველადობა ლაქტაციის პერიოდში (9 თვე) შეადგენს საშუალოდ 2 ლიტრს. მაგრამ არის ჯიშიანი ძროხებიც, რომელთა წონა საშუალოდ შეადგენს 350-400 კგრ. და დღე-ღამეში იწველის 6 ლიტრაზე მეტს. ასე, რომ ყველა ძროხა (1800-მდე), რომ გაუმჯობესებული ჯიშის იყოს, მივიღებდით რძის სამჯერ მეტ პროდუქციას (ახლანდელი 1000 ათას ლიტრის ნაცვლად 3000 ათას ლიტრს).

ზემოაღნიშნული წველადობის სიმცირეზე გავლენას ახდენს შემდეგი გარემოებანი:

1. ძროხების გაფანტულად და არა გარეკვითი სისტემის საფუძველზე ძოვება.

2. საძოვრებზე გადახურული სადგომების უქონლობა, რის გამო საქონელს წვიმიან ამინდში სველ და ტალახიან ბინაზე უხდება დაწოლა. გარდა ამისა, სიცივის გამო საქონელს დიდი ენერგია ეხარჯება და წველადობაც იკლებს.

3. მეწველ საქონელს ეხდება დიდი მანძილის გავლა საძოვრიდან ყველის სახდელ ქარხნამდე მისასველელად. საჭიროა საქონელმა ნაკლები მანძილი გაიაროს, რისთვისაც უნდა მოეწყოს ან

*) კანონი, გვ. 47.

მოძრავი ყველის ქარხნები ან რძის ტრანსპორტი ყველის ქარხნამდე.

4. არ ხდება საქონლის გაწმენდა ჭუჭყისაგან, რის გამო წველადობა მცირდება 8-10%-ით, „კარგად გაწმენდილი ძროხა ნახევრად ნაკმევია", ამბობს ხალხური თქმულება.

5. კვების უთანაბრობა.

6. არაწესიერი წველა.

ახალი სტალინური ხუთწლედი გვ ვალებს: „გავიდდეს ხუთწლედის ბოლოსათვის წველადობა საშუალოდ ერთ ძროხაზე 67 პროცენტით 1943 წელთან შედარებით". *)

თანდათანობით ფეხს იკიდებს შვრიისა და სიმინდალის ჯიშის გავრცელება და შეჯვარება ადგილობრივ ჯიშთან, რაც ახლო მომავალში ხელს შეუწყობს არსებული საქონლის მეტიზაციას და შესამჩნევლად აამაღლებს მთელი მოსახლეობის შემოსავალს (სარძეო პროდუქციის გასაღებისათვის საუკეთესო ბაზარი მოიპოვება კურორტ ზოესა და მოლიბდმშენში). ყველის სახელოვნო ქარხანა ყველა სასაქონლო ფერმაშია მოწყობილი. რძიდან ამზადებენ ყველს, კარაქს, ხაჭოს და ჰაირანს. სასაქონლო ფერმები უზრუნველყოფილია გაუმჯობესებული ხელსაწყოებით, როგორიცაა: სეპარატორები, კარაქის საწნეხი ყუთები, სადღვებელი კასრები, რძის ჭურჭლები და სხვ. რძის სიმსუქნე შეადგენს 4%-ს. ერთი კილოგრამი კარაქის მისაღებად საჭიროა 22 ლიტრი რძე. ასე რომ მთარაჯას შეუძლია დაამზადოს ყოველწლიურად 61,300 კილოგრამი კარაქი (არსებული ძროხების რაოდენობის მიხედვით).

მესაქონლეობის სხვა სახეებს მთარაჯაში მცირე ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ იქ ტრანსპორტის ძირითად სახედ ითვლება ცხენი (საერთო რაოდენობა 300-მდე). არის ყაბარდოული (საჯდომი) და ადგილობრიეი (ურმებში გასაბმელი) ჯიშის ცხენები. ცხენები იშვიათად იგზავნება საზაფხულო საძოვრებზე და მთელ ზაფხულს ამუშავებენ კურორტის, გეოლოგიური პარტიების სურსათ-სანოვაგის გადატან-გადმოტანისა და სხვა საჭიროებისათვის).

სახედრების რაოდენობა შეადგენს 1265, ცხვრების 500 და ღორების 800 სულს. აქ მეტად სასარგებლო ცხოველია თხა (საერთო რაოდენობა 1300 სული), რომელიც განსაკუთრებულ კვებას არ მოითხოვს და ამავე დროს ხასიათდება კარგი წველადობით და მაღალი ხარისხის რძით. მთარაჯის მკვიდრს სათიბსა, ტყეში თუ

*) კანონი, გვ. 48.

სხვაგან მეწველი თხა მიჰყავს, რომლის რძე (ჰაირანის სახით) პურთან ერთად მშვენიერ საკვებს წარმოადგენს. მას (თხას) „მოძრავ სამზარეულოს“ უწოდებენ.

მთარაჭაში საკმაო ადგილი უჭირავს მემინდვრეობას. სახნავ-სათესი ფართობი შეადგენს 1231 ჰექტარს. აქედან ქერს უჭირავს 604 ჰექტარი (49,1%), ხორბალს—176 ჰექტ. (14%), კარტოფილს—444 ჰექტ. (36%), ბოსტნეულს და ხეხილს 6 ჰექტარი. საერთო წლიური მოსავალი ასეთია: ქერისა 4228 ცენტ., ხორბლის 1408 ცენტ., კარტოფილის 23.088 ცენტ. ყველა ეს სასურსათო მარაგი მთარაჭის მოსახლეობას ჰყოფნის დაახლოებით 6 თვეს. დანაკლისი უმთავრესად შემოაქვთ ჩრ. კავკასიიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახლად განვითარდა საკურორტო მშენებლობა (შოვი და საგლოლო) და სამთამადნო მრეწველობა (მოლიბდენ-მშენი და სხვ.); გაყვანილ იქნა გზატკეცილები, რამაც შესამჩნევლად გააუმჯობესა მთარაჭის მოსახლეობის მომარაგება, რომელიც წინათ მოწყვეტილი იყო კულტურულ ცენტრებს. მემინდვრეობიდან მიღებული პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში დაახლოებით შეადგენს 30%.

დასასრულ, შეიძლება განვაცხადოთ, რომ მთარაჭის სოფლის მეურნეობების ძირითად დარგად მომავალშიაც მესაქონლეობა დარჩება, რომლის განვითარებისათვის ყოველგვარი ხელსაყრელი პირობები არსებობს. მთავარი ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ გაიზარდოს არა მარტო პირუტყვის სულადობა, არამედ აგრეთვე ამაღლდეს მისი ჯიშიანობა და პროდქტულობა (ცოცხალი წონა, წველადობა, მატყლის გამოსავლიანობა), განმტკიცდეს საკვები ბაზა და მოეწყოს პირუტყვის ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურეობა.

მაგრამ, როგორც ეს მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიერ არის დადგენილი, რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ორი ძირითადი დარგის—მცენარეულობისა და მეცხოველეობის თანაარსებობა. სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის მოწინავე ტექნიკური ბაზის არსებობამ, მარცვლეულის, კარტოფილისა და საკვები კულტურების წარმოების ზრდამ შექმნეს აუცილებელი წინამძღვრები მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. საქართველოს სს რესპუბლიკაში 1950 წლის დამლევისათვის ცხენის სულადობა 1945 წელ-

ოან შედარებით გადიდდება 43 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა—17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—41 პროცენტით.*) მთარაჭის ბუნებრივი და ეკონომიური პირობების სრული გამოყენება საგრძნობ წვლილს შეიტანს ახალი ხუთწლედის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. მთარაჭა, რომელიც ონის რაიონში შედის (დასავლეთ საქართველო) მრავალმხრივ საინტერესო კუთხეს წარმოადგენს ალპიური მეურნეობისათვისაც.

2. აქ საერთო ფართობიდან (640 კვ. კმ.) 36,7 პროცენტი სოფლის მეურნეობისათვის ვარგის მიწებს უჭირავს, 32,2 პროცენტი — უვარგისს, 29 პროცენტი — ტყეს და 2,1 პროცენტი — ბუჩქნარ-ჯაგნარს.

3. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 6.000 სულზე მეტია, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა კოლმეურნეობებშია გაერთიანებული.

4. წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს, კერძოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (5-6 ათასი სული), რომლის პროდუქციის ხვედრითი წონა 60%-ს შეადგენს.

5. ალპიური და სუბალპიური საძოვრები, რომლებიც ზღვის დონედან 1800-2800 მეტრამდე მდებარეობენ, იყოფა ორ ნაწილად — მუდმივი და დროებითი. მუდმივი საძოვრების ფართობი უდრის 18 240 ჰექტარს, ანუ საერთო საძოვრების 93%-ს.

6. საზამთრო საძოვრები მთარაჭას არ გააჩნია. სახნავების ფართობი 3.000 ჰექტარს შეადგენს. ჰექტარზე თივის მოსავალი 25 ცენტნერია.

7. საზამთრო და საზაფხულო საკვები რესურსები დისპროპორციულია. ზამთრის პერიოდში თვითეულ სულ საქონელს (ცორტების გარდა) 20 ცენტნერი თივის ნაცვლად ეძლევა 10 ცენტნერი, რის გამო ნაწილი პირუტყვისა შიმშილობს და ნაწილს შემოდგომაზე ჰყიდიან, გაზაფხულზე კი ისევ ყიდულობენ.

8. საჭიროა შემოღებულ იქნას გარკვეული სისტემა, რომელიც გაადიდებს საძოვრების პროდუქტიულობას, წვლილობას რძის სიმსუქნეს, პირუტყვის ცოცხალ წონას. ძოვების არსებული წესის

*) კანონი საქართველოს სსრ საბალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გვ. 24.

შედეგად კი (ე. ი. პირუტყვის საძოვრებზე გაშვება სწარმოებს გაფანტულად, ნაკვეთების დაუყოფლად) საძოვრების გამოყენების კოეფიციენტი არ აღემატება 35-40 პროცენტს, ნაცვლად 80-85 პროცენტისა.

9. ადგილი აქვს ძოვების ადრე დაწყებას გაზაფხულზე და გვიან დამთავრებას შემოდგომაზე, ე. ი. არ არის დადგენილი ძოვების მტკიცე ვადები.

10. პირუტყვი სახეების მიხედვით (Senalpen, galtalpen, schafalpen) თავის ადგილას არ დგას.

11. სახნიბები მოკლე დროით გამოყენებულია საძოვრებად (გაზაფხულსა და შემოდგომაზე). თიბვას ხშირ შემთხვევაში იწყებენ ბალახის ყვავილობის დამთავრების შემდეგ, თიბვის ნაწვერავი 8-9 სანტიმეტრს უდრის. მოთიბვის შემდეგ თივას აგროვებენ მოგვიანებით. ყოველივე ამის შედეგად თივის მოსავალი ჰექტარზე უდრის 25 ცენტნერს, ნაცვლად 50-52 ცენტნერისა.

12. მეწველი საქონელი (1800 სულამდე) ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა. ძროხის ცოცხალი წონა საშუალოდ არ აღემატება 130-150 კილოგრამს, დღე-ღამითი წველადობა კი 2 ლიტრს. ჯიშიანი ძროხის (საერთო რაოდენობის 10 პროცენტი) საშუალო წონა აღწევს 400 კილოგრამამდე, დღე-ღამითი წველადობა კი 6 ლიტრამდე.

13. სასაქონლო ფერმებს (ღებსა, გლოლასა და ჭიორაში) გააჩნიათ პირუტყვის რაციონალური სადგომები, (გორის ბოლო, ოქროყანა და ნოწარა), ყველის სახდელი ქარხნები, რომლებიც უზრუნველყოფილია გაუმჯობესებული ხელსაწყოებით: სეპარატორები, კარაქის საწნეხი ყუთები, სადღებელი კასრები, რძის ჭურჭლები და სხვა. მეცხოველეობის პროდუქციის (ხორცი, რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, ჰაირანი) გასაღებისათვის საუკეთესო ბაზარი არსებობს კურორტებზე (შოვი, საგლოლო, ღურშევი) და აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის (მოლიბდენის, ვოლფრამის, ვერცხლისწყლის, სურმის და სხვ.) განვითარებასთან დაკავშირებით (გორა, ნოწარა, ზოფხიტო და სხვ.).

14. ადგილობრივი ტრანსპორტის ძირითად სახეს წარმოადგენს ცხენი (300-მდე სული).

15. პირუტყვის სხვა სახეებიდან აღსანიშნავია ცხენები, სახედრები (1000-ზე მეტი სული), ცხვრები (500 სული), ღორები (800 სული), თხები, რომლებსაც ზედმეტად „მოძრავ სამზარეულოს“ უწოდებენ.

16. სახნავ-სათესი ფართობი შეადგენს 1230 ჰექტარს. მოჰყავთ ქერი, ხორბალი, კარტოფილი, ცოტაოდენი ბოსტნეული. მიწადმოქმედება იძლევა დაახლოებით 5-6 თვის მარაგს, ე. ი. აკმაყოფილებს ადგილობრივი მოთხოვნილების მხოლოდ ნახევარს.

17. შომავალში მთარაჭის სოფლის მეურნეობაში წამყვან დარგად ისევ მეცხოველეობა დარჩება, რომელიც შემდგომ აღმავლობას მიაღწევს ახალ სტალინურ ხუთწლედში. დიდი პერსპექტივები ახლება აგრეთვე სამთამადნო მრეწველობას და საკურორტო მშენებლობას.

ГУРИ КВИРИКАДЗЕ

Альпийское хозяйство Горной Рачи

Резюме

1. Горная Рача, которая в административном отношении входит в Оникий район (Западная Грузия) представляет собой уголок, интересный во многих отношениях: климатических, ботанических, геологических и в особенности с точки зрения развития альпийского хозяйства.

2. Из общей площади (640 кв. км.) 36,7 процента занимают пригодные для сельского хозяйства земли, 32,2 процента — непригодные, 29,0 процентов леса и 2.4 процента кустарники.

3. Общее количество населения больше 6000 челок., абсолютное большинство которых об'единено в колхозах.

4. Ведущую отрасль хозяйства представляет скотоводство, в частности, крупный рогатый скот (5, 6 тысяч гол.), удельный вес продукции которого в сельском хозяйстве Горной Рачи составляет 60%.

5. Пастбища, которые расположены от 1800 до 2800 метров над ур. моря, делятся на постоянные (альпийские) и временные (нашни). Площадь первых равна 18.240 га—95% всех пастбищ.

6. Зимних пастбищ в Горной Раче нет. Площадь покоса составляет 3000 га. С гектара собирают 25 центнеров сена.

7. Зимние и летние кормовые ресурсы находятся между собой в диспропорции. В зимнем периоде на каждую голову скота (кроме свиней) вместо 20 центнеров сена приходятся 10 центнеров, вследствие чего часть скота голодает, часть идет в продажу осенью, а весной возмещается покупкой.

8. Необходимо ввести систему загона, которая повысит продуктивность пастбищ, удойность, содержание жира в молоке и живой вес скота. В результате существующего порядка пастьбы (выгон скота на пастбища производится разрозненно, без раздела участков) коэфициент использования пастбищ не превышает 35-40 процентов вместо 80-85 процентов. Низкий процент использования пастбищ есть результат раннего начала пастьбы весной и позднего окончания осенью, т. е. не установлены твердые сроки пастьбы. Скот по видам (крупный и мелкий рогатый скот) и категориям (удойный, неудойный) не имеет постоянного и соответствующего места, как например Senalpen, Galtalpen, Schafalpen.

9. Покосы на короткий срок используются в качестве пастбищ (весной и осенью). Косить часто начинают после окончания цветения травы, остатки от покоса равны 8-9 сантиметрам, собирают сено после покоса с опозданием, в результате чего наибольшой сбор сена в среднем не превышает 25 центн. с га, вместо 50-52 центн. с га.

10. Удойный скот (до 1800 гол.) в основном местной породы, живой вес скота в среднем не превышает 130-150 кгр., а суточная удойность 2 литра. Средний вес породистой коровы (10 проц. общего количества) доходит до 400 кгр., а суточная удойность до 6 литров.

11. Животноводческие фермы (в Геби, Гдоле и Чиоре) имеют рациональные помещения для скота, сыроваренные заводы (в Горис-боло, Окрокане и Иоцаре), которые обеспечены усовершенствованным оборудованием: сепараторами, маслобойными ящиками, бочками, молочной посудой и пр. Для сбыта продукции животноводства есть прекрасный рынок на курортах (Шови, Сагхоло, Гуршеви) а также, вследствие развития горнозаводской промышленности молибдена, вольфрама, ртути, сурьмы в Гоне, Иоцаре, Зопхите и др.

12. Из других видов скота надо отметить лошадей, которые применяются в транспорте (300 гол.), ослов (до 1000 гол.), овец (500 гол.), свиней (800 гол.), коз (1200 гол.), последних иногда именуют „передвижной кухней".

13. Пахотных земель 1230 га. Сеют ячмень, пшеницу, картофель, немного овощей. Земледелие дает запасы для удовлетворения потребности местного населения приблизительно на 5-6 месяцев. Симбиоз между скотоводством и земледелием позволяет целесообразнее организовать труд в Горной Раче, характеризующейся коротким вегетационным периодом.

15. В будущем ведущей отраслью сельского хозяйства в Горной Раче останется опять-таки животноводство, которое достигнет новой ступени в IV пятилетке. Большие перспективы открываются также перед горнозаводской промышленностью и курортным строительством.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები.
2. ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, 1934 წ.
3. ლ. ბერია, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობას, 1937 წ.
4. კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, 1946 წ.
5. ღეოგრაფიული აღწერა საქართველოისა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, 1842 წ.
6. პროფ. გ. ნ. გეხტმანი, ალპიური მეურნეობა, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 3, 1929 წ.
7. აკად. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I.
8. აკად. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, 1935 წ.
9. გ. ჭირაქაძე. კურორტ შოვის კლიმატო-ფიზიკო-გეოგრაფიული პირობები, 1932 წ.
10. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1919 წ.
11. პროფ. ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, 1914 წ.
12. პროფ. ს. მაკალათია, მთარაჭა, 1930 წ.
13. ი. ლ. ბახტაძე, Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда, Кутаисской губернии, 1886 г.
14. ვ. კორვალიძე, გამწვარებული მოხუცი, ივერია, № 144, 1895 წ.
15. საქართველოს სსრ მინერალური რესურსები, აკად. ალ. ჯანელიძის რედაქციით, 1937 წ.
16. Справочник по водным рессурсам СССР, том I, Закавказье, Ленинград, 1935 г., ბ. ი. ყავრიშვილისა და ნ. ვ. სიმონოვის რედაქციით.

17. Stebler, Alp-und Weidewirtschaft, 1901 წ.
18. Span, Alpen, 1923 წ.
19. ა. სერებრიანიკოვი, Пастбищное хозяйство СССР, 1936 г.
20. Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, кн. XIII, 1884 г.
21. ვ. ბაბე, რაჭა, „შვიდი მნათობი", № 2, 1919 წ.
22. გ. კვირიკაძე, ყაზბეგის რაიონის ალპიური მეურნეობა (იხ. ხელნაწერი საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში).

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დოც. **კ. მეძველია**, გრძნობისა და გონების ურთიერთობა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში 3
2. დოც. **კ. მეძველია**, გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი 19
3. **მ. ალავიძე**, დავით კლდიაშვილის ლექსიკონი 49
4. დოც. **ჭ. სანიკიძე**, თელავის სეშინარია და დავით რექტორი 63
5. **დ. ბრეგაძე**, შოთა რუსთაველი და პეტრე ლარაძე . . 75
6. დოც. **ქს. კვანტრე**, ალ. კოლცოვის ლექსების ქართული თარგმანები 107
7. პროფ. **ს. ყაუხჩიშვილი**, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში 125
8. **მ. მახათაძე**, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით 155
9. დოც. **გ. სამხარაძე**, ლერმონტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი 173
10. დოც. **გ. კოკოჩაშვილი**, მასალები Limnaea truneatula Müller-ის გავრცელების შესწავლისათვის საქართველოში 205
11. **ლ. მარუაშვილი**, წალკის ქვაბულის გეომორფოლოგიისათვის 213
12. **გრ. დევდარიანი**, გეომორფოლოგიური დაკვირვებანი სოხუმის მიდამოებში 245
13. დოც. **გ. კვირიკაძე**, მთარაჭის ალპიური მეურნეობა . . 267

СОДЕРЖАНИЕ

стр.

1. Доц. К. Медзвелия, Взаимоотношения чувства и разума в творчестве Александра Чавчавадзе 3
2. Доц. К. Медзвелия, Общественно-политический профиль Григория Орбеланиани 19
3. М. Алавидзе, Словарь Дато и Илариона 49
4. Доц. К. Саникидзе, Телавская семинария и Давид ректор . 63
5. А. Брегадзе, Шота Руставели и Петре Ларадзе 75
6. Доц. Кс. Квантрe, Грузинские переводы стихотворений Ал. Кольцова 107
7. Проф. С. Кауччишвили, История поселения греков в Грузии 125
8. М. Махатадзе, К вопросу установления текста „Вепхисткаосани" с точки зрения военного искусства . . . 135
9. Доц. Г. Самхарадзе, Лермонтов и русский поэтический фольклор 173
10. Доц. Г. Кокочашвили, Материалы к изучению распространения Limnaea truncatula Müller в Грузии . . 205
11. Л. Марушкевич, К геоморфологии Цалкинской котловины 213
12. Гр. Девдариани, Геоморфологические наблюдения в окрестностях гор. Сухуми 245
13. Доц. Г. Квирикадзе, Альпийское хозяйство горной Рачи . 267

დაიბეჭდა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის
დოც. ლ. ა. ჭელიძის განკარგულებით

სარედაქციო
კოლეგია:

პროფ. ა. ბოჭორიშვილი
დოც. გ. კოკოჩაშვილი
დოც. კ. მედვედელია
დოც. გ. როგავა
პროფ. ს. ყაუხჩიშვილი
დოც. ლ. ჭელიძე (პ/მგ. რედაქტორი)
დოც. გ. ხაჭალია

Редакционная
коллегия:

Проф. А. Бочоришвили
Доц. Г. Кокочашвили
Доц. К. Медзвелия
Доц. Г. Рогава
Проф. С. Каухчишвили
Доц. Л. Челидзе (отв. редактор)
Доц. Г. Хаджалия

სტილისტი მ. ალავიძე
ტექრედაქტორი-გამომშვები
ნ. კოვზირიძე
ასოთამწყობი-მეტრანპაჟი
შ. კურცხალია

Стилист М. Алавидзе
Техредактор-выпускающий
Н. Ковзиридзе
Наборщик-метранпаж
Ш. Курцхалия

ფე 11424 სასტამბო ფორმ. რაოდ. 18
შეკვეთის № 7030 ხელმოწ. დასაბ. 5/XII 46 წ.
ტირაჟი 500 წიგნის ზომა 6×10

ცაზ. „ინდუსტრ. ქუთაისის“ სტამბა, ლ. ბერიას ქ. № 9.
Типогр. газ. „Индустр. Кутаиси“, ул. Берия № 9.

ЦЕНА 20 РУБ.

Э 45
1946